

შემოის ღრგანიზაციის ზოგადები
ქ 3 0 0 ს ა ქ ა გ თ 3 0 0 0 ს
ს ა ხ ა დ ხ მ მ ე უ ა ნ ე რ გ ა გ ი

I

ა. როგაციძე

კოლექტიური ნაღირობის გაღმონავთაგი აუტური

გროვის ორგანიზაციის ფორმატი
პცელი საქართველოს სახალხო მეცნიერები

I

ციფრი

09/19048
2

კოლექციის ნაღირობის გაღმონაშობი რაჭაში

2013-3116



LES FORMES D'ORGANISATION DU TRAVAIL DANS
L'ÉCONOMIE SOCIALE DE L'ANCIENNE GÉORGIE

I

A. ROBAKIDZÉ

LES SURVIVANCES DE LA CHASSE COLLECTIVE EN RATCHA

ФОРМЫ ОРГАНИЗАЦИИ ТРУДА В НАРОДНОМ
ХОЗЯЙСТВЕ ДРЕВНЕЙ ГРУЗИИ

I

А. РОБАКИДЗЕ

ПЕРЕЖИТКИ КОЛЛЕКТИВНОЙ ОХОТЫ У РАЧИНЦЕВ

დაიმექტება სადაც თვეულის ჴსტ მეცნიერებათ
აკადემიის პრეზიდიუმის განვარგულებით

ტერადცოლი გ. ჩიცაძა

၆၀။ စိနာရေးဝန်ကြီးမှုပါဒ်	1
၆၁။ မျှောက်မြေ	5
I. ပွဲနှင့်ပိုက်ခွဲ ပုဂ္ဂနိုင်မြေ	19
II. မာတ္ထာရေးလျှပ်စီး ပုဂ္ဂနိုင်	30
1. ပါယံမြေ	—
2. မျှောက်မြေ	38
3. မာတ္ထာနှင့် ပုဂ္ဂနိုင်	47
III. နာဂတ်မြေ	76
IV. နာမြေ	113
V. မြေနှင့်မြေပိုက်	129
VI. နာဂတ်မြေ	146
VII. နာဂတ်မြေ လူပွဲနှင့် ပုဂ္ဂနိုင်မြေ	161
1. တော်မြေ	—
2. တော်မြေ	175
3. နာဂတ်မြေ	189

ზელმოწერილია დასაბეჭდ. უკ. ფ. 20.8.41
ბეჭდურ ფორმათა რაოდენობა 13 ფორ.
ბეჭდურ ფორმაში 40 ათასი სასტ. ნიშ.
შევ. № 1032; უე 34674; ტირაჟი 1000
საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა
ა. წერეთლის ქ. № 7

წინამდებარე მონოგრაფიისათვის საჭირო ეთნოგრაფიული მასალის შესაკრებად საკ. მეცნიერებათა აკადემიის საქ. ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მიერ ორჯერ ვიყავი მივლინებული რაჭაში (ამბროლაურისა და ონის რაიონებში), პირველად 1938 წლის 16 აგვისტოდან 9 სექტემბრამდე, ხოლო მეორედ 1939 წლის 10 ივლისიდან 7 აგვისტომდე.

პირველი მივლინება შესრულებული იყო შემდეგი მარშრუტით: თბილისი—ამბროლაური—წესი—ნიკორწმინდა—კვაცხუთი—ურავი—ონი—ღები—სხანარი—წედისი—ირი—ვატრა—ონი—თბილისი.

მივლინება მიზნად ისახავდა ეთნოგრაფიული მასალის შეკრებას შრომის მარტივი კოოპერაციის ყველა ფორმის შესახებ, რაც არსებითად შესრულებული იყო. მაგრამ მონადირეობის, მიწათმოქმედების, მესაქონლეობისა და ხელოსნობის დარგებში შრომის დროებითი გაერთიანების თვალსაზრისით იმდენად მდიდარი, უხვი და მრავალნაირი მასალა აღმოჩნდა, რომ მისი მოთავსება ერთი მონოგრაფიის ფარგლებში, მისი წესიერი დამუშავების მიზნით, შეუძლებელი გახდა. ამის გამო იძულებული შევიქენით ყურადღება მხოლოდ ნადირობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გავვემახვილებინა იმ ვარაუდით, რომ მეურნეობის დანარჩენი დარგების ხაზით შეკრებილი მასალა შემდეგში იქნებოდა დამუშავებული.

ამდენად მეორე მივლინება მიზნად ისახავდა, როგორც ახალი მასალის შეკრებას კოლექტიურ ნადირობასთან დაკავშირებით, აგრეთვე წინა მივლინების დროს ამ საკითხზე შეკრებილი მასალის შეესებასა და შეჯერებას. ამის მიხედვით მეორე მივლინება შესრულებული იყო შემდეგი მარშრუტით: თბილისი—ამბროლაური—წესი—ჯავისა — ლიხეთი—ურავი — საღმელი — რიცეულა — ქვემო-კრიხი — ამბროლაური — საკაო — ხიდაში — ამბროლაური — ონი — გლოლა — ჭიორა — ღები — უწერა — თბილისი.

მთხოვნებელთა კონტინგენტი, განსაკუთრებით მეორე მივლინების დროს, შერჩეული იყო საქ. მონადირეთა კავშირის აღვილობრივ რწმუნებულთა დახმარებით. მთხოვნებელთა კონტინგენტს აღვილზე ვაზუსტებდით.

შესასწავლი რაიონის ამათურმ დასახლებულ პუნქტში, მოსახლეობის გამოკითხვის საშუალებით მივაკვლევდით მთხოვნებელს, გავეცნობოდით მის კომპენტენციას ნაფირობასთან დაკავშირებულ საკითხებში და შემდეგ ბასის საშუალებით ვარკვევდით ჩვენთვის საინტერესო საკითხებს. რათქმაუნდა, ამგვარ საუბარში ორი-სამი სხვა პირიც იღებდა მონაშილეობას, რაც ამათურმ ცნობის სიზუსტისა და სისახვისის თვალსაზრისით დადებით შედეგს გვაძლევდა. ჩაწერის დროს არსებითი ორიენტაცია ძირითად მთხოვნებელზე გვეჭირა და თანამოსაუბრის ვინაობას აღვნიშნავდით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ცნობებში რაიმე განსხვავებას ჰქონდა აღვილი. ასეთი მცირე ჯგუფით საუბარი იმდენად არის დადებითი, რამდენადაც ცნობების შევსება და შეჯერება ჩაწერის პროცესშივე ხდება. ამ წესით შეკრებილ მასალას სხვა დასახლებულ პუნქტებში ვამოშვებდით და ასე შემდეგ.

ორივე მივლინების დროს შეკრებილი მასალა ჩაწერილია შემდეგი მთხოვნებელების თქმით.

სოფ. წესი—ნიკო დვალიძე, 85 წლის, მიწათმომქმედი, ან დრია მაისაშვილი, 82 წლის, მიწათმომქმედი, შოთა გოგობერიშვილი, 22 წლის, მონადირე.

სოფ. ურავი—მიხეილ იოსეგბის ძე რეხვიაშვილი, 59 წლის, მონადირე, ტარასი ჯაფარიძე, 44 წლის, მონადირე.

სოფ. ნიკორწმინდა—იოსეგბ დვალი, 41 წლის, მიწათმომქმედი, ქრისტესა დვალი, 89 წლის, მიწათმომქმედი.

სოფ. ლები—ილია სიმონის ძე ლობუანიძე, 56 წლის, მონადირე, ივანე პანტეს ძე გავაშელიშვილი, 76 წლის, მიწათმომქმედი, ელისა ლათეს ასული ლობუანიძე, 60 წლის, დიასახლისი, გრიგოლ მალაქიას ძე ლობუანიძე, 48 წლის, მონადირე.

სოფ. ქვედი—ანტონ მაისურაძე, 73 წლის, სახვნელის ოსტატი, ბართლომე მაისურაძე, 55 წლის, მიწათმომქმედი, ნიკოლა სვიმონის ძე მაისურაძე, 47 წლის, ხურო, ტასო გიორგის ასული მაისურაძე, 67 წლის, დიასახლისი.

სოფ. სხანარი—სპირიდონ ნავრაზას ძე მაისურაძე, 100 წლის, მიწათმომქმედი, მაღნის დამუშავების დამსწრე, ოტია გიორგის ძე მაისურაძე, 70 წლის, მჭედელი.

სოფ. წედისი—ღორდანე ოსეს ძე მაისურაძე, 75 წლის, მჭედელი, შიო თტიას ძე მაისურაძე, 81 წლის, მჭედელი, ბასილ მაისურაძე, 81 წლის, ხურო, ლუკა გიორგისძე მაისურაძე, 72 წლის, მჭედელი.

სოფ. ირი—გიო ტატინას ძე გაგნიძე.

სოფ. ჭიორა—გიორგი სოლომონის ძე მეტრეველი, 40 წლის, მონადირე.

სოფ. ჯავისა—ვანო სვიმონის ძე გოგობერიშვილი, 50 წლის, მონადირე, გიორგი სვიმონის ძე გოგობერიშვილი, 45 წლის, მონადირე.

სოფ. ლიხეთი—გერონტი ჯაფარიძე, 40 წლის, მონადირე.

სოფ. სადმელი — ალფეზი ლეონტის ძე კოვზენიძე, 50 წლის, მონადირე.

სოფ. რიცეულა—პანტე ჯაფარიძე, 41 წლის, მონადირე.

სოფ. ქვემო-კრიხი—ზაქარია კერესელიძე (ნა. სარიძე) 44 წლის, მონადირე, ვარლაშ ბესარიონის ძე კობერიძე, 67 წლის.

სოფ. საკაო—მინა დავითის ძე გორდეზიანი, 69 წლის, მონადირე.

სოფ. ხიდაში — ილიკო ვიორგის ძე ხიდაშელი, 77 წლის, ლევან ნანიას ძე ხიდაშელი, 83 წლის.

სოფ. გლოლა—ილიკო ფერისას ძე ბალაშვილი, 79 წლის, მონადირე, მაქსიმე გრიგოლას ძე გრიგოლაშვილი, 82 წლის, მონადირე, ნიკო თედორეს ძე გოგორიშვილი, 35 წლის, მონადირე, მიხა სიმონის ძე ბერიშვილი, 37 წლის, მონადირე.

სოფ. უწერა—ამბაკო მახარას ძე მეტრეველი, 68 წლის, მონადირე.

დიდი დახმარება გაგვიშიეს საქ. მონადირეთა კავშირის ამბროლაურის და ონის ფილიალების რწმუნებულებმა, რომელნიც ვრცელ ცნობებს გვაწვდიდნენ, როგორც სანადირო გარემოსა და გავრცელებული ნადირის შესახებ, აგრეთვე თვით მონადირეების შესახებ. შეკრებით ცნობებს სისტემატურად ვამოწმებდით სხვადასხვა სოფულებში, საცილობელს განხევ ვტოვებდით და ვიღებდით მხოლოდ იმას, რაც უდავოდ მიგვაჩნდა. ის ცნობები, რომელნიც ერთსადაიმავე საკითხე საგულისხმო განსხვავებას გვაძლევდნენ, მონოგრაფიაში შეტანილია უცნობელად ჩაწერის აღვილის ჩენებით.

გარდა რაჭაში უშუალო დაკვირვების შეღეგად შეკრებილი მასალისა, გამოყენებულია აგრეთვე ისტორიული და ლიტერატურული წყაროები, მოგზაურობანი, ნარკვევები და სხვა.

ამასთან ერთად გამოყენებული იყო ეთნოგრაფ ლ. ბოჭორიშვილის, ნ. რესვიაშვილისა და გ. ონიანის გამოუქვეყნებელი დღიურები შესატყვისად კანეთის, იმერეთისა და ქვემო-სვანეთის ექსპედიციების დროს შედგენილი.

ყველა ზემოხსენებულ პირს უდიდეს მაღლობას მოვახსენებ მოწოდებული მასალისათვის.

ილუსტრაციები შესრულებულია მხატ. ნ. ბრაილაშვილისა და გ. მგელაძის მიერ, რომელთაც დიდ მაღლობას მოვახსენებ.

დასასრულ, ულრმეს მაღლობას მოვახსენებ დოც. გ. ჩიტაიას, მონოგრაფიაზე მუშაობის პროცესში სისტემატური ხელმძღვანელობისა და დახმარებისათვის, და დოც. ვ. ბარდაველიძეს მთელი რიგი საკითხების გარკვევისათვის.

კაცობრიობის განვითარების პროცესში შრომა უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორს წარმოადგენს. შრომაშ შექმნა თვით აღამიანი; მანვე უზრუნველყო მისი კულტურული პროგრესი. ფ. ენგელი შრომას „მთელი კაცობრიობის არსებობის პირველ ძირითად პირობას უწოდებს“¹. კ. მარქსი ხედავდა რა შრომაში აღამიანის არსებობის პირობას, ხაზს უსვამდა შრომის მარადიულ ბუნებას „ყოველგარი საზოგადოებრივი ფორმისაგან დამოუკიდებლად“². გენიალური სიღრმითა აქვს გაშუქებული შრომის მნიშვნელობის პრობლემა ი. სტალინს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციათა ცვლის პროცესში³.

შრომის ეს საზოგადოებრივ-ისტორიული მნიშვნელობა თუ საერთო იყო საზოგადოების განვითარების ყველა ფორმაციისათვის, ამის თქმა არ შეიძლება შრომის ფორმის შესახებ. კ. მარქსის თქმით, შრომის პროცესის ფორმა ისტორიულად განსაზღვრული იყო⁴ და ამდენად ისტორიულად გარდამავალ ბუნებას ატარებდა. შრომის თავდაპირველი ბუნების დადგენი სათვის არსებობს მარქსიზმის ფუქტმდებელთა მოძღვრების მწყობრიდა ჩამოყალიბებული სისტემა. ამ მოძღვრების თანახმად ირკვევა, რომ იმდენად, რამდენადაც კაცობრიობის განვითარების აღრინდელ საფეხურზე მწარმოებელი სუბიექტი კოლექტივის სახით იყო წარმოდგენილი, შრომის პროცესიც კოლექტიურ ფორმას ატარებდა.

განვითარების მეტად დაბალ დონეზე მყოფი პირველყოფილი აღამიანი ბუნებაზე იყო სავსებით დამოკიდებული; მას ჯერ არ ჰქონდა „მიჭრილი ჭიპი“ ბუნებისგან და მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი ყოფნის სასარგებლოდ გადასწყვიტა აღამიანის მჭიდრო

¹ Ф. Энгельс, Роль труда в процессе развития обезьяны в человека, М. 1933 №., გვ. 3.

² კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, ტფ. 1930 №., გვ. 10.

³ ი. სტალინი, სიტყვა სტანცოველთა სრულიად საკავშირო თათბირზე, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. პარტგამომცემლობა, ტფ. 1935 №., გვ. 7.

⁴ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III₂, ტფ. 1934 №., გვ. 396.

ჯგუფში განმტკიცების უნარმა, რომელიც მას ცხოველმა უანდერძა; ხოლო, რომ თავდაპირველი ერთიანობის უნარი აღამიანს: ცხოველური მდგომარეობიდან ჰქონდა წამოღებული ნათლად აქვს აღნიშნული ფ. ენგელს კ. კაუცისადმი მიწერილ წერილში 1883 წლის 2 მარტის თარიღით¹.

ჯგუფში ერთიანობის თვისებას აღამიანისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ფ. ენგელსი პირდაპირ ამბობდა, რომ „ცხოველობიდან გამოსასვლელად, იმ უდიდესი პროგრესის მისაღწევად, რომელსაც ბუნებაში ეხვდებით, კიდევ ერთი ელემენტი იყო საჭირო: ის, რაც ცალკე ინდივიდუმს თავდაცვის უნარის მხრივ აკლდა, უნდა შევსებულიყო ჯოგის გაერთიანებული ძალითა და საერთო მოქმედებით“². ბუნებრივად აღმოცენებული ჯგუფის სიმტკიცე და შრომის პროცესის კოლექტიური ფორმა სავსებით გამომდინარეობდა იმ ბუნებრივი მთლიანობიდან, რომელიც ახასიათებდა პირველყოფილ ჯგუფს. კოლექტივისაკენ ლტოლვა და შრომის გაერთიანება წინააღმდეგობათა საერთო ძალებით გადასალახავად, რათქმაუნდა, თავდაპირველად, არ წარმოადგენდა იმგვარ „ურთიერთ დახმარებას“, რომელიც, მაგალითად, პ. კ. რაპოტკინს ს საზოგადოებრივ-მორალურ პრინციპამდე აქვს აყვანილი და რომელსაც იგი საზოგადოებრივი განვითარების ფაქტორად მიიჩნევს³. რომ თავდაპირველი ერთიანობა პირველყოფილი აღამიანის სისუსტისა და უძლეურების შედეგი იყო, იშვიათი სიცხადით R. Jones-ს აქვს მოცემული, რომელსაც კ. მარქსი ამ შემთხვევასთან დაკავშირებით იმოწმებს.

„ამგვარადვე ოკეანეს გულიდან აღმოცენდა მარჯნის მძლავრი რიცხვი და შეიქმნა კუნძულები და ხმელეთი, თუმცა თითოული ინდივიდუალური მონაწილე (depository) უმნიშვნელოა, მცირე და საცოდავი“⁴.

პირველყოფილი აღამიანის უმწეობაზე მიუთითებს კ. მარქსი აგრეთვე ვ. ზასულიჩთან მიწერილი წერილის შავში⁵. მსგავსი

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. XXVII, №3, к. 3. (б).
С. კ. გამომცემლობა, 1935 წ., გვ. 290.

² ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, ტფ. 1938 წ., გვ. 36.

³ П. Крапоткин, Взаимная помощь, как фактор эволюции, М, 1918 წ., გვ. 163.

⁴ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, დას. გამ., გვ. 287.

⁵ К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, დას. გამ. ტ. XXVII, გვ. 681.

დებულება აქვს გამოთქმული მ. კოვალევსკის¹, ნ. ხარუზინს² და სხვ.

ბუნებრივად აღმოცენებული ჯგუფის არსებობის გარანტიას მისი ბუნებრივი მთლიანობა წარმოადგენდა, რომელიც ეკონომიურ აუცილებლობაზე იყო დამკვიდრებული და რომლის ლალატი ჯგუფის დალუბვას მოასწავებდა.

შეერთებული ძალის ეკონომიურ ეფექტურობაზე მიუთითებს კ. მარქსი, როდესაც იგი ცხენოსანთა ესკადრონის შეტევითი ძალას ცალკე ცხენოსანთა ძალების ჯამს უფარდებს, რის შედეგად იგი ასკვნის:

„... აგრეთვე მექანიკური ჯამი განცალკევებულ მუშათა ძალებისა განსხვავდება იმ საზოგადოებრივი ძალისაგან, რომელიც ვითარდება, როდესაც მრავალი მუშა-ხელი ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე განუყოფელ ოპერაციაში ერთად მოქმედებს³...

შრომის კოპერაციის ამ თვისებით უნდა იყოს ასწილი ის გარემოება, რომ შრომის გაერთიანება არ ისპობა წინაკლასობრივ საზოგადოებრივ ფორმაციასთან ერთად, რომლის წიაღშიც იგი განმტკიცდა, არამედ გაღმოდის მომდევნო ფორმაციებში და აქაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მაგრამ შრომის გაერთიანების პრაქტიკა გადმოდის რა მომდევნო სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციაში, იგი ექვემდებარება კლასობრივი საზოგადოების სპეციფიკურ კანონებს, ითვისებს მის თავისებურებას და ამდენად თავის თავდაპირველ ბუნებას იცვლის.

შრომის კოპერაციის ამ თვისებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომის კოპერაციის ბუნების გარკვევისათვის და საჭიროდ მიგვაჩნია კ. მარქსის შეხედულება ამ საკითხზე მთლიანად მოვიყვანოთ:

„კომპერაცია შრომის პროცესში, იმ სახით, როგორც ჩვენ მას ვაბატონებულად ვხედავთ კაცობრიობის კულტურის დასაწყისში, მაგალითად, მონადირე ხალხთა შორის, ანდა ინდური თემების მიწათმოქმედებაში, დამყარებულია ერთის მხრივ საწარმოო პირობების საზოგადო მფლობელობაზე, ხოლო მეორეს მხრივ, იმაზე, რომ თითოეულ ინდივიდუუმს არ გაუწყვეტა კიდევ კავშირი თავის ტომ-

¹ М. Ковалевский, Очерк происхождения и развития семьи и собственности, М. 1939 №., гл. 57.

² Н. Харузин, Этнография, №. I, СПБ. 1901 №., гл. 150.

³ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I., დას. გამ., გл. 279.

თან ანუ თემთან, რომელზედაც იგი მიჯაჭვულია ისე მჭიდროდ, როგორც ფუტკარი თავის სკასთან. ორივე ამ თვისებით ეს კოოპერაცია განსხვავდება კაპიტალისტური კოოპერაციისაგან. კოოპერაციის სპორტითული გამოყენება ღიღი მასშტაბით ანტიურ ქვეყნებში, საშუალო საუკუნეებში და თანამედროვე კოლონიებში დამყარებულია უშუალო ბატონობის და დამონების ურთიერთობაზე, უმეტესად მონობაზე. კაპიტალისტური ფორმა წინასწარ გულისხმობს თავისუფალ დაქირავებულ მუშას, რომელიც თავის სამუშაო ძალას კაპიტალისტზე ყიდის¹.

რაც შეეხება კერძოდ წინაკლასობრივ საზოგადოებრივ ფორმაციას, აქ შრომის კოოპერაციის გამოყენებას აუცილებელი და უნივერსალური სახე ჰქონდა. არ არსებობს ცოტად თუ ბევრად ცნობილი ტომი, განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი, რომლის სინამდვილეში შრომა გაერთიანებული სახით არ გვევლინებოდეს. 6. ზიბერს, გ. ეილდ რმანს, ჰ. კუნოვს, 6. ხარუზინს, მ. კოვალევსკის და სხვა ავტორებს უმრავი ცნობები მოჰყავთ სხვადასხვა ტომთა შესახებ, რაც ცხადად გვიჩვენებს ამ დებულების სისწორეს. ვინაიდან ზემოხსენებულ ავტორთა შორის 6. ზიბერს კველაზე უფრო ვრცელი ცნობები აქვს შეკრებილი საკმარისი იქნება მისი დამოწმებაც.

6. ზიბერს მოყვანილი აქვს Grey-ს, Lang-ის და Oldfield-ის ცნობები ავსტრალიელთა შესახებ, Morenhaut-ის ცნობა ოტაოტელების შესახებ, Polack-ის ცნობა ახალი ზელანდიის შესახებ; Christman-ისა და Oberlaender-ის ცნობა ფიჯიელების შესახებ; G. Early-ის ცნობა ფილიპინის კუნძულების ნეგრიტოსების შესახებ, Langsdorff-ის, H. Bancroft-ის, Paul Kane-ს, A. Domenech-ის, N. Perrot-ის ცნობა ამერიკელი ინდიელების შესახებ, Wrangel-ის ცნობა ჩრდილოეთ ხალხთა შესახებ და სხვა მრავალი².

ამ ცნობების მიხედვით შრომის კოოპერაცია გვევლინება შრომის გამოყენების ყოვლად გავრცელებულ ფორმად. ზემოხსენებულის საფუძველზე 6. ზიბერი სავსებით სამართლიანად ასკვნის:

«Соединение труда для добывания средств существования путем охоты, рыбной ловли, военных набегов и т. п. действительно является не только наиболее распространенной форм-

¹ ქ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, დას. გამ., გვ. 288.

² Н. Зибер, Учёные первобытной экономической культуры, М. 1937 წ., გვ. 7—20.

мой экономической организации народов, стоящих на ранних ступенях развития, но и исходным пунктом для всех дальнейших переложений и сочетаний экономического строя в направлении разделения и усложнения труда»¹.

წინაკლასობრივი საზოგადოება, წარმოადგენდა რა ერთ გარკვეულ სოციალ-ეკონომიურ ფორმაციას, განვითარების სხვადასხვა სტადიების შემცველი იყო. ვ. ი. ლენინი, ეყრდნობოდა რა მარქსისტულ მოძღვრებას საზოგადოებრივი ფორმაციების შესახებ, წინაკლასობრივი საზოგადოების აღრინდელ საფეხურებად ჯოგურ მდგომარეობასა და პირველყოფილ კომუნას ასახელებდა², რაც სასოფლო თემთან ერთად მწყობრ წარმოადგენას გვაძლევს წინაკლასობრივი საზოგადოების სამი საფეხურის შესახებ.

სამ ზემოხსენებულ სტადიათა შორის გვაროვნული წესწყობილება, როგორც გაერთიანება დამყარებული სისხლითი ნათესაობაზე, საერთო ეკონომიურ ბაზაზე და ჩელიგიურ წარმოადგენათა იგივეობაზე, უფრო მტკიცედ შეკრულ საზოგადოებრივ ორგანიზმს წარმოადგენდა ვიდრე ჯოგი, სადაც წარმოებისა და მოხმარების კოლექტურმა ფორმამ ფეხი აიღგა, ან სასოფლო თემი, სადაც პირველყოფილ-თემურ წესწყობილებას უკვე რღვევის ელემენტები შეეპარა.

ფ. ენგელსი ასეთი აღფრთოვანებით ახასიათებდა გვაროვნულ წესწყობილებას:

„რა საუცხოვო ორგანიზაციაა ეს გვაროვნული წესწყობილება თავისი უშუალობისა და სიმარტივის მიუხედავად!.. თუმცა გვაროვნულ წესწყობილებაში მეტი საზოგადო საქმეებია გასარჩევი, ვიდრე დღეს გვაქეს, თუმცა რამდენიმე ოჯახს საერთო შინაური მეურნეობა აქვს კომუნისტურად მოწყობილი, თუმცა იქ მიწა ტომის სამფლობელოს წარმოადგენს... მაგრამ მაინც იქ საჭირო არაა ჩვენი ფართო და დახლართული მმართველობის აპარატი. საქმეებს მონაწილეები სწყვეტენ და, უმრავლეს შემთხვევაში, ყოველივე საუკუნეებრივი ადათის წყალობით წესრიგდება. შეუძლებელია, რომ ღარიბები და გაჭირვებულები არსებობდნენ—კომუნისტური ოჯახი და

¹ Н. Зибэр, დასახ. ნაშ., გვ. 5.

² Ленинский сборник, Г. I, გამ. III, М. Л. 1935, წერილი მაქსიმე გორკისადმი. გვ. 158—159.

გვარი ზრუნავებ მოხუცებულთა, სნეულთა და ომში დაავადებულთა შესახებ“¹.

გვაროვნული წესწყობილების სიმტკიცის შესახებ ლაპარაკობს აგრეთვე მ. კოვალევსკი:

„...различие между родом и сельской общиной сводится во 1-х к тому, что первый является не только экономическим, но и религиозным союзом, и во 2-х к тому, что род обязательно придерживается начал экзогамии, которая для сельской общины не обязательна“².

Б. ხარუზინი დასახელებულ ნაშრომში პირდაპირ მიუთითებს, რომ გვარის ჩამოყალიბებასთან ერთად ადამიანთა აგრეგაცია უფრო მჭიდრო სახეს იღებს³.

სასოფლო თემში გადასვლის შემდეგ გაერთიანების ბაზას სისხლითი ნათესაობა აღარ წარმოადგენს, არამედ ტერიტორია. ამ პირობებში ხდება გვაროვნული წესწყობილებისათვის მახასიათებელი სიმტკიცის რღვევა. შრომის კოოპერაციის პრინციპი ბუნებრივი, სავალდებულო და საყოველთაო გვაროვნული წესწყობილებისათვის მეზობლობაზე გადადის, ჰკარგავს თავის ზემოთალნიშნულ თვისებებს, რადგან სამეურნეო უჯრედის სახით აქ ცალკე ოჯახია წარმოდგენილი.

სასოფლო თემში გადასვლით იწყება წინაკლასობრივი საზოგადოების პირველყოფილ-თემური წესწყობილების ტრადიციების რღვევა, იქმნება ნიადაგი კლასობრივ საზოგადოებაში გაღასასვლელად.

წინაკლასობრივი საზოგადოების ფარგლებში სტადიალურად განსხვავებული საფეხურების არსებობა, რათქმაუნდა, თავისებურ ელფერს მისცემდა შრომის გაერთიანების ფორმებს და თავისებურ დაღს დაასვამდა მათ.

როგორი მდგომარეობა გვაქვს პროდუქტების განაწილების დარგში და რა თვალსაზრისით უნდა შევხედოთ ამ საკითხს.

¹ ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, დას. გამ., გვ. 97—98.

² М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, М. 1890 წ., ტ. I, თ. II, გვ. 64. მიუხდავად იმისა, რომ მ. კოვალევსკის გვაროვნული წყობილება საერთოდ სწორად არა აქვს წარმოდგენილი, გვაროვნული წყობილების ეს თვისება მან სწორად აღნიშნა.

³ Н. Харузиан, Этнография, ტ. III, СПБ. 1903 წ., გვ. 102.

ყოველ საზოგადოებრივ ფორმაციას ახასიათებს მისთვის სპეციფიკური წარმოების გაბატონებული წესი, რომელიც საშუალებაობის განსაკუთრებული სახით არის წარმოდგენილი¹. წინაკლასობრივ საზოგადოებას საწარმოო საშუალებათა და საწარმოო ძალთა მთლიანობა ახასიათებს², აქედან კი შრომისა და საკუთრების იგივეობა³. ამის მიხედვით სტყდება განაწილების საკითხიც. პროდუქტების განაწილების სისტემა წარმოების წესის მეორე მხარეა, იგი საესებით შეესატყვისება წარმოების წესის ამათუმი ისტორიულ სახეს და მისგვარად გარდამავალისტორიულ კათეგორიას წარმოადგენს. წინაკლასობრივი საზოგადოების წარმოება კოლექტიურ ხასიათს ატარებდა. ამდენად მოხმარებაც კოლექტიური იყო.

ფ. ენგელსი, ეხება რა ამ საკითხს, ამბობს:

„ცივილიზაციის დამყარებამდე წარმოება არსებითად საერთო საქმეს წარმოადგენდა; იგივე ითქმის მოხმარებაზეც, რომელიც მოსდევდა პროდუქტების პირდაპირ დანაწილებას მსხვილ ან წვრილ კომუნისტურ ერთეულთ შორის“⁴. ანალოგიური დებულება აქვს მოცემული მ. კოვალევსკის:

„Итак, первоначально существовало совместное производство, а как его естественное и необходимое следствие—и совместное потребление“⁵.

რამდენადაც საქმე ნადირობას შეეხება, წინაკლასობრივ საზოგადოებაში ნანადირევის განაწილებაც კოლექტიურ პრინციპზე იყო. აგებული და საკუთრებით გამომღინარეობდა თვით წარმოების (ამ შემთხვევაში ნადირობის) კოლექტიური ფორმებიდან. ყველაზე დასრულებული სახე პროდუქტების პირდაპირი განაწილებისა, რათქმაუნდა, განვითარებული გვაროვნული წესწყობილების პირობებშია მოცემული, იმდენად, რამდენადაც წინაკლასობრივი საზოგადოების ფარგლებში გვარი ყველაზე უფრო მტკიცედ შეკრულ ორგანიზმს წარმოადგენდა. გვარის ეკონომიური პირობების გარკვევისას ფ. ენგელსი ამბობს: „საოჯახო მეურნეობა კომუნისტურია, იგი რამდენიმე,

¹ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II., ტფ. 1930 წ., გვ. 14.

² K. Marx, Теории прибавочной стоимости, Т. III, Партиздат, 1932 г., გვ. 308.

³ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, დას. გამ., გვ. 528.

⁴ ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმომაბა, დას. გამ., გვ. 177.

⁵ M. Kovalevskiy, Очерк происхождения и развития семьи и собственности, დას. გამ., გვ. 57.

ხშირად მრავალ ოჯახს შოიცავს. ის, რასაც საერთოდ აკითხებენ და საერთოდ სარგებლობენ, საერთო საქუთრებას წარმოადგენს“¹.

აქედან ჩანს, რომ პროდუქტების განაწილება გვაროვნული წეს-წყობილების პირობებში პირდაპირი ყოფილა.

ამასთან ერთად წინაკლასობრივი საზოგადოების ფარგლებში და-მოწმებულია ნანადირევის განაწილების ისეთი სისტემები, რომელიც ნანადირევის თანაბრად განაწილებასთან ერთად გულისხმობლენ სპე-ციალური ნაჭრების გამოყოფას ამათუმ პირისათვის. ამ შემთხვევაში ნანადირევის განაწილებაში ყველა იღებდა მონაწილეობას, ყველას ჰქონდა უფლება ნანადირევის გარკვეულ წილზე, მაგრამ ამასთან ერთად არსებობდა წესი, საპატიო, ან საუკეთესო ნაჭრების გამოყოფისა გარკვეულ პირთათვის.

3. კუნოვი, რომელსაც საკმაოდ ვრცელი ლიტერატურული მასალა აქვს შეკრებილი, კერძოდ ავსტრიალიელთა მიმართ, აღნიშნავს განაწილების იშგვარი წესის არსებობას, რომლის პირობებში მონა-დირე, იმის მიხედვით თუ რა მონაწილეობა მიიღო მან ნადირობაში და როგორ ინადირა, განსაკუთრებულ ნაჭრებს იღებს².

ანალოგიურ ცნობას გვაწვდის გ. ეილდერმანი, რომლის მიხედვით განვითარების დაბალ დონეზე მყოფ ტომთა სინამდვილეში დამოწმებულია ნანადირევის განაწილების ორი საფეხური. პირველი განაწილება ხდება მონადირეთა შორის ნადირობის პრცესში მო-ნაწილეობის მიხედვით, ხოლო მეორე—ბანაკში დაბრუნების შემდეგ³:

მაშასადამე, თუ დავეყრდნობით კუნოვისა და ეილდერ-მანის მიერ მოტანილ მასალას, ცხადი გახდება ცოცხალ ტომთა სინამ-დვილეში ნანადირევის განაწილების ისეთი სისტემის არსებობა, რომე-ლიც განაწილების დროს საერთო განაწილებასთან ერთად არსებობს და რომელიც აქტიური მონადირისათვის სპეციალური და გარკვე-ული ნაჭრების გაღებას გულისხმობს. ეს წესები მტკიცე სახით არიან ჩამოყალიბებული და სავალდებულო კანონს წარმოადგენენ, დამო-კიდებულს მონადირის შრომითი მონაწილეობაზე.

მაგრამ მარტო ნადირობის აქტიური მონაწილეები არ სარ-გებლობდნენ უპირატესობით ნანადირევის განაწილების დროს. ასე-

¹ ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმო-შობა, დას. გვ. 161.

² Г. Купров, Всеобщая история козяйства, Г. I, М. Л. 1926 წ., გვ. 47—48. ვსარგებლობთ პ. კუნოვის მიერ მის ნაშრომში წარმოდგენილი ფაქტიური მასა-ლით და არა მისი დასკვნებით.

³ Г. Эльдерман, Первобытный коммунизм и первобытная рели-гия, М. 1930 წ., გვ. 34.

თივე უპირატესი უფლება ნანაღირევის საპატიო ნაწილებზე უფრო-
სებსაც გააჩნდათ¹. ამას გარდა, არსებობდა წესი, რომლის მიხედვით
ყოველი მონაღირე ვალდებული იყო ამათუმ მოხუცისათვის ნანა-
ღირევის გარკვეული წილი გაელო².

ეს დეტალი მეტისმეტად საგულისხმო მომენტს წარმოადგენს.
და მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ამ შემთხვევაში განაწილების-
შრომითი პრინციპთან ერთად არსებობდა ჰასაკობრივი პრინციპი,
აშეარად გამოვლინებული ნანაღირევის განაწილების სისტემაში.

თუ რომ საუფროსო ნაწილის გამოყოფა მიჩნეული უნდა იყოს-
განვითარებული გვარის მახასიათებელ მომენტად, დანაწილების შრო-
მითი პრინციპის სტადიური განსაზღვრა ძნელია, რადგან ეს სა-
კითხი მეტად რთულია და მხოლოდ ზემოხსენებულ ფაქტზე დაყ-
რდნობით რაიმე კატეგორიული დასკვნის გამოტანა ამჟამად შეუძ-
ლებლად მიგვაჩნია; მისი საბოლოო გარკვევა თხოულობს ხსნებულ
საკითხზე არსებული ლიტერატურის სპეციალურსა და კრიტიკულ-
შესწავლას, ახალი ეთნოგრაფიული მასალის შეკრებასა და მის შეც-
ნიერულ ანალიზს.

რაც შეეხება ნანაღირევის განაწილების იმ ტიპებს, რომელთა-
პირობებში განაწილების დროს უპირატესობა ეძლევა არა შრომითი-
მონაწილეობის ხარისხს ან ჰასაკობრივ მაჩვენებლებს, არამედ პრო-
ფესიას და შეიარაღებას, რასაც რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილე-
შიც ვხვდებით, ჩვენი აზრით, იგი მიეკუთვნება პირველყოფილ-თემური-
წესწყობილების რღვევის იმ სტადიას, სადაც თანასწორუფლებიანობის-
პრინციპი ნანაღირევის განაწილების დროს შელახულია და ადგი-
ლი აქვს ექსპლოატაციის ჩანასახ ელემენტებს ცოდნა-გამოცდილე-
ბისა და უკეთესი შეიარაღების ბაზაზე.

ზემოთ მულიდან ირკვევა, რომ წინაკლასობრივ საზოგადოებას-
სრული შესატყვისობით წარმოების წესთან ახასიათებდა განაწილე-
ბის კოლექტიური პრინციპი. ნანაღირევის განაწილებაში, განსაკუთ-
რებით აღნიშნულ საფეხურზე, გაერთიანების ყოველ წევრს გარკვე-
ული უფლება ჰქონდა ნანაღირევის გარკვეულ წილზე. კოლექტიური-
დანაწილების ყველაზე დახვეწილი და დასრულებული სახე წინაკლა-
სობრივი საზოგადოების ფარგლებში გვაროვნული წესწყობილების პი-
რობებშია დამოწმებული. ამასთან ერთად, ადგილი აქვს ნანაღირევის
კოლექტიური განაწილების ისეთ ფორმებს, რომელნიც გულისხმო-

¹ Г. Кунов, დას. ნაშრ., გვ. 63.

² Г. Эйльдерман, დას. ნაშრ., გვ. 37.

ბენ სპეციალური ნაჭრების გამოღებას ნადირობის დროს აქტიურ მონაწილეთათვის, უფროსებისათვის, ხოლო შემდეგში იმ პირთათვის, რომელთაც უპირატესობა ჰქონდათ სხვებთან შედარებით ან ცოდნა-გამოცდილებისა, ან შეიარაღების თვალსაზრისით.

კოლექტიური ნადირობის ტიპები და ნანადირევის კოლექტიური განაწილების წესები არ ისპობა საზოგადოებრივი განვითარების იმ სტადიასთან ერთად, რომელმაც ისინი წარმოშვა. ნადირობისა და ნანადირევის განაწილების უძველესი წესები განაგრძობენ არსებობას განვითარების მომდევნო სტადიებზე გაღმონაშთების სახით, მეტნაკლებად შეცვლილი ბუნებით. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ხოლმე თავისებურ სინკრეტიზმებს — განვითარების სხვადასხვა სტადიისათვის მახასიათებელი მომენტების თანარსებობას — და ეთნოგრაფიულ მოვლენათა ამ სირთულეში თავდაპირველი ბუნების აღდგენა შესაძლებელი ხდება ეთნოგრაფიული რიგის ამათუმი მოვლენის მოცემულ სოციალურ გარემოში მისი კონკრეტული სახით შესწავლისა და ისტორიულ ასპექტში განხილვის საფუძველზე. ამ თვალსაზრისით რაჭის ეთნოგრაფიული მასალა კოლექტიური ნადირობის შესახებ განსაკუთრებულ ინტერესს შეიცავს იშდენად, რამდენადაც მასში დაცულია ნადირობის ორგანიზაციის უძველესი წესები და ნანადირევის განაწილების კოლექტიური ფორმები.

ჩვენ აღნიშნული გვქონდა ის გარემოება, რომ აღამიანთა კოლექტივის სიმტკიცის, ისევე როგორც მისი ბუნებრივი მთლიანობის წარნამდღვარი აღამიანს ცხოველური მდგომარეობიდან ჰქონდა წამოღებული.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი „გერმანულ იდეოლოგიაში“ აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ განვითარების ამ საფეხურზე აღამიანის შეგნებაც ცხოველურ ხასიათს ატარებს, რომ ამ სტადიაზე აღამიანის შეგნება ჯოგურია¹.

შემდეგში ხდება საერთოდ ბუნებისა და კერძოდ შრომის კოლექტიური ფორმის თავისებური გააზრიანება. ფ. ენგელსი პირდაპირ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ შეთანხმებულმა მოქმედებამ შეაგნებინა პირველყოფილ აღამიანს ამ შეთანხმებული მოქმედების სარგებლობა ყოველი ცალკე წევრისათვის².

მაგრამ კოლექტიური შრომის სარგებლობისა და მისი ეკონომიური ეფექტურობის გააზრიანებას თავდაპირველად თავისებურება

¹ К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, Г. IV, гл. 21.

² Ф. Энгельс, Роль труда..., гл. გმ., гл. 6.

ახასიათებდა, თავისებურება სავსებით გამომდინარე პირველყოფილი აღამიანის აზროვნების სპეციფიკურობიდან.

პირველყოფილი აღამიანის აზროვნება მოქლებული იყო განვითარებული აღამიანის შემცნების თვისებებს და ამდენად მისი წარმოდგენა ვერა სწვდებოდა მოვლენათა განვითარების არსებით კანონებს, საგანთა ჭეშმარიტ ბუნებას.

უმშევ აღამიანი კოლექტივის განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა, მასთან ორგანულად შედუღებულს; მისი კოლექტივისაგან დამოუკიდებელი არსებობა ისევე წარმოუდგენელი იყო, როგორც აღამიანთა კოლექტივის არსებობა აღამიანის გარეშე. კოლექტიური წარმოებისა და არსებობის საფუძველზე იზრდებოდა და მტკიცდებოდა მასთან სრული შესატყვისობით კოლექტიური წარმოდგენები და მთელი მსოფლმხედველობის კოლექტიური ფორმა.

ლევი ბრიული ასე ახასიათებს კოლექტიური წარმოდგენების თავისებურებას:

„... они передаются в ней из поколения в поколение; они навязываются в ней отдельным личностям, пробуждая в них сообразно обстоятельствам, чувства уважения, страха, поклонения и т. д., в отношении своих объектов они не зависят в своем бытии от отдельной личности“¹.

ამდენად პირველყოფილი აღამიანი წარმოადგენდა ეკონომიურად ბუნებრივად აღმოცენებული ჯგუფის განუყრელ ნაწილს და სავსებით ექვემდებარებოდა კოლექტიურ წარმოდგენათა მთლიან სისტემას. ამავე დროს ეს კოლექტიური წარმოდგენები მაგიურ ხასიათს ატარებდნენ. ამ წარმოდგენათა მიხედვით არსებობდა მხოლოდ ერთი სამყარო, რომელსაც პირველყოფილი აღამიანი აგრეთვე მაგიურ თვისებებს ანიჭებდა. მისი შეხედულებით არავითარი განსხვავება არ არსებობდა წარმოდგენასა და საგანს, სიზმარსა და ცხადს, სიტყვასა და საქმეს შორის. ყველაფერი ეს აღიარებული იყო ერთი რიგის მოვლენად, ყველაფერი ეს ურთიერთ ზემოქმედებაში იმყოფებოდა, ყველაფერი ეს ერთ კანონს ემორჩილებოდა, როგორც თვით კოლექტივი².

პირველყოფილი აღამიანის აზროვნების იმავე მაგიურ ბუნებაზე მიუთითებს აკად. ნ. მარიც³.

¹ Леви Брюль, Первобытное мышление, таოгумаნი ფრანგულიდან პროფ. ნიკოლას რედაქციით, М. 1930 წ., გვ. 5.

² Леви Брюль, Первобытное мышление, დას. გამ., გვ. 87.

³ Н. Марр, Избранные работы, ტ. III., М. Л. 1934 წ., გვ. 280.

ამ წარმოდგენათა თავისებურების საფუძველზე თვით შრომის პროცესი განვითარების აღრინდელ საფეხურზე შეიცავდა არა მარტო იმ ოპერაციებს, რომელებიც ჩვენი აზრით აუცილებელია სახმარი ღირებულების შესაქმნელად, არამედ მთელ რიგ ისეთ ოპერაციებს, რომელთაც სინამდვილეში აბსოლუტურად არავითარი კავშირი არა ჰქონდათ შრომის ობიექტთან თუ პროცესთან, მაგრამ ომელნიც პირველყოფილი ადამიანის შეხედულებით დასახული მიზნის მიღწევის აუცილებელ პირობას წარმოადგენდნენ. ეს ოპერაციები—იქნებოდა ეს შელოცვა, აკრძალვა, ცვევა, თუ სხვა რაიმე— პირველყოფილ ადამიანს მაგიურად ჰქონდა გააზრიანებული და ამდენად რაიმე მიზნის მისაღწევად ზემოხსენებული ოპერაცია ისეთ-სავე აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენდა, როგორც ისრის ტყორცნა, შუბის კვრა, ანკესის ან ბადის ჩაგდება და სხვა.

მაგიურად გააზრიანებული ოპერაციები თანსღევდნენ ნაღირობის პროცესს და იქ, სადაც არის დაცული თვით ნაღირობა, ხშირად, ხელ-საყრელ გარემოში, მაგიური აზროვნების ეს სპეციფიკურობაც არის ხოლმე წარმოდგენილი. ამდენად, ნაღირობასთან დაკავშირებულ შესჩეულებათა ანალიზმა შეიძლება მრავალი რამ საინტერესო გა-არკვიოს შესასწავლი ტომის ნაღირობისაღმი დამოკიდებულების სა-კითხთა რკალში.

* *

შრომის დროებითი გაერთიანების თვალსაზრისით თუ ქართველ ტომთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეს შევხედავთ, აქაც გაგვაკვირვებს მისი გამოყენების პრაქტიკის გავრცელება და ნაირსახეობათა სიუხვე—არ არსებობს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოცულობის სა-მუშაო, სადაც გამოყენებული არ იყოს შრომის დროებითი გაერთიანება, რომლის ეკონომიკური ეფექტურობა და სამეურნეო სარგებლობა პრაქტიკულად შემოწმებულ ფაქტს წარმოადგენს.

გარდა კოლექტიური ნაღირობისა, რომელზეც დაწვრილებით ქვევით გვეწება საუბარი, დამოწმებულია საკმაოდ ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა შრომის დროებითი გაერთიანებისა ამა-თუმი სამეურნეო მიზნის მისაღწევად. ასეთია, მაგალითად, გუთნის შეკვრის წესი, რომლის შესახებ საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს¹.

¹ გუთნის შეკვრის პრაქტიკაზე ქართველ ტომთა შორის მიგვითითებულ შემდეგი ლიტერატურული წყაროები: ახალციხე-ახალქალაქის მაზრაში — X. ვერმишევ, ეკ. ყოფილი თავისი, მაგალითად, გუთნის შეკვრის წესი, რომლის შესახებ საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა არსებობს.

შრომის დროებითი გაერთიანება სიმინდის ყანის თოხნის დროს საც სცოდნიათ (ე. წ. ნადი || ნადობა)¹; სცოდნიათ აგრეთვე მაღნის ამოღებისა და ლითონის დამუშავების დროს შრომის დროებითი გაერთიანება, რის შესახებ ცნობა გ. რადეს² აქვს მოცემული და რომელიც ჩვენ მიერ დაწვრილებით იყო აღწერილი 1938 წლის რაჭაში მივლინების დროს³.

რაჭაში ჩვენ მიერ დამოწმებული იყო ე. წ. დიდმეშველი მუშა-ხელის დიდი რაოდენობით გაერთიანება ახოს გატეხვის მიზნით, ყანაში ქვის აკრეფა, კოლექტიური ხურობა, სიმინდის რჩევა, მკა, თიბგა და სხვა.

კავკასიის ტომთათვის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ხაზით დამოწმებულია ოსებში ზოუ⁴, ყუმიხებში ბულკა⁵, ლაკებში მარშა⁶ და სხვა.

ლოვ, МИЭБГКЗ, ტ. III, გვ. 150; სიღნაღის მაზრაში—А. Аргутинский, Эк. был гос. кр. Сигнахского уезда, Тиф. губ., МИЭБГКЗ, ტ. IV, б. II, გვ. 212; გორის მაზრაში—С. Мачабели, Эк. был гос. кр. Горийского уезда, Тиф. губ. МИЭБГКЗ, ტ. VI, б. I, გვ. 206—207; დუშეთის მაზრაში—Н. Никифоров, Эк. был гос. кр. Душетского уезда, МИЭБГКЗ, ტ. V, б. II, გვ. 51; თელავის მაზრაში—А. Аргутинский, Эк. был гос. кр. Телавского уезда, МИЭБГКЗ, ტ. V, б. I, გვ. 99; თბილისის მაზრაში—С. Мачабели, Эк. был гос. кр. Тифлисского уезда МИЭБГКЗ, ტ. V, б. I, გვ. 237; მესხეთში—А. Хахапов, Месхи, Этнограф. обозр. წ. X, ნაკ. მე-3, გვ. 25; საერთოდ საქართველოს შესახებ—А. Хахапов, Обычай грузин при пахании, Этнограф. обозр., წ. XI, ნაკ. მე-4, გვ. 192 და სხვა მრავალი.

¹ ნადის შესახებ ცნობები აქვს მოცემული: И. Бахтадзе, Эк. был гос. кр. Рачинского уезда, МИЭБГКЗ, ტ. II, б. I, გვ. 26; Д. Носович, Эк. был гос. кр. в Сенакском уезде, МИЭБГКЗ, ტ. II, გვ. 284; Аркандинско-Ламберти, Описание Колхиды, СМОМПК, ნაკ. XLIII ნაწ. I, გვ. 57—58; А. Бороздин, Крепостное состояние в Мингрелии, ЗКОРГО, ტ. VII, ნაკ. 1, გვ. 7—8; საერთოდ სასოფლო სამუშაოთა დროს შრომის დროებით გაერთიანებაზე საქართველოში ამბობს К. Бюхерი, Работа и ритм, М. 1923 წ., გვ. 197.

² Г. Радде, Путешествие в Мингрельских Альпах, ЗКОРГО, ტ. VII, ნაკ. 1, გვ. 187—188.

³ ალ. რობაჭიძე, რაჭის ეთნოგრაფიული მივლინების ანგარიში, ენა-კი-ს მოამბე, ტ. IV₃, გვ. 317, და შმდ.

⁴ Г. Чурсин, Осетины, Тиф. 1925, გვ. 34.

⁵ П. Гаврилов, Устройство поземельного быта горских племен Северного Кавказа, ССКГ, ნაკ. II, გვ. 39—40.

⁶ Абдулла Омаров, Как живут лаки, ССКГ, ნაკ. IV, გვ. 10.

2. კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები. რაჭაში.

განსაკუთრებულად ვრცელი გამოყენება შრომისა და იარაღის დროებით გაერთიანებისა მოცემულია სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დარგში, რადგან სასოფლო-სამეურნეო სამუშაონი შედარებით დიდი მოცულობისანი არიან და მოითხოვენ უმოკლეს ვადაში შესრულებას.

როგორც ზემოთქმულიდან ირკვევა, ქართველ ტომთა ყოფაში მეტად ვრცელად ყოფილა გამოყენებული შრომის დროებითი გაერთიანება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. იქვე უნდა იყოს აღნიშნული, რომ განვითარების შემდეგ საფეხურებზე შრომის კომპერაცია ექსპლოტაციის გარკვეულ ფორმად იქცევა, რაც განსაკუთრებული სიცხადით გუთნის შეკვრის წესში მოჩანს იმდენად, რამდენადაც ამ შემთხვევაში ისეთ იარაღთან გვაქვს საქმე (გუთანი), რომლის ყიდვა ჰყელას არ შეეძლო. საინტერესოა, რომ შრომის კომპერაციის ამგვარი გამოყენების აუცილებლობამ მისი იდეალი-ზაციისათვის შექმნა ხელსაყრელი პირობები. შრომის კომპერაციის ამგვარი იდეალიზაციის ტიპიურ მაგალითებს ქართველ საზოგადოებრივ მოღვაწეთა შორის ს. მგალობლიშვილი¹ და ნიკოლაძე² წარმოადგენენ, მაგრამ, რამდენადაც ეს საკითხი თემას უშუალოდ არ შექება, ამაზე აღარ გავჩერდებით.

რაჭაში დამოწმებული ნადირობის კოლექტიურ ფორმებსა და განაწილების სისტემებს მრავალსახეობა ახასიათებს, რომელთაც პრიმიტიული წესების აშკარა ბეჭედი ატყვია. ხანგრძლივი დროის მანძილზე გამოატარეს რაჭველებმა ნადირობის საუკეთესო ტრადიციები, საკმაო სიწმინდით დაიცვეს ეს ტრადიციები და ამავე დროს შემოინახეს ნადირობასთან დაკავშირებული წესჩვეულებანი.

ამდენად, რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში და, კერძოდ, მონადირეთა ყოფაში დამოწმებული კოლექტიური ნადირობის ფორმების, მასთან დაკავშირებული წესჩვეულებების, მისი მატერიალური ბაზისა და ეკონომიკური მნიშვნელობის დადგენა მეურნეობის მთლიან სისტემაში, ვიმედოვნებთ, ცოტაოდნავ დაეხმარება ქართველ ტომთა უძველესი კულტურისა და მისი ოჯგდაპირველი ბუნების შესწავლის საქმეს.

¹ სოფრომ მგალობლიშვილი შვილი, მოგონებანი, ტფ. 1938 წ., გვ. 1—6.

² ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტფ. 1932 წ., ტ. 2, გვ. 197.

I. ბუნებრივი გარემო

ნადირობის მნიშვნელობის, მისი ორგანიზაციის თავისებულებისა და მასთან დაკავშირებული წესჩვეულებების შემონახვაზე რაჭაში განსაკუთრებული გავლენა იქნია მეურნეობის კარჩაკეტილობასთან ერთად მისი ზოოგეოგრაფიული გარემოს თვისებებში.

ზოოგეოგრაფიული ნიშნების მიხედვით კავკასია დაყოფილია სამ ნაწილად და ცხრა არედ. ყოველ არეს თავისი განსაკუთრებული თვისებები ახასიათებს, და მის ნიაღაზე ცხოველთა სამყაროს ესათუის გარკვეული სახე. გეოგრაფიულ პირობათა მრავალფერობა ცხოველთა მრავალგვარ სახეობას აძლევდა თავშესაფარს და შედარებით პატარა ტერიტორიაზე, რომელზედაც მოცემულია მრავალნირი გეოგრაფიული ზოლი, დაწყებული მუდმივი ყინულით დაფარული ქარაფებით და გათავებული ზღვის სანაპირო სუბტროპიკული ჰავით, მოთავსებულია მარტო ძუძუმწოვართა 6 ჯგუფი და მათი 108 სახეობა¹.

გარდა ცხოველთა სამყაროს წარმომადგენელთა ნაირსახეობის სიმრავლისა, კავკასიის ზოოლოგიური გარემო საინტერესოა აგრეთვე ნადირთა სახეობების უძველესი ტიპით და მხოლოდ კავკასიისათვის ენდემურობით. ჩვენს ამოცანასთან დაკავშირებით, რამდენადაც ჩვენ ნადირობის ორგანიზაციის უძველეს ტიპებს ვიკვლევთ, განსაკუთრებულ ინტერესს ცხოველთა უძველესი ტიპები წარმოადგენენ, რადგან ნადირობის ორგანიზაციის ძველი სახეები სწორედ მათთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია, როგორც მაგალითო, კავკასიური ჯიხვი, რომელიც მკვლევართა უმრავლესობის აზრით ერთერთ უძველეს ტიპს წარმოადგენს მხოლოდ კავკასიისათვის ენდემურს: ზაგალითად, კ. კელერი² კავკასიურ ჯიხვს ერთ-ერთ უძველეს ტიპად სთვლის.

ახასიათებს რა კავკასიის ენდემურ ფაუნას, იგივე აზრი აქვს გამოთქმული კ. სატუნის³.

¹ К. Сатуний, Обзор исследования млекопитающих кавказского края, ЗИРГО, ф. ХХIV, бз. II, გვ. 8.

² К. Келлер, К зоогеографии Кавказа и истории его домашних животных, ИКОРГО, ф. XXII, бз. 4, გვ. 371.

³ К. Сатуний, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

კავკასიის ფაუნის აღწერისას ანალოგიური დებულება აქვთ მოცემული ა. კალინოვსკის¹.

თუ შევეხებით კერძოდ საქართველოს, უნდა აღინიშნოს, რომ აქაც მოიპოვება მრავალი ისტორიული ცნობა დამაჯერებლად დამადასტურებელი საქართველოს ფაუნის იშვიათი მრავალნაირობისა და სიმდიდრისა.

ბ. ზარზე მელი სერაპიონ ზარზე მელის «ცხოვრებაში» ასე ახასიათებს ცხროჭის „აღგილთა ყოვლად ტყეთა და უვალთა კაცთა მიერ“²:

„იყო მუნ სიმრავლე თხათა და სხუათა ნადირთა ველურთა“²:

საქმაოდ ვრცელ ცნობებს საქართველოში ნადირთა და სანადირო აღგილთა სიმრავლას შესახებ გვაწვდის ძველი ქრონიკებიც.

ცნობილი იყო, როგორც სანადირო აღგილი, გელათის მიღამოები.

გელათის ერთერთ გუჯარში (XIII ს.) ვკითხულობთ:

„განალამც ჰაგრევე, მას ჰმისახურებდეს:... ტყითა, ველითა, სანადიროთა“...³; 1452 წლ. ერთერთ გუჯარში იმერეთის მთელ რიგ დასახლებულ აღგილთა დასახელებასთან ერთად მოხსენებულია სანადირო აღგილებიც:

„დაგიმტკიცეთ... სოფელი ხოვრეთი და წევა და ილემი ისე მასითა... სათიბითა, ტყითა და სანადიროთა“⁴ და სხვა მრავალი.

რაჭა, კერძოდ ნიკორწმინდა, არ ჩამოუვარდებოდა საქართველოს დანარჩენ კუთხეებს სანადირო აღგილთა სიმდიდრით.

ნიკორწმინდის XI ს. სიგელის XVI ს. მინაჭერში ვკითხულობთ:

„განუჩინეს რაჭის შე[საფალი] და სასჯულო და საკურთხი აღგილი... საყანე და სანადირო“⁵.

ბუნებრივი სიმდიდრის ეს სახე შემდევ პერიოდში იმავე მრავალფეროვნებით იყო წარმოდგენილი.

განსაკუთრებული გულდასმით აქვს მოხსენებული სანადირო აღგილები და გავრცელებული ნადირის სახეობანი ვახუშტის, რომელიც აგრეთვე გულდასმით სანადირო იარაღებსა და თევზის საჭრ მოწყობილობასაც ეხება.

¹ А. Калиновский, Очерки кавказской фауны и кавказских охот, Тифл. 1900 г., гл. 5.

² ბასილ ზარზე მელი, ცხორებად და მოქალაქობად სერაპიონ ზარზელისა. აღრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ქ. გვ. კელი ი. ს. რედაქტორობით, ტფ. 1935 წ., გვ. 154.

³ თ. უთრ დანია, ქრონიკები და სხვა მასალები საქ. ისტორიისა და მშერლობისა, წ. II, ტფ. 1897 წ., გვ. 128.

⁴ თ. უთრ დანია, იქვე, გვ. 264.

⁵ თ. უთრ დანია, იქვე, გვ. 49.

განსაკუთრებით მდიდარი ყოფილა ნადირით ბორჩალო¹, მდ. შტკვრის კიდენი², ნადირით და ფრინველით — დბანისის ხეობა³, ზურტაკეტი⁴, საღაც ირემი „ჯოგ-ჯოგათ და ხროთ“ დადიოდა; თრიალეთი⁵ — „დიდი ნადირით, მფრინველით და თევზით“, არაგვის ხეობა „ნადირით, ეშვით და ქოქბითა სავსე“, შავნაბადის მთა⁷, სადაც იყო „ნადირნი მრავალნი, ირემი და არჩევი ჯოგად, შველი, დათვი“.

კახეთი არ ჩამოუვარდებოდა ვაწუ შტი ის დროს ქართლს ნადირთა სიმრავლით და მრავალსახეობით. კახეთში განთქმული იყო ნადირით, მაგალითად, პანკისის ხეობა⁸ და ალაზანი⁹.

იგივე ითქმის ნადირის გაერცელების თვალსაზრისით სამცხე-შე¹⁰, გურია-აჭარაზე, ჯავახეთზე, შავშეთზე და სხვა.

როგორც ზემოხსენებული ისტორიული წყაროებიდან ჩანს, საქართველოს ტერიტორია თითქმის მთლიანად საუცხოო მდიდარ სანადირო გარემოს წარმოადგენდა; არ არსებობს ცოტად თუ ბევრად ცნობილი დასახლებული ადგილი, რომელსაც „ადგილნი სანადირონი“ არ ერტყას გარშემო. ამდენად გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს „ჭალაკნი“, „მინდორნი“ და „ველნი“ ისტორიის ჩვენთვის ცნობილ მონაცემზე საკმაოდ მდიდარნი იყვნენ სხვადასხვა ნადირით, რამაც გარკვეული როლი შეასრულა მონაცირეობის მნიშვნელობისა და მისი ტრადიციების დაცვის საქმეში.

მაგრამ ნადირის სიმრავლითა და მისი ძველი სახეობებით განსაკუთრებით საქართველოს მთიანი ზოლი—სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი—იყო განთქმული.

„რადგან თავისუფალ სვანეთს, ამბობს ნ. ჩიმაკაძე, ირგვლივ აკრავს დიდი და თოვლიანი მთები, რომელნიც საესეა არჩევით, ჯი-

¹ ვასუ შტი ი, საქართველოს გეოგრაფია, მ. ჯანაშვილის რედაქციით,
ტფ. 1904 წ., გვ. 41.

² ვასუ შტი ი, იქვე, გვ. 39.

³ ვასუ შტი ი, იქვე, გვ. 49.

⁴ ვასუ შტი ი, იქვე, გვ. 51.

⁵ ვასუ შტი ი, იქვე, გვ. 53.

⁶ ვასუ შტი ი, იქვე, გვ. 89.

⁷ ვასუ შტი ი, იქვე, გვ. 55.

⁸ ვასუ შტი ი, იქვე, გვ. 167.

⁹ ვასუ შტი ი, იქვე, გვ. 152.

¹⁰ ვასუ შტი ი, იქვე, გვ. 204.

ხვით და სხვა გარეულის ნადირით, ამისათვის ბევრი მისდევს ნადირობას“¹.

როგორც ჩანს, ზემოხსენებული და სხვა მრავალი ისტორიული და ლიტერატურული წყაროებიდან საქართველოს ყველა კუთხი, ხოლო მთის ზოლი განსაკუთრებით, საქმაოდ მდიდარი ყოფილა ჯიხვით, არჩივით, შევლით, ირმით, გარეული ლორითა და მტაცებელა ნადირით, როგორცაა დათვი, მელი, მელა და სხვა და ამდენად მეტად ხელსაყრელ პირობას წარმოადგენდა ნადირობისათვის.

დამატებით საფუძველს ამ დებულების დასამტკიცებლად წარმოადგენს აგრეთვე მთელი რიგი ტოპონიმიკური მაგალიხები, რაც უდავოდ ორგანულ კავშირში იმყოფება ნადირობასთან.

ასეთია, მაგალითად, გაჩინი, რომლის შესახებ ლეონტი მროველი შემდეგ ცნობას გვაწვდის.

„ამან გაჩინს აღაშენა ქალაქი გაჩინი რომელსა მაშინ ერქუა სანალირო ქალაქი“².

ანალოგიურ ცნობას გვაწვდის გაჩინის შესახებ ვახუშტი³.

„ხოლო არქევანი პირველ იყო გაჩინი და სანალირო ქალაქი, მერმე ქაოზიანი, და აწ ეს დაბა, რომელი დასავლითცა არს ხუნანისა და საზღვარიცა მათი“. .

გარდა ამისა, არსებობს მთელი რიგი დასახელებათა საირმეს სახით (იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი), საფურიე კლდე (რაჭაში), რომელსაც ადგილობრივი გადმოცემით ფურ-ირემის ჯოვის არსებობით ხსნიან, სახუნდარი—მრავალი ადგილის აღმნიშვნელი, მრავალი საჯიხის და ნაჯიხვარი, დათვის ელა, საკვალიერებელი, სარეკი და სხვა.

გარდა ბუნებრივად გავრცელებული ნადირით მდიდარი ადგილებისა, რომელთა შორის პირველ ადგილზე ყარაიაზის დაბლობი, თრიალეთის შამბნარი, აჯამეთის ტყე, გეგუთი და გელათი ითვლებოდა, მეფებს თავის სამფლობელოში, როგორც ეტყობა, სპეციალური ნაკრძალებიც ჰქონდათ მოწყობილი ხელოვნურ პირობებში მოშენებული ნადირით და საჯიხვეები. უკანასკნელთ, არისტოკრატული გართობის

¹ ნიკო ჩიმა კაძე, თავისუფალი სვანეთი, ძველი საქარ., ტე. 1913 წ. ტ. II, გან. IV, გვ. 17.

² ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, მ-3 დ-ი ვარ., გვ. 6

³ ვახუშტი, საქ. გეოგრაფია, დას. გამ., გვ. 44.

⁴ შდრ. ს. ჩხეიძის ცნობას: „დადგენ სახუნდართა შინა... მოვიდა ნადირი უანგარიშო“, ქართლის ცხოვრება, ნ. ჩუბინაშვილის გამ., ნ. II, სპტ. 1854 წ., გვ. 324.

გარდა, უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ციხეთა შემოწყობის დროს, როგორც შედარებით ხანგრძლივად გამძლე სასურათო ბაზას.

სანადირო ნაკრძალი ჰქონდა, როგორც ეტყობა, თამარ დედოფალს კახეთში, რომელიც მან ძლვენით მოსულ მუტაფრადინს უჩვენა: „აჩურენჯს საყოფნი სანადირონი მინდორნი, მოედანი და ქუემონი კახეთისანი“¹.

იმავეს გულისხმობს, ჩვენი აზრით, ვა ხუშტი ყარაის ოლწერის დროს:

„ნაგების ოლმოსავლით და სამხრით არს ველი დიდი ყარაიისა, საესე ქურციკითა, რომელსა მოინადირებდენ მეფენი წლითი-წლად².“

ნაკრძალის სპეციალურად შემოლობვაც იცოდნენ, რომ მეფესა და მის ამაღლას როლად სანადირო აღიიღი ჰქონდა.

„ხოლო ცხენთა მათ ერისთავთა მორთმეულსა განიყვანის ბაზიერთ-ხუცესი სადა იყო სანადირო მეფისა შემოლობილი ახლოს მეფისა სამყოფისა³.“

გარკვეულად მიუთითებს სამეფო ნაკრძალების არსებობაზე ვა ხუშტი შემძლევი ცნობა:

„იორის პირს ყოფილი სასახლე დამპალას აწინდელთა კახთა მეპატრიონეთა საზამთროდ ნადირობისათვის არჩილ მეფისამდე, კეთილს აღვილს, შვენიერ წყაროიანსა“⁴.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ ასეთი ნაკრძალები მხოლოდ მეტებსა ჰქონოდათ. ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში ასეთი ნაკრძალები ცალკე საერისთავოებშიც გვხვდება. ამის შესახებ ცხადად ლაპარაკობს ს. ზარზმელის ცხოვრება (დაწერილია X ს. მეორე ათეულის მიწურულში, ხოლო ამბავი IX ს. ეხება). ავტორი, ეხება რა გიორგი ჩორჩანელის აღვილსამყოფელს, ამბობს:

„იყო მუნ სიმრავლე თხათად და სხუათა ნადირთა... და არეთა მათ ეშენა სახლი, რომელ (უკუეთუ) ოდესმე ეწიის ღამე, სადგურყვიან მას შინა“⁵.

ასეთ ადგილებში სხვას, როგორც ეტყობა, აკრძალული ჰქონდა ნადირობა. გიორგი ჩორჩანელი, დაინახვს რა თავის სანახებში კომლს, ასე იტყვის:

¹ თამარ მეფის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, მ-მ დ-ი ვარ., გვ. 427.

² ვა ხუშტი, საქ. გეოგრაფია, დასახ. გამ., გვ. 66.

³ ვა ხუშტი, იქვე, გვ. 19.

⁴ ვა ხუშტი, იქვე, გვ. 133.

⁵ ბასილ ზარზმელი, ცხოვრებად და მოქალაქობად სერაპიონ ზარზმელისად, დასახ. გამ., გვ. 154.

„ვრნად არს ადგილსა იმას სიჯშოდ კუჯამლისად, ანუ თუ ვის რად უტმეს ცეცხლი? უკეთუ ვინმე ეძიებს ნადირთა რად კაღნიერ და ურცხვნო ქმნილ არს“¹.

დასავლეთ საქართველოში სამეგრელოს დიდი მთავრის დადიანის სანადირო ნაკრძალები იყო განთქმული.

ამ გარემოებას სათანადო ლიტერატურაში ჰქონდა გამოხმაურება. „კალმასობი“-ს ავტორი სპეციალურად ჩერდება ხსენებულ საკითხზე.

„...მეტადრე ყარაიაზედ და იორშია; რომ ამისთანა ადგილს, თუ არ მეფე, სხვა ვერვინ ინადირებდა“².

თუმცა რაჭაში გავრცელებული ნადირის შესახებ ცნობები, ლიტერატურული წყაროების მიხედვით, მეტად მცირეა, მაგრამ იმ მასალასთან ერთად, რომელიც შეკრებილი იყო რაჭაში ექსპედიციის დროს, შესაძლებელია შედარებით სრული სურათის დადგენა:

დათვი, მელი, მელა, კურდლელი, კვერნა და მაჩვი რაჭაში საყველთაოდ გავრცელებული ნადირია, ხოლო უფრო დამახასიათებელი და ჭარბი რაოდენობით ნადირთა ეს სახეები ქვემო-რაჭაში (კერძოდ მდ. შაორის ქვაბულში) არის წარმოდგენილი. (ქვემო-რაჭაში იშვიათად გვხვდება ფოცხვერი და წავი, და თუ არსებობს მათი რამდენიმე ეგზემპლარი, ესენი სხვა ადგილებიდან უნდა იყვნენ გადმოვარდნილი). დაქანებული დაბალ-ბუჩქიანი ფერდობები, მცირე სიხშირის ტყე, ტყით დაფარული მთები ხელსაყრელ გარე-მოს წარმოადგენდა ზემოხსენებულ ნადირთაზვის.

ირემი, არჩვი და ჯიხვი რაჭის დაბლობში არ არის, არჩვი და ჯიხვი ზემო-რაჭის მალლობებშია მხოლოდ, რადგან არჩვისა და ჯიხვის ადგილსამყოფელს ალპიური ზონა წარმოადგენს. ხოლო ირემი და შეელი დიდ ზამთარსა და ლრმა თოვლობას რამდენიმე წლის წინათ მთლად გაუწყვეტია. XVIII საუკუნის მიწურულში კი ირემი და შველი რაჭის დაბლობის დამახასიათებელი ნადირი ყოფილა³.

ადგილობრივი მოსახლეობა დათვის სამ სხვადასხვა ჯიშს არჩევს:

1. ბაური დათვი ან შიშვლის დათვი. სხეულით დანარჩენ დათვებზე დიდია და მძიმე, ფერით მორუხო, ხანდახან წაბ-

¹ ვახუშტი, საქ. გეოგრაფია, დასახ. გამ., გვ. 154.

² ოთანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტფ. 1936 წ., ტ. I, გვ. 215.

³ J. Güldenstdt, Reisen durch Russland und im Caucasischen Geburge, St. Petersburg 1787, B. I, გვ. 400.

ლისფერი გადაპქრავს. უყვარს კლდიანი ადგილები (ფჩხილებიც წაცვეთილი აქვს კლდეებზე სიარულით). ავია მეტად ძალიან ეტანება ხორცეულს—„მუშაობს“ ჯოგებზე.

2. ქედანი დათვი. საშუალო სიღიღის სხეული აქვს. ფერით რუხია, ხოლო ყბა-კისერზე თეთრი ზოლი მოსდევს. ადგილ-სამყოფლად ხშირსა და მაღალ ბუჩქნარს ირჩევს. იკვებება მცენარეულობით. ხშირად აფუტებს სიმინდსაც.

3. ღორ-დათვა. ტანით ყველაზე მომცროა, ხოლო თავი აქვს: დიდი. ბაჟრს არ ჩამოუგარდება სიავით. ფერად შავია უფრო. იშუოფება ტყიან ადგილებში. საერთოდ იკვებება მცენარეულობით. დაუძინებელი მტერია სიმინდის. —ეტანება ბორცსაც, თუ დაგერშილია.

კვერნა ორგვარი იცის.

1. დალარკვენა. ფერად ერთობლივ შავია, მცერდი აქვს შხვილოდ ხასხასა თეთრი. კაწარი მუქი შავი ფერისა აქვს, ხოლო ღინძლი მტრედისფერი. მომცრო ტანისაა. ზამთარში კლდეში ცხოვრობს. ზაფხულში ტყეს ეტანება. იკვებება გარეული ხილით.

2. მთის-რკვენა. ტანით უფრო მოზრდილია. ფერად შავი. კაწარს წაბლისფერი გადაპქრავს, ხოლო ღინძლი მოშავო აქვს: იშვიათად მასაც აქვს თეთრი ლაქა მკერდზე, ხოლო ღინძლით ცხადათ განირჩევა ღალა-რკვენისაგან. ცხოვრობს ტყეში, უმთავრესად არის ფულუროში.

მელის სამი სახეობა არსებობს რაჭაში, რომელნიც ერთმანეთისაგან განირჩევიან ფერით: რუხი მელა (ბინადრობს ბუჩქნარში), წითელი მელა (ხშირი ბუჩქნარი და მთაკლდიანი ადგილი) და წაშაო მელა (ბინადრობს შალლნარში).

არჩევენ მგლის ორ სახეობას: ტყის მგელი—ტანმორჩილი, წაშავო მუქი ფერისა და მინდვრის მგელი—რუხი ფერისაა შავი ლაქებით. ტანით ტყის მგელზე მოგრძოა.

ჯიხვისა და არჩის გავრცელების არედ რაჭაში უნდა ჩაითვალოს მთა ჭითხაროსი, შოდასი და ფასის კალთები. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ჯიხვისა და არჩის გავრცელების არები ერთ-მანეთს ეხება, მაგრამ არ ემთხვევა. უმაღლესი ადგილი ამ ზოლში, აღბაური ველი, შიშველი კლდე, მუდმივი ყინულით დაფარული ქრაფები—ჯიხვის სამეფოს წარმოადგენს.

არჩის ადგილსამყოფელი დაშლილი მეწყერია და ხშირ-ტყიანი ფერდობი. არჩი მაღლა საჯიხვეში არ შედის, ჯიხვი იშვიათად ჩამოდის არჩის გავრცელების არეში.

აი რას ამბობს ვახუ შტი ჯიხვის შესახებ:

„ხოლო ჯიხვი, რომელი მგზავრობს თხასა, არამედ არს ფრიად უდიდესი მისისა და შვენიერისახითა და რქითა, ესე გვარობს კავკასთა ამათ შინა ყოველგან, ჯოგად და ჯოგად. ესე ვალს კლდესა ზედა ჭარაფსა და მაღალსა, რომელსა ზედა ვერარაი ცხოველი შემძლებელ არს განსულად: აღვალს იანვრის ტეხერა-ქარიშხალსა შინა უმაღლესს კავკასთა ზედა, და შეაქცევს ცხვირს ქარსა და დაწვების ეგრეთ და არარაი ევნების“¹.

ჯიხვსა და არჩეს ახლაც ვხვდებით საკმაო რაოდენობით მდ. რიცეულას, ლუხუნის, საკაოს და რიონის სათავეებში. მისი მასობრივი გავრცელების სავარაუდო ზომად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ხაზი: საღმელი—ჯავისა—საკაო—ჭიორა, რომლის ქვევით მხოლოდ ცალკეული ეგზემპლარები თუა ჩამოვარდნილი.

ჯიხვი კლდეში იპატივებს (ინახავს) თავს. ზაფხულობით მიუვალი ქარაფიანი კლდეების ქვაბულებშია, ხოლო ზამთრობით ბოსლებში ჩამოდის. იკვებება ბალახეულით: ვაკის-წვერა (ბუჩქად ამოსული ღეროებია ორ მტკაველზე, მუქი მწვანე ფერისაა. ზამთარში არ ლპება), მწყერის-ფეხა, სამყურა, ძალიან უყვარს ხაგისი. მზის შუაგულზე, ფიცხ ადგილზე ზაფხულობით ჯიხვი ვერა სძლებს და სალოკზე მიღის (მარილიანი ქანია) ან ვეძის ესტუმრება (მუავე წყალია, ოდნავ მლაშე გემო გაპკრაეს).

დაბინდებისას ჯიხვი ძირს ჩამოდის ბოსლებში და გათენებამდე იქ იკვებება. დღე მიუვალ ქვაბულებშია მეტწილად უძრავად გაჩერებული.

მი რე ვა-დე ვნულობა ენერისთვე-ღვინობისთვეში წარმოებს, ხოლო მრავლება—თიკნობა—თებერვალ-მარტში. ჯიხვებს საერთოდ ტაკაობა უყვართ (რქებით ჭიდილია), ხოლო მირევის ღროს ტაკაობა ხშირდება და მათი რქების ჯახა-ჯუხი შორს ისმის მთაში.

მამალ ჯიხვს ვაცი ეწოდება, დედალს—თხა-ჯიხვი. ერთ წლამდე განურჩევლად სქესისა—თიკანი. ერთი წლიდან სამ წლამდე დედალს წალა ეწოდება, ხოლო მამალს ბოიკი. რვა—ათი წლის შემდეგ ვაკი ჰკარგავს განაყოფიერების უნარს და გაწზე გადება. მარტო დადის, ჯოგში არ ერევა და მემარტივე ეწოდება.

ჯიხვი ორი სხვადასხვა სახეობისაა: კომარა და ლაფური. ფერით არ განსხვავდებან თითქმის. ორივე სახეობა გაზაფხულზე შავი ფერისაა. შემოდგომაზე ჯიხვი ფერს იყრის და მუქი წაბლის-ფერი ხდება.

¹ ვახუ შტი, საქ. გეოგრაფია, დას. გამ., გვ., 182.

კომარა ტან-მოკლეა შედარებით, საერთოდ ლაფურზე, დრდი. მოკლე, მსხვილი, და ჩორჩქვილი რქები აქვს, ძლიერ გადალუ-ნული უკან. ლაფური-კი უფრო მომცროა, წვრილი ტანი აქვს, უფრო წმინდა, დაგრძელებული და ნაკლებ გადალუნული, შუბიკა-რქები. ჯიხვის წლოვანებას რქის ნაზარ და ლების რაოდენობის მიხედვით საზღვრავენ.

არჩევიც ორგვარი იცის: ტყის-არჩევი—სხეული მოკლე და მომსხო აქვს, შედარებით სრული რქებით და შიშვლის არჩევი—სხეული წვრილი და დაგრძელებული, შედარებით გრძელი და ღონიერი რქები აქვს. არჩემაც იცის ფერის ყრა. ზაფხულში იგი წითელია, შემოდგომაზე დამუქდება წაბლისფრად, ზამთარსა და გაზაფხულში კი მოშავო ფერისა არის.

არჩევი ზამთარში უმეტესად ტყეშია და მცენარეულობით იკვებება. ზაფხულში დაშლილ მეწყერს ეტანება. არჩემა ბოტარობა ენკენისოვეში იცის. ხოლო თიკნობა მარტში. რაც შეეხება შველ-სა და ირემს ასეთი ამჟამად, როგორც სანადირო ობიექტი, აღარ არსებობს. როგორც აღვნიშნეთ, ირემი ორმოცდაათი წლის წინათ გადაშენებულა, ხოლო შველი—ხუთი-ათიოდე წლის წინათ. დიდ თოვლობას გაუწყვეტია ეს ნადირი.

ყოველი ნადირის თვისებებისა და მის ადგილსამყოფელის თავისებურებების ზოგად დახასიათებაზე იმ მოსაზრებით შევჩერდით, რომ ჩვენი აზრით ამ ორ ფაქტორს სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება ნადირობის ორგანიზაციის ამათუიმ სახის. ჩამოყალიბების დროს.

მართალია, სანადირო წესჩვეულებათა დასრულებული კოდექსი განვითარებული ფერდალიზმის ეპოქაში იყო ჩამოყალიბებული არის-ტოკრატიული წრების მიერ, მაგრამ ნადირობასთან დაკავშირებული ტერმინების სისტემატიზაციის ჩანასახი შედარებით აღრინდელ პერიოდში გვხვდება, რაც დამაჯერებლად მიგვითითებს ორგანიზებული ნადირობის ჩამოყალიბებული სისტემის არსებობის შესახებ უფრო აღრინდელ ეპოქაში.

მარტო ბუნებრივ გარემოს რომ შევეხოთ (ორგანიზაციის შესახებ შემდეგ გვექნება საუბარი) დავინახავთ, რომ აღრინდელ ლი-ტერატურულ წყაროებში უკვე მოცემულია ნადირის კლასიფიკაცია, მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს კლასიფიკაცია ატარებს შედარებით ზუსტს, დამუშავებულსა და დიფერენცირებულ სახეს და წარმოდგენილია მწყობრი სისტემის სახით.

საბა სულ ხან ორბელიანს ცნება „ნათესავი“-ს ქვეშ თავისი კლასიფიკაცია ღაყვანილი აქვს პირუტყვემდე. იგი ამბობს: „პირუტყვად და... ეგევითარად, რომელი არღარა განიკურეთება სხუათა სახეთა მიმართ“¹, ხოლო სხვა ცნებათა განმარტებიდან ჩანს, რომ „პირუტყვკ“-ის შემდეგი „განკურეთა“ ყოფილა შესაძლებელი, ასე, მაგ., ცნება „პირუტყვკ“-ს იგი სხვა ადგილის ხსნის როგორც „უტყვკ ცხოველი“, ხოლო ამას გარდა მოცემული აქვს ცნება „ნადირის“-ა და „მჯეცი“-ს განმარტება. პირველი ცნების შესახებ იგი ამბობს, ველური პირუტყვკ-ოა, ხოლო მეორის შესახებ: „ლომი, ვეფხვი, დათვ და მისთანანი, რომელიც ხორცთა სჭამენ და მავნებელ არიან“.

მაშასადამე, პირუტყვი ყოფილა ველური და არა ველური, ხოლო ველური პირუტყვების ჯგუფიდან გამოსაყოფი ყოფილა კიდევ ერთი ქე-ჯგუფი მხეცების სახელწოდებით.

ნადირის კლასიფიკაციასთან პარალელურად მისი თვისებების მიხედვით არსებობდა სხვა კლასიფიკაცია დამკვიდრებული ნადირის ალგილსამყოფელზე. ძველ ლიტერატურულ ისტორიულ წყაროებში განსხვავებულია მთისა (კლდისა), ტყისა და ველის (ბარის, ჭალის) ნადირი. დაბადებაში ვკითხულობთ:

„რამეთუ ჩემი არს ყოველი მჯეცი ველისა, ნადირი მთათა და ყოველი პირუტყვი“².

სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში აგრეთვე მოხსენებულია გან-ცალკევებით „ნადირი ველისათა“, კერძოდ:

„არს ესე შესაკრებელი ნადირთა ველისათა, ბაკთა ეწოდების“³.

არა ერთგზის ხმარობს ვა ხუ შტი გამოთქმას: „ნადირი ტყეთა და ველთა“⁴. იმავე ვა ხუ შტი ის უფრო დაზუსტებული ცნობა აქვს მოცემული ამ საკითხის გარშემო; ბორჩალოს დახასიათებისას იგი ამბობს: „ნადირი: კლდეთა თხა და არჩვი... ტყეთა: ირემი, შველი, დათვ, მგელი, ფოცხვერი, მელა, კურდლელი მრავალნი“⁵.

იმის მიხედვით, თუ რა ნადირზე სწადდათ ნადირობა, უნდა ყოფილიყო შერჩეული სათანადო ბარშრუტი. ქართლის ცხოვრებაში ვკითხულობთ (ვახტანგ ჯანიშვინის შესახებ): „დღესა ერთსა ინება ნადირობა მთისა და წაბძანდა თრიალეთსა და შანბიანსა მთასა, ვითაცა არას

¹ ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფ. 1928. წ., სიტყვებთან ნათესავი და პირუტყვი.

² დავითნი, მთ, ი, დაბადება, ნაწ. II, ტფ. 1884 წ.

³ ბასილ ზარზმელი, ცხოვრებად და მოქალაქობად სერაპიონ ზარზმელისად, დას. გამ., გვ. 160.

⁴ ვახუ შტი, საქ. გეოგრაფია, დას. გამ., გვ. 33.

⁵ ვახუ შტი, იქვე, გვ. 41.

ხელმწიფისაგან არ ნადირებულ იყო ამ რიგათ... და ინადირა სარბევითა და შეიქმნა ირემთა მოდენა“¹.

იქვე გიორგი მეფის შესახებ ნათქვამია:

„შემდგომად ამისა განისვენებდეს და ნადირობდეს მთათა და ბართა“².

აქედან გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ტერიტორია საერთოდ და კერძოდ რაჭა, ზოოგეოგრაფიული ოფალ-საზრისით, საუცხოო გარემოს წარმოადგენდა ნადირის ნაირსახეობათა სიმრავლის დასაცავად, ხოლო ეს პირობა მეურნეობის კარჩაკეტილობასთან ერთად თავისთავად საფუძვლად დაედო ნადირობის მნიშვნელობის შენარჩუნებას და მისი საუკეთესო ტრადიციების. გაგრძელებას რაჭაში და ამასთან ერთად იმ წესჩვეულებათა შედარებით შეურყენელად დაცვას, რომელნიც თანსდევლნენ ნადირობის პროცესს და ოდესლაც მის განუყრელ ატრიბუტებს წარმოადგენლენ.

ნადირობის საკმაოდ განვითარებულ კულტურაზე, კერძოდ რაჭაში, სხვა მაჩვენებლებთან ერთად, მიგვითითებს რაჭაში შემონახული ნადირთა დიფერენცირებული ტერმინების მთლიანი სისტემა მათი სქესისა, ჰასაკისა და ჯიშების სახეობათა მიხედვით ასეთი სიუხვით წარმოდგენილი აღგილობრივი მოსახლეობის ყოფაში.

¹ ქართლის ცხოვრება, ჩუბინა შვილის გამ., ნაწ. II, გვ. 324.

² იქვე, გვ. 367.

II. მატერიალური ბაზა

1. ჩაცვლობა

ნადირობა, ატარებს იგი მხოლოდ სპორტული გართობის ხა-
სიათს თუ პრაქტიკულ მიზნებს ემსახურება, განსაკუთრებულ სიძნე-
ლეებთან არის დაკავშირებული და ამავე დროს მეტად სახიფათოა.
რათქმაუნდა, ეს არ ითქმის ყველა სახის ნადირზე ნადირობის
შესახებ. ასე მაგალითად, ნადირობა კურდღელზე, მელაზე ნაწილობ-
რივ შველზე მონადირისაგან მოითხოვს ნადირის ჩვევათა ცოდ-
ნას მხოლოდ და კარგად სროლას, რადგან არც სანადირო აღვი-
ლია ძნელად სავალი (გაშლილი ბუჩქნარი, ოდნავ დაჭანებული ფერ-
ობი, უმნიშვნელო სიხშირის ტყე), არც თვით ნადირია სახიფათო.
სულ სხვაა მტაცებელ ნადირზე ნადირობა. აქ ზემოთაღნიშნულ
თვისებებს გარდა მონადირეს საკმაო გამბედაობა მოეთხოვება და
ხშირად მაგარი მკლავიც. მაგრამ ყველაზე უფრო ძნელი და საში-
ში ჯიხვზე ნადირობაა. ამაზე ჩვენ უფრო დაწვრილებით ქვევით
გვექნება საუბარი, ახლა აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ჯიხვის აღგილ-
საყოფელის თავისებურება, მისი მიუკარებელი, ამაყი და თავზე
ხელალებული ხასიათი მის ძალონესთან დაკავშირებით განსაკუთ-
რებულად აძნელებს მასზე ნადირობას, მეტად სერიოზულ საშიშრო-
ებას ჰქმის მონადირისათვის და თხოვლობს უკანასკნელისაგან სპე-
ციალური თვისებების გამომუშავებას და ნადირობის ორგანიზაციის
თვისებურ სახეს.

ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩა-
ცმულობას, შეიარაღებას და თვით მონადირის ინდივიდუალურ თვი-
სებებს, რადგან ამ ფაქტორთაგან ერთის შეფასებაში უმნიშვნელო
შეცდომის დაშვებას ხშირად აუნაზღაურებელი ზარალი მოსდევს.

ამიტომაა, რომ დაბლობებში ჩაცმულობას უკვე აღარ აქცევენ
ყურადღებას მაშინ, როდესაც კლდოვან აღგილებში (უმთავრესად
ჯიხვზე და არჩვზე) ნადირობისას ჩაცმულობას განსაკუთრებული
აღგილი აქვს დათმობილი ნადირობის ორგანიზაციის პროცესში.
ასეთ აღგილებში მონადირეები განსაკუთრებული კონსერვატულო-

ბით ეკიდებიან სანადირო ეკიპირების ყოველ წერილმანს, საუკუნეების განმავლობაში მწარე გამოცდილებით შემოწმებულს.

რა პირობებს უნდა აქმაყოფილებდეს მონადირის ჩაცმულობა— ვეულისემობთ ერთი მხრივ ჯიხვებ, არჩვებე, ხოლო მეორე მხრივ დათვზე ნადირობას, რადგან ჩაცმულობის ტიპიური სახე შემონახულია სწორედ ამ ნადირებზე ნადირობის დროს.


უპირველეს ყოვლისა ტანსაცმელი უნდა იყოს მსუბუქი, რომ მონადირეს სიარულსა (ხშირად სირბილს) და სროლას არ უშლიდეს. ამასთანავე იგი უნდა იყოს თბილი, ე. ი. უნდა უზრუნველყოფდეს აღამიანის ბუნებრივი სითბოს მაქსიმალურ გამოყენებას, ცეცხლის ანგარიშში მიუღებულად, რადგან მონადირეს ხშირად უხდება ისეთ ადგილებში ყოფნა, სადაც ცეცხლის დანოება შეუძლებელია. არა ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება ტანსაცმელის ფერს — იგი უნდა თანაბრად ეხამებოდეს სანადირო გარემოს. ამიტომ მთის რაჭაში დაღასტურებული მონადირის ჩაცმულობა ჩაცმულობის საკმაოდ განვითარებულ ტიპს წარმოადგენს და მისთვის მახასიათებელი მატერიალური ბაზის განვითარების სათანადო საფეხურზე ამ ჩაცმულობაში რაიმე გაუმჯობესების შეტანა შეუძლებელია..

მართალია, დღეს გამომუშავებულია მონადირის გაცილებით უფრო სრულქმნილი ტანსაცმელი, მაგრამ მთის რაჭაში ძველი მონადირეები ისევ ძველ ჩაცმულობას მისდევენ და, მიაჩნიათ რა სახითათ ექსპერიმენტად, ახალ ჩაცმულობას ერიდებიან.

ყველაზე სრული სახით ჩაცმულობა ოღწერილი იყო სოფ. ქვედა წესში, ჯავისაში (ლუხუნის ხეობა), საღმელში (რიცეულის ხეობა); გლოლაში და შემოწმებული ღებასა და ჭიორაში.

ფეხზე იცვამდნენ ხარის, ძროხის, იშვიათად, თხის ტყავის დახურულ წამოკერილ ქალამანს, რომელსაც ეწოდებოდა კოლოტური¹ ან ლებური ქალამანი. ლორის ტყავის ქალამანი სასტიკად იყო აღვეთილი — „ნადირთ ანგელოზს ეწყინებაო“. კოლოტურ ქალამანს ერთი ნაკერი იქვს მხოლოდ. შესაქრავად ხმარობლენ ტყავის წვრილ თასმას, რომელსაც ჭაპი ეწოდება. მისი ქობა კოჭამდეა ამოსული. არის შემთხვევა, როდესაც ქალამნის ძირი ამოქსოვილია ტყავისავე ლვედებით. ასეთ ქალამანს ბანდული ეწოდება. ჯიხვზე სანადიროდ წასვლის დროს უფრო ცხენის ბანდულს ეტანებოდნენ. „ცხენის ბანდული ქარგად არისო დაცლილი“. ბანდულის უპირატესობა ჩვეულებრივ ძირგამოუქსოვ ქალამანთან შედარებით იმაში მდგომა-


რეობს, რომ ასეთით შემოსილი ფეხი შიშველ ქარაფიან კლდეზე და ბალახოვან ფერდობზე არა სცურავს. კოლოტური ქალამნისა და ბანდულის (ისევე, როგორც ჩვეულებრივი ქალამნის) წვერი ოდნავ აწეულია, როგორც ეტყობა ფეხის შესძლებელი ბორძიქის თავიდან აცილების მიზნით. ფეხსამოსში შივნით ჩალაგებულია თომი (მთის ბალახია ერთგვარი) ფეხის სიცივისაგან და სინესტრისაგან დასაცავად. აქვე აღსანიშნავია თომის საინტერესო თვისება. ზამთარში იგი ფეხს იცავს ყინვისაგან, ხოლო ზაფხულში—სიცხისაგან; რადგან, თუ თომი არაა ძალიან დატკეპნილი, მასში ინახება პარის ფენა, რომელიც ტემპერატურის იზოლაციის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს.



სურ . 1. პატერ და ბანდული ქალამნი (ს. გლოლა).

მაგრამ სანადირო ადგილები, რომლის გადალახვა უხდება ხოლმე მონადირეს ნადირის დევნის დროს, მეტად მრავალფეროვანია. მას ხვდება გზაზე ქარაფიანი კლდები, თოვლით ამოვსებული ხევებული, შვეულად დაქანებული ბალახოვანი ფერდობი, გადასახტომი ნაპრალი და საერთოდ კლდეში და ლრეში უვალი ადგილები. ამიტომ მარტო ბანდული მას ვერ დააკმაყოფილებს და ამის მიხედვით გამომუშავებულია ფასხამოსის დამატებითი, დამხმარე ელემენტები, რომელნიც საშუალებას აძლევენ მონადირეს ყოველ ცალკე შემთხვევაში ასეთ გადასავალზე საჭირო დრო და მასთან დაკავშირე-

ბული ხიფათი მინიმუმამდე დაიყვანოს. ასეთია ბანდულთან ერთად წრიაპები და თხილამურები. რკინის წრიაპები (ერთმაგი და ორმაგი) დიდი ხანი არაა რაც შემოვიდა რაჭველ მონადირეთა ყოფაში, ხოლო თხილამურები იმ სახით რა სახითაც ისინი გამოყენებული არიან ბარში (ხისაგან ნათალი, გრძელი საცურაო), რათქმაუნდა, რაჭის პირობებში არც შეიძლება იყოს გამოყენებული. ამიტომ ახლაც, ხშირად, წრიაპებსა და თხილამურებს რაჭველი მონადირები იმ სახით ხმარობენ რა სახითაც მათვის ტრადიციას დაუტოვებია.



სურ. 2. ხის წრიაპი (ს. გლოლა).

წრიაპი წარმოადგენს თხილისა ან არ წკლის მრგვალად და ორმაგად დაღვლენჭილ ტოტს, რომელიც სახით სამაჯურს. წააგავს, ხოლო ისეთი დიამეტრით, რომ მისი ფეხზე წამოცმა შეიძლება. ფეხზე იგი არაფრით არ არის დამაგრებული და თუმცა მისი ტარება არაა ადვილი, იგი მშვენივრად ასრულებს წრიაპის როლს, ე. ი. უზრუნველქონფს მონადირეს ფეხის დაცურების საშიშროებისაგან ციცაბო შიშველ კლდეებზე სიარულის დროს.


თხილამურები წარმოადგენენ აგრეთვე თხილის ტოტისაგან გაკეთებულ რკალს დიამეტრით 40—50 სმ-მდე, რომელიც შიგნით ამოქსოვილია (დაბანდულია) თხილისავე ქერქის ან მოქსოვილი

3. კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში.

ლვედებით. თხილამურები იხმარება თოვლით დაფარულ აღგილზე სიარულის დროს და უზრუნველჰყოფს მონადირეს თოვლში ჩაფლობისა და ყინულის ზედაპირის ჩატევების საშიშროებისაგან.

სანადიროდ გასვლისას მონადირეს წრიაპი და თხილამური წელის ლვედზე აქვს დამაგრებული და მას იკეთებს იმის შიხედვით, თუ რა აღგილი შეხვდება მას გადასაცვლელად ნადირთ დევნის დროს.


წეივებზე მონადირეს შინნაქსოვი შალისაგან შეკერილი პაიო კები აქვს ჩაცმული. პაიჭები მუხლს ქვევით თეჭის ლვედით არის დამაგრებული, რომელსაც ზემო-რაჭაში წვივსაკონი (წვივსაკრავი) ეწოდება, ხოლო ქვემო-რაჭაში ლეკვერთხები (სურ. 1).



სურ. 3. თხილამური. (ს. გლოლა).

იმ შემთხვევაში, თუ პაიჭები მოკლეა და მუხლს ზევით არ არის გადასული, ლრმა თოვლის დროს, პაიჭებში თოვლის ჩასვლის თავიდან აცილების მიზნით, სამუხლებს ხმარობენ. სამუხლეები აგრეთვე შინნაქსოვი შალისაგან არის შეკერილი. მას იცვამენ მუხლებზე ისე, რომ პაიჭების ზედა ნაწილი და მუხლს ზემოთ აღგილერთ მტკაველზე დაუარული იყოს. სამუხლეები დამაგრებულია შარვლის ტოტზე დუგმით.

შორვალი—და მოკლექალთიანი ჩოხა. ზამთარში ზედატანად ხმარობენ ე. წ. ჭ. გულგადახვეულ ჩოხას, ე. ი. ისეთ ჩოხას, რომელსაც ცალმკერდზე დასაფარავად საგულე აქვს დაკერებული, ხოლო სხვა დროს ჩვეულებრივ ჩოხას. განსაკუთრებული სიცივის, ქარბუქისა ან ყანვის დროს იცოდნენ ტყავის ჩაცმა ჩოხის ზემოთ. ტყავი—თხის ტყავისაგან შეკერილი მოკლე ჯუბა.



სურ. 4. ჩოხა (ს. გლოლა).


თავის დასაბურად ხმარობდნენ თხის ან თიქნის ტყავის დაბალ ფაფას, ან სვანურ ნაბღის ქუდს, ან შინნაქსოვ შალის ყაბალას. ქუდს უნდა დაეკმაყოფილებინა შემდეგი ძირითადი მოთხოვნილება: ბის უნდა თავი შეენახა თბილად, მაგრამ ისე, რომ თვალები და ყურები არ დაეფარა.

ხელთათმანს იშვიათად ხმარობდნენ—„სროლის დროს ხელს უშლისო.“

მონადირის ჩაცმულობის აუცილებელ ნაწილს წარმოადგენდა წელზე ტყავის ღვედი, რომელზედაც დამაგრებული იყო სანადირო უკიბირების სხვადასხვა ელემენტი (წრიაპი, თხილამური, ყათარ-ვაზნა,

დანა და სხვა) და ზურგზე უმთავრესად ხმას ტყავის გულა, რომელშიც სურსათ-სანოვაგვე ელაგა (სურ. 6).

ტანსაცმლის ფერებიდან ყველაზე უფრო მიზანშეწონილად რუხი ფერი იყო მიჩნეული; ნაცრისფერის იერით, რადგან კლდესა და თოვლს იგი უფრო შეეხამება.




სურ. 5. შარვალი და ქუდები (ს. გლოლა).

მონაღირის ტანსაცმლის ფერის შეხამებას გარემოსთან სვანეთშიც ჰქონდა ადგილი. ვ. ტეპურვაის ცნობით, მონაღირე იმ კლდეების ფერის ტანსაცმელს იცვამდა, საღაც ჯიხვი ეგულებოდა მას¹.

სანაღიროდ წასულთა სანოვაგის სახე და რაოდენობა ზუსტად იყო განსაზღვრული. ერიდებოდნენ ნაირნაირი საჭმელის წალებას დიდი რაოდენობით. მონაღირის საგზალი სპარტანულად იყო შემოფარგლული, სახელდობრ პური, ყველი, მარილი. ხორცის წალებას (განსაკუთრებით ღორის ხორცისა) მეტად ერიდებოდნენ — „ღორის-

¹ В. Тепуров, Сванетия, географический очерк, СМО МИК, X, ვგ. 38.

ხორცი ნადირთ ანგელოზს ეჯავრებათ“. ხოლო რაც შეეხება ხორცულსა და საერთოდ ვემრიელ საკმელს, მონადირეები მას იმიტომ ერიდებოდნენ, ოთვ „ნადირთ ანგელოზს შევეცოდებით და ნადირს მოგვცემსო“.



სურ. 6. გუდა და მუჟირა (ს. გლოლა).

როვორც ვხედავთ, რაჭელ მონადირეებს იშვიათი სისუსტით ჰქონდათ ჩამოყალიბებული ჩატრულობის საქმიანობა ნადირობის დროს. ჩატრულობის ყოველი ელემენტი გარკვეულად განსაზღვრულ ფუნქციას ასრულებდა, ყოველმხრივ უპასუხებდა ყვილა იმ მოთხოვ-

ნილებას, რომელიც მას ჰქონდა წაყენებული და ერთნაირად გამოსაყენებელი იყო პირობათა ყველა იმ ნაირნაირობაში, რომელიც კი შეხვდებოდა რაჭელ მონადირეს ჯიხვზე თუ დათვზე, ტყეში თუ კლდეში, ზამთარში თუ ზაფხულში ნადირობის ღროს, რაც უდავოდ მაჩვენებელია ნადირობის განვითარების მაღალი დონისა და ყველა იმ საშუალებათა მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენებისა, რომელიც კი ხელთ ჰქონდა განვითარების მოცემულ დონეზე მონადირეს.

2. შეიარაღება

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ნადირობის პროცესში დათმობილი სანადირო ინვენტარს—დაწყებული კვეს-აბედით და დამთავრებული სასროლი იარაღით. ინვენტარს მით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ მონადირეს ხშირად უხდებოდა სახლიდან ხანგრძლივად წასვლა (3—5 დღე) და ნადირობის პროცესში საქმაოდ დიდი მანძილის გადავლა (30 კმ-მდე).

ამდრნად მონადირის ინვენტარი შეტაცებული უნდა ყოფილიყო, ე. ი. იოლად სატარებელი, ყველა შემთხვევაში გამოსაყენებელი და მაქსიმალურად ეფექტურიანი. ამ პრინციპების მიხედვით იყო შერჩეული მონადირის ინვენტარი, რომელიც შესდგებოდა შეძეგი ელემენტებისაგან:

1. ჩვეულებრივი კვეს-აბედი ცეცხლის დასანთებად, რომელიც მშრალად უნდა ყოფილიყო შენახული.

2. მუჟირა—მუჟურო, შვინდის კეტი. სიგრძით 150 სმ-დე, დიამეტრით 3 სმ-მდე, რომელსაც ძირს რკინის წვეტი (საკუთრივ მუჟირა) აქვს გაკეთებული. ძალიან იშვიათად მუჟირას რკინის ნაწილზე გვერდით რკინისავე ვანშტოება ჰქონდა გაკეთებული-ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით მის დანიშნულებას წარმოადგენდა ნადირის დაჭერა-შეჩერება. რაჭაში ამგვარი სახის მუჟირა რამდენიმე ეგზემპლარის რაოდენობით არის დამოწმებული და მას მოსახლეობა სვანეთიდან შემოტანილად სთვლის. მუჟირას მეორე ბოლოზე, იქ სადაც ხელის მოსაკიდებელია, ქანჩა აქვს გაკეთებული, უკეთ რომ ვთქვათ, მუჟირას ეს ბოლო ორქაპა სახეს ატარებს. მონადირეები მას ახლა ხმარობენ თოფის გასადებად (მუჟირას მაგრად დაარჭობენ სროლის წინ მიწაში ან თოვლში და შემდეგ ზედ თოფის ლულას გასდებენ). ამგვარად, მუჟირა—აუ-

ცილებელი და განუყრელი იარაღი ყოველი რაჭველი შონადირისათვის — სამი ნაწილისაგან შედგება: კეტი, ქანჩა და საკუთრივ მუჟირა¹ (სურ 6).


მრავალნაირ ფუნქციას ასრულებს შონადირის ყოფაში ეს ყოველმხრივ მეტად საინტერესო იარაღი: უპირველეს ყოვლისა იგი სანდო საბჯენია გაუვალ ადგილებში სიარულის დროს, იგი შეუღარებელი იარაღია ყინულიან ქარაფებზე საფეხურების ამოსაკვეთად, ძალიან ქარგად ასრულებს მაგარი საყრდენის ფუნქციას თოფისათვის თოფის სროლის დროს და დაჭრილ ნადირთან ხელჩართული შეხვედრისას სასიკვდილო იარაღს წარმოადგენს გამოცდილი მონალირის ხელში. ხოლო ის გარემოება, რომ ბავშვების სხვადასხვა სახის სათამაშოთა შორის (სვანეთში) მუჟირას მიზანში სროლაც არის დამოწმებული გვაფიქრებინებს, რომ მუჟირა ოდესლაც სასროლ იარაღადაც ყოფილა გამოყენებული.

3. ყათარ-ვაზნა იხმარება თოფის წამლის შესანახად. წარმოადგენს ხისაგან გაკეთებულ ჭურჭელს, რომელსაც ცხვრის (ჯიხვის?) რქის მოყვანილობა აქვს. საფიქრებელია ამგვარი მოყვანილობის საფუძველზე, რომ მას ძევლათ ჯიხვის რქისაგანაც აკეთებდნენ. მას აქვს ძელის თავსახური მჭიდროდ მორგებული, ხოლო თავსახურთან 1 სმ-ის დაცილებით, გვერდიდან. გაკეთებული აქვს ძვლისავე საკეტი: ყათარ-ვაზნა გადაკრულია ტყავით და ბოლოში დასამშვენებლად აგრეთვე თეთრი ძვლის ბირთვი აქვს დამაგრებული.

მონადირე ყათარ-ვაზნის საკეტს გახსნის, მოხდის თავსახურავს და ჩაყრის შიგ წამალს (ყათარ-ვაზნაში დაახლოებით $\frac{1}{2}$, კბ წამლი ეტევა), შემდეგ საკეტს დაპკეტავს. ყათარ-ვაზნის საკეტი თუ დაკეტილია, თავსახურიდან შესაძლებელია მხოლოდ იმდენი წამლის გადმოლება, რამდენიც ეყოფა ერთ სროლას. ამ წამლის გადმოლების შემდეგ მონადირე კვლავ დახურავს თავსახურავს, გამოხსნის საკეტს, გადმოაპირქვავებს ყათარ-ვაზნას და ისევ დაპკეტავს საკეტს. ამ შემთხვევაში საკეტის ფირფაზასა და თავსახურავს შორის იმდენი წამალია დაგროვილი, რამდენიც საჭიროა მხოლოდ ერთი გასროლისათვის. ყათარ-ვაზნის ასეთი მოწყობილება საგრძნობლად აადვილებს

¹ ფ. რატცელი ეხება რა საერთოდ კავკასიელების შეიარაღებას, უპირველეს ყოვლისა, მუჟირას ახსენებს. „Первым оружием в горах является окованый железом альпийский посох, боковой отросток которого может служить оригинальным, а в серебряном случае и опасным оружием“ (Ф. Ратцель, Народоведение. №. 2 в 2 кн. 25 с. 25 в 2 кн. II, СПБ. 1896 г.). გვ. 791: სამჭუხაროდ, აცტორს არა აქვს აღნიშნული კავკასიაში მცხოვრებ კერძოდ რომ ტომშია დომოწმებული ეს იარაღი.

თოფის მინიმალურ გადაში დატენვას და ამავე დროს უზრუნველ-
ჰყოფს საჭირო რაოდენობის წამლის ჩაყრას, რასაც სერიოზული
მნიშვნელობა აქვს ტყვიის მიზანში მოხვედრის დროს. მონაღირეს
ყათარ-ვაზნა ღვედზე აქვს ღამავრებული.



სურარცხაზე
საპირისო და საპირისო წამლები

4. საპირისო წამლები რქისაგან გაკეთებული თოფის წამლის
ბრტყელი ჭურჭელია, რომლის სიგრძე 8—10 სმ-ს არ აღემატება,
სიგანე აქვს 5 სმ, ხოლო სისქე 2 სმ. ფართო ბოლოზე მას ძვლის
ტარი აქვს გაკეთებული (იქნებან წარმოებს წამლის ჩაყრა საპირის-

წამლები), ვიწრო ბოლოზე პატარა ნახერეტი აქვს დატოვებული. წიბოზე დამაგრებული აქვს ე. წ. ჩიტი—დრეკად რკინაზე შედგმული რკინისავე ფეხი, რომლის ენის საშუალებით საპირისწამლეს პირი დახურულია. ჩიტის მეორე ბოლოზე თითის დაჭერის შედეგად ენა ასცილდება პირს და მონაღირეს ექლევა საშუალება საჭირო რაოდენობის წამალი დააყაროს თოფის ყურს. საპირისწამლე მონაღირეს დამაგრებული აქვს ჩიტის უბეზე ჩიტის ენის საშუალებით.

5. საკვესაბდე ხბოს ან თხის ტყავისაგან შეკერილი პატარა ჩანთაა სიგრძით 20—25 სმ-მდე, სიგანით 10 სმ-მდე. დამაგრებული აქვს მონაღირეს წელის ღვედზე და შიგ ინახავს ქვესს, აბედს, ფინთისს და სხვა.

6. ქილები მონაღირის აუცილებელ ინვენტარს წარმოადგენდნენ; ხმარობდნენ ხის ან რქისაგან გაკეთებულ ქილებს, რომელთაც ჩიტის მექანიზმები ატარებდნენ. ყოველ ქილაში ერთი სასროლი თოფის წამალი ჰქონდათ შენახული და ტილოს პატარა ჩიტარი—ბერკლის სახელწოდებით. უკანასკნელს ხმარობდნენ ფინთისის შემოსახვევად, რომ იგი მაგრად ყოფილიყო ჩამჯდარი თოფის ლულაში.

7. ხანჯალი და ზედ მორგებული ან ცალკე ბუდით ქამარზე დამაგრებული დანა ხის გასათლელად, ხორცის დასაჭრელად და სხვა.

8. საქონე ხის პატარა ყუთია, ასანთის კოლოფის ოდენა, რომელშიც ინახებოდა დათვის, ქათმის ან ბატის ქონი თოფის რკინის ნაწილებზე წასასმელად. საქონე საკვესაბდები იყო შენახული.


9. მილიონი ჩვეულებრივი საველე ან საზღვაო დურბინდია, რომლითაც მონაღირე წინასწარ ათვალიერებს სანაღირო მიღამოს. ხმარობენ მხოლოდ პროფესიონალი მონაღირები.

10. თოფი. სასროლად ხმარობდნენ სხვადასხვა სისტემის თოფებს: ერეჯიბი, შავი თოფი, ყირიმული, ხაჯი-მუსტაფა. უმთავრესად გაგრცელებული იყო ყირიმული თოფი, რომლის სხვადასხვა ნაწილს შემდეგი სახელი ჰქონდა. კონდახს ეწოდებოდა თათრ, რომელშიც თოფის ლულის ბოლო იყო ჩამაგრებული კუდის საშუალებით. სასროლი მექანიზმი შედგებოდა: ფეხის, ჩახმახის, შვილდის (მთავარი ნაწილი დინამიკური ძალის შემცველი), ყურის, საფიცხობელის, კვესისა და საცემლისაგან ან პირისაგან (სურ. 8).

თოფის ლულის ტუჩთან გაკეთებული იყო ნიშანი დასამიზნებლად.

11. ზემოთაღნიშნულის გარდა, ვანსაკუთრებულ პირობებში მიჰქონდათ აგრეთვე ნიჩაბი და ნაჯახი, მხოლოდ საჭიროების შინევით, რომლებსაც ხმარობდნენ თოვლში გზის გასაკაფად და ტყეში ხის მოსაჭრელად. მაგრამ ნიჩაბი და ნაჯახი არ შეაღენდა მონადირის ეკიპირების აუცილებელ ელემენტს და საერთოდ მათ ტარებას პროფესიონალი მონადირეები ერიდებოდნენ.

12. გარდა ამისა, ნადირის (ტყის) მორქვეის დროს იხმარებოდა ხის კეტი, რომელსაც სცემდნენ ბუჩქებსა და ხეებს და რომლის ხმა აღამიანის შეძახილთან ერთად აფრთხობდა ნადირს და მიერგებოდა გარკვეულ, წინასწარ გამიზნულ ადგილისაკენ. ასეთის საგანგებო სახელწოდება ნადირობასთან დაკავშირებით არსად არ იყო შემონახული.



სურ. 8. ყირიმული თოფი (ს. ვლოლა).

მხოლოდ სოფ. ნიკორწმინდაში და ქვედში პირველი ექსპედიციის დროს, სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესწავლასთან დაკავშირებით, დამოწმებული იყო ე. შ. სარეკი, რომელიც მოყვანილობით მუქირას მიემსგავსებოდა ოდნავ დაგრძელებული ქანჩით.

ქრისტესა დვალის (ს. ნიკორწმინდის მცხოვრები, 89 წლის) სიტყვით სარეკს ხმარობდნენ ახოს გატეხვის დროს, სახელდობრ მუშაობის იმ სტადიაზე, როდესაც საჭირო იყო მორუჯული ტყის ნარჩენების. აკრეფვა, ერთ ადგილზე დაგროვება და მისი ხელახლად

გადაწვა. დარჩენილი ფიჩის სწორედ ამ სარეკით გროვდებოდა ერთ-ადგილზე. მაგრამ სარეკის ფუნქცია მარტო ამით არ ამოიშურებოდა. სარეკს ხმარობდნენ აგრეთვე ყამირის გატეხვის შემდეგ დარჩენილი ბელტების დასაშესხვრევად. მორეკეა, ს. ქვედში დადასტურებული ცერსის მიხედვით, სწორედ ამ დარჩენილი ბელტების დამსხვრევას ნიშნავდა. მორეკეას უმთავრესად დედაკაცი ასრულებდა, რომელიც ახოზე მომუშავებს უკან დაჰყვებოდა¹. ვინაიდან ნადირობის პროცესში მორეკეით ნადირობა ერთ-ერთ უძველეს სტადიას წარმოადგნენს, შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მონადირის ეს უძველესი იარაღი გამოყენებული იყო აგრეთვე ადრინდელი მიწათმოქმედების იმ სტადიაზე, რომლის მახასიათებელი ნიშნები ასე მკაფიოდაა შემონახული ახოს გატეხვის პროცესში.

ამის საუცხოო ანალოგს იშერეთში დადასტურებული ფაქტი წარმოადგენს, სადაც აგრეთვე მკაფიოდაა მოცემული ერთიდა-იმავე იარაღის გამოყენება სოფლის მეურნეობასა და ნადირობაში. „ვნადირობდით შუბით, მარჯვენათი (ხელით) თვალ-და-თვალ. ამ შუბს ტარი ევო „ხალი“-ს. ხალი ვიცოდით ნიგვზის სარეკად ახლა რომ ჭოკს ვეტყვით, — ე ის. კიდო ხალი იყო საჯირითოდ სასროლი ჯოხი წაუმწვერავი“².

განსაკუთრებულ ინტერესს ჩვენთვის წარმოადგენს საკითხი მშვილდ-ისრისა და შუბის ადგილის შესახებ მონადირეთა შეიარაღებაში. ჩვენ უკვე აღნიშნული გვვინდა ის გარემოება, რომ ე. წ. მუჟირას, შედარებით პრიმიტიულ იარაღს, რომელიც ფუნქციების საკმაოდ ვრცელ კომპლექსს ასრულებს, მნიშვნელოვანი ადგილა უჭირავს თანამედროვე მონადირის შეიარაღების კომპლექტში. იგი ყოვლად აუცილებელ ელემენტს შეადგენს მონადირის შეიარაღებაში, მუჟედავად ნადირობის დროისა, ადგილისა თუ ობიექტის. მუჟირას დანიშნულებისა და მის მიერ შესრულებული ფუნქციების ნაირსახეობა, მისი მასალა და მისი შესრულების ტექნიკა დაბეჯითებით მიგვითითებს იმ გარემოებაზე, რომ ჩვენ აქ საქმე

¹ ინტერესს არაა მოკლებული ის გარემოება, რომ ამგვარი სასოფლო-სამეურნეო იარაღი მეტად იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. ამ საკითხის გარშემო აკად. ივ. ჯავახიშვილი ამბობს: „ეს ჯოხი მწვერელს ხელში ეჭირა ზოლმე და ამ ჯოხის წვეტით ბელტებსა ფხვნიდა... მიწის მოხვნის დროს არც ბერძნებს, არც რომაელებს, არც ქართველებსა და სომხებს, იმ ხანაში, როდესაც დაბადებას სთარგმნიდნენ, ასეთი წვეტიანი ცალკეული ჯოხი, როგორც ჩანს არა ჰქონიათ... (ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკ. ისტორია, 5. I^ა, ტფ. 1930 წ., გვ. 157).

² 5. რეცვიაშვილი, იმერეთის 1937 წლის ექსპედიციის დღიური. ენიმჭი-ს ეთნოგრაფიის განყ. არქივი.

გვაქვს იარაღის ქრთერთ უძველეს ტიპთან. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ განშტოება მუჟირაზე რაჭაში მხოლოდ რამდენიმე ეგზებლარით არის წარმოდგენილი, ე. ი. რაჭისათვის ტიპიურად თუ საღა მუჟირას მივიჩნევთ, მისი დანიშნულება (სროლა და ჩხვლეულა) და ფორმალური ნიშნები (ხის გრძელ ტარზე გაკეთებული წაწვეტებული რკინის ბოლო) გვაფიქრებინებს, რომ იგი შუბის ნაირსახეობას წარმოადგენს.

გარკვეულ ინტერესს იწვევს შუბთან დაკავშირებით თევზაობის დროს გამოყენებული აგრეთვე ძეველი ტიპის იარაღი ე. წ. მარცახი, რომლის ხმარება დამოწმებულია ს. ნიკორწმინდაში და რომელსაც ს. ორბელიანი ასე განმარტავს:

„ბარჯი სამყბილი ჩანგალსავით ქმნილი თევზის საჭერად, რომელსა დაკავრით დაიჭერენ“¹. მარცახი ჩვეულებრივი შუბისაგან განსხვავდება სამყბილიანი დაბოლოვებით და შესაძლებელია შუბის განვითარებულ ტიპს წარმოადგენს.

რაც შეეხება საკუთრივ მშვილდ-ისარს, მისი გამოყენება დღეს რაჭაში მონადირეთა ყოფაში დამოწმებული არ არის. თოვემა სამუდამოდ განდევნა მონადირეთა ყოფილან მშვილდ-ისარი და იგი დღეს შემონაზულია რაჭაში ან გაღმოცემათა, ან განათხარ მასალათა ან საბავშვო თამაშობათა სახით. იშვიათია ისეთი დასახლება დაწყებული ს. რიცეულით და გათავებული ს.ს. გლოლა-ლებით, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ისრის წვერის ნატეხები არ აღმოჩინოს. რიცეულას ხეობაში სამუშაოთა წარმოების დროს აღმოჩენილი ყოფილა შუბისა და ისრის წვერები, ს. წესში მრავლად მოიპოვება ტყეებში მიწის ზედაპირზე ისრის წვერები; იგივე ითქმის ლუხუნის ხეობის შესახებ და სხვა მრავალი. განსაკუთრებულ ინტერესს ამ შემთხვევაში ს. ვატრა წარმოადგენს, რომელიც დაახლოებით ოცდაათი წლის წინათ არის დასახლებული. მის სანახებში ყამირის გატეხვის დროს მრავლად აღმოუჩენიათ კერამიკული ნაწარმის ნაშთებთან ერთად ისრის რკინის წვერები. ნაპოვნია აგრეთვე ჯიღა-მშვილდის ისრის ნატეხი; რომელ-საც (ჯიღა-მშვილდს) ადგილობრივი მოსახლეობა ნადირზე დასაგებად ხმარობდა. ასე მაგალ., სოფ. საკაოში, ლებში, გლოლაში და სხვ. ნაპოვნია ორბოძალი ისრის წვერები ზოგი მიწაში, ზოგი ხის ტანში ჩაჭედილი სახით (როგორც ეტყობა ნა-

¹ ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი. დას. გამ., სიტყვასთან მარცახი.

დირს ასცდენია და ხეში ჩაჭედილა). ასეთი ისარი იხმარებოდა მსხვილ ნაღირზე ნაღირობის დროს. როგორც ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით ირკვევა, ძველათ სცოდნიათ. ორბოძალი-ისრის დაგება ნაღირზე. ორბოძალი ისრის დაგების ტექნიკა თავისი ძირითადი პრინციპით თითქმის უცვლელად არის: გადმოტანილი თოფის დაგებაზე, ოომლის შესახებაც უფრო დაწვრილებით შემდეგ გვექნება საუბარი, მახე-ხაფანგებთან დაკავშირებით. განათხარი და ნაპოვნი მშვილდ-ისრისა თუ შუბის ნაწილების საფუძველზე რაიმე დასკვნების გაკეთება რაჭველთა შეიარაღების შესახებ, რათქმაუნდა, შეუძლებელია. ასეთი დასკვნების გაკეთება შეიძლებოდა ნაპოვნი მასალის სისტემატიზაციის, დათარიღებისა და ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ რაჭველების დღევანდელ რაჭაში დასახლების დროის გათვალისწინებით.

საბავშვო გართობათა და სათამაშოთა ხაზით სოფ. ლებში, ურავში და სხვ. შემონახულია ე. წ. ხ ლ თ თ ფ ა, რომელიც ჩვეულებრივი მშვილდ-ისრისაგან განსხვავდება მშვილდის ტარზე მიმარტული ლარით. ჯერანასკნელი გარკვეულ მიმარტულებას აძლევდა ისარს და ამით უფრო უზრუნველყოფულა მიზანში მოხვედრის შესაძლებლობას. ზემოხსენებულ სათამაშოს ისარა ეწოდებოდა. თუ რამდენად იყო გაგრცელებული ძველათ მშვილდ-ისარი მოწმობს აგრეთვე ის გარემოება, რომ თანამედროვე მონადირეების უფროს თაობას ნაღირობა მშვილდ-ისრით დაუწყია. მაგალითად, ურაველი მონადირის ნ. რ ე ხ ვ ი ა-შ ვ ი ლ ი ს გადმოცემით ბაგშვობისას მას თვითონ უნადირია. ფრინველზე მშვილდ-ისრით. ფრინველზე სანადირო მშვილდ-ისარს კოდალა შვილდი ეწოდებოდა. კოდალა მშვილდ-ისარი მით განირჩეოდა ჩვეულებრივი ისრისაგან, რომ მას ბოლოზე წვეტის ნაცვლად რკინისავე ბირთვი ჰქონდა გაკეთებული. საფიქრებელია, რომ ამგვარი ისრით ნაღირობა ძველათ ისეთ ნაღირზე იყო გამოყენებული, რომლის ბეწვი გარკვეულ ღირებულებას წარმოადგენდა და წვეტიანი ისრით მისი გაფუჭება არ იყო სასურველი.

ძველათ მშვილდ-ისრის ფართო გამოყენებას რაჭაში მიგვითითებს აგრეთვე მისი სახელწოდების გადმოტანა თანამედროვე იარაღზე. მაგალითად, ყირიმული თოფის საცემი მექანიზმის მთავარ დინამიკურ ნაწილს შვილდი ეწოდება. შვილდი ეწოდება საგები მახის ძირითად ელემენტს, რომელიც ძალის მომცემი ნაწილის ფუნქციას ასრულებს. იგივე ითქმის დაგებული თოფის ერთერთი ძირითადი ნაწილის სახელწოდების შესახებ. კვერნის დასაჭერი ხაფანგის უმნიშვნელოვა-

შეს ნაწილს კიპორ ჭი¹ ეწოდება (თუმცა ამ შემთხვევაში მხოლოდ ფორმალური მსგავსება არსებობს და დანიშნულების მიხედვით კიპორჭა და ქიბურჯა შორის არავითარ კავშირს არა აქვს აღვილი). ნანადირევის განაწილებისას იმ ნაწილს, რომელიც ეძლეოდა მონადირეს, როგორც გაფუჭებული ისრის ღირებულება, ძველათ საის რეს უწოდებდნენ და სხვა. საყურადღებოა, რომ ყველა ზემოთ-აღნიშნულ შემთხვევებში (ვარდა კიპორჭისა) მშვილდის სახელწოდება გადმოტანილია ახალი ტიპის იარაღებზე არა ფორმალური ნიშნებით მსგავსებისა, არამედ დანიშნულებისა და შესრულებული ფუნქციის იგივეობის საუძველებელზე. ასე მაგალითად, მშვილდის სახელწოდებით აღნიშნება ყირიმული თოფის საცემი მექანიზმი და ხაფანგის ნაწილი იმდენად, რამდენადაც თრივე შემთხვევაში აღვილი აქვს პოტენციალურად დაგროვებული ძალის უეცარ გამოყენებას დრეკადი კონსტრუქციის საშუალებით. ამათუმი სხეულისათვის პირველდაწყებითი მოძრაობის მისაცემად.

მშვილდ-ისრის ტიპების რაჭაში დამოწმებული სახელწოდებანი და მათი დანიშნულება სავსებით ემთხვევა ამ საკითხის გარშემო ლიტერატურაში არსებულ ცნობებს. მაგალითად, ვახ უშ ტი, აღწერს რა ქართველების საჭურველს, აღნიშნავს:

„არამედ ისარი ბოძალი დიდთა ნადირთათვს, ქეიბური მწეცთათვს, სარჩა და ქიბურჯი წვრილთა ნადირთათვს“².

ისართა სხვადასხვა ტიპის აღწერისას ს. ორ ბეჭიანი შემდეგ აღწერილობასა და ტერმინებს გვაწვდის: ქეიბური—სარჩზე „უგრძესი, პირდიდი და ფრთემაღალი“ ისარია; სარჩა—„ზომიერი ისარი—ფრთემობრტყე და პირმობრტყე“, ქიბურჯი—„სარჩის მსგავსი და პირგანპებული“, ყოდალი—„სარჩის ტოლი, სამფრთოსანი, უპირო, წვერმრგული“, ხოლო ბოძალი—„ქეიბურის მსგავსი პირდიდი და განპებული“³.

მშვილდ-ისრის ზემოთაღნიშნულ ნაირსახეობიდან რაჭაში დღეს შემონახულია ქოდალა მშვილდის და ბოძალის კვალი. ჯილა-მშვილდი გამოყენებული ყოფილა დასაგებად, რაც შეეხება ქიბურჯს, მისი სახელია მხოლოდ შენახული კვერნის დასაჭერი ხაფანგის ერთერთ ნაწილში კიპორჭის სახით.

¹ კიპორჭი—ქიბორჯი ს. ორ ბეჭიანის განმარტებით „პირგანპებული“ ისარია, იხ. მისი ლექსიკონი, დასახ. გამ., სიტყვასთან ისარი.

² ვახ უშ ტი, საქ. გეოგრაფია, დას. გამ., გვ. 8.

³ ს. ორ ბეჭიანი, ქართული ლექსიკონი, დას. გამ., სიტყვასთან ისარი.


3. მახვ-ხაფანგები

რაჭაში, ნადირობის ორგანიზაციის პროცესში, მნიშვნელოვანი აღვილი ჰქონდა დათმობილი სხვადასხვა სახის მახეებსა და ხაფანგებს. ამ შემთხვევაშიც მახე-ხაფანგის რაჭაში დამოწმებული საკმაოდ ძველი ტიპების ნაირსახეობა და მათი დაგების წესები საკუსებით დამყარებულია ნადირის თვისებაზე და მისი ადგილ საყოფელს თავისებურებაზე.

მახე-ხაფანგის ემპრიონი თვით ადამიანში უნდა ვეძიოთ; სახელდობრ, ნადირობის იმ წესში, როდესაც პირველყოფილი მონადირე მიღამოსთან შეხამებული ურთ ხელში მისატყუარით, ხოლო მეორეში იარაღით განაბული იწვა და ელოდებოდა ნადირს. მხოლოდ შემდეგში იყო გამომუშავებული მახე-ხაფანგების მთელი სისტემა, სადაც ადამიანი მექანიკური ძალით იყო შეცვლილი, რამაც მეტად გააფართოვა ნადირობის შესაძლებელი ეფექტურობა. მახე-ხაფანგის შემდეგი განვითარება მათი სხვადასხვა ნადირზე და სანადირო გარემოზე სპეციალიზაციის გზით მიიმართებოდა. მახე-ხაფანგის სპეციალიზაციისა და მათი ნაირსახეობის ნიმუშს რაჭაში დამოწმებული ქვემოთ ჩამოთვლილი მახე-ხაფანგები გვაძლევს.

1. კოდი იმმარებოდა უმთავრესად კვერნაზე. მას ამზადებდნენ შემდეგი წესით: მოსკოვიდნენ ხის მორს სიგრძით ერთ მეტრაზე, დიამეტრით 0,5 მეტრამდე. გააპობდნენ მას შუაზე და ამოულარავდნენ ლრმად გულს ნაპირებზე კედლების დატოვებით. ერთ ნაწილს დაამაგრებდნენ მიწაზე ამოღარული გულით ზემოთ, ხოლო მეორე ნაწილის ერთ წიბოს დაამთხვევდნენ ქვედა ნაწილის სათანადო წიბოს. მეორე წიბო აწეული იყო და დაცილებული ქვედა ნაწილის შესატყვის წიბოს ისეთი მანძილით, რომ კვერნა შეტეულიყო შიგ. ამგვარად „პირდაბჯენილ“ კოდს მოაწყობდნენ ისეთ აღგილებში, სადაც მონადირეებს კვერნა ეგულებოდათ. კოდის ზედა ნაწილი დაყრდნობილი იყო ირიბად გაკეთებულ სასხლეტზე, რომლის ოდნავი შერხევა მის ასხლეტას გამოიწვევდა და კოდის ზედა ნაწილის დაცემას პირისპირ ქვედა ნაწილისა. სასხლეტის ძირზე დაამაგრებდნენ ხორცის ნაჭერს და კოდის ზედა ნაწილს შეხამებისა და სიმძიმის მიზნით შემოულაგებდნენ ბუჩქის ტოტებს და ზემოდან წააყრიდნენ ქვას. ხორცის სუნით მიტყუებული კვერნა მივიდოდა კოდთან, და როდესაც დაუწყებდა ხორცს ჭამას, ოდნავ დამაგრებული სასხლეტი შეირხევოდა, ასხლტებოდა და კოდის ზედა ნაწილი მთელი თავისი სიმძიმით დაეცემოდა კვერნას. რადგან კოდი


ნაპირებზე კედლები ჰქონდა დატოვებული კვერნა ემწყვდეოდა კოდში და მონაღირის მსხვერპლი ხდებოდა. მონაღირე ნახავდა დასხლეტილ კოდს, ჯერ ხელით შესწონიდა მას, გაიგებდა კვერნა გაება შიგ თუ თავისით დასხლტა კოდი, — რის შემდეგ ან ამოიყვანდა კვერნას, ან ხელახლა გააწყობდა კოდს. ასეთი ხაფანგი იხმარებოდა უმთავრესად კლდის კვერნაზე (სურ. 9).



სურ. 9. კოდი (ს. წესი)

2. გობი იხმარებოდა უმთავრესად კვერნის დასაჭერად, განსაკუთრებით კლდის კვერნის დასაჭერად. გობს აგრეთვე ხის მორისაგან ამზადებდნენ, რომელსაც გააპობდნენ შუაზე და ამოულარავდნენ გულს. მაგრამ ამ შემთხვევაში შიღებულ ორ ნაწილს ერთმანეთს არ დაამთხვევდნენ ცალი წიბოთი. ქვედა ნაწილს ოთხივა კუთხეში ითხი ვიწრო მანჭო ჰქონდა ჩამაგრებული ვერტიკალურად, ხოლო ზედა ნაწილს შესატყვის ადგილებში ითხი ნახვრეტი ჰქონდა ამოლებული მანჭოს დიამეტრის შესატყვისი იმ ანგარიშით, რომ გობის ზედა ნაწილის ამ ნახვრეტებში მანჭო იოლად გატეულიყო, გობის ზედა ნაწილს მანჭოების სიმაღლის დონეზე მოათავსებდნენ იმგვარად, რომ გობის ქვედა ნაწილის მანჭოები მორგებული ყოფილიყო გობის ზედა ნაწილის შესატყვის ნახვრეტებში.

ამგვარად მოწყობილი გობის ზედა ნაწილი თავრსუფლად მოძრაობდა მანქოების მიმართულებით თვით მანქოებზე. გობის ორივე ნაწილის ასეთი დაკავშირება უზრუნველყოფდა გობის ზედა ნაწილის ქვედა ნაწილზე სრულ დამთხვევას მისი დაცემის შემთხვევაში (სურ. 10). ამგვარად დამზადებულ გობს მოაწყობდნენ ისეთ ადგილას, სადაც კვერნა ეგულებოდათ. ამასთანავე გობის ზედა ნაწილი ქვედა ნაწილზე დაბჯენილი იყო რიკით ზედ შებმული ხორცის ნაჭრით (იგივე სასხლეტი), რომლის შერხევა მის დასხლეტას გამოიწვევდა, რასაც უნდა მოჰყოლოდა გობის ზედა ნაწილის დაცემა ქვედა ნაწილზე წიბოების სრული დამთხვევით. ისევე, როგორც კოდის დაგების შემთხვევაში, გობის ზედა ნაწილი შენიღბული იყო ფიჩითა და ლეშქით, ხოლო ზემოადან მას წაყრილი პქონდა ხრეში და ქვები, რათა ასეთი წესით დამძიმებული გობის ზედა ნაწილი უფრო სწრაფად და უფრო მაგრად დასხლეტილიყო და დასცემოდა გობის ქვემო ნაწილს. ხორცით მიტყუებული კვერნა აქაც ემწყვდეოდა დაკეტილ გობში.




სურ. 10. გობი (ს. წესი).

3. საგები გამოყენებული იყო უმთავრესად კურდლელზე, მელანე, კვერნაზე, ნაწილობრივ არჩეზე. მეტად საინტერესო, მარტივი და ეფექტური მოწყობილებაა (სურ. 11). მის ძირითად დინამიკურ ძალას ძირეული ხე წარმოადგენდა (მუხა, რცხილა, წითელა). ან, იმ შემთხვევაში, თუ ნაღირის სავალ ბილიკთან ახლო ასეთი არ აღმო-

4. კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში.

ჩნდებოდა, საგანგებოდ მოჭრილი ხის დიდი დრეკადი ტოტი: უკანასკნელ შემთხვევაში ხის ტოტს ფართო ბოლოთი ჩამაგრებდნენ მიწაში იმ ბილიკთან ახლო, საღაც მოსალოდნელი იყო ნადირის გავლა. ძირეული ხის ან შტოს ჭრივის გადმოლუნავდნენ ბილიკის მიმართულებით იმ ანგარიშით, რომ შტოს ას ძირეული ხის დრეკადობის ძალა რაც შეიძლება მეტი ყოფილიყო. მას ჭვერზე



სურ. 11. საგები (ს. გლოლა).

მიბმული ჰქონდა ბაწრის მარყუჟი, რომელიც გატარებული იყო ბილიკის ნაპირთან ჩასმულ მანჭოში. მარყუჟის ბაწარს იქ, საღაც იგი გადიოდა მანჭოში, გაკეთებული ჰქონდა ერთი ნასკვი. ნასკვა არ უნდა დაეშალა მარყუჟის მოძრაობისათვის მანჭოში. მანჭოსა და ნასკვს შორის გაკეთებული იყო ხის პატარა ნაჭერი ცინცა, რომელიც ამაგრებდა ძირეულ ხეს ან ხის შტოს გადმოლუნულ მდგომარეობაში. ამგვარად, მარყუჟი თავისუფალ მდგომარეობაში ეკიდა მანჭოზე და ნადირს არ შეეძლო გავლა ბილიკზე ისე, რომ ასცდენოდა მარყუჟს.

ბილიკზე დაგდებული ხორცის ნაჭრით მიტყუებული ნადირი გაჰყოფდა თავს მარყუჟში, შეარხევდა მას, ამოაგდებდა ცინცას და ტანში ძლიერად აშლილი ხე ან ხის ტოტი მარყუჟში მოქცეულ ნადირს მიაკრავდა მანჭოზე.

დამოწმებულია აგრეთვე ამგვარი ხაფანგის მეორე სახეობა. ამ შემთხვევაში ხაფანგის ძირითადი მოწყობილება და პრინციპი მეორება, გარდა რამდენიმე დეტალისა. სახელდობრ, საგების მეორე უარიანტის პირობებში გადაღუნული ძირეული ხე, ან ჩის შტო მანჭოს კბილზეა დამაგრებული. მარყუჟი მანჭოში არ გადის, არამედ გვერდზე უვლის მას. სასხლეტის ასხლეტის შემთხვევაში ძირეული



სურ. 12. ფრიკალა (ს. გლოლა).

ხე ან ხის შტო იმართება წელში, მარყუჟით აიტაცებს ნაღირს და ჰაერში აჩერებს მას.


ორივე შემთხვევაში ზემოხსენებული მოწყობილება შედგება ძირეული ხისა (ან ხის შტოისა), მანჭოსა, ბაწრის მარყუჟისა და სასხლეტი რიკისაგან — ცინკასაგან.

4. ფრიკალა გამოყენებული იყო განსაკუთრებით კვერნის და საჭერად (სურ. 12). აგებდნენ წყალზე, ლელეზე, ქვასა და ქვას შუა იმ მოსაზრებით, რომ კვერნა საერთოდ ერიდება წყალს, ეჯავრება ფეხის დასუელება, ქვიდან ქვაზე ხტუნაობით გადადის ლელეზე ან ექებს ბუნებრივად გახილულ ხეს, რომლის საშუალებითაც გადადის.

ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე. ფწვალის აგებულების პრინციპია და დასაგები აღგილი კვენის ამ თვისებაზეა დამყარებული. ფწვალის დასაგებად იღებდნენ ხის მომსხვილო ტოტს, რომელსაც დასდებდნენ წყალგადასავალზე ქვასა და ქვას შეა ან, თუ ღელე პატარა იყო, ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირამდე. ხის მომსხვილო ტოტს, გადადებულს წყალზე ზემოხსენებული წესით, გარდი-გარდმო უნაგირივით დაადგამდნენ ორბოძალ ჯოხს, რომელსაც სახელად კიპორჭი ეწოდებოდა. კიპორჭი თავისუფლად უნდა ყოფილიყო დადგმული გახილული ხის მორზე იმ ანგარიშით, რომ ხეზე გამავალი კვერნა იოლად გატეულიყო კიპორჭის ქვეშ. კიპორჭს შუაში ჩამოკიდებული ჰქონდა ცხენის ძუსაგან დაგრეხილი მარყუე, ე.წ. თვალი. თვალის დიამეტრი დაახლოებით ემთხვევოდა კიპორჭსა და გასავალ ხეს შორის დატოვებულ სივრცეს იმ აუცილებელი პირობით, რომ იგი კვერნის მკერდზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. კიპორჭის ერთი მხარე ზოგჯერ გრძელი ბაწრით იყო დაკავშირებული თვით გასავალ ხესთან, ხოლო მეორე მხარეს თოკი ჰქონდა მობმული, რომელიც მძიმე ქვას უერთდებოდა. ეს ქვა შედგმული უნდა ყოფილიყო გასავალ ხეზე, ან ბახლობელ ქვაზე ისეთ მდგომარეობაში, რომ მისი ოდნავი შერხევა მის ჩავარდნას გამოიწვევდა წყალში. სასხლეტის როლს ამ შემთხვევაში ასრულებდა ამგვარად შედგმული ქვა. კვერნა გაივლიდა ხეზე, გაებმებოდა მარყუეში, დაიწყებდა ფართხალს, შეარხევდა კიპორჭს და ზედ დაამაგრებულ ქვას. ცინცად შემდგარი ქვა დასხლტებოდა, ჩავარდებოდა წყალში და თავისი სიმძიმით ჩაიტანდა წყალში კიპორჭს და ზედ მარყუეით დაბმულ კვერნას, სადაც უკანასკნელი იხრჩობოდა.

5. სარეგველა შეიძლება სხვადასხვა ზომისა იყოს იმის მიხედვით, თუ რა ნადირის შესაპყრობად არის იგი გათვალისწინებული. რაჭაში დამოწმებულ სარეგველას კვერნაზე ხმარობენ, ამიტომ იგი დიდი ზომისა არ არის. სარეგველა იმავე პრინციპზეა აგებული, როგორზედაც აგებულია გობი ან კოდი, ან ე.წ. ჩელტი, რომელსაც შემდეგში შევეხებით, ე.ი. ვერტიკალური სასხლეტის დასხლეტისა და სიმძიმის დაცემის პრინციპზე (სურ. 13). სარეგველა მიწაზე აგებდნენ და კვერნას რომ არ ჰქონოდა საშუალება მისთვის გვერდი აეხვია, — იყენებდნენ სარეგველას შემდეგ კონსტრუქციას. იღებდნენ ხის ორ ძელს სიგრძით 2,5 მეტრამდე. ქვედა ძელის ერთ ბოლოს მიწაზე მიაბჯენდნენ და დაამაგრებდნენ, ხოლო შეორებოლოს მიწის ზედაპირიდან 1,5 მეტრის მანძილზე დააგებდნენ. ძელის აწეულ ბოლოს დაამაგრებდნენ მის ორივე მხრიდან ვერტიკალურად.

ჩასმულ მანქოების საშუალებით, რომელთა სიგრძე დედამიწის ზედაპირიდან 2 მეტრს აღწევდა; ხის მეორე ძელს, რომლის სიგრძე ქვედა ძელის სიგრძისა უნდა ყოფილიყო, ერთი ბოლოთი დაამაგრებდნენ იმ ადგილზე, სადაც ქვედა ძელი იყო დამაგრებული მიწაში. ზედა ძელის ეს ბოლო თავისუფლად უნდა ყოფილიყო დამაგრებული, რომ ზედა ძელის მეორე ბოლოს აწევა და დაწევა ყოფილიყო შესაძლებელი. ზედა ძელს დააწევენდნენ ქვედა ძელზე. შემდეგ, რო-



სურ. 13. სარეგველა (ს. ლები).

დესაც შეუდგებოდნენ სარეველას დაგებას, ზედა ძელის თავისუფალ ბოლოს ასწევდნენ 0,5 მეტრის მანძილზე მეორე ძელის ბოლოდან, ე. ი. ზედა ძელის ეს ბოლო დაკილებული იყო დედაპირიდან დაახლოებით 2 მეტრით; ხოლო რომ ზედა ძელი არ დაშვებულიყო ძირს, ქვედა და ზედა ძელს შუა გაუკეთებდნენ სასხლეტს. თითქმის ვერტიკალურად დადგმული სასხლეტი იჭრდა ზედა ძელს. სასხლეტს მოაბამდნენ ხორცის ნაჭერს კვერნის მისატყუებლად. ხორცის სუნზე კვერნა მოვიდოდა სარეგველასთან; მაგრამ მიწიდან ხორცს იგი, რათქმაუნდა, ვერ შესწევდებოდა. იგი მივიდოდა სარეგველას იმ ნაწილთან, რომელიც მიწის ზედაპირზე იყო დამაგრებული, შეხტებოდა ქვედა ძელზე, აჰყებოდა მას და დაუწყებდა

ხორცის ჭამას. ხორცის შერხევა სასხლეტის დასხლეტას იწვევდა შეღეგად, რასაც ზედა ძელის ქვედა ძელზე დაცემა მოჰყვებოდა. ასეთი წესით დაცემული ზედა ძელი მოჰკლავდა — მორეგვავდა კვერნას. ზედა ძელის სრული დამთხვევა ქვედა ძელზე უზრუნველყოფილი იყო იმ ორი პარალელური მანქოთი, რომლებიც სარეგველას აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა და გაკეთებული ჰქონდა მას აწეულ ბოლოსთან.

სარეგველა ს. ორბელიანსაც იქვს მოხსენებული, როგორც გარკვეული ტიპის მახეთა ზოგადი სახელწოდება. აქაც ს. ორბელიანის განმარტება მახე-ხაფანგის ავების გარკვეული პრინციპის კლასიფიკაციაზეა აგებული. საბას შემდეგი ცნობა აქვს მოცემული სარეგველას შესახებ:

„არს მახე დიდის მყეცით თაგვამდე სხუა-და-სხუა რიგად თავს დასაცემელი“¹. როგორც ეტყობა ს. ორბელიანი სარეგველაში ზედავდა მახე-ხაფანგების იმ მთლიან ჯგუფს, რომელიც ამგვარი დაცემის პრინციპზე იყო აგებული. რაჭაში სარეგველა შემონახულია, როგორც კერძო შემთხვევის აღმნიშვნელი ტეომინი.


6. ჩელტი გამოყენებული იყო წავის დასაჭერად. მისი აგებულების პრინციპი იგივეა, რაც კოდისა და გობის შემთხვევაში. ამდენად წავის დასაჭერი ჩელტი სარეგველას ჯგუფს მიეკუთვნება, მაგრამ აგების ტექნიკის თვალსაჩინისით იგი განსხვავდება კოდისა ან გობისაგან და მით უმეტეს რაჭული სარეგველასაგან. ჩელტი წარმოადგენს სამ სარჩე მოწნულ ფარს სიგანით 1 მეტრამდე, ხოლო სიგრძით 2 მეტრამდე. სასურველია, რომ ნაწინავი მტკიცე იყოს. აღნიშნულ ჩელტს დააგებდნენ ზამთარში მდინარის პირზე ისეთ ადგილებში, საღაც წავს გამოსვლა უყვარდა ღამით და თამაში. ასეთი ადგილების დაფგენა ხდებოდა წავის ექსკრემენტების მიხედვით. წავი წყალში იჭერს საკვებ თევზს, ხოლო საჭმელად ნაპირზე გამოაქვს იგი. ჩელტის ერთი წიბო, მისი სიგანის მიხედვით, დადებული და დაყრდნობილი იყო რიყეზე, მეორე — აწეული იყო რიყის ზედა-პირიდან ისეთ სიმაღლეზე, რომ წავი შეტეულიყო ჩელტის ქვეშ. ჩელტი ასეთ მდგომარეობაში გამაგრებული იყო ისევე სასხლეტით. სასხლეტს წავის მისატყუებლად თევზი ჰქონდა დამაგრებული. თევზის სუნით მიტყუებული წავი დაუწყებდა ჭამას თევზს, შეარხევდა სასხლეტს, დაშლიდა მას და ჩელტის ქვეშ მოჰყვებოდა. ჩელტს

¹ ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, დას. გამ., სიტყვასთან მახვ.

ზემოდან სიმძიმისათვის წაყრილი ჰქონდა ქვიშა-ხრეში, რომელიც ამავე დროს შენიღბვის საშუალებას წარმოადგენდა.

წავის დასაჭრად დღეს ჩვეულებრივ ხაფანვსაც მიმართავენ, რომელსაც წყალში აგებენ მდინარის ნაპირთან ახლო და ნაპირზე-ვე ამაგრებენ მას, რომ წავმა ხაფანვი წყალში არ შეითრიოს.

7. ი ს ხ ლ ე ტ ი (ს. რიცეული) ფოცხვერის დასაჭრი მოწყობილე-ბაა. ისხლეტის ან სირენჭკას პრინციპზე აგებული (სურ. 14). ფოცხვერს.




სურ. 14. ისხლეტი (ს. საკაო).

სერებსა და გეზ აღგილებში უყვარს სიარული. გარკვეული გზის გატკეპნა და შემოჩვევა იცის. ამის საფუძველზე მონადირე რომ შეიგულებდა ფოცხვერის სავალ გზას მის დასაჭრად შემდეგ ხერხს მიმართავდა. ფოცხვერის სავალ გზას 30—50 მ მანძილზე ორივე მხრიდან ღობეს ჩაუწნავდა. ღობეები დასაწყისში ისეთი მანძილით იყო დაცილებული ნადირის სავალი ბილიკისაგან, რომ ნადირს იგი ვერ შეემჩნია. შემდეგში ღობეები ზემოთაღნიშნულ მანძილზე ორივე მხრიდან უახლოვდებოდა ბილიკს; ბოლოში ღობეები იმდენად უახლოვდებოდა ერთმანეთს, რომ მათ შორის მხოლოდ ბილიკი რჩებოდა, ისიც ისეთი სიგანის, რომ ფოცხვერი გატეულიყო. ამგვარად ღობეების განლაგება სამკუთხედს წააგავდა,

რომლის წვერი და მომავალი ბილიკი სოფლისაკენ იყო მომართული და რომლის ფუძე ლიაღ იყო. დატოვებული ფოცხვერის შესასვლელად. სამ-კუთხედის ვიწრო ყელში, იმ ადგილას, სადაც ლობეები მაქსიმალურად უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, და სადაც მხოლოდ ფოცხვერის გასას-ვლელი ადგილი იყო დატოვებული. დააგებდნენ ხაფანგს. ხაფანგის დასაგებ ადგილს შეურჩევდნენ იქ, სადაც ნორჩი ხე ეგულებოდათ, ხე დრეკადობის უნარის მქონე. უკანასკნელს გაღმოღუნავდნენ, მოღუ-ნული ხის ტანში გააკეთებდნენ ნახვრეტს, რომელშიც გაატარებდნენ ბაწარს. ბაწარს გაკვანძავდნენ ოდნავ ისე, რომ კვანძი თავისუფლად გატეულიყო ნახვრეტში. ხის მოღუნულ მდგომარეობაში გასაჩერე-ბლად იცოდნენ კვანძის გამაგრება რიკით. რიკს მოაბამდნენ თოკს, რომლის მეორე ბოლო დაკავშირებული იყო ფიცართან. ფიცარი იდვა ფოცხვერის სავალ ბილიკზე და მისი ერთი მხარე ოდნავ იყო აწეული ზევით რიკზე დამაგრებული თოკის საშუალებით. გადმო-ღუნული ხის ბოლოზე ება ცხენის ძუისაგან მაგრად მოქსოვილი მარ-ყუე, რომლის თვალი აგრეთვე ბილიკზე იყო გაშლილი ფიცრის გარშემო. მთელი ეს მოწყობილება, რათქმაუნდა, შენიღბული უნდა ყოფილიყო. რადგან ფოცხვერს სხვა გასავალი არა ჰქონდა, იგი ფეხს ადგანდა ფიცარს, დაწეული ფიცარი ამოაგდებდა რიკს, წინააღ-მდეგობისაგან განთავისუფლებული ხე აიშლებოდა და ხის ტანზე მიაკრავდა თვალში გაბმულ ფოცხვერს. მთელი მოწყობილება შე-დარებით მკვიდრად უნდა ყოფილიყო აგებული. გარდა ამისა, დი-დი ყურადღება ექცეოდა შენიღბვას, რომლისთვისაც ხმარობდნენ ფიჩს, ხმელ ფოთოლსა და სხვ.

8. თოფის დაგება (სურ. 15) უმთავრესად დათვზე და მე-ლაზე იცოდნენ. თოფის დასაგებად მიმართავდნენ შემდეგ ხერხს. წი-ნასწარ შერჩეულ ადგილს, უმთავრესად ბილიკს, სადაც ნატირი ჰყავდათ დაცდილი, ორივე მხრიდან ჩაურკობდნენ მაგარ მანჭოებს. ბილიკის ერთი მხრიდან ორი მანჭო იყო ჩასმული, ხოლო მეორე მხრიდან ერთი. მანჭოების სიმაღლე ადამიანის მუხლის დონეზე უნდა ყოფილი-ყო გასწორებული, რაც დაახლოებით დათვის ბეჭის მღებარეობას ემიზნებოდა. ბილიკის ერთ მხარეზე ჩასმულ ორ მანჭოზე ბაწ-რით დააბამდნენ თოფს, რომლის ლულა. ბილიკის მეორე მხარეზე დასმულ მანჭოს ემიზნებოდა; ტყვიის შესაძლებელი მოძრაობის ხაზი ბილიკის პერპენდიკულარს წარმოადგერდა და ვარაუდით ტყვია ბილიკის გადაღმა დასმულ მანჭოს უნდა მოხვედროდა. მანჭოებში დამაგრებული თოფის უკან დაგებული იყო სირენჭკა, რომლის წვე-რი გადაღუნული იყო თოფის ლულის მიმართულების საწინააღმდე-

გოდ. მისი მოღუნულ მდგომარეობაში დაყოვნება იმავე წესით სრულდებოდა, რომელიც ჩვენ მიერ აღნიშნული იყო ფოცხვერის საგების აღწერის დროს. სირენჭკას მოღუნული წვერი თოვით იყო დაკავშირებული თოფის ჩამახის ფეხთან, ხოლო რიკს, რომელიც ამაგრებდა ხეს მოღუნულ მდგომარეობაში, მობმული ჰქონდა ძეორე ბაწარი. ბაწარი გადაჭიმული იყო ბილიკის მიმართულებით და მისი მეორე ბოლო ბილიკის მეორე მხარეზე ჩასმულ მანქოზე იყო მაგრად




სურ. 15. დაგებული თოფი (ს. წესი).

დაბმული. შენიღბვის თვალსაზრისით თოკის ის ნაწილი, რომელიც ბილიკზე მოდიოდა, შეცვლილი იყო ხოლმე მაყვლის. ტოტით. თოკის დაგების სქემა გასაგებია. მაყვლის ტოტს რომ შეეხებოდა დათვი ამით იგი დასკიმავდა მთლიანად ბაწარს, რომელიც საკეტში დამაგრებულ რიკს ამოაგდებდა ბუდიდან, რის შემდეგ სირენჭკა ასხლტებოდა და უცაბედი გაწევით დასკრიდა თოფს. ნასროლი ტყვია, ყოველ მიზეზს გარეშე, გამიზნულ ადგილში ხელებოდა ნაღირს. და, უმეტეს შემთხვევაში, ადგილზევე ჰქლავდა მას.

ამასთან ერთად არსებობდა თოფის დაგების მეორე, უფრო ვამარტივებული წესი. ამ შემთხვევაში სირენჭკას არ ხმარობდნენ. თოფის ჩამახის ფეხზე მობმული ბაწარი თოფის თათის მიმართუ-

ლებით იყო წალებული და იქ, სადაც პირველ შემთხვევაში სირენჭკა, იყო დაგებული, მესამე მანჭოს ჩასობდნენ ხოლმე. თოკს ერთხელ შემოავლებდნენ მესამე მანჭოს გასიაბულ ზედაპირს. შემდეგ მას და-აბრუნებდნენ თოფის ლულის მიმართულებით, გაატარებდნენ ბი-ლიკზე და ისე დააბამდნენ ბილიკის მეორე მხარეზე მდგარ მან-ჭოზე. ნადირის მიერ დაჭიმული ბაწარი უშუალოდ მოქმედებდა.



სურ. 16. დაგებული თოფი (ს. გლოლა).

თოფის ჩამახის ფეხზე და „სცლიდა“ მას. ბილიკის მეორე მხარეზე დასმულ მანჭოს, გარდა იმისა რომ იგი თოკის დამაგრების საშუალებას წარმოადგენდა, მნიშვნელობა ჰქონდა კიდევ იმ თვალსაზრი-სით, რომ იგი შემთხვევით დაცლილი თოფის ტყვიას იქვე ახლო გააჩე-რებდა, ე. ი. შესაძლებელი საფრთხის წინააღმდეგ იყო მიმართული.

თოფის დაგების მეორე ტიპი დამოწმებულია აგრეთვე იშე-რეთში: „დათვის მოსაკლავად ვიცოდით — გამოწყობილი თოფი იყო მიკრული ხეზე. ჩამახის ფეხს გამობმული ჰქონდა ბაწარი და ეს ბაწარი გაბმული იყო სხვაგან, რა გაედებოდა დათვი — გაისროდა და მოჰკლავდა“¹.

¹ 6. რესვიაშვილი, იმერეთის 1937 წლის ექსპედიციის დღიურიდან.

ანალოგიური წესი თოფის დაგებისა რაჭაშიც არის დამოწმებული იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში ბაწარი ჩახმახის ფეხს უშუალოდ არ უკავშირდება და მიბმულია ჩახმახში გაყრილ რიკე (სურ. 16, 17).

მონაცირეთა გადმოცემით ძველათ მშვილდ-ისრის დაგებაც სცოდნიათ. მშვილდ-ისრის დაგების ძველათ არსებული წესის აღდგენა ვერ მოხერხდა, ხოლო საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაშიც მთავარ მამოძრავებელ ძალას სირენჭეა წარმოადგენდა. როგორ იყო



სურ. 17. დაგებული თოფი (ს: გლოლა).

სირენჭეა დაკავშირებული მშვილდ-ისართან ამის თქმა ახლა ძნელია და შესაძლებელია სხვა ქართველ ტომთა ეთნოგრაფიულ სინამდვი-ლეში შემონახულმა მასალამ ამ საკითხს შუქი მოპტინოს. თოფის დაგების თანამედროვე წესი ჰიპოთეტურად გვაფიქრებინებს, რომ ისრის დაგებაც იმავე წესით უნდა ყოფილიყო აგებული, იმ განსხვავებით, რომ მანჭოზე დამაგრებული იქნებოდა არა თოფი, არამედ ხელთოფის მსგავსი მოწყობილება, რომლის ისარი ლარზე დადებულიად უნდა ვიგულისხმოთ იმავე სიმაღლეზე და იმავე მიმართულებით, რაც თოფის დაგების შემთხვევაში. თვით სირენჭეა, მთავარი დინამიკური ძალა, ასეთ პირობებში გადაღუნული წვერით ხელთოფის მიმართულებით უნდა ყოფილიყო გაწყობილი, რომლის წვერი-


უშუალოდ უკავშირდებოდა ისრის კილოს. რეკის ასხლეტისას ავარ-დნილი სირენჭებას. წვერი უზრუნველყოფდა ისრის პირველდაწყებით ძალასა და მის მიმართულებას.

9. მაკრატელა წარმოადგენს ხის მეტისმეტად პრიმიტიულ მოწყობილებას, რომელიც იხმარებოდა სპეციალურად დათვის და-საჭერად. მონადირეები შეიგულებდნენ რა დათვს ბერი ში (ასეთი წესით ნადირობა უმთავრესად ზამთარში იცოდნენ), მიიტანდნენ ბერისთან ორ დიდ ძელს ერთ ბოლოში მაგრად გადალვლენჭილს, მაკრატელას მოწყობდნენ ბერის პირზე იმგვარად, რომ ერთი ძელი დედამიწის ზედაპირზე ყოფილიყო დაყრდნობილი, ხოლო მეორე ძელი ბერის ზედა ნაწილის ღონეზე იმყოფებოდა. შემდეგ დაიწყებ-დნენ დათვის გაღიზიანებას. გაჯავრებული დათვი გამოჰყოფდა თუ არა თავს ბერიდან მაკრატელას დაჰკეტავდნენ, ე. ი. ზედა ძელს დაუშვებდნენ ქვედა ძელის შიმართულებით. მონადირეები მთელი თავისი სიმძიმით დაწვებოდნენ ზედა ძელს და ამგვარი წესით მოჰკვდავდნენ მას.

10. ფიცრის ხაფანგი გამოყენებული იყო უმთავრესად დათ-ვზე. წარმოადგენდა დიდსა და მძიმე ფიცარს, რომელიც დამაგრებუ-ლი იყო მიწაზე იმ ანგარიშით, რომ დათვს არ დაეძლია. ფიცრის ზედა-პირზე დასობილი იყო მრავალი რეკის შუბიკი, ისრის წვერების შეგავსი, მახვილი წვერით მაღლა მიმართული. ხსენებულ შოწყობი-ლებას დასდებდნენ ნადირის სავალ ბილიკზე და ზედ გადააფარებ-დნენ ფოთოლსა და ფიჩხს შენიღბვის მიზნით. ნადირი, შედგამდა რა ფეხს ფიცრის ხაფანგზე, ფეხით დაეგებოდა ისრის წვერებს, ერ-თი ფეხის გასათავისუფლებლად მეორე ფეხს მოიხმარდა, შემდეგ მესამეს და ასეთი წესით ოთხივე ფეხით დაეგებოდა ფიცარზე. და-თვის საჭერი ასეთი მოწყობილება მხოლოდ ერთ ადგილზე შეგვხვ-და, კერძოდ ს. წესში, და ამის შესამნებლად სხვა ადგილებში შემთხვევა არ მოგვცემია. თავისთავად საინტერესო მოწყობილებაა, რადგან თავისებურ პრინციპზეა აგებული.

11. მოწნული ხაფანგი (სურ. 18) გამოყენებული ყოფილა უმ-თავრესად მგელზე. მოწნული ხაფანგის აგების ტექნიკა და მასალა აგრე-თვე მეტად პრიმიტიულია, თვითონ პრინციპი მეტად გონებამახვილუ-რი. ზემოხსენებული ხაფანგი წარმოადგენდა წნელისაგან მაგრად, მჭიდროდ მოწნულ ცილინდრისებრ ძარს სიმაღლით 1,5 მეტრამდე, დიამეტრით 0,8 მეტრამდე. ხსენებულ ძარს მაგრად ჩაარჭობდნენ მიწაში ისეთ ადგილას, სადაც მგელი ეგულებოდათ. ამ ცილინდრის გარშემო მეორე ცილინდრს შემოუწნავდნენ იმ ვარაუდით, რომ მათ

შორის კორიდორი დარჩენილიყო სიგანით 0,7—0,8 მეტრამდე. ორივე ძარი, რათქმაუნდა, გადახურული იყო. გარე ძარს გაკეთებული ჰქონდა შიგნით შესალები კარები იმ ვარაუდით, რომ იგი ლია მდგომარეობაში შეხებოდა შიდა ძარის კედელს. შიდა ძარში ნაღირის მისატყუებლად ჩასვამდნენ თიკანს ან გოჭს. სიცივითა და შიმშილით შეწუხებული გოჭის ან თიკანის ხმაზე მოდიოდა ნაღირი. ამ შემთხვევაში მგელი, შეალებდა რა გარე ძარის კარებს, მოხვდებოდა მოწნული ხაფანგის კორიდორში. შიდა ძარის კედელი მგელს არ მიუშეებდა პირუტყვთან. მგელი, შემოუვლიდა რა კორიდორით შიდა ძარს, თავისი სხეულით კვლავ დაპხურდება კარებს, კორიდორში სივიწროვის გამო მობრუნების




სურ. 18. მოწნული ხაფანგი (ს. გლოლა).

უნარს მოკლებული — ემშუვდეოდა კორიდორში. მეორე დღეს მისული მონაღირები ააცლიდნენ კარებს, ჰკლავდნენ მგელს ხაფანგის გამოსავალთან.

12. ხუნ და იხმარებოდა ჯიხვის დასაჭერად. ხუნდა წარმოადგენდა მუსის ორბოძალ მორს სიგრძით 2 მეტრამდე, დიამეტრით 1,5 მეტრამდე. განშტოების შეერთებასთან ხუნდა ამოლარული იყო. კონუსის მსგავსად მორის მთელ სისქეზე. ხუნდას დაამაგრებდნენ ჯიხვის სავალ ბილიკზე ისე, რომ ამოლარული კონუსის ფართო მხარე, მისი ფუძე მოქცეულიყო ზევით. კონუსის ნაბირებს შეძლებისდაგვარად მოსიავდნენ, რომ ჯიხვს ფეხი ვერ მოეკიდნა. კონუსის წვერი ვიწრო იყო, დაახლოებით ჯიხვის ჩრდილის სისქისა. მას გვერდიდან თავისუფლად მოძრავი უგდული ჰქონდა გაკეთებული ირიბად. თავის-

უფალ მდგომარეობაში კონუსი დეკეტილი იყო ხსენებული უგდულით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონუსში ჯიხვის ფეხი მოხვდებოდა, იგი ვანზე გასწევდა უგდულს და რაღაც ჯიხვის წვივი უფრო ვიწროა, ვიდრე მისი ჩლიქი, ჩლიქით გვერდზე გაწეული უგდული თავის სიმძიმის ძალით უბრუნდებოდა თავისუფალ მდგომარეობას და კოჭითა ჰკეტავდა ჯიხვის ფეხს ხუნდაში (სურ. 19). ლიტერატურაში ამგვარი ხაფანგი არ შეგვხვედრია, მხოლოდ ს. ორბელიანს აქვს აღნიშნული შემდეგი:



სურ. 19. ხუნდა (ს. ლები).


„საბრძე... არს მახე კუნდი, რომელსა შემზადებენ რკინითა, ანუ ხეთაგან და დაუგებენ მარჯუეთა ადგილთა დიდთა ნადირთა შესაპყრობელად“¹.

13. სარეგველას სახელწოდებას ატარებს ს. გლოლაში და მოწმებული მახე-ხაფანგის ერთი სახეობა, რომელიც სარეგველას მოწმედების პრინციპისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. იგი იღვმება ჩვეულებრივ ხის ძირში და განკუთვნილია კვერნის დასაჭრად. იგი შედგება ოთხი ფიცრისა, ორი მანჭოსა, ერთი გადასადებისაგან და ცინკასაგან. ქვედა და ზედა ფიცრარი თავისუფალ მდგომარეობაშია,

¹ ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, დას. გამ., სიტყვასთან მაზე.

ზოლო გაჩერებულია ცინკით, რომელიც თავისთავად დამაგრებულია მანქოების გაღასაღებზე ბაჭრით. ქვედა ფიცარზე კვერნის შეხტომა ცინკას ასხლეტას იწვევს, რასაც შედეგად მოჰყვება ზედა ფიცრის დაცემა. ზედა ფიცარს სიმძიმისათვის ქვა აძევს (სურ. 20).

14. ყავარი წარმოადგენს შუაზე ბრტყლად გატკეცილ ყავარს, რომლის ტკეცი ბოლომდე არ არის დასული. ყავარს გაშლილ




სურ. 20. სარეგველა (ს. გლოლა).

მდგომარეობაში აჩერებს ორივე ბოლოდან წვერშათლილი ცინკა. ყავრის ბუნებრივი დრეკადობის გაძლიერების მიზნით მას ხის მძიმე კეტი აძევს. ყავარი გაწყობილია ორი ხის შორის მიწიდან ერთი მეტრის სიმაღლეზე. ცინკაზე მიმაგრებულია ხორცის ნაჭერი, რომლის შერხევა მის ასხლეტას იწვევს, რასაც შედეგად ყავრის დაცემა მოჰყვება და ყავრის ქვეშ მოყოლილი კვერნის მორეგვა (სურ. 21).

ზემოთ ჩვენ მიერ აღწერილი იყო განსაკუთრებით ხის ხაფანგები, რომელთა აგებულების სიმარტივე, გამოყენებული მასალა (ხე, ჩელტი, ქვა) და ორიენტაცია ნაღირის ჩვევისა და მისი აღრგილსაყოფელის თავისებურებათა ცოდნაზე აშკარად მეტყველებს იმის შესახებ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ნაღირის და-

საჭერ საშუალებათა ძველ ტიპებთან. მაგრამ დღეს რაჭაში ხმა-რებაშია რკინის ხაფანგებიც, და რაღაც არის ცნობები იმის შესახებ, რომ რკინის ხაფანგები ადგილობრივადაც კეთდებოდა, ინტერესს არ იქნება მოკლებული მათი აღწერა და განსაკუთრებით მათი ნაწილების სახელწოდება.

რაჭაში დამოწმებულია რკინის ხაფანგის ორი ძირითადი ტიპი. ცალმშვილიანი, რომელიც გამოყენებული იყო წვრილფეხა ნადირის შესაპყრობად (მელა, კურდლელი და სხვა) და ორმშვილიანი, რომლითაც მსხვილ ნადირს იპყრობდნენ (დათვი, მგელი).



სურ. 21. ყავარი (ს. გლოლა).

ორმშვილდიანი ხაფანგის საფუძველს რკინის ბრტყელი რკა-ლი წარმოადგენს სახელწოდებით კალო, რომლის შიდა დიამეტრი 0,5 მეტრს აღწევს, თვით რკალის სისქე კი 2 სმ-ს. კალოზე დამაგრებულია ორი გადასახსნელი გამირი, რომელიც გადასხსნილ მდგომარეობაში კალოს ემთხვევა. გამირს მთის რაჭაში ყბებსაც უწოდებლნენ. გამირების დამაგრების აღგილზე ორივე მხრიდან გაკეთებული არის დრეკადი რკინის ორი შვილდი. მშვილდების თავისუფალი მდგომარეობის დროს გამირები ერთმანეთზეა დამთხვეული. ასეთ პირობებში ხაფანგი დაკვეტილია. ხაფანგის დაგებისათვის საჭიროა გამირების გადახსნა, მათი დამთხვევა კალოზე, მშვილდების დაწევა. და

ერთერთი გამირის დამაგრება ენის საშუალებით ისხერტვე. ისხერტი ჩამაგრებულია თასმებში, რომლითაც ამოქსოვილია კალო.

ორმშვილიან ხაფანგს გაეთებული აქვს ჯაჭვი, რომლითაც მას აბამენ მახლობელ ხეზე, რომ ნადირმა არ დაითრიოს იგი: კალოს ბანდულზე ხორცის ნაჭერი აგდია. საკმარისია ნადირმა ფეხი დააღვის ბანდულს, რომ ისხერტი შეირხევა, ენა ასხლტება გამირს და გაშლილი მშვილდები ორივე გამირს უეცრადა და ძლიერად დაპერტივს. დაკეტილ გამირებში ნადირს ფეხი მოჰყვება.

ცალმშვილდიანი გამირი იმავე პრინციპზეა აგებული იმ განსხვავებით, რომ მისი გამირები მხოლოდ ნახევრად ემთხვევიან კალოს, რისთვისაც მას მეორე მშვილდი უკვე აღარა სჭირდება.

ორივე ტიპის ხაფანგში კალოსა და გამირების შეერთების ორგვარი სახეა დამოწმებული. კალო შეიძლება გამირებთან ორგანულად იყოს დაკავშირებული და დამაგრებული, ხოლო შესაძლებელია აგრეთვე ხაფანგის ისეთი წესით დაგება, რომ კალო არ იყოს დამაგრებული გამირთან. მეორე ტიპის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ შემთხვევაში დაჭერილი ნადირი დაიწყებს თავის დახსნის ცდას და კალოს ვეღარ გააფუჭებს.

რკინის ხაფანგი იმის მიხედვით, თუ რა ნადირისათვის არის განკუთვნილი, კბილიანია ან უკბილო.

ამეამად რკინის ხაფანგების დაგებისას, ხაფანგებისათვის სხვადასხვა საცხებელს ხმარობენ, რადგან თუ ხის ხაფანგს ნადირი ყნოსთვით ვერ აუღებს ალლოს, რკინის ხაფანგის არსებობის შესახებ უცბად მიხვდება. ამ შემთხვევაში ხის ხაფანგს მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს რკინის ხაფანგთან შედარებით. საცხებლად ხმარობენ მსხალს, განსაკუთრებით პანტას, თაფლს იმ შემთხვევაში, თუ დათვს უგებენ ხაფანგს, თევზის ქონს, თუ წავის დაჭერა სურთ, და სხვა იმის მიხედვით, თუ რომელ ნადირს რა საჭმელი უფრო უყვარს.

4. თოვის წამლისა და ფინონების დამზადება

ნადირობის მატერიალური ბაზის მიმოხილვა სრულია არ იქნება, თუ არ გავითვალისწინებთ რაჭის მოსახლეობის იმ შინაგან მატერიალურ რესურსებს, რომელთა გამოყენების საშუალებით ადგილობრივი მოსახლეობა იქმაყოფილებდა ამ დარგში არსებულ საკმაოდ მოსრდილ მოთხოვნილებებს.

რაც შეეხება ძველი ტიპის იარაღს, იქნებოდა ეს საბრძოლო, სანადირო (შუბის ან ისრის წვერი), სასოფლო-სამეურნეო (სახნისი, თოხი), თუ საერთოდ პირველი მოხმარების რკინეული იარაღი, ასე-

5. კოლექტიური ნადირობის გადმონაშობი რაჭიში.

თის შესახებ არსებობს გარევეული ლიტერატურული წყაროები და მასალები შეკრებილი დაკვირვების შედეგად, რომლის მიხედვით ირკვევა მათი ადგილობრივი დამზადება. მთელი რაჭისა და ნაწილობრივ საქართველოს სხვა კუთხეების რკინეულით მომარაგების ცენტრად ს. წედისი (ჯეჯორის ხეობა) ითვლებოდა. მაღნის დამუშავების ტექნიკა და შრომის ორგანიზაცია, გამომუშავებული პროცესურის გავრცელების არეალი საკმაო დამაჯერებლობით გვიდასტურებს იმ გარემოებას, რომ რკინის დამუშავებაში სამართლიანად სახელგანთქმული ტომების რკინის დამუშავების საუკეთესო ტრადიციები რაჭაშიც ყოფილა შემონახული. ამის თვალსაჩინო საბუთს წარმოადგენს რაჭაში დღესაც მრავლად გამნეული იარაღები, გამოჭედილი ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ადგილობრივი მოსახლეობის ხელით.

მოსახლეობის ყოფაში თოფის შემოჭრამ მიმოსვლის გართულებულ პირობებში შეჰქმნა აუცილებლობა ახალი მასალის წარმოებისა ადგილობრივ საშუალებათა გამოყენების ნიადაგზე. რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არსებული ფაქტები დამაჯერებლად ლაპარაკობენ იმის სასარგებლოდ, რომ თოფის წამალი, ყოველ შემთხვევაში რაჭის მოსახლეობის ერთ ნაწილში, ადგილობრივად მზადებოდა. ამ საკითხის გარშემო შეკრებილ მასალიდან ირკვევა, რომ რაჭაში დამზადებული თოფის წამალი შედგებოდა სამი ელემენტისაგან: ნახშირისა, გვარჯილისა და გოგირდისაგან.

გვარჯილას ამზადებდნენ შემდეგი წესით: საქონლის რამდენიმე ხნის განმავლობაში ნადგომს ცოცხით გადააცლილნენ შარდა და ნაკელს. მეორე-მესამე დღეს გადაწმენდილი ადგილი რთვილის-მაგვარ თეთრ კრისტალებს მოისხამდა (ასეთ კრისტალს ხშირად ისხამს საქონლის საღვომის ხის იატაკიც). მიწის ზედაპირზე ამოსულ კრისტალებს, რომელსაც აქ გვარჯილას უწოდებენ, ბალნიანი ცოცხით (არყის ხის ტოტებისაგან შეკრული ცოცხია) მოფალავ-დნენ მიწიანად და ჩაყრილნენ ხის კოდში, რომლის ძირი წვრილად იყო დასვრეტილი და რომელსაც ძირში ჩაფენილი ჰქონდა ხელის სისქეზე თომი. შემდეგ მას დაასხამდნენ მდუღარე წყალს, რომელიც გარეცხავდა და გაყლლვობდა კოდში ჩაყრილ მიწანარევ გვარჯილას, გაივლიდა თომის ფენას და გროვდებოდა ხსენებული კოდის ქვეშ დადგმულ ქვაბში. ქვაბს შეჰქიდებდნენ ძლიერ ცეცხლზე და ადუღებდნენ იქამდე, ვიდრე ერთი ფუთი წყალი ხუთ—ექვს გირვანქამდე დავიდოდა. ნადუღ წყალს დაასხამდნენ ფართო გობზე-საჭირო იყო რომ თოფის წამლის დამზადების ეს სტადია შესრულე-

პულიყო მჩიან და სუსხიან დღეს. ფართო გობზე დახსმული ხსნარი შრებოდა და იღებდა კრისტალის სახეს. ასე მზადდებოდა გვარჯილა ს. ხიდაშში.

ს. გლოლაში გვარჯილის დამზადების ზემოხსენებული წესის სახეცვლილი ვარიანტია დამოწმებული. ს. გლოლაში გვარჯილას უცეცლოდ ამზადებდნენ. სახელდობრ: მოფალულ შარდნარევ მიწას ზის ფართო გობში ჩაყრიდნენ და ზედ დაასხამდნენ ცივ წყალს, იმდენს, რომ წყალს შარდნარევი მიწა დაეფარა. ასეთ მდგომარეობაში მას ამყოფებდნენ იქამდე, ვიდრე მიწა, ჭუკვი და გარემინარევი გობის ძირზე არ დაილექებოდა. ამ ხნის განმავლობაში გვარჯილაც იხსნებოდა წყალში. გობის პირზე მომდგარ გვარჯილანარევ წყალს შემდეგ გადაიღებდნენ მეორე გობში ისე, რომ ნალექი არ გაჰყოლოდა თან. ამ მდგომარეობაში გვარჯილანარევ წყალს ამყოფებდნენ ორი-სამი დღის განმავლობაში, რის შემდეგ ხის გობის შიდა კედელი მიითვისებდა უკვე სუფთა და დაწმენდილ გვარჯილას. შემდეგ, ხსნებული გობიდან წყალს გადაღვრიდნენ, გობის შიდა კედელზე მითვისებულ გვარჯილას მოფალავდნენ და ერთ ჭურჭელში დააგროვებდნენ. ასეთი თავისებურება ახასიათებდა გვარჯილის დამზადების პროცესს ს. გლოლაში.

რაც შეეხება ნახშირს, ასეთს ორივე შემთხვევაში ერთგვარი წესით ამზადებდნენ, იმ განსხვავებით, რომ კერძოდ ს. გლოლაში ნახშირის დასამზადებელ ნედლეულად ხეშავს ხმარობდნენ, ხოლო ს. ხიდდაში — თხილის ტოტებს (ხეშავი — დაბალი ბუჩქია, რომელსაც შავი ფერის დაჟორ გლილი ტოტები აქვს). ორივე შემთხვევაში ხეშავს ან თხილის ნორდ ტოტს კანს გააცლიდნენ და შუაშუა გააპობდნენ ტოტებს. იმ შემთხვევაში, როდესაც ნედლეულად თხილსა ხმარობდნენ, სცდილობდნენ კანგაღაცლილი ტოტი სწორად გაპობილიყო. ეს კარგ ნიშნად იყო მიჩნეული: „წამალი ფინთიხს სწორად მიიტანსო“. გაპობილ ტოტებს გელს გამოაცლიდნენ, რაზეან ადგილობრივი ხელოსნების შეხედულებით, იმ შემთხვევაში თუ გულიან ტოტებს გამოიყენებდნენ ნახშირის დასამზადებლად, წამალი ბჩუტე გამოვიდოდა, ე. ი ძალა არ ექნებოდა. და ფინთიხს მიზნამდე ვერ მიიტანდა. დასაწვავად გამზადებული ტოტები სახლში მიჰქონდათ, სადაც მას რამდენიმე ხნის განმავლობაში ბუნებრივ პირობებში აშრობდნენ. თხილისა ან ხეშავის გაპობილი ტოტები ძალიან რომ გაშრებოდა დაიწყებდნენ მის დაწვას, რისთვისაც დაპობილ და გამზადებულ ტოტებს სუფთა ბრტყელ ქვაზე დაალაგებდნენ და შემდეგ ცეცხლს მოუკიდებდნენ. ნახშირი საქმაოდ გა-

მომწვარად ითვლებოდა მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც თხილისა ან ხეშავის ტოტებს თეთრად გადაეკვროდა ნაცრის სუფთა აბკი.

გვარჯილისა, გოგირდისა და ნახშირის ნაზავი მზადდებოდა დაახლოებით შემდეგი პროპორციით:

გვარჯილა	40%
ნახშირი	35%
გოგირდი	25%

ზემოხსენებული პროპორცია ძალიან სავარაუდოა და არაფითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს რაიმე მტკიცე ნორმატივს. თოფის წამლის ყოველი შემაღებელი ელემენტის ხვედრითი წონა დამოკიდებული იყო თვით ამ ელემენტის ხარისხზე, თოფის თავისებურებაზე, ტყვიის ყალიბზე და, ბოლოს, თვით მონადირის გამოცდილებაზე.

ზემოხსენებული ნედლეულის აღნიშნული პროპორციით შეზავების შემდეგ წარმოებდა მისი დანაყვა ამ შემთხვევისათვის სპეციალურად მოწყობილ საცეცვში, უკანასკნელი მოწყობილება იმდენად საინტერესო იარაღს წარმოადგენს, რომ საჭიროდ მიგვაჩნია მისი დეტალური აღწერა. საცეცველი შედგებოდა ხის მთლიანი მორისაგან, რომლის სიგრძე 2,5 მეტრს აღემატებოდა, ხოლო სიმაღლე და სიგანე 1 მეტრს აღწევდა. მორს ერთ ბოლოში ამოღარული ჰქონდა ქვაბი, რომლის სილრმე 30 სმ-ს უდრდა. ქვაბი ნახევარსფეროსა ჰგავდა მოყვანილობით. მეორე ბოლოდან 40—50 სმ-ის დაცილებით ხსენებულ მორში ამოღებული იყო გრძელი ღარი სიგრძით 80 სმ-მდე ქვაბის მიმართულებით; ღარის სიგანე ერთნაირი იყო. იგი მისღებდა მორს გასწვრივ და მისი სილრმე, რომელიც მორის მეორე ბოლოსაკენ მიმართულ წერტილში 30 სმ-ს აღწევდა, ქვაბის მიმართულებით კლებულობდა და 80 სმ-ის მანძილზე მორის ზედაპირზე გადადიოდა. ხსენებულ ღარში მის შუა ადგილზე, გარდიგარდმო, რიკი იყო გაკეთებული, რომელიც თავისებური ღერძის ფუნქციას ასრულებდა. რიკზე თავისუფლად იყო დამაგრებული გრძელი ჭოგი, რომლის სიგრძე 1,5 მეტრს აღემატებოდა: ჭოგის ერთი ბოლო ქვაბს ემთხვევოდა, ხოლო მეორე ბოლო ღარში იყო მოთავსებული. ჭოგის ის ბოლო, რომელიც ქვაბის ზედაპირს ემთხვევოდა, გაპობილი იყო ოდნავ. ნაპობში ჩამოტკიცილი იყო ქვა, ქვაბისათვის საჭირო ზომის, რომელსაც ღვლერჭებით ამაგრებდნენ, რომ ქვა მკვიდრად ყოფილიყო ჩამოტკიცილი ქოგის ნაპობში, მისი ღვლერჭებით შეკვრის.

შემდეგ ლვლერქშა და ჭოგს შუა სოლებს უკეთებდნენ. ამგვარი წესით მიღებული იარაღი თავისებურ უროს წარმოადგენდა ხის ტარითა და ქვის ყურთ; ჩვეულებრივი უროსაგან იგი განსხვავდებოდა მუშაობის წესით. ჩვეულებრივ უროს, როგორც ცნობილია, ხელით ამუშავებდნენ, ხოლო საცეხვლის უროს ამუშავებდნენ ფეხებით. საცეხველზე მომუშავე პირი შედგებოდა ჭოგის იმ ნაწილზე, რომლითაც იგი რიკზე იყო დამაგრებული ისე, რომ მომუშავეს რიკი ფეხმა და ფეხს შუა მოჰყოლოდა. წონასწორობის დასაცავად მორს, იმ ნაწილთან სადაც მომუშავე იდგა, ორივე მხრიდან მარგილები ჰქონდა დადგმული ხელის მოსაკიდებლად. მომუშავე რიტმიული გადაქანებით წინ და უკან ამუშავებდა უროს, რის შედეგად უროს ყუა ხვდებოდა ქვაბს, სადაც თოფის წამლის ნედლეული იყო ჩა-ყრილი და ნაყავდა მას.

ამგვარად, თოფის წამლის დასანაყი საცეხველი. საცეხვლის მეტად საინტერესო პრიმიტიულსა და ამავე დროს ეფექტიურ იარაღს წარმოადგენდა, რომელსაც არც ერთი რეინის ნაწილი არა ჰქონდა და რომელმაც ასეთი სიცხადით შემოინახა ქვის უროს თავდაპირველი სახე.

იმდენად, რამდენადაც ასეთი უძველესი ტიპის იარაღი სტადიალურად მნიშვნელოვნად არის დაცილებული თოფის წამლის დამზადების დროისაგან, საინტერესოა, როგორ მოხდა ასეთი უძველესი იარაღის გამოყენება სრულებით ახალი ნივთიერების—თოფის წამლის დამზადების პროცესში. უდავოა, რომ ასეთი საცეხველი იხმარებოდა ძველათ რაიმე სხვა დანიშნულებისათვის და შემდეგ იგი გამოყენებული იყო თოფის წამლის დამზადების დროს. საფიქრებელია, ამას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ ზემოხსენებულ მოწყობილებას არც ერთი რეინის ნაწილი არა ჰქონდა, რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენდა მოცემული ტექნიკის პირობებში თოფის წამლის დამზადებისათვის.

თოფის წამლის დანაყვის დროს მას ცოტაოდენ წყალს აპკუ-რებდნენ, რომ თოფის წამლის მტვერი ჰაერში არ გაფანტულიყო.

არსებობდა სპეციალური წესი იმის დასადგენად, თუ რამდენად ნორმალურად არის დანაყული თოფის წამალი. ამ შემთხვევაში იღებდნენ ორი თითოთ ცოტაოდენ თოფის წამალს, გააშრობდნენ მას და დასდებდნენ ქალალდზე; შემდეგ მოუკიდებდნენ აბედს, თუ თოფის წამალი უცბად აფეთქდებოდა და წამალი ქალალდზე ნამწვეს არ დასტოვებდა თოფის წამალი მზად ითვლებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში განაგრძობდნენ მის ნაყვას. თოფის წამლის დამზადების პროცესში მისი მზადყოფნის შემოწმების ზემოხსენებული

ოპერაცია ხშირად წარმოებდა, რაღაც თოფის წამალს განსაკუთ-
რებული მნიშვნელობა ენიჭებოდა მიზანში მოხვედრისათვის. მეტის-
მეტად მჩუტე წამალი ფინთის ან საფანტს ცერ მიტანდა მიზნამ-
დე, ხოლო მეტისმეტად ფიცხი—გაჰავანტავდა მას მიზნის მიღწე-
ვამდე.

თოფის წამლის დამზადება სვანეთშიც არის დამოწმებული-
ტეპცოვის ცნობით სვანეთში გვარჯილას ამზადებდნენ სახლების-
ქვედა სართულებში დალექილი ნივთიერებისგან. ეს ნივთიერება
ჭიშკანი, ნაკელთან და ყოველგვარ სიბინძურესთან ერთად შეიცავს
დაკრისტალებულ გოგირდსა და გვარჯილას. მისგან გაკეთებული
თოფის წამალი შავია და ფერილის მსგავსი¹. გ. ონიანის ცნო-
ბით სვანეთში თოფის წამლის დამზადების მიზნით უნდა გამოიხვე-
ტად მტევრი ძალიან ძველი სახლის საძირკვლიდან. აქაც თოფის
წამალს ზამთარში ამზადებდნენ დიდი ყინვის დროს, მაგრამ აღუ-
ლებულ წყალსა ხშარობდნენ გვარჯილის გასახსნელად².

რაც შეეხება ტყვიის ნედლეულს და მისგან აღგილზე ფინთი-
ხის დამზადებას, უნდა ითქვას შემდეგი: ლიტერატურაში აქა-იქ
მოიძებნება ცნობები, რომ რაჭაში აღგილი ჰქონდა აღგილობრივი
ნედლეულის ბაზაზე ტყვიის დამზადებას. ამის შესახებ პირადად
ჩვენ რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მასალა არ შეგვხვედრია:
ფინთიხის დამზადების ტექნიკა კი ახლაც ცოცხალია. აღგილობრივი
მოსახლეობის ყოფაში.

ამჟამად არსებული ცნობების მიხედვით რაჭველებს ტყვიის
ზოდები ფინთიხისათვის ალგირიდან გაზმოქმნდათ.


ფინთიხის ჩამოსახმელად აკეთებდნენ თიხის ან უფრო ხშირად
რბილი ქვის ყალიბს (ს. ღებში ყალიბს დარიჯაგი ეწოდე-
ბა), რომელიც შედგებოდა ასანთის კოლოფის მოყვანილობის, მაგრამ
მასზე ორჯერ უფრო გრძელი ორი ფირფატისაგან. ყოველ ფირ-
ფატის სიგრძეზე ჩაყოლებული ჰქონდა ოთხ-ოთხი კალაპოტი ნახე-
ვარი ფინთიხის ოდენა. ყოველი კალაპოტიდან ყალიბის წიბოსაკენ პატა-
რა ღარი იყო გაკეთებული (ტყვიის ჩასასხმელი მილი, რომელსაც თვალი
ეწოდებოდა). ფინთიხის ჩამოსხმის წინ ორივე ფირფატის იმგვა-
რად მიარებდნენ ერთმანეთს, რომ კალაპოტი კალაპოტს დამთხვე-
ვოდა და თვალი თვალს არ დასცილებოდა. ამის შემდეგ ორივე ფირ-
ფატის მაგრად შეკრავდნენ ბაწრით ისე, რომ ბაწარს ნაპირზე გა-

¹ В. Терцоев, Сванетия, географический очерк, СМОМПК, X, გვ. 28.

² გ. ონიანი, ქვემო-სვანეთის 1939 წლის ექსპედიციის დოკუმენტი.

მოსავალი თვალი არ დაეფარა და ყალიბის თვლებიდან დამდნარ ტყვიას ჩაასხამდნენ შიგ. ტყვიის გაცივების შემდეგ ხსნიდნენ ყალიბს, წააკლიდნენ თვალში ჩარჩენილ ტყვიის ძაფს, შემოწმენდავ- დნენ ფინთიხს და ფინთიხი უკვე მზად ითვლებოდა.

რამდენად უსწორმასწორო ზედაპირი ჰქონდა ასეთი წესით დამზადებულ ფინთიხს იქიდანაც ჩანს, რომ თოფის ლულაში მისი ჩაღების ღროს საჭირო იყო მისთვის ბერკლი (ჩვარი) შემოეხვიათ, რომ თოფის ლულის შიდა კედელსა და ფინთიხს შორის ცარიელი



სურ. 22. სარეველა, აბისინი (G. Montandon, დას. ნაშრ., გვ. 220).


ფორები არ დარჩენილიყო და აფეთქებული თოფის წამლის ძალა ტყუილუბრალოდ არ დაკარგულიყო.

საფანტს ჩვეულებრივი საწურით სწურავდნენ:

რაჭელთა მონადირეობის მატერიალური ბაზის მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს შედარებით სრული წარმოდგენა ვიქონიოთ მისი განვითარების დონის შესახებ. რაციონალურად დაკომპლექტებული ჩაცმულობა, ეფექტური შეიარაღება და მახე-ხაფანგების ნაირსახეობათა სიმრავლე დაბეჯითებით მიგვითითებს ნადირობის საქმაოდ მაღალ და განვითარებულ კულტურაზე. მეორე მხრივ, ის გარემოება, რომ სანადირო ინვენტარის წარმოება საკუთარი ნედ- ლეულის ბაზაზე იყო დამოკიდებული, ხოლო მისი დამზადების

ტექნიკა შედარებით პრიმიტიული წესების კომბინაციაზე, გვაფიქ-
რებინებს, რომ ნადირობის მატერიალური ბაზის განვითარება ში-
ნაგანი რესურსებით წარმოებდა ორგანულ ნიადაგზე და ბუნებ-
რივ პირობებში და ამდენად ნადირობის აღრინდელი ფორმების
აღდგენის დროს ქართველ ტომთა ყოფაში რაჭის ეთნოგრაფიული
მასალა მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

ნადირობის მატერიალური ბაზის ყოველი ცალკეული კომპო-
ნენტი ცალკე პრობლემაა და მისი ამგვარ ასპექტში გაშლა ფართო
პერსპექტივებსა სახავს. მაგრამ ნადირობის მატერიალური ბაზის




სურ. 23. სარეველა, აბისინია (G. Montandon, დას. ნაშრომი, გვ. 220).

ამომწურავი სურათი ქართველ (ისევე როგორც უცხო) ტომთა ყო-
ფაში აქამდე არ არის დახატული, ე. ი. არ არის შექმნილი მტკიცე
საფუძველი კატეგორიული დასკვნების გამოსატანად. ასე მაგალითად,
Montandon-ი ეხება რა სპეციალურად მახე-ხაფანგების საკითხს,
ამბობს, რომ მთლიანი სურათი მახე-ხაფანგების შესახებ ჯერ არ
არსებობს¹, მაშინ, როდესაც ამგვარი მასალა მნიშვნელოვან მეც-
ნიერულ ლიტერატურებას წარმოადგენს.

ხსენებული ავტორი, რამდენიმე მაგალითის საფუძველზე, მახე-
ხაფანგების შედარებით რთულ კლასიფიკაციას გვაძლევს.

¹ G. Montandon, Traité d'Ethnologie culturelle, Paris 1934 ფ.,
გვ. 218.

თვით ნაღირობა მას დაყოფილი აქვს, სანაღირო წესების მიხედვით, ოთხ სახეობად: იარალით (*à l'arriere*), მახე-ხაფანგებით (*aux pièges*), სანაღირო ფრინველით (*au vol*) და დევნილობით (*à la course*). თავი რომ დავანებოთ იმ გარემოებას, რომ იარალითა და დევნილობით ნაღირობის ცალკე ჯგუფებად გამოყოფა საუკეთესო შემთხვევაში საკამათოა, მას მახე-ხაფანგების კლასიფიკაციის პრინციპის ერთობლიობა ბოლომდე არა აქვს დაცული. ერთ შემთხვევაში კლასიფიკაციის საფუძვლად მას მახე-ხაფანგის აგების პრინციპი აქვს მიღებული—სიმძიმე („à poids“), მეორე შემთხვევაში—გამოყენებული




სურ. 24. დაგებული შუბი, მაღალები (G. Montandon, დას. ნაშრომი, გვ. 224).

შასალა—წებო („à la glu“), თასმა („à lacet“), მესამე შემთხვევაში შედეგი—მოკვლა („assouplissant“), ცოცხლად დაჭერა („emprisonnant“) და სხვა¹. კლასიფიკაციის პრინციპის ასეთი სხვადასხვაობა ფართოდ უღებს კარებს სუბიექტურ ელემენტს, რაც თავისთავად ყოველგვარ მეცნიერულ ლირებულებას უკარგავს თვით კლასიფიკაციას. უკანასკნელ გარემოებაზე გავლენას ახდენს არა მარტო სრული ფაქტიური მასალის უქონლობა, არამედ ავტორის თეორიული პოზიციებიც. როგორც ცნობილია, G. Montandon-ი კულტურული ციკლების თეორიის მიმდევარია.

თუ რაგვარი მრავალი ნაირსახეობით არის გამოსახული მახე-ხაფანგის მოქმედების ერთიდაგივე პრინციპი საუკხოოდ ჩანს ზემოხსენებული ავტორის მიერ მოყვანილი სქემებიდან, რომელნიც

¹ G. Montandon, დას. ნაშრ., გვ. 232.

გამოხატავენ აბისინელების, მალაელების, მადაგასკარის. მცხოვრებთა ყოფაში დამოწმებული მახე-ხაფანგების აგების წესსა და მისი მოქმედების ძირითად პრინციპს¹. იმას თუ დავუმატებთ A. Haberlandt-ის² მიერ მოცემულს ბოსნიაში, ჰერცეგოვინაში და აღმ. კარპა-



სურ. 25. მოშვილდუღი ხაფანგი, ინდო-ჩინეთი (G. Montandon, დას. ნაშრ., გვ. 223);

ტებში დამოწმებულ მახე-ხაფანგების სქემებს, და W. Koppers-ის³ ერთ ილუსტრაციას, რომელიც საკაის ტომს ეხება და რატც ე-


¹ G. Montandon, დას. ნაშრ., გვ. 220—227.

² A. Haberlandt, Die volkstümliche Kultur Europas in ihrer geschichtlichen Entwicklung. Illustrierte Völkerkunde, herausgegeben von G. Buschan, Stuttgart, 1926, II, 2, გვ. 308—313.

³ W. Koppers, Die menschliche Wirtschaft, Der Mensch aller Zeiten. B. III, Regensburg 1924 ვ., გვ. 471.

ლის¹ ერთ ილუსტრაციას, საშუალება მოგვეცემა ზემოხსენებული დებულების სისწორეში საბოლოოდ დავრჩმუდეთ.

რაჭის ერთნოგრაფიული მასალა მახე-ხაფანგების მრავალმხრივ საინტერესო კონსტრუქციებს გვაძლევს და როგორც ილუსტრაციების



სურ. 26. ევროპული სარეგელები (A. Haberlandt-ის დასახ. ნაშრ., სურ. 169).

შედარების შედეგად ირკვევა, ცალკეულ შემთხვევებში აგების ტექნიკით მნიშვნელოვნად განსხვავდება G. Montandon-ის, A. Haberlandt-ის, რატცელის და W. Koppers-ის მიერ მოყვანილი სქემებისაგან.

¹ Ф. Ратпель, Народоведение, ф. II, дас. გამ, გვ. 238.

III. ნაღირობის ორგანიზაცია

საქართველოს ზოოგეოგრაფიული გარემოს სიმღიდრის წყალობით ქართველი ტომების ყოფაში და ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დაცულია ნაღირობის საუკეთესო ტრადიციები და ნაღირობის ორგანიზაციის მრავალნაირი სახეობა, ხოლო კერძოდ რაჭაში, ზემოხსენებულ გარემოებასთან ერთად, მეურნეობის შედარებით კარჩაკეტილობის შედეგად დაცულია ნაღირობის ძველი ტიპები და პრიმიტიული წესები.

კავკასიისა და საქართველოს ფაუნისა და ნაღირობის ერთერთი საუკეთესო მცოდნე ა. კალინოვსკი¹ ამბობდა, რომ კავკასიაში დამოწმებულია ნაღირობის მეტად ფართო სახით გავრცელება და ამავე დროს ნაღირობის წესების მნიშვნელოვანი სიუხვე დაწყებული პრიმიტიული წესებით და გათავებული საცხებით განვითარებული ხერხებით.

ნაღირის ყოველ ჯიშა და სახეობას, ბუნებრივი გარემოს ყოველ თვისებასა და თავისებურებას ნაღირობის სპეციალური, მისთვის შესატყვისი ფორმა პქონდა გამომუშავებული, რომელიც სავაჟებით იყო დამკვიდრებული ნაღირის ჩვევათა ცნობისა, სანაღირო გარემოს ზედმიწევნით ცოდნისა და მონაღირის განკარგულებაში არსებული მატერიალური რესურსების მაქსიმალური ეფექტიურობით გამოყენების საფუძველზე.

რომ შევხედოთ რაჭელ მონაღირეთა მიერ ნაღირობის დროს გამოყენებულ წესებს, შესაძლებლობა გვექნება აღვნიშნოთ, რომ მათ მიერ ნაღირობის პროცესში გამოყენებულია საერთოდ ცოტად თუ ბევრად ცნობილი ნაღირობის წესები და ხერხები. რაჭელი მონაღირეები ნაღირობის დროს მიმართავენ. კვალში ჩაღომას, ჩაბახუნდრებას, მორეკვას, მოჭირვას, მიპარვით მისვლას და სხვა. ზემო ხსენებული წესებიდან ჩასხუნდრებით და მიპარვით ნაღირობენ უმთავრესად ცალად მონაღირეები, ინდივიდუალური ნაღირობის დროს, ხოლო დანარჩენი წესების სხვადასხვა კომბინაცია გა-

¹ А. Калиновский, Очерк кавказской фауны и кавказских охот., Тифл. 1900 г., გვ. 52.

მოყენებულია უმთავრესად ჯგუფად, კოლექტიური ნადირობის დროს.

მონადირეთა რაოდენობის თვალსაზრისით რაჭაში ნადირობის ორგანიზაციის სამი სხვადასხვა ტიპია დამოწმებული: ცალკე ნადირობა, ნადირობა მცირერიცხოვანი ჯგუფით და მასობრივი ნადირობა მთელი სოფლით. მათ შორის ამჟამად ნადირობის ყველაზე გავრცელებული სახე, მონადირეთა რაოდენობის თვალსაზრისით, მცირერიცხოვანი ჯგუფით ნადირობაა, ამხანავობით ნადირობა, რომლის მონაწილეთა რაოდენობა ოდნავ ირჩევა 3—5 და 12—15 მონადირეთა ფარგლებში სანაღირო ობიექტისა, დროისა და გარემოების მიხედვით.

მცირერიცხოვანი ჯგუფით ნადირობის დროს მხოლოდ მონადირეები იღებენ მონაწილეობას, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც მონადირეთა ჯგუფი 3—5 კაცის შემაღვენლობით არა მონადირესაც გაირევს ჯგუფში. ასეთ მონაწილეს თანამტანი ეწოდება და ნადირობის პროცესში იგი მკაცრად განსაზღვრულსა და მხოლოდ დამხმარე ფუნქციას ასრულებს. ისეთი მცირერიცხოვანი ჯგუფით ნადირობა, საღაც პროფესიონალ მონადირეთა¹ გარდა თანამტანიც იღებს მონაწილეობას, უმეტეს შემთხვევაში დათვზე ნადირობის დროსაა დამოწმებული.

რაც შეეხება დიდრიცხოვანი ჯგუფით—მასობრივ ნადირობას, რომლის დროსაც არა მონადირეთა და მოხალისეთა რაოდენობა საგრძნობლად სჭარბობს მონადირეთა რაოდენობას, ასეთს ადგილი ჰქონია ძველათ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგალითად, მტაცებელი ნადირის შემოჩვევისა, დიდი თოვლობისა და ნადირის მოჭარბებული მოშენების შემთხვევებში. მასობრივ ნადირობას უმთავრესად შველზე აწყობდნენ დიდი თოვლობის დროს და, როგორც ეტყობა, განსაკუთრებულად ხელსაყრელ პირობებში იშვიათად ჯიხვებზეც.

ინტერესს არაა მოქლებული ის გარემოება, რომ მცირერიცხოვანი ჯგუფით ნადირობის დროს, მით უმეტეს თუ ჯგუფში თანამტანიც ერია, შეიარაღების ტექნიკა შედარებით მაღალ დონეზე იდგა. ხუთი თუ ექვსი კაცი სათანადო შეიარაღების გარეშე, რათემაუნდა, დათვზე ვერ ინადირებდა. რაც შეეხება მასობრივ ნა-

¹ ტერმინს „პროფესიონალი მონადირე“, როგორც აქ ისე სხვა შემთხვევაზეც პირობით ეხმარობთ, რადგან რაჭაში ამჟამად არ არსებობს არც ერთი მონადირე, რომლის შემოსავლის მთავარსა და ძირითად წყაროს ნანადირევი წარმოადგენდეს.

დირობას, ასეთის დროს შეიარაღებული იყო მხოლოდ მონადირეთა ჯგუფი; დანარჩენ წევრებს რა იარაღიც გააჩნდათ ის მიპერნდათ, სახელდობრ, მუჟირა, დანა, კეტი და სხვა. ამდენად მონადირეთა შეუძლებელი ჯგუფი განსაკუთრებულ ფუნქციებს ასრულებდა.

ცალკე მონადირე დღეს იშვიათ, მაგრამ ამდენადვე საინტერესო ტიპს წარმოადგენს. რაჭას ჰყავს სამართლიანად განთქმული, და სახელმოხვეჭილი პროფესიონალი მონადირენი: უცდომლად სროლაში სწორუპოვარნი, ნადირის დაუღალავი მადევარნი, მისი ზნისა და ჩვევის ღრმა და ზედმიწევნით მცოდნენი, თვალუწვდენ ქარაფებზე და უღრან ტყეებში სიარულისათვის ორიენტაციის განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულნი. ასეთი მონადირე არავის შეიამხანგებს, არც შეუამხანგდება ვინმეს, ხანდახან თუ წაიყვანს უცხო პირს, განსაკუთრებით პატივსაცემს, გზას ასწავლის, ნადირის ზოგ ჩვევას გააცნობს, ხოლო თავისი „წმინდა ხელობის საიდუმლოებას“ მთლიანად არც მას გაუზიარებს. აუცილებლად რაღაც რომანტიული იერი გადაჭრავს მას და ხალხიც ასეთ მონადირეს განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობა, ლეგენდარულ თვისებებს ანიჭებს მას და მის სახელს ზღაპრული შარავანდედით ამკობს. საინტერესოა, რომ ნადირობასთან დაკავშირებული ცრუმორწმუნეობის ყველაზე მეტი მარაგი მონადირეთა სწორედ ამ ჯგუფსა. აქვს შემონახული.

მაგრამ რაჭაში დამოწმებული ნადირობის ორგანიზაციის ნაირსახეობათა რიგს, მისი ტიპოლოგიური კლასიფიკაციის მიზნით, ნადირობის პროცესში ჩაბმულ მონადირეთა რაოდენობის თვალსაზრისით ვერ მივუდგებით, რაღვან მონადირეთა ჯგუფის ერთიდარმავე რიცხობრივი შემადგენლობა ნადირობის სხვადასხვა წესსა ხმარობს ნადირობის დროისა, ობიექტისა და გარემოების მიხედვით; მონადირეთა ერთიდამავე სიდიდის ჯგუფი მორეკვასაც აწარმოებს, მოსაჭიროესაც და ხშირად არც კვალში ჩადგომას გაურბის.

ნადირობის დრო ან მონადირის შეიარაღება აგრეთვე ვერ გამოდგება ნადირობის ორგანიზაციის სხვადასხვა სახეობის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის პრინციპად, რაღვან ნადირობის ორგანიზაციის ერთიდამავე ტიპი წლის სხვადასხვა პერიოდში არის გამოყენებული, ხოლო მონადირის საჭურველი ძირითადად უცვლელია ყველა სახის ნადირობის დროს.

მეტად საინტერესო იქნებოდა ამ საკითხისათვის შეგვეხედნა თვით მონადირეთა ჯგუფში გაერთიანების პრინციპის თვალსაზრი-

სით. რის მიხედვით წარმოებულა მონადირეთა გაერთიანება ჯგუფში: ჰასაკისა, გვარისა თუ ტერიტორიული მაჩვენებელის მიხედვით. დღევანდელ პირობებში ნადირობის დროს მონადირეთა გაერთიანება, ნადირობის ორგანიზაციის თვალსაზრისით, არც ჰასაკზე დამოკიდებული, არც გვარზე, არც ტერიტორიაზე. მონადირეთა გაერთიანება ერთ ამხანაგობაში ხდება პროფესიული ნიშნის მიხედვით, ე. ი., სანადიროდ იქრიბებიან მხოლოდ მონადირენი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნადირობის ხანგრძლივობა და ობიექტი არძულებს მონადირებს ერთი არა მონადირე გაირიონ ჯგუფში, რომელიც არავითარ მონაწილეობას არ იღებს თვით ნადირობის პროცესში და რომლის ფუნქციის მხოლოდ დამხმარე სამუშაოების შესრულება შეადგენს. მონადირეთა გაერთიანება ჯვაროვნული ნიშნის მიხედვით დამოწმებულია მხოლოდ გამონაკლისის სახით (ს. საღმელი — ჯაფარიძები, ს. ლები — გავაშელიშვილები) და არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ერთი ოჯახის წარმომადგენელი (ძმები) მონადირები არიან. გადამწყვეტი ფაქტორის მნიშვნელობა მონადირეთა გაერთიანების დროს გვაროვნულ ნიშანს კი არ ეძღვა, არამედ ნადირობაში დახელოვნებას, ე. ი., პროფესიულ ნიშანს და ერთი გვარის მონადირე სხვა გვარის გამოცდილ მონადირეს უფრო შეუერთდება, ვიდრე თავისივე გვარის გამოცდელ მონადირეს.

ამდენად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზემოხსენებულ ადგილებში დამოწმებული ძმების გაერთიანება ნადირობის დროს იმ გარემოებაზე დამოკიდებული, რომ სსენებული ოჯახის წარმომადგენელი დახელოვნებული მონადირენი არიან (რაც თავისთვად ნადირობის შემკვიდრეობით გადმოცემაზე მიუთითებს). ამით არ გვინდა ვთქვათ, რომ რაჭაში ნადირობიდან საერთოდ გამორიცხულია გვაროვნული წესწყობილების ნიშნები და მისი გადმონაშთები. ვამბობთ მხოლოდ, რომ ეს ნიშნები არ არის საქმაო სიცხადით წარმოდგენილი კერძოდ მონადირეთა გაერთიანების მომენტში, თუმცალა ნადირობასთან დაკავშირებულ სხვა პირობებში გვაროვნული წყობილების ნიშნები აშკარად ჩანს გადმონაშთების სახით.

ამგვარად, ერთად-ერთი საფუძველი, რომლის მხედვითაც შეიძლება ნადირობის ორგანიზაციის ნაირსახეობათა კლასიფიკაცია, — ლონისძებათა ის სისტემაა, რომლის საშუალებითაც მონადირე აღწევს თავის მიზანს, ე. ი., ხელთ იგდებს ცოცხალს ან მოკლულ ნადირს და შრომის განაწილების ხასიათი მონადირეთა შორის ჯგუფში; ხოლო რადგან ნადირობის ორგანიზაციის ესათუის სახე არსე-

ბითად ჩამოყალიბებულია ნადირის თვისებისა და მისი ადგილსა-
კოფელი თავისებურებათა მიხედვით, ნადირობის ორგანიზაციის გარ-
კველი ტიპიც ხშირად ნადირის გარკვეულ ჯგუფს ემთხვევა. რაც
შეეხება შრომის განაწილების ხასიათს, მისი ანალიზი საშუალებას
გვაძლევს ნადირობის ორგანიზაციის ესათუის ტიპი სტადიალურად
განვსაზღვროთ, მისი უმცროს-უფროსობა დავადგინოთ.

ამიერ-კავკასიაში და ჩრდილოეთ კავკასიაში დამოწმებული
ნადირობის ორგანიზაციის ნაირსახეობათა ტიპოლოგიური კლასი-
ფიკაციის ცდა მოცემული აქვს ა. კალინოვსკის, რომლის შე-
ხედულება ამ საკითხზე, ტერმინების თავისებურებათა გამო, იძულე-
ბული ვართ მოვიყვანოთ ორიგინალში. იგი ამბობს: „Главных видов охот по зверю на Кавказе четыре: гай (загон), заседки (сиденки), подход и татарский гай. Все эти виды охот практикуются повсеместно на северном Кавказе и в Закавказье, в горах и равнинах, но с подхода охотятся преимущественно в горах на альпийских высотах“¹.

აქ, როგორც ეტუობა, გამოტოვებულია ნადირობის ისეთი
საინტერესო სახე, როგორიცაა საკვალიე. გარდა ამისა, აღსანიშ-
ნავია, რომ დღევანდელ რაჭაში იშვიათად არის გამოყენებული ნა-
დირობის ორგანიზაციის ისეთი სახეობა, რომელიც ნადირობის
მხოლოდ ერთ წესზე იყოს დამკვიდრებული. როგორც შემდეგ და-
ვინახავთ, ხშირად მონადირეები მორეკვის დროს კვალშიც უდგე-
ბოდნენ ნადირს, ხოლო მოსაჭირავის ან საკვალიეს მოწყობისას
შეხმიანებასაც მიმართავდნენ. ამდენად, კვალში ჩადგომას მორეკ-
კვის დროს ან შეხმიანებას მოსაჭირავის დროს, მონადირეები, რო-
გორც დამხმარე საშუალებას, მიმართავდნენ ხოლმე ისეთ შემთხვე-
ვაში, როდესაც ამას ნადირობის პროცესის გარკვეული ვითარება ან
სანადირო გარემო მოითხოვდა.

ამგვარად, ნადირობის ამათუიმ ტიპის დადგენის დროს მხე-
დველობაში უნდა იყოს მიღებული ნადირობის პროცესის ის ძი-
რითადი ხერხი, რომელიც გამოყენებულია მონადირეთა მიერ და
რომელიც არსებითად გარკვეულ მიმართულებას აძლევს ამათუიმ
ნადირზე ნადირობის მთლიან პროცესს.

არსებობს ნადირის ჯგუფები, რომელთა მიმართ ადგილი აქვს
ნადირობის ამათუიმ წესის უპირატეს გამოყენებას. ასე მაგალითად,
მორეკვით უმთავრესად დათვზე, შველზე და მგელზე ნადირობენ,

¹ A. Калиновский, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

მოჭირვით ჯიხვზე და არჩვზე, ხოლო საკვალიერ კვერნაზე, კურდლელზე და მელაზე ნადირობის დროს აწყობენ.

თუ რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში კოლექტიური ნადირობის გაღმონაშობის დამოწმებულ ფაქტებს ნადირობის ორგანიზაციის ნაირსახეობათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ზემოხსენებული თვალსაზრისით მივუდგებით, შევნიშნავთ, რომ ამ შემთხვევაში არსებობს კოლექტიური ნადირობის სამი ძირითადი სახე, სახელდობრ, მორეკვა, მოსაჭირავი და საკვალიერი. მიპარვით ნადირობა, როგორც ნადირობის დამოუკიდებელი ხერხი, უმთავრესად ინდივიდუალური მონადირეების მიერ არის გამოყენებული და თუ მას ხანდახან კოლექტიური ნადირობის პროცესში მიმართავენ — მიმართავენ მას, როგორც დამხმარე საშუალებას; კოლექტიური ნადირობის დროს მიპარვას მხოლოდ დამხმარე ფუნქციის აღგილი აქვს დატოვებული და იგი უფრო ნადირობის პირობას წარმოადგენს, ვიღრე ხერხს.

მორეკვა გულისხმობს ნადირის (უმთავრესად ტყის ნადირის) მილალვა-მიდენას ხმაურობის საშუალებით მონადირეთა მიერ წინასწარ შეჩრეულ აღგილზე (უმთავრესად თოვლით დაფარულ ღრმა შუროში), საიდანაც ნადირს არ შეუძლია ამოსვლა.

მოჭირვა გულისხმობს ნადირის (უმთავრესად კლდის ნადირის) სავალი ბილიკების გადაჭრას ჩასახუნდრების საშუალებით და ლოდინს, ვიღრე ნადირი წინასწარ ცნობილ მომენტში არ გაივლის მის მიერ გატკეპნილ ბილიკზე.

საკვალიერ გულისხმობს ნადირის (უმთავრესად მეჩხერი ტყის, ხშირი ბუჩქნარისა და ველის ნადირის) კვალის მიგნებას, კვალში ჩაღვომასა და მის კვალდაგვალ დევნას.

როგორც ვხედავთ, ნადირობის ორგანიზაციის თვალსაზრისით მორეკვა და მოჭირვა თვალსაჩინო მსგავსების შთაბეჭდილებას. სტოვებენ, ვინაიდან ერთ შემთხვევაში მონადირე თვით ნადირის სავალ ბილიკზე უხვდება ნადირს, ხოლო მეორე შემთხვევაში თვითონ არჩევს ნადირობისათვის ხელსაყრელ აღგილებს და აიძულებს ნადირს წინასწარ გამიზნულ აღგილზე ჩამოსვლას ან გამოვლას; მაგრამ ჩვენ საჭიროდ დავინახეთ მორეკვა და მოსაჭირავი ნადირობის განსაკუთრებულ ტიპებად გვეცნო მით უმეტეს, რომ, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, ნადირობის ამ ორ ფორმას შორის შრომის განაწილების თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი განსხვავება. არსებობს.

6. კოლექტიური. ნადირობის გაღმონაშობი რაჭაში:

ბითად ჩამოყალიბებულია ნადირის თვისებისა და მისი აღგილსა-
ყოფელი თვისებურებათა მიხედვით, ნადირობის ორგანიზაციის გარ-
კვეული ტიპიც ხშირად ნადირის გარკვეულ ჯგუფს ემთხვევა. რაც
შეეხება შრომის განაწილების ხასიათს, მისი ანალიზი საშუალებას
გვაძლევს ნადირობის ორგანიზაციის ესათუის ტიპი სტადიალურად
განვსაზღვროთ, მისი უმცროს-უფროსობა დავადგინოთ.

ამიერ-კავკასიაში და ჩრდილოეთ კავკასიაში დამოწმებული
ნადირობის ორგანიზაციის ნაირსახეობათა ტიპოლოგიური კლასი-
ფიკაციის ცდა მოცემული აქვს ა. კალინოვსკის, რომლის შე-
ხედულება ამ საკითხზე, ტერმინების თავისებურებათა გამო, იძულე-
ბული ვართ მოვიყანოთ ორიგინალში. იგი ამბობს: „Главных видов охот по зверю на Кавказе четыре: гай (загон), заседки (сиденки), подход и татарский гай. Все эти виды охот практикуются повсеместно на северном Кавказе и в Закавказье, в горах и равнинах, но с подхода охотятся преимущественно в горах на альпийских высотах“¹.

აქ, როგორც ეტყობა, გამოტოვებულია ნადირობის ისეთი
საინტერესო სახე, როგორიცაა სკვალიე. გარდა ამისა, აღსანიშ-
ნავია, რომ დღევანდელ რაჭაში იშვიათად არის გამოყენებული ნა-
დირობის ორგანიზაციის ისეთი სახეობა, რომელიც ნადირობის
მხოლოდ ერთ წესზე იყოს დამკვიდრებული. როგორც შემდეგ და-
ვინახავთ, ხშირად მონადირეები მორეკების დროს კვალშიც უდგე-
ბოდნენ ნადირს, ხოლო მოსაჭირავის ან საკვალიეს მოწყობისას
შეხმანებასაც მიმართავდნენ. ამდენად, კვალში ჩადგომას მორეკ-
ების დროს ან შეხმანებას მოსაჭირავის დროს, მონადირეები, რო-
გორც დამხმარე საშუალებას, მიმართავდნენ ხოლმე ისეთ შემთხვე-
ვაში, როდესაც ამს ნადირობის პროცესის გარკვეული ვითარება ან
სანადირო გარემო მოითხოვდა.

ამგვარად, ნადირობის ამათუიმ ტიპის დადგენის დროს მხე-
ლველობაში უნდა იყოს მიღებული ნადირობის პროცესის ის ძი-
რთადი ხერხი, რომელიც გამოყენებულია მონადირეთა მიერ და
რომელიც არსებითად გარკვეულ მიმართულებას აძლევს ამათუიმ
ნადირზე ნადირობის მთლიან პროცესს.

არსებობს ნადირის ჯგუფები, რომელთა მიმართ აღგილი აქვს:
ნადირობის ამათუიმ წესის უპირატეს გამოყენებას. ასე მაგალითად,
მორეკებით უმთავრესად დათვზე, შეელზე და მგელზე ნადირობენ,

¹ A. Калиновский, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

დეპენ მას, თავი მონადირე, ე. ი. ყველაზე უფროსი, გამოკლილი და დახელოვნებული მონადირე თვით ნადირობის პროცესში შრეკალის ფუნქციას ასრულებდა, ე. ი. კვალში ჩაუდგებოდა ნადირს და დაიწყებდა მასთან მიპარებას ან ჩუმი შეხმიანებით მისვლას და ჩასაფრებულ მონადირეთა მიმართულებით შირეკვას. ნადირობის დაწყებამდე, ნადირობისათვის სამზადისის პერიოდში ნადირობის წესს გაარიგებდა, ყოველ მონადირეს მისი თვისებებისა და შეიარაღების მიხედვით ადგილს მიუჩენდა.

დანარჩენი ჭმონადირენი მესაფრეთი ფუნქციას ასრულებდნენ, ე. ი. თავი მონადირის მითითების მიხედვით გარკვეულ ადგილებში საფარს იკეთებდნენ და იმალებოდნენ. ნადირობის დაწყებამდე მონადირეთა ჯგუფი, თავი მონადირის ხელმძღვანელობით, ნადირის ადგილსამყოფს შემომკვლევა გულისხმობდა იმ არემარის დადგენას, სადაც ნადირი უთუოდ უნდა ყოფილიყო. ამისათვის მონადირები, როგორც კი ტლმოაჩენ-დნენ დათვის ნაფეხურს დათვის კვალის ახლომახლო არემარეს, თავი მონადირის მიერ დაწესებული დიამეტრით შემოწერა დანენ, რაც გულისხმობდა დათვის ჩაწოლის სავარაუდო ადგილის გარშემოწერვას მონადირეთა მიერ, ე. ი. გარშემოვლას. თუ შემოწერვის შემდეგ აღმოჩნდებოდა, რომ გარშემოწერილი ადგილიდან გვალგანავალი არის, ე. ი. შემოვლილი წრიდან დათვი უკვე გასულია, საჭირო იყო მეორე ადგილის შემოწერვა და ასე შემდეგ, ვიდრე მონადირენი არ დაადგენდნენ, რომ ნადირი წრიდან არ არის გასული, ე. ი. შემოწერილი ადგილიდან დათვის კვალგანავალი არ არის ნაპოვნი. ამის შემდეგ იმავე მრეკალის მითითების მიხედვით მესაფრენი თავს გადაუვლიდნენ დათვს და ჩაუსაფრდებოდნენ მას გეზ ადგილებში. გეზად ითვლებოდა ისეთი ადგილი, სადაც მოსალოდნელი იყო ნადირის გადასვლა მისი წამოსდებობის შემდეგ. ნადირობის პრიმიტიული ორგანიზაციისა და ტექ-ნიკური ბაზის განვითარებლობის პირობებში ნადირობის ეფექტურობა და მისი შედეგიანობა საქსებით იყო დამოკიდებული ნადირის ჩვევათა ღრმა და ზედმიწევნით ცოდნაზე. გამოცდილმა და დახელოვნებულმა მონადირემ (და თავი მონადირე აუცილებლად დახელოვნებული და გამოცდილი უნდა ყოფილიყო) წინასწარ იცოდა წამომდგარი ნადირის მოსალოდნელი მიმართულება. დაშინებული დათვი, მაგალითად, შუროს (ლელე-ხევი) მიაშურებს ხოლმე და სერს ეტანება, ან იმის მიხედვით თუ რა გარემოში იმყოფება, კვაპეს მიმართავს თავის გადასარჩენად (ყვაპე—დაცემული ადგილია.

ხშირი ბუჩქნარით შემოსილი). ასეთ გეზ აღგილებში, სადაც მოსალოდნელი იყო წამომდგარი ნადირის გადასვლა, მას შეხამებით გარემოს თავისებურებასთან ჩაუსაფრდებოდნენ მესაფრეები.

სასურველი იყო, რომ მესაფრეებს მხედველობიდან არ დაეკარგათ მრეკალი. მრეკალი კვალში ჩაუდგებოდა ამის შემდეგ დათვე და მას გაჰყვებოდა. დათვზე მიპარვით ნადირობას გამოცდილი, გულადი და კარგად შეჭურვილი მონადირე თუ გაბედავდა, რადგან შესაძლებელი იყო ასეთი წესით ნადირობის დროს თვით დათვი დამალვოდა მონადირეს, ხელო ეგდო შესაფერისი მომენტი და მოულოდნელი შეტევით გაეფუჭებინა მონადირე. ამიტომ უფრო ხშირად მონადირეს კვალში ჩადგომის პირველი წუთებიდანვე ოდნავ შესამჩნევ ხმაურობას ასტესდა, ე. ი. მიღიოდა გაუფრთხილებლად, ფეხს არ არიდებდა ხმელ ტოტებს, მუჟირას სცემდა ხის ტოტებს და ბუჩქებს. ასეთ ზომიერ ხმაურს იმიტომ იცავდა მრეკალი, რომ ნადირი მეტისმეტად არ დაშინებულიყო და არ დამფრთხილიყო. ძლიერ და უეცრად დაშინებული დათვი უგზოუკვლოდ დაიწყებდა ლაჯუნს, ალარ აქცევდა უურადლებას შუროებს, სერებს თუ ყვაბეს. ასეთ მდგომარეობაში თავგზაარეული დათვი ხმაურს გაურბოდა, სცდილობდა რაც შეიძლება მალე გასცლოდა საფრთხე არემარეს და შესაძლებელი იყო ადვილად ასცდენოდა საფარში მყოფ მონადირეებს. როგორც ვხედავთ, რაჭველ მონადირეთა ნადირობის ეს წესიც ნადირის ქცევისა და მისი ბუნების ლრმა ცოდნაზეა დამყარებული. ცნობილია, რომ კავკასიური დათვი მშიშარაა, ადამიანთან შეხვედრას იგი საერთოდ ერიდება და გაბოროტება მხოლოდ მაშინ იცის, თუ მას დაუშავდა რაიმე, ან თუ ბელები ახლავს თან.

იმ შემთხვევაში, თუ მრეკალი შესძლებდა ზომიერი და ნადირისათვის ეკვმიუტანელი ხმაურობის დაცვას, დათვი წამოდგებოდა და ნელნელა შიაშურებდა სერებს ან ყვაბე აღგილებს. აქ მას შეირაღებული მესაფრეები ხვდებოდნენ და ჰკლავდნენ.

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებულ შემთხვევებში, ისეთ შემთხვევებში, როდესაც მონადირეს თავის თავისა და იარაღის იმედი ჰქონდა, მრეკალი თავიდანვე არ იწყებდა დათვის მორეკვას. კვალში ჩამდგარი იგი ჩუმად ეპარებოდა ნადირს, ვიდრე თავზე არ წაადგებოდა მას. ასეთ შემთხვევაში მონადირე დამოუკიდებლად შეუტევდა ნადირს და ჰკლავდა კიდევაც მას. ხშირი იყო შემთხვევა, რომ დათვთან პირისპირ შეყრილი მონადირე ერთი სროლის მეტს ვერ ასწრებდა (კავიან თოფს რა დატენიდა ასე უეცრად) და იძულებული იყო დაჭრილ დათვს მუჟირათი ან ხანჯლით შებრძოლე-

ზოდა. დაჭრილი დათვი მეტად საშიში მოწინააღმდეგეა; მასთან პირისპირ შებრძოლება მონადირისაგან თხოულობს მაქსიმალურ სიმშეიდეს მოძრაობის სისწრაფესთან ერთად და ყველა ცნობილი ზრიკის გამოყენებას ძალასა და გამძლეობასთან ერთად.

მაგრამ შესაძლებელი იყო აგრეთვე, რომ დათვს მიპარვით მისული მონადირის ალლო აელო. ასეთ შემთხვევაში იგი ჩაწოლილი ადგილიდან წამიდგებოლა და გეზ ადგილებისაკენ გაემართებოდა. მონადირე მოვიდოდა და დაინახვდა, რომ ნადირი წამომდგარა, სათანადო ნიშანს მისცემდა მესახუნდრეებს და მით გააფრთხილებდა მათ. ნადირის წამოდგომის შემთხვევაში აღარ იცავდა სიჩუმეს და ზომიერი ხმაურით მიერეკებოდა დათვს მესაფრეების მიმართულებით.

როგორც ვხედავთ, ნადირობის ძირითად ტექნიკას მორეკვა წარმოადგენდა—კვალში ჩადგომით და ზომიერი ხმაურის დაცვით. მიპარვა მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში იყო გამოყენებული და დასაშვები იყო მხოლოდ შემდეგი პირობების აუცილებელი დაცვით: 1) თუ მრეკალის ფუნქციის გამოცდილი და კარგად შექმნარვილი მონადირე ასრულებდა და 2) თუ სანადირო გარემოს თავისებურება ხელსაყრელ პირობას წარმოადგენდა დათვზე ასეთი ნადირობისათვის. ხელსაყრელ გარემოს კი ყვაბე ადგილი შეადგენდა მეჩერი, ლეშქითა და წვრილი ბუჩქნარით დაფარული, რაც უზრუნველყოფდა მონადირეს დათვთან უეცარი და სახითათო შეხვედრისაგან.

მაგრამ დათვზე მიპარვით ნადირობის შემთხვევაში ნადირობა ინდივიდუალური აქტით თავდებოდა, დანარჩენ მონადირეებს ყოველგვარი მნიშვნელობა ეკარგებოდათ ნადირობის პროცესში და თუმცალა განაწილების დროს ამ გარემოებას არ აქცევდნენ ყურადღებას, მაგრამ ასეთი ნადირობა არსებითად ინდივიდუალურ ნადირობას წარმოადგენდა და ამდენად სრულიად არ იყო მახასიათებელი ნადირობის ტექნიკისა ან ორგანიზაციის თვალსაზრისით კოლექტიური ნადირობისათვის.

ქვემო-რაჭაში დამოწმებულია აგრეთვე დათვზე მორეკვით „ნადირობის“ ისეთი ფორმა, რომელიც თავისი მიზანდასახულობით, ტექნიკითა და ორგანიზაციით მტაცებელ ნადირზე „ნადირობის“ საინტერესო ტიპს წარმოადგენს.

მხედველობაში გვაქვს მტაცებელი ნადირის (დათვი, მკელი და სხვა) მთელი სოფლით ისეთი მორეკვა, რომელიც მიზნად არ ისახავდა მის მოკვლას. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სოფელს მტაცებელი ნადირი შემოწევევოდა, წამოდგებოდა მთელი სოფლის მოსახლეობა და ძლიერი შეხმიანებით, ხეებზე კეტების შემორტყმით

დაიწყებდა ტყის „მორეკვას“. ასეთ შემთხვევებში მესაფრეებს არ გააწესებდნენ საფრებში და გეზ-ადგილებში, რადგან მათ მიზანს წარმოადგენდა მტაცებელი ნადირის დაშინება, დაფრთხობა და გარეკვა სოფლიდან დიდი მანძილით დაცილებულ სხვა ადგილებისაკენ. ასეთ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, „ნადირობის“ ძირითადსა და ერთადერთ წესს ნადირის ძლიერი შეხმიანებითა და ხმაურით განდევნა შეადგენდა დასახლებული სოფლის ახლომახლო მიღამოებიდან და არა მისი მოკვლა ან დაჭერა და რაიმე მიზნით გამოყენება.

მორეკვით ნადირობა რაჭაში მგლებზედაც სცოდნიათ. მელზე ნადირობისას არსებითად იმავე ხერხსა ხმარობდნენ, რომელიც ჩვენ მიერ უკვე აღწერილი იყო დათვზე ნადირობასთან დაკავშირებით იმ განსხვავებით, რომ საჭირო ყოფილა მონადირეთა მეტი რაოდენობა, რადგან მელმა უფრო დიდრიცხვოვანი ჯგუფით იცის ხეტიალი და, გარდა ამისა, მსუნავი ნადირი ხშირად იცვლის ადგილს, რის შედეგად გარკვეული სავალი გზები მას არა აქვს და მესაფრეთა მეტი რაოდენობა სჭირდება.

მაგრამ ჩვენთვის ნადირობის განსაკუთრებით საინტერესო სახეს შველის მასობრივი მორეკვა წარმოადგენს, რადგან ნადირობის კუველაზე პრიმიტიული წესები, ნადირობის ორგანიზაციის უმარტივესი სახე და მატერიალური ბაზის განუვითარებელი დონე შველზე ნადირობის სწორედ ამ ფორმაშია დაცული.

შველზე მორეკვით ნადირობა დიდი თოვლიანობისას სცოდნიათ, უმთავრესად დეკემბრის ბოლო რიცხვებში, როდესაც ღრმა თოვლის გამო წვრილთათიან ნადირს მოძრაობა უჭირს. შველზე მორეკვით ნადირობის დროს მთელი სოფელი გადიოდა, სეირის საყურებლად დედაკაცებიც მიღიოდნენ, რადგან ასეთი დიდი თოვლიანობის დროს შველი ძირს ჩამოდიოდა სოფლის მახლობელ მიღამოებში. შველზე მორეკვით ნადირობის დროს მონადირეები ხელმძღვანელობას უწევდნენ ხალხს. სანადიროდ გადიოდა ყველა, მიუხედავად იმისა, ჰქონდა მას იარაღი თუ არა. ვისაც თოვფი არა ჰქონდა მიღიოდა მუჟირით, კეტებით, ხანჯლებით და ზოგი კი სრულიად უიარალოდ. ნადირობის ყველა მონაწილე ორ დასაც იყო დაყოფილი. ერთ დასს მომრეკნი შეადგენდნენ, ხოლო მეორეს — დამხურები. დამხვდურებად უფრო მარჯვე ახალგაზრდობას გააწესებდნენ და მუჟირა — კეტებით შეჭურვილ მოსახლეობას. გამოცდილი მონადირეები წინასწარ შეარჩევდნენ ტყის პირად ხევისა ან ლელის ღრმა თოვლით დაფარულსა და მო-

ვაქებულ ადგილს, სადაც დააყენებდნენ ჩვეულებრივად ლეშვში და ბუჩქნარში ამოფარებულ ახალგაზრდობას—მეჭალეებს. შველზე მორეკვით ნადირობის მეორე დასი—მომრეკნი—თავს გადაულიდა შველის ხროს და დამწკრივდებოდა ნახევარწრედ იმ ანგარიშით, რომ ნახევარწრის უკიდურესი ფრთები შველის ხროს გარშემორტყმოდა. ხელმძღვანელ მონადირეთა ნიშნის შემდეგ მომრეკნი დაიწყებდნენ შველის ძლიერ შეხმიანებას და ტყის მორეკვას. უკირილისა და შეძახილის გარდა მომრეკნი მუჯირასა და კეტებს წაუშენდნენ ტყესა და ბუჩქებს. ასეთი უეცარი და ძლიერი შეხმიანებით დაშინებული და თავგზააბნეული შველი ხევს დაჰყებოდა მომრეკთა მოძრაობის მიმართულებით. აღარ უყურებდა ტყესა და ბუჩქნარს, ხმაურობით კადარეული თავქვე დაეშვებოდა. ტყიდან გამოდენილი, განსაზღვრულ ადგილისაკენ მირეკილი შველი ვიწრო ფეხებითა და წვეტიანი ჩლიქებით ღრმა თოვლში იფლებოდა, მოძრაობის უნარსა პკარგავდა და დამხვდროთა—მეჭალეების იოლი მსხვერპლი ხიდებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შველმა ჯიხვისა და არჩევის მაგვარი ის ხილა-მურობა არ იცის. თუ ჯიხვი ან არჩევი თოვლიან ადგილზე კამარის შემდეგ ხშირად გავაზე ჯდება, ცურაობს და არ იფლობა თოვლში, შველი ამ უნარს მოკლებულია. ამას ის გარემოება უწყობს აგრეთვე ხელს, რომ ჯიხვისა და არჩევის გავრცელების ზონა უფრო შალლა მდებარეობს, ვიდრე შველისა. თოვლის ზედაპირი უფრო მოყინულია, რაც ხელს უწყობს ჯიხვსა და არჩეს თხილამურობის უნარი გამოიმუშაონ და გამოიყენონ.

ამგვარი ნადირობის ღროს შველს იშვიათად ხოცავდნენ თოვებით; მეტნაწილად მუჟირას ხმარობდნენ, ღანას, ხანჯალს, ხშირად კი პირდაპირ ხელით იჭერდნენ და ხოცავდნენ მას. უკანასკნელი წესით შველის დახოცვას კისრის დატეხსვას უწოდებდნენ, რაც შემდეგში მდგომარეობდა: ღრმა თოვლში ჩაფლულსა და მოძრაობის უნარდაკარგულ შველს ხელის უეცარი და ძლიერი მოქნევით კისერს გადაუკრეხავდნენ. „შველს მთავარი ძარღვი უწყდება და უცემ კვლებაონ“.

შველის მორეკვა დიდი თოვლიანობის ღროს მთელი სოფლის შემაღენლობით საქართველოს სხვა კუთხეებშიც არის დამოწმებული. მაგალითად, ნ. რეხვიაშვილის მიერ შეკრებილი მასალებიდან ირკვევა, რომ შველზე მასობრივ ნადირობას მორეკვის წესით იმერეთშიც ჰქონია ადგილი.

„შველზე ვნადირობდით შუბებით, როცა კარგად წამოთოვდა შევგროვდებოდით მთელი სოფლის კაცები, ვისაც მუხლი ერჩოდა.

მოუვლიდით ზოგი, ზოგი ჩავუსაფრდებოდით მარჯვე ადგილებში და ვესროდით შუბს, თუ დავეწეოდით — დავარტყამდით”¹.

რაჭაში ცდილობდნენ შველის მასობრივი მორჩევა შობა-ახალწლის პერიოდში. მოეწყოთ. ასეთ შემთხვევაში ნანაღირევის თავკისერი სახლში დარჩენილ მოხუცებულებისათვის მოქმედიათ. (იგივე წესი დამოწმებულია ჯიხვზე ნაღირობის დროს. ახალწლისათვის მონაღირე ხშირად მიღიოდა სპეციალურად ჯიხვზე სანაღიროდ, რომ ოჯახის უფროსისათვის ჯიხვის თავი მიერთმია). ნაღირობა შობა-ახალწელთან დაკავშირებით გურიაშიც არის დამოწმებული. მაგ., მისიონერი ლუი გრანჟიო ამბობს, რომ თავადის ოჯახი და კარი ბარალეთში იმყოფებოდა, საღაც. მათ განზრახულ პქნდათ შობა გაეტარებინათ; მაგრამ ლ. გრანჟიო მისინი ნახა გზაზე ერთ სახლში, სადაც თავადი ჩასულიყო სანაღიროდ².

რომ მასობრივ ნაღირობას გარკვეული კავშირი პქნდა შობა-ახალწლის დღესასწაულთან, ნათლად მეტყველებს ვა ხუ შტი ის ცნობა საქართველოს ზნეთა და ჩვეულებათა აღწერის დროს მოხსენებული. იგი ამბობს:

„ხოლო შემდგომად წირვისა სრულიად ერისთავნი, კელისუფალი და დარბაზის ერნი თვეს-თვესთა ბარებულთა, ესე იგი არს ბაზიერთ-ხუცესი—შევარდენ-ქორსა და თავსა ველურის ეშვისასა მოოქროვილსა; მეჯინიბეთ-ხუცესი—ცხენსა კაზმულსა ოქრო-მოოჭვლითა, და სხვანი ოფიკალნი თვეს-თვესთა შესატყვისტთა, ხოლო ერისთავნი—ცხენსა არა კეთილთა;... ხოლო ცხენთა-მათ ერისთავთა მორთმეულსა განიყვანის ბაზიერთ-ხუცესი—სადა იყო სანაღირო მეფისა შემოლობილი ახლოს მეფის სამყოფისა,—და დაჯოცის ცხენნი იგი მწუხასა-მას შემოლობილსა მას შინა, და მას ღამეს აღივსის შემოლობილი-იგი მელითა, ტურითა, მგლითა, და ღილასა მცველმან მისმან ჩამოხურნის კარნი და დაამწყვდივის მას შინა. ხოლო მეორეს დღესა შეჯდის მეფე წარჩინებულითა თვესითა და მივიდის აღრიან მუნ. მაშინ გამოუშვიან მჯეცნი იგინი და უწყიან ისრითა სროლა და სიკუდილი მათი”³.

მასობრივი ნაღირობის კავშირს დღესასწაულთან უფრო დამაკერებლად ამჟღავნებს სვანური დღესასწაული პოლიშა⁴, რომ-

¹ ნ. რეზვია შვილი, იმერეთის 1937 წლის ექსპედიციის მასალები.

² Луи Гранжио, Письмо, посланное с востока отцом Луи Гранжкио его преподобию отцу Аквасиана, генералу иезуитского ордена, Москва, 2/ш 1615 г., СМОМПК, XLIV, № 46.

³ ვახუ შტი ი, საქ. გეოგრაფია, დას. გამ., გვ. 18—19.

⁴ ვ. გ-ძე, სვანეთის მთებში, მონაღირის კრებული, ნ. II, ტფ. 1926 წ., გვ. 58.

ლის დროს ყოველი სეანის ოჯახში სუფრა ჯიხვისა და შვლის თავ-რქით უნდა ყოფილიყო დამშვენებული.

ვფიქრობთ, რომ ნ. მინდელის¹ მიერ აღწერილი ჯელგაობა ს. სორში, რომელიც ჩვენ მიერ სხვა აფეთქებშიც იყო დამოწმებული, იმ ნიშნების მიხედვით, რომლებიც მას ახასიათებს როგორც ნადირობის ორგანიზაციის აგრეთვე ნანადირევის განაწყლების სტადიაში, გარკვეულ კავშირში იმყოფება შობა-ახალწლის დღესასწაულთან, რაც გვაფიქრებინებს, რომ გარკვეულ შემთხვევაში, მასობრივი ნადირობა რიტუალურ ხასიათს ატარებდა, რელიგიურ მიზნებს ემსახურებოდა.

ნადირობის კავშირს ახალწლის დღესასწაულთან და მის რიტუალურ ბუნებას მშვენიერად ამჟღავნებს „ენდეზიფის კარის გარიგება“²-ში დაცული ცნობა, რომლის მიხედვით: „აქითგან წლის თავით თევდორობამდის მონადირეთ-უხუცესი მწვადს მიიხვამს. უკანისლა მიდგების, იკითხავს: «ხვალ სით ჰპლევენ?» უბრძანებს მეფე, სითაც ეპრიანების, ჭიქას უბოძებს და მწვადს შესჭიმს და შესვამს. ღვინოსა, და მუნევე წავა და დაჯდების თავის ადგილსა“³.

მონადირეთ-უხუცესს ვანსაკუთრებული უფლებებიცა ჰქონია: „მას წელიწლის თავს დღე მეფე არავის[გან] შე[ი]მოსს ამისგან კიდე, რომე მონადირეთ-უხუცესი ყვთლით ყაბარჩით შეიმოსების, საჯელ-მოკლით, ტყავიანითა, მოყვენოულითა, არა დია პრტყელად, თავსა და საყელოსა კარგისა ყვიდიზისა და მაღლად აშვერილსა, მჭლოდ შეკრულსა ქუდისა დაარქვამს“⁴.

ამ შემოხვევაში სცოდნიათ ტაბლას გაწყობაც:

„საღვინეთ წინ ქვე დასმენ მაღლა სკამითა, ტაბლას წინ დაუდგმენ და ველურის ტახის თავს მოხარშულს წინ დაუდგმენ“⁵. ხსენებულ ძეგლში, რომელსაც გამომცემელი XIV ს. მიაკუთვნებს, ყურადღებას იქცევს სამეფო ნადირობის მოწყობა ახალწლის დღესასწაულთან დაკავშირებით, ამ პერიოდში მონადირეთ ხუცესისა და ტყის. მცველების საპატიო მდგომარეობა და სპეციალური ტაბლის გაწყობა. უკანასკნელთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს „ველურის ტახის თავი მოხარშული“, რომელიც საახალწლო ცერემონიალის ერთ-ერთი ელემენტის სახით ვა ხუ ჟტისაც აქვს მოხსენებული.

¹ И. М и н დ е л ი, Селение Сори, СМОМК, XIX, ვე. 88—89

² „კელმწიფის კარის გარიგება“, ექ. თაყაი ვეილის. ვამოცემა, ტუ. 1920 წ., გვ. 1—2.

³ იქვე, გვ. 1.

⁴ იქვე, გვ. 1.

მორეკვით ნადირობის მეტად საინტერესო სახე, რომელიც რაჭაში არ იყო დამოწმებული, დადგენილია იმერეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში. ნ. რეხვიაშვილის მასალებში მოცემულია ერთ-ერთი იმერელი მონადირის მიერ მორეკვით ნადირობის აღწერა:

„რომ წავიდოდით ამხანაკობით გვქონდა დასაკრავი ბუკი. თოფიანები ვიყავით ნახევარი, ნახევარი კი უთოფო. უთოფო მორეკავდა ტყეს. ჩვენ სახუნდარში ვიყავით თოფიანები. თუ თოფიანები არ გაწლობოდა გავიხდიდით და ტანისამოსს დავკიდებდით იქ— იმ ადგილზე. საფრთხობი ერქვა იმ ადგილს... ტყის მრეკავი ბუკით მოდიოდა ჩვენთან“¹.

ორ ახალ გარემოებასთან გვაქვს საქმე ამ შემოხვევაში. ტყის მორეკვასთან ბუკის საშუალებით, რომლის ფუნქციას რაჭაში შეხმიანება-შეძახილი და კეტებით ხმაურობის ატეხვა ასრულებს და საფრთხობელა, რომელსაც საკუთრივ ნადირობის პროცესში რაჭაში შესატყვისი არა აქვს.

საფრთხოლი ს. ორბელიანს განმარტებული აქვს როგორც დასაფრთხობელი², მაგრამ განმარტებიდან არა ჩანს მისი რაიმე კავშირი ნადირობასთან. მხოლოდ მახე-ხაფანგებთან დაკავშირებით ს. ორბელიანი ამბობს:

„...საბრძე (საფრჯე) არს მახე ჭუნდი, რომელსა შემზადებენ რკინითა, ანუ ხეთაგან და დაუგებენ მარჯუეთა ადგილთა დიდთა ნადირთა შესაბყრობელად“³.

ზემოთქმულიდან თითქოს ირკვევა, რომ იმერულ საფრთხოებელასა და საბას საბრძეს შორის გარკვეული განსხვავება არსებობს. ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეულ ინტერესს შეიცავს დაბადებაში მოცემული შემდეგი წინადადება:

„...და მახენი ვითარცა საბრძენი და საბრძენი ვითარცა სახე მონადირისა“⁴.

ძნელი წარმოსალგენია, რომ მახეს მონადირის სახე ჰქონდა, თუმცა შესაძლებელია, რომ ამგვარი გამოსახულება გამოყენებული იყო მორეკვით ნადირობის დროს, რათა ნადირი წინასწარ შერჩეული მიმართულებით წასულიყო.

¹. ნ. რეხვიაშვილი, იმერეთის 1937 წლის ექსპედიციის დღიურიდან.

² ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, დას. გამ., სიტყვასთან საფრთხოლი.

³ იქვე, სიტყვასთან მახე.

⁴ წინასწარმეტყველება მერქმიასი, თავი ე., კვ. დაბადება, ნაწ. II, ტფ. 1884 წ.

ბ) ს აკვალი ე. როგორც აღვნიშნეთ, საკვალიე ეწყობოდა უმთავრესად კვერნაზე, კურდლელზე და მელაზე ნადირობის დროს. ხსენებულ ნადირზე ნადირობისას ძალიც ყოფილა გამოყენებული, ხოლო რადგან ქოჩ-მეძებრის ადგილის შესახებ ნადირობის პროცესში. განსაკუთრებით გვინდა შევჩერდეთ, ამიტომ აქ ამ საკითხს არ შევეხებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ძალი ზემოხსენებულ ნადირზე ნადირობის დროს თითქმის აუცილებელ მონაწილეს წარმოადგენდა, განუყრელი თანამონადირის როლს ასრულებდა.

ზემოხსენებულ ნადირზე ნადირობის ორგანიზაცია, როგორც ფუნქციების განაწილების, აგრეთვე ნანადირებული მონაწილეობის თვალსაზრისით, არ არის ისე მკვეთრად ჩამოყალიბებული და სისტემაში მოყვანილი, როგორც, ვთქვათ, დათვზე ან ჯიხვზე ნადირობა-თავისი მასობრივობითა და ორგანიზიციის თვალსაზრისით იგი შველის მასობრივ მორეკვას უფრო წააგავს.

შესაძლებელია ამაზე ის გარემოება მოქმედებს, რომ კვერნა, კურდლელი და მელა უფრო იოლი დასაჭერია ხაფანგებით და ამ ნადირზე უმთავრესად ხაფანგს ხმარობენ ხოლმე. ერთია მხოლოდ ცხალი, რომ წერილფეხა ნადირზე ნადირობა ქვემო-რაჭაში უფროა გავრცელებული და განვითარებული ვიდრე ზემოში. ზემო-რაჭაში სახელგანთქმულ მონადირეს ნ. რენვია შვილს, რომელსაც ასზე-შეტი დავთი ჰყავს დახოცილი და სამასორმოცდაათამდე შველი, ჯიხვი და არჩევი, მხოლოდ ერთი კურდლელი მოუკლავს თავის სანადირო პრაქტიკაში.

ზემო-რაჭის სოფლებში, განსაკუთრებით კი ს. ს. ლებში, ჭიორაში და გლოლაში კურდლელზე ნადირობა საერთოდ არ არის განვითარებული. ეს, რათქეაუნდა, ბუნებრივი გარემოს თავისებურებით არ შეიძლება იყოს ახსნილი, რადგან კვერნა, მელა და კურდლელი ზემო-რაჭაში. ისევე გავრცელებული, როგორც ქვემო-რაჭაში. ამის მიზეზი სხვაგან უნდა ვეძებოთ და საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს კერძოდ კურდლისადმი უარყოფით დამოკიდებულებას. ასე მაგალითად, რაჭველ მონადირეთა ძველი შეხედულებით მათი სანადიროდ წასვლის წინ გზაზე კურდლის გადარჩენა ცუდ ნიშანს მოასწავებდა. საერთოდ, კურდლელი „გლახა კვალისაა“—ო—იტყოდნენ ძველათ ცრუმორწმუნე მონადირები.

კურდლისადმი ამგვარი უარყოფითი დამოკიდებულება, ქვემო-სვანეთშიც არის დამოწმებული. გ. ონიანი ქვემო-სვანეთის 1939 წ.

ექსპედიციის დღიურში აღნიშნავს: „კურდლელზე ძველათ არავინ ნადირობდა, რადგან კურდლელი კატის ნათესავად ყავდათ მიჩნეული“¹.

მსგავსი ადგილი უჭირავს კურდლელს ხევსურთა ეონოგრაფიულ სინამდვილეში. კურდლლის ხორცის აკრძალვა ხევსურეთში რ. ერის-თავსაც² აქვს აღნიშნული და ა. ზისერმანსაც³.

რაც შეეხება ქვემო-რაჭას, აქ მონადირები ნადირობის ქინს კვერნაზე და მელა-კურდლელზე იკლავენ, რადგან ჯიხვი და არჩევი ქვემო-რაჭაში შედარებით იშვიათ მოვლენას წარმოადგენს, და თუ მოიპოვება სადმე—ზემო-რაჭიდან გადმოვარდნილი უნდა იყოს; მით უმეტეს ეს შველზე და ირემზე ითქმის, რომლებიც ზემო-რაჭაშიც კი აღარ მოიპოვება. შესაძლებელია ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ქვემო-რაჭის მოსახლეობის კურდლლისაღმი დამოკიდებულების შეცვლას, რის შედეგად აქ კურდლლის ხორცი ხმარებაშია.

ძირითადი ხერხი და წესი წვრილფეხა ნადირზე ნადირობის ლროს ნადირის კვალის მიგნებაა, კვალში ჩადგომა და მისი მიხედვით ნადირის დევნა. იმ შემთხვევაში, თუ ნადირობის ლროს ძალიც იღებს მონაწილეობას, ადგილის შემოწერვა და ნადირის თავის გადაჭრა აღარ არის საჭირო. ვფიქრობთ, რომ წვრილფეხა ნადირზე ნადირობა არც მოითხოვდა მის მორეკვას. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ რაჭელ მონადირეთა განმარტებით „მორეკვა მხოლოდ ტყისა შეიძლება“ და რადგან მელა და კურდლელი უფრო დაცემულ ადგილს ეტანება, დაბალი მეჩხერი ბუჩქნარით დაფარულ და დაქანებულ ფერდობს, მისი მორეკვა ფიზიკურად შეუძლებელი იქნებოდა. ამის გამო წვრილფეხა ცხოველის მონადირების დროს ერთადერთ შესაძლებელ საშუალებას მისი მიკვლევა და კვალდაკვალ დევნა წარმოადგენდა.

ამ ძირითად წესზე იყო აგებული კურდლელზე, მელაზე და კვერნაზე ნადირობა.

კურდლელზე ნადირობის დროს შეიკრიბებოდა მონადირეთა შცირერიცხოვანი ჯგუფი (კურდლელზე ნადირობა არც მოითხოვს დიდრიცხოვანი ჯგუფით ნადირობას) სამი—ხუთი კაცის შემადგენლობით. მეკვლეს (კვალში მომყოლს) ძალითურთ უნდა წამომგდო კურდლელი. დაშინებული და წამოგდებული კურდლელი აღ-

¹ გ. ონიანი, ქვემო-სვანეთის 1939 წლის ექსპედიციის დღიურიდან.

² Р. Эристов, О тушено-пишаво - хевсурском округе, ЗКОРГО, т. III, გვ. 96.

³ А. Зиссерман, Очерки Хевсурии, гаზ. „Кавказ“, 1851 წ. № 22.

მართს მიატანდა (რაღაც უკანა ფეხები კურდლელს წინაზე გრძელი აქვს მას აღმართში სირბილი უფრო ეხერხება) და სერებს მიაშურებდა გადასარბენად. დანარჩენი მონაღირები სერებზე იყვნენ ჩასაფრებულნი, მაგრამ იშვიათად თუ დაუდგებოდა ვინმეს გული წამოგდებული კურდლლის დანახვაზე; ყველა ერთხმად ასტეხავდა ჟივილ-ხივილს და დაედევნებოდა მას. კურდლელზე ნადირობა მეტად საინტერესო ყოფილა, რაღაც მასაც თავისებური ხრიკები სცოდნია მონაღირის მოსატყუებლად. გაჭირვებაში ჩავარდნილმა კურდლელმა, მაგალითად, კვალის მოპარვა იცის და ორკვალობა. კვალს იგი შემდეგი წესით იპარავს: გაქანებული სირბილის დროს უეცრად დიდ კამარას გააკეთებს გვერდულად და შეცვლილი მიმართულებით განაგრძობს სირბილს. ხოლო ხანდახან კვალში მდგარი შემობრუნდება, თავისავე კვალს დაჰკვება უკან და ომდენიმე კამარის შემდეგ უკვე დატევნილ ნაფეხურზე ძლიერ შეცვლილი მიმართულებით განზე გადატება და გაქანდება ზურგზე გადაწყვეპილი ყურებით. ამას ორკვალობა ეწოდება. მხიარული ჟივილ-ხივილით მიმდინარეობს კოლექტიური ნადირობა კურდლელზე და, მას უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ სასპორტო გართობის დანიშნულება და აქვს შემონახული.

ნადირობის ანალოგიური ორგანიზაცია იყო გამოყენებული შელაზე ნადირობის დროს; ხოლო დღეს შელას უმეტეს შემთხვევაში ხაფანგებით იჭერენ.

განსაკუთრებულ ინტერესს ჩვენთვის კვერნაზე ნადირობა წარმოადგენს, რაღაც მას ისევე, როგორც შველის მორეკვას, დაყოლილი აქვს ნადირობის უძველესი წესების ზოგიერთი ნიშნები.

კვერნაზე ნადირობაც ზამთარში სცოდნიათ. როგორც ეტყობა, კვერნაზე ნადირობას აგრეთვე მასობრივი ხასიათი ჰქონდა. გადიოდა ორმოცამდე მონაღირე და არა მონადირე. თავისთვის კვერნა პატარა ცხოველია, მასზე ნადირობა არ წარმოადგენს არავითოარ საფრთხეს და თვით ნადირობა ამდენად არ მოითხოვს მონაწილეთა ასეთ ოროდენობას. ამას ის გარემოებაც ამოწმებს, რომ სანადიროდ წასვლისა და კვერნის მიკვლევის შემდეგ მონადირეთა მთელი შემაღენლობა პატარ-პატარა ჯგუფად დაიყოფოდა, რომელშიც ოთხი—ხუთი კაცი შედიოდა. საკვალიერო შრომის ორგანიზაციის თვალსაზრისით ნადირობის მეტად პრიმიტიულ ფორმას წარმოადგენს და გულისხმობს მარტო უფროსი მონადირის გამოყოფას ჯგუფის დანარჩენ წევრთა შორის შრომის დაუნაწილებლად. შრომის ამგვარი პრიმიტიული ორგანიზაციის შემონახვას კვერნაზე სა-

კვალიეს მოწყობის დროს ხელს უწყობდა აგრეთვე ის გარემოება, რომ კვერნაზე ნადირობა არ მოითხოვდა საგანგებო წესებისა და განსაკუთრებული სიწყნარის დაცვის. დაწყებული სახლიდან გასვლით და გათავებული ნანადირევის სახლში მოტანით საკვალიეს მთელი შემადგენლობა განუწყვეტელ მხიარულ ხშაურობასა და ჟივილ-ხივილში ატარებდა დროს. კველაზე უფრო მეტად ხალხს საკვალიედ წასვლა ეხალისებოდა. საკვალიედ წასვლისას მონადირეებს თან ძალლი მიჰყავდათ, რადგან კვერნაზე ნიდირობის დროს ძალლი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. კვერნამ მეტად ოსტატური დამალვა იცის ხის ფუღუროში, წაქცეულ ხის ქვეშ, ორმოში, ხვრელში, სოროში, ლეშქში. მისი მიკვლევა და ამოგდება უძალლოდ შეუძლებელი საქმეა. ძალლი კი საუცხოოდ მიაგნებდა მას და ამოაგდებდა თავშესაფრიდან. ჯგუფის მეთოური რომ მიაგნებდა კვერნის კვალს მისი ნაფეხურების მითვლას დაიწყებდა. თუ ხისკენ მიმავალი კვალი სჭარბობდა ხისგან მომავალ კვალს, კვერნას ხეზე დაუწყებდნენ ძებნასა და ჩამოგდებას, ხოლო თუ კვალის რაოდენობა შებრუნებულ სურათს იძლეოდა საჭირო ხდებოდა კვერნის სხვა ადგილზე დაძებნა. კვერნის ადგილის მიკვლევის შემდეგ მას ამოაგდებდნენ ძალლის საშუალებით, შემოეხვეოდნენ გარშემო, მიუტევდნენ ძალლს, გააძლიერებდნენ ჟივილ-ხივილსა და შეხმიანებას და ასე დასდევდნენ მას ვიდრე კეტებით არ ჩაკლავდნენ.

შეიარაღების თვალსაზრისით საინტერესოა, რომ კვერნაზე ნადირობის დროს, თოფებს არ ხმარობდნენ, რადგან ტყვიას შეუძლია ტყავი გააფუჭოს, ხოლო კვერნის ერთადერთ ლირებულებას მისი ლამაზი ქურქი წარმოადგენს.

გ) მოსაჭირავი. ჯიხვასა და არჩვზე ნადირობის დროს ნადირობის ძირითად წესად მისი მოჭირვა იყო გამოყენებული. ჯიხვისა და არჩვის თვისებათა ზემოხსნებული დახასიათებიდან ცხადი ხდება, რომ მისი კვალში ჩადგომით დევნა შეუძლებელი საქმეა. ასეთი წესით ნადირობა მეტად იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს და გამოყენებულია მოლლოდ განსაკუთრებული გამძლეობით დაჯილდოვებული ცალკე მონადირის მიერ, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ნადირი დაჭრილია და ამის გამო შორს ვერ წავა. რაც შეეხება მის მორეკვას, ახლო წარსულში ნადირობის არც ეს წესია დამოწმებული. ძელათ სცოდნიათ მოლლოდ ჯიხვზე ჯელგაობის გამართვა, ისიც იმ შემთხვევაში თუ განსაკუთრებულად მძიმე ზამთრის გამო ჯიხვი ძირს ჩამოიწევდა.

მეტისმეტად ფრთხილი, გონიერი, სწრაფი და ძლიერი ცხოველი, ამაყი და მიუკარებელი ხასიათით, ძნელად მისავალ ქარაფებში თავშეფარებული, იშვიათად თუ მიიკარებს მონადირეს სასროლზე, უცებ შეირჩევს ყველაზე უფრო ხელსაყრელ მიმართულებას და თვალის დახამხამებაზე გაპქრება. თუ გასავალ ადგილზე მონადირე დახვდა—ძალასაც მოიხმარს. გამოუსავალ მდგომარეობაში ჩაკეტილი ხშირად თვალუწვდენელ უფსკრულში გადაიჩება.

სანადირო ობიექტის ამ თვისებისა და მის ადგილსამყოფი თავისებურებასთან სრული შესატყვისობით ჩამოყალიბებულია მასზე ნადირობის ორგანიზაციის განსაკუთრებული სახე, რომელსაც რაჭველები მოსაჭირავს უწოდებენ.

ამ შემთხვევაში ჯიხვზე კოლექტიური ნადირობის ძირითად წესს ჯიხვების სავალი ბილიკის გადაჭრა, სახუნდარში ჩასაფრება და უკან დასახვევი გზების დაკეტვა წარმოადგენდა. აიავე დროს აღსანიშნავია ის განსხვავება, რომელიც არსებობს დათვზე მორეკვით ნადირობის დროს გამოყენებულ ჩასაფრებასა და ჯიხვზე მოჭირვით ნადირობის დროს მიღებული ჩასახუნდრებას შორის.

დათვზე, მგელზე ან შველზე მორეკვით ნადირობის დროს მესაფრებს არ შეუძლიათ ნადირს ყველა გასაქცევი გზა გადაუჭრან. მესაფრები ამ შემთხვევაში მხოლოდ ისეთ ადგილებში ჩაუსაფრდებიან ნადირს, სადაც მათი გაპარვა ყველაზე უფრო მოსალოდნელია. შეხმიანებაში ზომიერების დაცვაც ამგვარი ნადირის მორეკვის დროს სწორედ იმას ვულისხმობს (გარდა შველზე მასობრივი ნადირობისა), რომ მეტისმეტად დაშინებულმა ნადირმა მისთვის ჩევულებრივი სავალი გეზი ადგილები არ შესცვალოს და უგზოუკვლოდ არ დაიწყოს სირბილი. უკანასკნელ შემთხვევაში ნადირს თავისდაუნებურად შეუძლია იოლად ასცდეს საფარს, მონადირე გვერდზე დასტოკოს და თავს უშველოს.

ჯიხვის ადგილსამყოფის თავისებურება, იმ შემთხვევაში თუ მოსაჭირავი ადგილი კარგად არის შერჩეული, საშუალებას აძლევს მონადირეთა შედარებით მცირერიცხოვან ჯგუფს ჯიხვს გაქცევისა და მისი უკან დახევის ყველა შესაძლებელი გზები შეუკრას და დაუკეტოს.

მოსაჭირავი ადგილის შერჩევისას სცდილობდნენ ისეთი ადგილი შემოჭირათ, საიდანაც ჯიხს მხოლოდ სამი ან ოთხი გასავალი კარი ჰქონდა დატოვებული, ე. წ. სახუნდრები, სადაც მონადირენი უსაფრდებობდნენ ჯიხს და მის მოსვლას ელოდებოდნენ. მოსაჭირავის მონაწილეთა რაოდენობა ათ-თორმეტ კაცს არ აღემატებოდა.

ყოველი მათგანი ნაცადი, გულადი, ზუსტად მსროლელი და კარგად შექურვილი უნდა ყოფილიყო. ჯგუფს ჰყავდა თავისი მეთოური, რომელიც განაგებდა ნადირობის პროცესს, ირჩევდა მოსაჭირავ ადგილს და დანარჩენ მონადირეთ ორ დასად დაპყოფდა, მათი შეიარაღებისა და გამოცდილების მიხედვით, რომელთა შორის ერთი დასი მეწვერეების სახელწოდებას ატარებდა, ხოლო მეორე დასი—მეძირეების სახელწოდებას.

ნადირობას უმეტეს შემთხვევაში აწყობდნენ გათენებისას, როდესაც ბოსლებში ნაპატაები ჯიხვი ნასვამ-ნაჭამი, ქვაბულებისა-კენ მიაშურებდა. ასეთი ნადირობა უმეტეს შემთხვევაში შემოდგო-მაზე იმართებოდა. მეწვერეების მოვალეობას შეადგენდა ქვაბული-საკენ მიმავალი გზების გადაკეტვა, ხოლო მეძირეების მოვალეობას ჯიხვის უკან დასახევი გზების დაჭრა. რათქმაუნდა, მეწვერეებად მეთოური დააყენებდა ყველაზე გამოცდილსა და ყველაზე უკეთ შე-შურვილ მონადირეებს, რაღაც. ჯიხვი ყოველგვარ ღონისძიებასა ხმარობს ქვაბულში შეაფაროს თავი. მეძირეები მხოლოდ მაშინ დაუ-შენდნენ თოფებს ჯიხვებს, თუ ჩასახუნდრებული მეწვერეების მიერ დაჭრილი და დაშინებული ჯიხვი ძირს დაიწყებდა ჩამოწევას.

მაშასალამე, ჯიხვზე ნადირობის დროს გამოყენებული იყო უმთავრესად ჩასახუნდრებისა და ლოდინის წესი, თუმცა როგორც დამხმარე საშუალებას მიმართავდნენ წოლმე მეძირეების გამოყენე-ბას დაჭრილი და უკან დახეული ჯიხვის დასახოცად. ნადირობის ეს წესი დამოწმებულია ჯიხვზე შემოდგომით ნადირობის დროს.

მაგრამ ჯიხვზე ზამთრობითაც სკოლნიათ ნადირობა. ზამთარში ჯიხვი შედარებით ჭვემოთ ჩამოდის და შესაძლებელი ხდება მის ბინულებთან მისვლა. ზამთარში ნადირობის დროს მონადირეთა ჯგუფი აგრეთვე ორ დასად არის დაყოფილი—მეწვერეებად და მეძი-რეებად. მეწვერეების მოვალეობას ამ შემთხვევაში ჯიხვის ამოგდე-ბა შეადგენს ქვაბულებიდან და ძირს დაშვება, ხოლო მეძირეების ფუნქციას ჯიხვის დახოცა წარმოადგენს. ფუნქციები აქაც მტკიცედ არის განსაზღვრული და გადამწყვეტ როლს ისევ მეწვერეები ასრუ-ლებენ, რომელთა მოვალეობას ყველაზე გამოცდილ მონადირეებს დააკისრებდნენ ხოლმე.

არის გარკვეული ნიშნები იმის სასარგებლოდ, რომ ძველად ჯიხვზე მასობრივი ნადირობა იმართებოდა ზამთრობით, რომელშიც არა მონადირენიც იღებდნენ მონაწილეობას. ნადირობის ძირითად წესს ჯიხვის მორჩევა შეადგენდა დაბლობში. მაგრამ ასეთი ნადი-რობა ჯიხვზე მისი გავრცელების ზონის შედარებით დაბალ ხაზს

უფლისხმობს, ოომლის შესახებ რაიმე მტკიცე ცნობების უქონლობის გამო კატეგორიული მსჯელობა შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში განსაკუთრებით მძიმე ზამთრის პირობებში ჯიხვზე მასობრივი ნადირობის მოწყობა არ იქნებოდა შეუძლებელი. რადგან ჯიხვი იძულებული იქნებოდა ძირს ჩამოსულიყო.

ჯიხვზე მასობრივი ნადირობა სვანეთში თავისუფალ სვანსა აქვს დამოწმებული. იგი ამბობს:

„ზამთარში, როდესაც დიდი ოვალი მოვა, მონადირეები გაუძლებიან ხალხს ჯიხვზე სანადიროდ. მონადირეები კლდეში მიმდგარ ჯიხვებს გამოჰყრიან. ხალხი ქვევით უცდის ხევში. ჯიხვი თოვლში იფლება, აღმართხე ვერ მიდის, იღლება და რჩება თოვლში. ამ დროს მიღიან ძალებით და ხშირად თოვლუკრავად იჭრენ ჯიხვებს“¹.

დღეს რაჭაში, იმ ადგილებში, სადაც ჯიხვი კიდევ მოიპოვება, ჯიხვზე ნადირობის ყველაზე გავრცელებული სახე მცირერიცხოვანი ჯგუფით ნადირობაა. ზამთარში ათი-თორმეტი მონადირე მიემგზავრება სანადიროდ, ხოლო შემოღვომით ორი-სამი მონადირე, რომელთაც ხშირად ერთი თანამტანი მიპყავთ ხოლმე. ასეთი ნადირობის დროს ნადირობის ძირითად ხერხს მიაბრევა წარმოადგენს.

ნადირობის ასეთი წესი მონადირისაგან განსაკუთრებული თვისების გამომუშავებას თხოვულობს. იგი სროლაში დახელოვნებული უნდა იყოს, სიარულში—ვაძლე, სანადირო გარემოსა და ნადირის ჩვევის ზედმიწევნით მცოდნე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ასეთი წესით ნადირობის დროს სითრთხილეს ენიჭება, მონადირის შეიარაღებას, ჩაცმულობას და სხვა.

რადგან ორი-სამი კაცისაგან შემდგარ მონადირეთა ჯგუფს საშუალება არა აქვს გზები გადაუჭრას და დაუკეტოს ჯიხვს, მონადირეს ხშირად უხდება ათეული კილომეტრის მანძილზე სდიოს ჯიხვს, მიეპაროს მას ნიავის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით, შეეხამოს სანადარო ვარემოს და უცადოს ვიდრე ხელთ არ იგდებს ისეთ მომენტს, როდესაც იგი სავსებით იქნება დარწმუნებული თოვის გასროლის შედეგში.

ამგვარი ნადირობა ჯიხვზე ხევსურეთშიც არის დამოწმებული, სადაც ჯგუფში აგრეთვე მხოლოდ ორი-სამი მონადირე თუ გაერთიანდება. რ. ერისთავი, ეხება რა ხევსურეთში მცირერიცხო-

¹ თავისუფალი სვანი, ჯიხვი და შურთხი, „შევერია“, 1887 წ. № 84.

7. კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში.

ვანი ჯგუფით ნადირობას, აღნიშნავს, რომ იქ მონადირეები ეპარებიან ჯიხვს თოფის სასროლზე და ამავე დროს ჯიხვს ფართო ბილიკს უტოვებენ¹.

ფართო ბილიკს ხევსური მონადირეები იმ მოსაზრებით უტოვებენ ჯიხვს, რომ დაჭრილმა ნადირმა მონადირე არ გააფუჭოს.

* *

ამჟამად რაჭის მოსახლეობის ყოფაში ნადირობის ორგანიზაციის ნაირსახეობათა და მონაწილეთა მიერ შესრულებული ფუნქციების სახელწოდებათა სისტემაში საკმაო აღრევას აქვს აღვილი. ასე მაგალითად, მეძირეებსა და მეწვერეებს შეველზე მორეკვით ნადირობის მონაწილეებსაც უწოდებენ, ხოლო ტერმინ მრეკალსა და დამხვდურს ჯიხვზე მოჭირვით ნადირობის მონაწილეების აღსანიშნავად ხმარობენ ხოლმე.

რაც შეეხება მთელი სოფლით მასობრივ ნადირობას, სულ ერთია შეველზე ნადირობენ თუ სხვა ნადირზე, მას ჯელ გაობას უწოდებენ.

ლიტერატურული და ისტორიული წყაროების ანალიზმა და რაჭაში მეორე ექსპედიციის დროს დამატებით შეკრებილმა მასალამ საშუალება მოგვცა დაგვეზუსტებინა ამ ტერმინების ნამდვილი შინაარსი და დაგვედასტურებინა, რომ ყოველ ამ სახელწოდებას ნადირობის გარკვეული ტიპი და შესრულებული ფუნქციის გარკვეული შინაარსი ემთხვევა; ხოლო ის გარემოება, რომ ჯიხვზე ნადირობის დროს მონაწილეთა სახელწოდებად მრეკალსა და დამხვდურს ხმარობენ, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჯიხვის მორეკვა არაა დამოწმებული მონადირეთა პრაქტიკაში, კიდევ ერთხელ მიგვითითებს იმ დებულების სახარგებლობა, რომ ოდესალაც, ამისათვის ხელსაყრელ პირობებში, რაჭელ მოსახლეობას ჯიხვის მორეკვაც სცოდნია მასობრივი ნადირობის დროს.

ნადირობის ორგანიზაციის ამ ტიპისათვის, რომელიც დღეს არის გამოყენებული რაჭაში ჯიხვზე მცირერიცხოვანი ჯგუფით ნადირობის დროს, მისი ტექნიკისა და ორგანიზაციის თვისებათა მიხედვით, მიზანშეწონილად მიგვჩნია ნადირობის პროცესის აღსანიშნავად რაჭაში დამოწმებული მოჭირვა ვუწიდოთ, ხოლო მონაწილეებს—მეთოური, მეძირე და მეწვერე, როდესაც ნადირობა ზამთარში წარმოებდა, ხოლო მესახუნდრე—პიროვნებას, რომელიც შემოდგომაზე ჯიხვს სავალ ბილიკზე უსაფრდებოდა.

¹ Р. Эристов, О тушино-пшаво-хевсурском округе, დასახ:გამ:, გვ. 121.

მოჩეკვით ნადირობასთან დაკავშირებით რაჭაში დამოწმებული ტერმინები არავითარ ეჭვს არ იწვევენ. ნადირობის მთლიან პროცესს ამ შემთხვევაში მორეკვა ეწოდება, მონაწილეებს კი მრეკალი და მესაფრე. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს კვალში ჩადგომას, ამ უუნჯუის შემსრულებელს მეკვლე ეწოდება.

იგივე ითქმის საკვალიერებელის შესახებ.

თუ რა ეწოდებოდა თვით მონადირეთა ჯგუფს ადგილობრივი შოსახლების ენაზე, ამის თქმა ჯერჯერობით არ შეგვიძლია, რადგან მისი აღმნიშვნელი ტერმინი შესასწავლი რაიონში ჯერ არ არის დამოწმებული. დღეს მონადირეთა ჯგუფის აღსანიშნავად ტერმინ ამზან აგობა-სა ხმარობენ. მაგრამ ამ ტერმინით მარტო მონადირეთა ჯგუფს არ გამოხატავენ. ამხანაგობას უწოდებენ საერთოდ რაიმე სამეურნეო მიზნის შესასრულებლად ღროვებით ჩამოყალიბებულ ჯგუფს, რომლის წევრთა უფლება და მოვალეობა თანასწორობის პრინციპზეა დამყარებული, სულ ერთია რა სამეურნეო შიზანს ისახავს ჯგუფი—კოლექტიურ ნადირობას, თევზაობას, ბინაობრივების, შპას, თიბეას თუ სხვა რაიმე საქმიანობას, მიუხედავად იმისა, ამათუიმ სოფლის ფარგლებში წარმოებს შრომის ეს გაერთიანება თუ საერთოდ რაჭის გარეშე.

სიტყვა ამხანაგი უკვე XII ს. გვხვდება. სახელდობრ, შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანში“, სადაც იგი არა ერთგზის არის ხმარებული,¹ მაგრამ არა მარტო მონადირეთა აღსანიშნავად.

მართალია, ერთერთ XII ს. ძეგლში² (უწყებად მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა) მოხსენებულია ნადირობასთან დაკავშირებული ერთი მეტად საინტერესო ტერმინი, სახელდობრ, თანამონადირე, მაგრამ იგი ნადირობის მონაწილეს გამოხატავს მხოლოდ და არა მთელ ჯგუფს; იმავეს უნდა აღნიშნავდეს „ქართლის ცხოვრებაში“ ნადირობასთან დაკავშირებით მოხსენებული სიტყვა თანამოასაკე³, რომელიც ამ შემთხვევაში აგრეთვე ნადირობის პროცესის ერთერთ თანამონაწილეს გამოხატავს და არა მონადირეთა მთელ ჯგუფს. ამდენად ჩვენც იძულებული ვართ შესატყვისი ტერმინის

¹ შ. რუსთაველი, ვეფხის ტყაოსანი, ს. კავაბაძის მეორე გამ., ტფ. 1927 წ., ტ. 423, 620, 658 და სხვა.

² თ. უთავდანი, ქრონიკები, წ. I, დას. გამ., გვ. 36.

³ „ქართლის ცხოვრება“, ნაწ. II, ჩუბინაშვილის გამ., გვ. 49.

მაგიერ ამხანაგობა ვიხმაროთ, ვიდრე არ იქნება ნაპოვნი სხვა შესაფერისი ტერმინი.

ქართულ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებში მრავალდაა გამნეული ცნობები, რომელთა საშუალებით რაჭაში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის შემოწმება და შევსება შეიძლება, მასთან ერთად ნაღირობის ორგანიზაციის სრული სურათის წარმოდგენა და ტერმინების შეჯერებაც.

უპირველეს ყოვლისა, ტერმინ ნაღირობა-ს შესახებ: იგი პირველად იაკობ ცურტაველის თხზულებაში გვხვდება შემდეგი სახით:

„ხოლო ზრახვითა იყო იგი ვარსკენისითა და ზაკუვით იტყო და ამას და უნდა მონაღირებად ნეტარისად მას“¹.

დაბადება-ში ეს ტერმინი გამოხატავს არა მარტო ძუძუმწოვარ ცხოველთა მოპოვებას, არამედ მეცევშეობას და ფრინველზე ნაღირობასაც. დაბადებაში ვკითხულობთ:

„რამეთუ უკუმ ვერ ცნა კაცმან უამი თვისი, ვითარცა თევზნი მონაღირებული ბადეთა შინა ბოროტითა“².

რომ მეთევზეობასაც ნაღირობა ეწოდებოდა საუცხოოდა ჩანს ერთერთი ჰაემეტი ძეგლიდან, რომელიც VII-VIII ს-ით არის დათარილებული. ხსენებულ ძეგლში აღწერილია იესო ქრისტეს ყოფნა გენესარეთის ტბასთან და იქ მეთევზეთა თევზაობა. ამასთან დაკავშირებით ნათქვამია:

„და ვითარცა დაპსცხრა სიტყუად, პრქუა სიმონს: შეავლინელრმად და ჰდევთ ბადე თქვენი ნაღირობად“³. იმავე გაგებითა აქვს წარმოლენილი ზემოხსენებული სიტყვა ლეონტი მროველს. აღწერს რა წა ნინოს ყოფნას ფარავნის ტბაზე, იგი ამბობს:

„დაყო მუნ ორი დღე და ითხოვა საზრდელი მეთევზურთაგან ტბასა მას შინა მონაღირეთასა“⁴.

ტერმინ ნაღირობა-ს ამგვარი ფართო გაგება შემდეგშიაც დაპყვა ქართულ ლიტერატურულ ენას. ერთერთ XV ს. ძეგლში ვკითხულობთ:

¹ იაკობ ცურტაველი, მარტვლებად შუშანიკისი, ტფ. 1938 წ., გვ. 242.

² წიგნი ეკლესიასტე, თავი თ, იბ. დაბადება, ნაწ. II, დასახ. გამ.

³ ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, აკ. შანიძის რედაქციით გამ. IV, ტფ. 1937 წ., გვ. 242.

⁴ ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, მ-მ და გარ., გვ. 67.

„...ვერავინ იქადროს ნადირობად ჭალათა და ვერცა სათიბთა
და ვერცა წყლის და თევზთა ნადირობა“¹.

დასტურლამალში (XVIII ს. პირველი ოთხული წლები) ზემო-
ხსენებული ტერმინის მსგავსი გაებაა წარმოდგენილი, სახელდობრ:

„აგრეთვე დიდს ბადეს მისს დროს ყურეს ანადირებდენ“².

მაგრამ ტერმინი ნადირობა არა მარტო მეთევზებდას შე-
იცავდა; იგი ფრინველის მოპოვებასაც გულისხმობდა.

დაბადებაში ვკითხულობთ:

„ვითარცა კავაბი მონადირებული გალიათა შინა“³.

ანდა:

„მომნადირებელთა მომინადირეს ვითარცა სირი მედად მტერ-
თა ჩემთა“⁴.

მაშასადამე, იმ პერიოდის ძეგლებში, რომელიც ჩვენ მიერ
ზემოთ იყო მოხსენებული, ნადირობა, ძუძუმწოვარი ცხოველთა მო-
პოვების გარდა, მეთევზებდასაც გულისხმობდა და ფრინველზე ნა-
დირობასაც.

არსებობდა აგრეთვე ნადირობის სხვადასხვა სახეობისა და
ტიპის აღმნიშვნელი ტერმინები. ასეთია, მაგალითად, ჯეგლა, ჯეგლა, ჯე-
ლა, ეს ტერმინი პირველად XVI ს. დასაწყისში გვხვდება,
სახელდობრ, გელათის ერთერთ გუჯარში 1519 წლის თარიღის ქვეშ
შემდეგი სახით:

„აგრეთვე ვენაკები შეგვიწირავს კელშეუვალად და განთავი-
სუფლებით თვინიერ ნადირობისა და ჯეგლად ნუ დაგვაკლდებიან“⁵.

მომდევნო პერიოდის ლიტერატურაში ზემოხსენებული ტერმინი
უკვე სამოქალაქო უფლებებით სარგებლობს. იგი მრავლადაა მოცემული
სხვადასხვა ლიტერატურულ ძეგლში და ყველგან ნადირობის გარ-
კვეულ სახეს აღნიშნავს. ასე მაგალითად, „ქართლის ცხოვრება“ მოგ-
ვითხრობს მეთევზების შესახებ:

„წაბდანდნენ ქალაქით თვესა იანვარსა, ქორონიკონს ულე, რა
ჩაბდანდნენ ნაგებში, განაწესნეს ყოველნი რიგნი ნადირობისანი და
განაწყვნეს ჯელგა, ვითა წესი იყო“⁶.

¹ თ. ჟორდანია, ქორნიკები, წ. II, დას. გამ., (მთის წ-ა გიორგის
გუჯარი), გვ. 308.

² ვანტანგ VI, დასტურლამალი, პ. უმიკაშვილის გამ., ტფ. 1886 წ.,
გვ. 66.

³ წიგნი ისა ზირაქისა, თავი ია, კზ. დაბადება ნაწ. II, დასახ. გამ.

⁴ გოდება იერემიასი, თავი გ, ნბ., დაბადება, ნაწ. II, დასახ. გამ.

⁵ თ. ჟორდანიკები, წ. II; დასახ. გამ., გვ. 337.

⁶ „ქართლის ცხოვრება“, ჩუბინა შვილის გამ., ნაწ. II, გვ. 394.

ვახტანგ VI-ც ხშირად ხმარობს ნადირობის ტიპის აღსანიშნავად ჯელგა || ჯერგას. ასე, მაგალითად, იყი ამბობს:

„ყარაიის ჯელგა.... და თრიიალულის თევზის ულაყი“¹.

ასეთივე სახით არის წარმოდგენილი სიტყვა ჯელგა „არჩილიან“-შიც, სახელდობრ:

„გამოლმართსა ჯერგას გარეთ, ოდენ ისრევ გაღმა მხრითა“².

ნადირობასთან დაკავშირებით თეიმურაზ I არა ერთგზის ხმარობს ჯელგაობა-ს, მაგალითად:

„რა გახშირდეს მყვირალობა, გამრავლდეს ნადირობანი,

ყველას ქარქაში მოეწყოს, ჯერგათა შეყრილობანი“³.

როგორც ზემოხსენებულიდან ჩანს, ჯელგაობა საერთოდ დასად, ჯგუფად ნადირობას გულისხმობდა, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში-იგი ისეთ ჯგუფურ ნადირობას გამოხატავდა, რომლის ძირითად წესს სანადირო ადგილისა ან ნადირის გარემოცვა და შემოწერვა შეაღენდა.

ვ. ბერიძე სიტყვა ჯელგა-ს განმარტავს, როგორც „ხროვა, ჯოგი“⁴. ს. ორბელი იანს ზემოხსენებული სიტყვის განმარტება სრულებით არა აქვს მოცემული, ხოლო დ. ჩუბინა შვილი ამბობს:

„ჯელგა, ჯელგმა—გარემოცვა მონადირეთაგან სანადირო ადგილისა“⁵. სიტყვა მისი აზრით სპარსულია. პ. უმიკა შვილი შემდეგი განმარტება აქვს მოცემული ამ სიტყვასთან დაკავშირებით: „ჯერგა“—არბ. ჯარგა—წყობა, რიგი; აგრეთვე მოწყობილი კრება, გუნდი, დასი“⁶.

ზემოხსენებული სიტყვა არაბულ ენაზე წრესაც აღნიშნავს და ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ ტერმინი ჯელგა-ჯელგაობა საქართველოში შემოსულია შედარებით გვიან, რაღაც იგი XV—XVI ს-მდე ძეგლებში არ გვხვდება. ამგვარად, ჯელგაობა ნიშნავს ჯგუ-

¹ ვახტანგ VI, დასტურლამალი, დასახ. გამ., გვ. 35.

² არჩილიანი, გაბასება თეიმურაზისა და რუსთველისა, საქ. სახელ. მუზეუმის გამ., ტ. II, ტფ. 1937 წ., ტ. 331.

³ თეომურაზ I, შედარება განაფხულისა და შემღვდგომისა, ტფ. 1934 წ. ტ. 66.

⁴ ვ. ბერიძე, სიტყვის კონა, მათ. по яфетическому языкоznанию, ტ. VI, СПБ, 1912 წ., სათანადო სიტყვასთან.

⁵ დ. ჩუბინა ვ. გართულ-რუსული ლექსიკონი, СПБ, 1887 წ., სათანადო სიტყვასთან.

⁶ ვახტანგ VI, დასტურლამალი, დასახ. გამ., პ. უმიკა შვილის მიერ დართული ლექსიკონი, სათანადო სიტყვასთან.

ფურ ნადირობას სანადირო ადგილის (ან ნადირის) შემოწერვის, გარემონტირების წესით.

ამ უკანასკნილი დებულების სისწორეში შემდეგი ფაქტიური მასალაც გვარწმუნებს. ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე, მაგალითად, ასე აღწერს უახტანგ მეფის ნადირობას:

„დღესა ერთსა ინება ნადირობა მთისა და წაბძანდა თრიალეთ-სა და შანბიანსა მთასა,... და დაიბარა ქართველთ-დაბაისელნი... ინა-ჭირა სარბევითა და შეიქნა ირემთა მოდენა,... მეორესა დღესა შე-მოვადევით შანბიანსა შემოარტყა იმგრავული ჯელგა, დადგნენ სა-სუნდართა შინა... მოვიდა ნადირი უანგარიშო“¹.

არჩილიანში, სადაც არისტოკრატიული ნადირობის დასრულებუ-ლი კოდექსია მოცემული, უფრო დაზუსტებულია ეს ადგილი. კერძოდ:

„მოვიდით, მინდვრებს მივადგით, დაუწყით ჯერგას რიგება, ასრე შეკრიან სამგნითვე, მხეცნი მათ ვერ გარდეგება“².

მაგრამ ჯელგაობა, როგორც აღვინიშნეთ, არ არის ქართული სიტყვა, თანაც იგი შემოსული უნდა იყოს შედარებით გვიან. ეს გვაფიქრებინებს, რომ იმ ხალხს, რომელსაც ასეთი სიწმინდით აქვს დაცული ნადირობის უძველესი ტრადიციები ნადირობის ორგანიზა-ციის ყოველი სახეობისათვის სპეციალური ტერმინიც ექნება შემო-ნახული. მართლაც, თუ დავუკვირდებით ლიტერატურულ და ისტო-რიულ წყაროებს შევნიშნავთ, რომ ქართულ ლიტერატურულ ენას საკუთარი სახელწოდებანი გააჩნდა კოლექტიური ნადირობის ორ-გასიზაციის ყველა ტიპის აღსანიშნავად.

ქართული შაირის სწორუბოვარი ოსტატი ასე მოვალეობას ნადირობის ერთერთ ეპიზოდს³:

- ღღეს გამოველ ნადირობას, ზღვისა პირსა ვინადირე; მუნა გასვლა მამდომოდა, მით მრევალი არ ვახშირე⁴.

ხოლო მეორე ადგილას:

„იგი მინდორს ნადირობდა, იფანჩოდა მარეკი და“⁵...

ს. კაკაბაძე ასე განმარტავს სიტყვა მარეკ-ს:

„მარეკი—ნადირობის დროს ნადირის მოსარეკად მიჩენილი კაცი“⁶.

¹ „ქართლის ცხოვრება“, ჩუბინა შვილის გამ., ნაწ. II, გვ. 324.

² არჩილიანი, გაბასება თეომურაზისა და რუსთველისა, დასახ. გამ., ტ. 337.

³ შ. რუსთაველი, ვეუზის ტყაოსანი, დასახ. გამ. ტ. 591.

⁴ იქვე, ტ. 250.

⁵ იქვე, გამომცემის მიერ დართული ლექსიკონი, სათანადო სიტყვის ქვეშ.

არჩილიანში, ნადირობის ამ სახეობასთან დაკავშირებით, შემდეგ საგულისხმო ცნობასა ვხვდებით:

„რა აქედამი წავიდით, კარაბდის მოვინადირით....

ტყეებსა ვრეკდით ყოველდღე შამურით, ბედიყრის თითრით“¹,
ან და:

„წავიდით სანადიროდა, ტყეები ვრეკეთ მუნ ქოლა“².

აქედან ცხადადა ჩანს, რომ მორეკვა ჯგუფური ნადირობის ისეთ წესს გულისხმობდა, რომლის დროსაც ნადირობის ძირითად ხერხს ტყის მორეკვა წარმოადგენდა.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია საკითხი იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს შამური და ბედიყრის თითრი, რომელთა მნიშვნელობა არც ერთ ლექსიკონში არ არის განმარტებული; წარმოადგენენ ეს ტერმინები გეოგრაფიულ სახელწოდებას თუ რაიმე იარაღს აღნიშნავენ.

რადგან ერთიდაიმავე ადგილის ყოველდღე მორეკვა შეუძლებელი იქნებოდა ნადირის დაფანტვის გამო, საფიქრებელია, რომ აქ საქმე გვაქვს ტყეების მორეკვისათვის საჭირო იარაღთან. როგორი იყო ეს იარაღი, ამის შესახებ ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეიძლება. ასეთი იარაღი კი უნდა ყოფილიყო და მისი სახელწოდება ს. ორბელიანის აქვს განმარტებული.. სიტყვასთან სარეკი იგი ამბობს: „ნადირო მოსალალავია-ო³. როგორც ეტყობა, აქ იგულისხმება სპეციალური იარაღი, რომელსაც ტყის მორეკვის დროს ხმარობდნენ და რომლის შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი.

მორეკვით ნადირობის შედარებით სრული აღწერა ირაკლის ძეს ვახტანგ გაც აქვს მოცემული. იგი ამბობს:

„შემდგომად ამისა ინადირიან ტყენი ესრედ: შეუშვებდნენ ქვევითსა ჯარსა ტყეში და ხმიანობითა მათითა გამთხალნი მხეცნი და ნადირინ განვიდიან მინდორთა და მუნ დახდომილთა ცხენოსანთა მონადირეთა დაუწყიან ხოცა მხეცთა და ნადირთა“⁴.

ავტორი აქვე დასძენს, რომ „ნადირობა ესეგვარი არღარ ყოთილარს შემდგომ მეფისა თეიმურაზ მეორისა“-ო.

¹ არჩილიანი, დასახ: გამ., ტ. II, გვ. 324.

² იქვე, ტ. 1030.

³ ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, დასახ. გამ., სიტყვასთან სარეკი.

⁴ ისტორიები აღწერა ღირსთა სპომისა შემთხვეულებათა საქართველოს შა-ა აღწერითა წნეობათა და ჩვეულებათა მსახლობელთათა მის ქვეყნისა, თხზული საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგის მიერ, ს. ვაჟა ბაბის გამოცემა, ტფ. 1914 წ., გვ. 9.

როგორც ვხედავთ, ზემოხსენებულ ლიტერატურულ წყაროებში და განსაკუთრებით ვახტანგის მოყვანილ ცნობაში მოცემული აღწერა ნადირობის ერთერთი ტიპისა, ორგანიზაციის ნიშნებისა და ტერმინების მიხედვით სავსებით ემთხვევა რაჭაში დამოწმებულ მორეკვით ნადირობას, გარდა ცხენის გამოყენებისა, რომელიც ამ შემთხვევაში სამეფო ნადირობის მახასიათებელ ელემენტს წარმოადგენდა.

მორეკვასთან პარალელურად ქართულ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებში თანარსებობს ნადირობის ორგანიზაციის სხვა სახეობის აღმნიშვნელი ტერმინი, რომელიც შესატყვისება რაჭაში დამოწმებულ მოსაჭირავს, მოჭირვით ნადირობას.

ასე მაგალითად, არჩილიანში ვკითხულობთ:

„მო, ასე ვქნათ, გარეშემო შემოვერტყნეთ, მოუჭიროთ“¹.

ზემოხსენებული წესით ნადირობა „ქართლის ცხოვრებაშიც“ არის აღწერილი, სადაც მას ჯელგაობა ეწოდება, სახელობრი:

„ამისა შემდგომად გაისტუმრეს ჯელგა ღამით, გაუმძღვანეს პა-პუნა გაბა-შვილი, შემოარტყა მინდორსა ყარისასა და მიბძანდნენ ბა-ტონებიც ღამითვე“².

მოჭირვით ნადირობაზე უნდა ლაპარაკობდეს ვახტანგი სამეფო ნადირობის შემდეგი სახეობის აღწერის დროს:

„წარგზავნიდიან მინდორსა მას შინა ჯარსა და მოერტყმო-დნენ მინდორსა მას და დაუგვებობნენ მსგავსაუ კართა რამდენთა ადგილთა და დარჩნიან ნადირინი მათ შუა“³.

მოჭირვით ნადირობა უნდა ვიგულისხმოთ ყერეთვე შ. რუს-თაველის მიერ აღწერილ ნადირობის ერთ-ერთ ეპიზოდში:

„მინდორს ნახა სპა ლაშქართა და ნადირთა ჰევანდეს მსრველსა; ყოვლგნით ალყა შემოეკრა, მოსდგომოდეს გარე ველსა“⁴.

ზემოხსენებული წყაროები, როგორც ჩანს, მიგვითიერებნ მოჭირვით, ალყის შემორტყმით ნადირობის არსებობის შესახებ მინდორსა და ველზე. ეს, რათქმაუნდა, არ ნიშნავს, რომ ასეთი წესით ნადირობა მთაში არ შეიძლებოდა, მაგალითად, გ. შერჩული, აღწერს რა შატბერდის მთაზე ერთერთ ეპიზოდს, ამბობს:

¹ არჩილიანი, ტ. II, გაბასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, დასახ. გამ., ტ. 315.

² „ქართლის ცხოვრება“, ჩუბინა შვილის გამ., ნატ. II, გვ. 394.

³ ისტორიებრი აღწერა... ირაკლის ძის ვახტანგის, დასახ. გამ., გვ. 8.

⁴ შ. რუსთაველი, ველის ტყაოსანი, დასახ. გამ., ტ. 977.

„რამეთუ მონადირეთა მოეცვა იგი (მთა შატბერდისა, ალ. რ.) და ვერვინად განერებოდა ჰელთა გან მათთა“¹.

მაშასადამე, ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებში დაცულია საკმაოდ დამაჯერებელი ცნობები, რომლის მიხედვით ნათელი ხდება, რომ მორეკეთ ნადირობისაგან განსხვავებით არსებობდა კოლექტური ნადირობის ისეთი ფორმა, რომლის პირობებში ნადირობის ძირითად წესს სანადირო აღილისა თუ ნადირის დაკეტვა წარმოადგენდა. ნადირობის ეს წესი გამოყენებული ყოფილა მთაშიაც და ბარშიც ნადირობის დროს და უნდა ვივარაუდოთ, რომ თუმცა მთაში ნადირობის თავისებური პირობები სპეციფიკურ ელფერს მიანიჭებდა მას, ნადირობის ძირითადი წესი—ნადირის დაკეტვა—ორივე შემთხვევაში ერთი იყო. შედარებით აღრინდელ ლიტერატურულ წყაროებში ნადირობის ასეთ წესს გარემოცვა ეწოდებოდა, შემდეგში—ალყის შემორტყმა, ხოლო შედარებით გვიანდელი პერიოდის ლიტერატურაში ნადირობის ამ წესის აღსანიშნავად ტერმინ ჯელგას-ხმარობდნენ და ბოლოს მოჭირვას-ხმას ეს ორი უკანასკნელი თავის ბუნებრივი სახით დამოწმებულია რაჭაშიც.

ქართულ ლიტერატურულ ენას კვალში ჩადგომით ნადირობის სპეციალური ტერმინიცა აქვს დაცული. სამწუხაროდ, ასეთი შხოლოდ ერთ შემთხვევაშია დამოწმებული. მხედველობაში გვაქვს არჩილიანის შემდეგი სტროფი, საღაც კურდლელზე ნადირობაა მოხსენებული:

„ქვლევა დანახვა კურდლისა, მებობეობა, მწყერობა“.

რაც შეეხება უფრო აღრინდელ ლიტერატურულ წყაროებს, ასეთის უფრო გულდასმით შესწავლამ შეიძლება დამატებითი საინტერესო ცნობები მოგვცეს, როგორც ზემოხსენებული ტერმინის ხშარების სხვადასხვა ფორმების, აგრეთვე მისი მნიშვნელობის შესახებ. მაგრამ უკავი აქედანაც ირკვევა, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს განსაკუთრებული წესით ნადირობასთან, სახელდობრ, კვალში ჩადგომში წესთან, რომელსაც შეესატყვისება რაჭაში დამოწმებული საკალიე, როგორც ნადირობის ძირითადი წესის, აგრეთვე სანადირო ობიექტის ნიშნების მიხედვით².

¹ Г. М е р ч у л, Житие св. Григория Хандзтийского, ТРАГФ, б. VII, ქართული ტექსტი, б. მარის გამოცემა, СПТБ., 1911 №, გვ. აბ

² ადვილად შესაძლებელია, რომ მონადირეთ-უაუცესის შეკითხვა ნადირობის დროს: „ხვალ სიი, ჰელევნი?“, ნადირობის სწორედ ამ წესთან არის დაკავშირებული. იხ. „კულმწიფის კარის გარიგება“, გვ. 1.

როგორც ისტორიული და ლიტერატურული წყაროებიდან ირკვევა, არსებობდა ნადირობის კიდევ ერთი წესი, რომელსაც რაჭიში დამოწმებული კოლექტიური ნადირობის თითქმის ყველა ტიპში გარკვეული აღგილი უჭირავს. მხედველობაში გვაქვს ნადირობა ჩასაფრებით. ცნობა ასეთი წესით ნადირობის შესახებ ბ. ზარზმელი ის ზემოხსენებულ თხზულებაშია დაცული და თავისი ნიშნების მიხედვით ნადირობის ერთერთ უძველეს წესს უნდა წარმოადგენდეს. ამასთან დაკავშირებით ზემოხსენებულ თხზულებაში ვკითხულობთ:

„უამი არსო ნადირთა, რომელი მოვლენ ტბასა ამას, რამეთუ მზა არიან მონადირენი ადგილთა ამათ“¹.

ჩასაფრება და ჩასახუნდრება ზემოხსენებულ ძეგლებში მრავალგზის არის ნახმარი, მაგრამ ყველა შემთხვევაში იგი მორეკვასა და მოსაჭირავთან არის დაკავშირებული და როგორც დამოუკიდებელი სახე ნადირობისა არსად არ არის წარმოდგენილი გარდა ბ. ზარზმელი ის დასახელებული ნაშრომისა. ამდენად საფიქრებელია, რომ ძველათ ჩასახუნდრება, როგორც ნადირობის გარკვეული წესი, დამოუკიდებელი სახითაც იყო გამოყენებული, ხოლო შემდეგში კოლექტიური ნადირობის სხვა წესებს შეუერთდა და კოლექტიური ნადირობის მთლიანი პროცესის ერთერთ შემადგენელ კომპონენტად გადაიქცა.

რომ ჩასახუნდრებით ნადირობა ნადირობის ერთერთ უძველეს წესს წარმოადგენს და საქართველოშიც ყოფილა მიღებული; ამაში გვარწმუნებს ქვემო-სვანეთში დაცული ნადირობის ერთი სახეობა, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: ცალკე მონადირე, ზამთარში, რომელიმე ღელის ნაპირზე მოწნულ ქოხს დასდგამს, ხოლო ღელის მეორე ნაპირზე ლეშის, ნაჭერს დააგდებს თოფის სასროლის მანძილზე. ღამით მონადირე ქოხში იმაღება და ელოდება. ლეშთან ნადირის მოახლოებას, რის შემდეგ თოფსა ჰკრავს მას და ჰკლავს კიდევაც².

ზემოთქმულიდან შემდეგი საერთო დასკვნების გაკეთება შეიძლება.

რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია კოლექტიური ნადირობის ორგანიზაციის მრავალნაირი ტიპი, როგორიცაა საკვალიერებელი, მორეკვა და მოსაჭირავი. ნადირობის ზემოხსენებული სახეობანი დამკვიდრებულია ნადირობის შედარებით ძველ წესებზე. და მათ აქამდე არა, აქვთ დაკარგული მნიშვნელობა.

¹ ბ. ზარზმელი, ცხორებად და მოქალაქობად სერაპიონ ზარზმელისად, დას. გამ., გვ. 161.

² გ. ონიანი, ქვემო-სვანეთის 1937 წლის ექსპედიციის დღიური.

ლობა ნადირობის მთლიან პროცესში. დამოწმებულია აგრეთვე ნადირობის ისეთი წესი, როგორიცაა ჩისახუნდრება, მაგრამ, იგი თავისი წმინდა და დამოუკიდებელი სახით მეტნაწილად ცალკე მონადირეთა მიერ არის გამოყენებული, ხოლო კოლექტიური ნადირობის პროცესში ის შედის როგორც ნადირობის მთლიანი პროცესის ერთერთი შემადგენელი კომპონენტი.

კოლექტიური ნადირობის ისეთ სახეს, რომელიც ნადირობის მხოლოდ ერთ წესზეა დამკვიდრებული, რაჭაში მასობრივი გავრცელება არა აქვს; რაჭაში დამოწმებული კოლექტიური ნადირობის ყველა სახე უმთავრესად ნადირობის სხვადასხვა წესის სხვადასხვა კომბინაციაზეა აშენებული, ამათუმი წესის უპირატესი გამოყენებით. ამდენად კოლექტიური ნადირობის სხვადასხვა სახეობის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის დროს მიღებული უნდა იყოს მხედველობაში და საფუძვლად ნადირობის ის წესი, რომელიც ნადირობის მთლიან პროცესში ძირითადი და გადამწყვეტი ფაქტორის ფუნქციის ასრულებს და არსებითად მიმართულებას აძლევს ნადირობის მთლიან პროცესს. მაგრამ ნადირობის სხვადასხვა ტიპების კლასიფიკაციის დროს ანვარიში უნდა გაეწიოს ავრეთვე შრომის დანაწილების ხასიათს. ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს მნიშვნელოვან სხვადასხვაობას. მაგალითად, საკალიერი წარმოდგენილია შრომის განაწილების მეტად პრიმიტიული სახე (მარტო მეთაურის გამოყოფა), მოსაპირავში შედარებით დაზუსტებული დანაწილება შრომისა. რაც შეეხება მორეკვას—აქ დაცულია შრომის დანაწილების განვითარებული (დათვზე ნადირობა) და მეტად განუვითარებელი (შველზე ნადირობა) სახეები.

გარდა ამისა, რაჭაშივე დამოწმებულია მასობრივი ნადირობის ისეთი ფორმა, რომელსაც ჯელგაობა ეწოდება—ნადირობა მთელი სოფლით. ნადირობის ცალკე ფორმად ჯელგაობა ჩვენ მიერ არ არის გამოყოფილი, რაღვან მას არ გააჩნია ნადირობის გარკვეული წესი და განირჩევა მხოლოდ მონაწილეთა რაოდენობით. ეს გარემოება, მას, რათქმაუნდა, უფრო მეტი ინტერესს ანიჭებს, გარდა ამისა, მისი კარგირი სახალწლო დღესასწაულთან მის რიტუალურ ბუნებას ამჟღავნებს.

ქართული ლიტერატურული და ისტორიული წყაროების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ქართულ ლიტერატურას დაცული აქვს ნადირობის ორგანიზაციის სხვადასხვა სახეობათა აღმნიშვნელი ორიგინალური ტერმინები და თვით პროცესის შედარებით ზუსტი აღწერა; მათ საფუძველზე ირკვევა, რომ ძველათ საქართველოში

შედარებით გავრცელებული ყოფილა კოლექტიური ნადირობის ისეთი სახეები, როგორიცაა საკვალიე, მორეკვა, მოსაჭირავი. ეს ტიპები განიჩევოდნენ ერთმანეთისაგან ნადირობის იმ ძირითადი წესით, რომელიც უპირატესად იყო გამოყენებული ამათუიმ სახით ნადირობის დროს და არსებითად მიმართულებას აძლევდა. ნადირობის მთლიან პროცესს.

ცერმინ ნადირობას თავდაპირველი ბუნების აღდგენაშ საშუალება მოვცა დაგვედასტურებინა, რომ იგი აღნიშნავდა არა მარტო ძუძუმწოვარა ცხოველებზე ნადირობას, არამედ შეთევზეობასაც და ფრინველზე ნადირობასაც.

ნადირობის ორგანიზაციის მრავალნაირი სახეობა, მათი საკმაოდ მკვეთრად ჩამოყალიბებული სისტემა და დიფერენცირებული ხასიათი, მათი სახელწოდებანი, რომელთა გაგება მხოლოდ ქართული ენის ნიადაგზეა შესაძლებელი, დამაჯვერებლად მიგვითითებს იმ გარემოებაზე, რომ ნადირობას რაჭის მოსახლეობის ეკონომიკაში და საერთოდ ყოფაში, გარკვეული ბუნებრივი და სოციალ-ეკონომიური პირობების გამო, საკმაოდ დიდხანს შეუნარჩუნებია თავისი მნიშვნელობა და მოსახლეობასაც ნადირობის საუკეთესო და უძველესი ტრადიციები სათუთად და წმინდად დაუცავს.

ნადირობის ორგანიზაციის საკითხებს ვერ ჩავთვლით. ამოწურულად, თუ არ შევეხებით საკითხს ქორ-მექებრის მონაწილეობის. შეახებ ნადირობის პროცესში. ამდენად საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ ამ მნიშვნელოვან საკითხსაც.

ძალის მონაწილეობა ნადირობის პროცესში თანაბარი მას-ტრაბით არ არის წარმოდგენილი რაჭის ყველა კუთხეში.

მაგ., სოფ. ლებში, გლობლაში, საკაოში იმ შემთხვევაში, როდესაც მონადირენი ჯიხვზე ან არჩევს მიღიან სანადიროდ და მონადირეთა ჯგუფი მცირერიცხოვანია, ძალის სანადიროდ, როგორც წესი, არ მიჰყავთ; ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ნადირობა მასობრივ ხასიათს ატარებს, მაგ., ჯელგაობა იმართება, ძალი ასეთი ნადირობის უცილებელ მონაწილეს წარმოადგენს.

გამოსარკვევია კიდევ რით აიხსნება უძალლოდ ნადირობა. მცირერიცხოვანი ჯგუფით ნადირობის დროს, ნადირობის ორგანიზაციის და ტექნიკის თავისებურებით (მიპარვა, ჩასახუნდრება) თუ სხვა გარემოებით. ცხადია მხოლოდ, რომ ძალის გამოყენება ჯელგაობის დროს, ე. ი. ისეთი ნადირობის დროს, როდესაც ნადირობის ორგანიზაციის ფორმაცა და ნადირობის ტექნიკაც შედარებით პრიმიტიულ ნიშნებს ატარებს, ძალის გამოყენება ნადირობის დროს.

არ წარმოადგენს ახლად შეძენილ თვისებას და შედარებით აღრინდელი ფაქტორი უნდა იყოს ნადირობის მთლიან პროცესში.

რაც შეეხება ძალის გამორიცხვას მცირერიცხვანი ჯგუფით ნადირობის დროს ჯიხვზე და არჩება, ე. ი. ისეთი ნადირობის დროს, რომელიც ძირითადად მიპარვა-ჩასახუნდრებაზეა დამკვიდრებული, შესაძლებელია აიხსნას იმ გარემოებით, რომ ორივე შემთხვევაში ნადირის ადგილსამყოფელო წინასწარ იყო ცნობილი, მას მიკვლევა არ სჭირდებოდა და ამდენად ძალი მხოლოდ ხელის შემსლელი იქნებოდა და არა დამხმარე.

ამით უნდა აიხსნებოდეს, ჩვენი აზრით, ძალის მნიშვნელობისა და როლის დაკარგვის ფაქტი რაჭის მთიან ზოლში ზემოხსენებულ ნადირზე ნადირობის დროს.

სულ სხვა მდგომარეობას აქვს ადგილი ქვემო-რაჭაში. მხედველობაში გვაქვს სოფ. ქვემო-კრითი, რიცეული, სადმელი. ზემო-ზენებულ ადგილებში კურდლელზე და მელაზე ნადირობა უძალლოთ იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს. დათვზე და არჩებედაც კი ნადირობის დროს ძალის დახმარებას ხშირად მიმართავენ. იგივე ითქმის კვერნაზე ნადირობის დროს, როდესაც ძალი მონადირის აუცილებელ თანამონაწილეს წარმოადგენს.

დათვზე ნადირობის დროს ძალი გამოყენებულია როგორც მემკვლე, ე. ი. კვალში გამყოლი და ამავე დროს, თუ საჭირო გახდა, იგი შეხმიანებაშიც იღებს მონაწილეობას და მორეკვაშიც.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ძალს კვერნაზე ნადირობის დროს. კვერნა მეტად დახელოვნებულია გარემოსთან შეხამების საქმეში. იგი იმაღება ხეზე, ფულუროში, ლეშეში, ორმოში, სოროში და სხვა; ამდენად საჭიროა მისი არა მარტო მიკვლევა, არამედ ამოგდებაც. იგივე ითქმის კურდლელზე და მელაზე ნადირობის შესახებ, რომელთაც მრავალგვარი ხრივი იციან მონადირის მოსატყუებლად.

არჩებე ნადირობის დროს, იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც მასზე ქვემო-რაჭაში ძალით ნადირობენ, ძალი მელა-კურდლელზე და კვერნაზე ნადირობასთან შედარებით განსხვავებულ ფუნქციას ასრულებს. ძალი, გარდა იმისა რომ კვალში ჩაუდგება არჩეს, უკანასკნელს სადმე კლდის ნაპირში მიერკება, მოიმწყვდევს და არ უშვებს, ვიდრე მონადირე არ მივა თოფის სასროლზე, მაგრამ ახლო იგი ვერ ეკარება არჩეს, რადგან არჩევი მას უტევს ფეხების ბაჟნით და რქებით ემუქრება, მაშასადამე, აქ ჩვენ საქმე გვაქვს ძალის ისეთ ფუნქციასთან, რომელიც სხვა შემთხვევაში არ არის დამოწმებული და რომელიც საერთოდ მექებრის ფუნქციას არ შეადგენს.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ძალლი უმეტეს შემთხვევაში არსებითად მექებრის როლს ასრულებს ნადირობის პროცესში და მწევრის სახით არ არის გამოყენებული. ეს გარემოება ხაზგასმით არის აღნიშნული ყველა იმ მონადირეთა მიერ, რომელთანაც კი გვქონდა ამ საკითხზე საუბარი. მწევრის გამოყენება არც შეიძლება რაჭის პირობებში, რადგან „მაღვეარი ძალლი კლდეს ან ხეს შეა-სკდება ან ხევში გადიჩება“¹-ო. თუ გავითვალისწინებთ რაჭის სანა-დირო ადგილების თავისებურებას ასეთი მოსაზრება დამაჯერებელი არგუმენტის სახეს მიიღებს. კახეთის ზოგიერთ სოფლებში ანალო-გიური შეხედულებაა გავრცელებული მწევარ ძალლზე. მაგ. სოფ. მა-ტანში ამბობენ: „აქ სხვა ძალლი არ არი (გარდა მექებრისა, აღ. რ.), არც გამოდგება; ადგილი არ არი იმნაირი, ვაკე ადგილი რო არი იქ გამოდგება“².

ადგილობრივ მონადირეებს გაუგონიათ მხოლოდ თავადაზ-ნაურობის მიერ მწევრის გამოყენების შესახებ ნადირობის პროცესში, მაგრამ იგი გამოყენებული იყო განსაკუთრებით ხელსაყრელ პირო-ბებში, ისიც მხოლოდ თავადაზნაურობის მიერ.

რაც შეეხება მექებარს, რომელიც, როგორც აღვნიშნუთ, ფარ-თოდ იყო გამოყენებული ნადირობის დროს, განსაკუთრებით მელა-კურდლელზე და კვერნაზე, როგორც ეტყობა, იგი არ უნდა ყოფილ-იყო განსაკუთრებული ჯიშის ძალლი. მექებრად ზრდილნენ და გე-შავდნენ ადგილობრივი ჯიშის მურა ძალლს, რომელიც თავისი თვი-სებებით—მახვილი ყნოსვით—მექებარს არ ჩამოუვარდებოდა, ხოლო სისწრაფით მწევარს. სანადირო ძალლის ორივე ჯიშთან შედარებით დაგეშილი ადგილობრივი ჯიშის ძალლი უფრო ავი იყო, ძალლო-ნიერი და გამძლე. მშრალსა და გაშლილ ადგილზე მწევარი სჯობ-და. მას, ხოლო ლრმა თოვლში ნადირობისას ჰედაპირის. არა სწო-რი რელიეფის პირობებში მას ტოლი არ ჰყავდა.

ზოგ შემთხვევაში (სოფ. ქვემო-კრიხში) ადგილობრივი ჯიშის სანადიროდ დაგეშილ ძალლს ეზერი ეწოდებოდა, ზოგ შემთხვე-ვაში კი ეზერს მექებრისა და მწევრის ნაშიერს უწოდებდნენ.

აღსანიშნავია, რომ ეზერი ს. ორბელიანს არა აქვს მოხ-სენებული, სიტყვასთან ძალლი იგი ამბობს:

„მწევრისა და თართისაგან შობილსა—ნაგაზი; მექებრისა და თართისაგან შობილსა—ყაზილა“ ეწოდებაო².

¹ ლ. ბოჭორიშვილი, 1935 წლის კახეთის ექსპედიციის დღიური:

² ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, დასახ. გამ., სიტყვასთა ძალლი.

სანადირო ძალლების ჯიშთა საკითხზე ჩვენ აქ არ შევჩერდებით, რადგან ეს საკითხი სპეციალურ კვლევას მოითხოვს, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული მასალა ძალლის შესახებ, კერძოდ მის მონაწილეობის შესახებ ნადირობის უძველეს ტიპში დაბეჯითებით მიგვითითებს იმ გარემოებაზე, რომ ძალლის გამოყენებას ნადირობის პროცესში რაჭელების მიერ საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს და მისი მნიშვნელობის შემცირება ზოგ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, შემდეგი პერიოდის შენაძენი უნდა იყოს.

რაც შეეხება ნადირობას ქორ-მიმინოს საშუალებით, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთის კვალი რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული არ არის. ადგილობრივი მონადირეების სიტყვით ეს გარემოება აისხება აგრეთვე რაჭის ბუნებრივი პირობების თავისებურებით. ქორ-შევარდნით ნადირობა მხოლოდ მაშინ შეიძლება ეფექტური იყოს, თუ ადგილი გაშლილია და მონადირე ფრინველს სანადირო ფრინველის დანახვა შეუძლია. გარდა ამისა, რაჭაში; რომელიც მდიდარია ძლიუმწოდვარი ნადირით, არც იყო გავრცელებული ფრინველზე ნადირობა.

შედარებისათვის ინტერესს არაა მოკლებული ამ საკითხის გარშემო ეთნოგრაფ ლ. ბოჭორიშვილის მიერ შექრებილი მასალა კახეთში (სოფ. მატანი), საიდანაც ირკვევა რომ:

„აქ არც ქორ-მიმონ არი, აქეთ არავის უნადირნია ამით იგივე მდგომარეობაა დამოწმებული სოფ. ხორბალაში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის გაღმოცემით მხოლოდ თავადაზნაურობა ნადირობდა ძველათ ქორ-მიმინოთი¹.“

არც ლიტერატურულ წყაროებში შეგვხვედრია რაიმე ცნობა, რომელიც რაჭაში ფრინველით ან ფრინველზე ნადირობის შესახებ მიგვითითებდეს.

რაც შეეხება საერთოდ ქართველ ტომებს, უნდა ითქვას, რომ არსებობს უამრავი მასალა ლიტერატურული ხასიათისა, რომელიც დაბეჯითებით მიგვითითებს ფრინველით ნადირობის არსებობის შესახებ უმთავრესად გარკვეული წოდების ფარგლებში, უმეტეს შემთხვევაში გართობის მიზნით. უფრო მეტიც, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ფრინველით ნადირობა გართობის ყველაზე უფრო გავრცელებულ სახეს წარმოადგენდა თავადაზნაურთა წრეში.

¹ ლ. ბოჭორიშვილი, 1935 წლის კახეთის ექსპედიციის დღიური.

გარდა იმისა, რომ ცნობას შევარდნების შესახებ კხვდებით უჩვე “ვეფხის ტყაოსანში”: „შევარდნითა საესე იყო სრულად არე დარბაზისა“¹, არსებობს მრავალი სხვა წყარო, რომელიც დაბეჯითებით მიგვითითებს ფრინველის გამოყენებაზე ნადირობის დროს. ასეთია X ს. ერთერთი გუჯარი, სადაც ნახსენებია:

„შვდი ქორი კაპოეტი, შვდი მექებარი, შვდი მწევარი წაუ-ვალი“².

შემდეგში ქორ-შევარდნით ნადირობას გრანდიოზული მას-შტაბი მიუღია. შარდე ნი საქართველოში მოგზაურობის დროს (1672—1673 წლ.) გაკვირვებული იყო სანადირო ფრინველის რაოდენობით.

ერთერთი მთავრის სასახლეში მისი სიტყვით დიდი დარბაზებია პირით მდინარისაკენ და სასახლის ვრცელ ბალებისაკენ; არის იქ დიდი საფრინველები სხვადასხვა ჯიშის ფრინველებით; მდიდარი საბაზიერო და ყველაზე საუკეთესო ქორ-შევარდნით ნადირობა, რომელიც კი შეიძლება ადამიანმა ნახოს³.

ვა ხ ტ ა ნ გ მ ე ფ ე ს „დასტურლამალ“-ში (დაწ. 1704—1711 წლ.) მოხსენებული აქვს შევარდნის ბუდეთა სადგომების ოცამდე სახელწოდება, რომელთაც სპეციალური მომსახურე პერსონალის ინსტიტუტი ჰქონდა მიჩნილი და რომელთა შესანახადაც გადასახადის სპეციალური სახე იყო დაწესებული⁴.

შემდეგში „კალმასობა“-ს ავტორს (დაწ. 1813—1828 წლ.) ჩამოთვლილი აქვს სანადირო ფრინველთა ცამეტი სახელწოდება, რაც ფრინველით ნადირობის მასშტაბის შესახებ შედარებით სრულ წარმოდგენას გვაძლევს. ყოველ სანადირო ფრინველს თავის სანადირო ობიექტი ჰყავდა მიჩნილი, წვრთნის თავისებური წესები, მოვლა და სხვა.⁵

ზემოხსენებულიდან ირკვევა, რომ სანადირო ფრინველით ნადირობა მეტად გავრცელებული იყო საქართველოში უკვე X. ს.-ში. როგორც ეტყობა სანადირო ფრინველით ნადირობის უმთავრეს დანიშნულებას გართობა წარმოადგნდა და როგორც გართობის

¹ შ. რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხის ტყაოსანი, დასახ. გამ., ტ. 461.

² თ. ჟ ღ რ დ ა ნ ი ა, ქორიკები, წ. I, დასახ. გამ., გვ. 88.

³ Путешествие Шардена по Закавказию, ტო. 1902 წ., გვ. 202.

⁴ ვა ხ ტ ა ნ გ VI, დასტურლამალი, პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს რედ., ტფ. 1886 წ., გვ. 96 და შემდ.

⁵ ი თ ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კალმასობა, ტ. I, დასახ. გამ., გვ. 215 და შემდევ.

8. კოლექტიური ნადირობის გადმონაშობი რაჭაში-

საშუალება იგი თავადაზნაურთა მიერ იყო გამოყენებული. ძნელია იმის წარმოდგენა, რომ მას რაიმე ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან რა მასშტაბითაც არ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი სანადირო ფრინველით ნადირობა კერძოდ საქართველოში, მათ მიერ მოპოვებული ნადირი შედარებით ამგვარ ნადირობაში ჩაბმულ მონადირეთა რაოდენობასთან მეტად უმნიშვნელო ღირებულებისა უნდა ყოფილიყო.

როგორც ალვინიშნეთ, რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ნადირობაში სანადირო ფრინველის გამოყენების ნიშნებიც კი არ არის. როგორც ჩანს სხვა ქართველ ტომთა შესახებ არსებული ეთნოგრაფიული ხასიათის ლიტერატურიდან არც იქ უნდა არსებობდეს რაიმე მაჩვენებელი ნადირობის დროს სანადირო ფრინველის გამოყენების შესახებ ხალხის მიერ. საფიქრებელია, რომ როგორც მარტოდენ გართობის მნიშვნელობის მატარებელი სანადირო ფრინველით ნადირობა თავადაზნაურთა წრის მახასიათებელი გართობის ერთერთი სახე ყოფილა; მას ვერ გადაულახავს წოდებრივი რკალის ფარგლები და ხალხის საკუთრებად ვერ გადაქცეულა.

მნიშვნელოვანი სამსახურის გაწევა ამ საკითხის გადაჭრაში შეუძლია ა/კავკასიის ტერიტორიაზე ნაპოვნ მატერიალურ ძეგლებს, კერძოდ შევარდნის გამოსახულებას ჩამოსხმულს ლითონისგან.

ა/კავკასიაში ასეთი გამოსახულებანი ნაპოვნია. ამის საფუძველზე ჟაკ დე-მორგან მატერიალურ ძეგლების ინდუსტრიის განვითარების პირველ მომენტში განვითარდა ნადირობა შევარდნების საშუალებით².

მავრამ მარტო ზემოთქმულის საფუძველზე დასკვნის გამოტანა შეუძლებლად მიგვაჩნია ვიღრე საბოლოოდ არ იქნება გადაჭრილი საკითხი ა/კავკასიის თავდაპირველი მოსახლეობისა და ქართველი ტომების კულტურული თუ გენეტური ურთიერთობის შესახებ.

² Жак де-Моргант, Доисторическое человечество, М.—Л. 1926 წ., გვ. 166.

IV. ნანაღირების განაწილება

ჩვენ ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ განაწილება წარმოების შეორე მხარეს წარმოადგენს; რომ წარმოების წესი სავსებით განსაზღვრავს განაწილების წესს.

განვითარების ჩვენთვის საინტერესო სტადიაზე საერთო წარმოებას საერთო განაწილება ახასიათებდა და ნადირობას, როგორც ორგანიზებული მეურნეობის აღრინდელ სახეს, ერთნაირად ახასიათებდა კოლექტური პრინციპი, როგორც თვით ნადირობის, აგრეთვე განაწილების სტადიაში.

რაჭაში დამოწმებულია, ნანადირევის განაწილების ქვემოთმოყვანილი საში მკვეთრად განსხვავებული სისტემა, ორგანულად დაკავშირებული ნადირობის ამათუმი ტიპთან.

ა) შველის მორეკვის შემთხვევაში, როდესაც ადგილი ჰქონდა მთელი სოფლით ნადირობას, ე. ი.: ნადირობის ისეთი ორგანიზაციის დროს, რომელსაც ჯელგაობას უწოდებდნენ ამ სიტყვის ფართო შინაგანი უძრავი სიტყვით, შველის დანაწილება ხდებოდა აბსოლუტური თანამდებობით, შველის დანაწილება ხდებოდა აბსოლუტური თანამდებობითანობის საფუძველზე. არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა არც მონადირის მონაწილეობას ნადირობაში, არც ჰასაკს, არც იარაღს, არც ძალას.

რომ უზრუნველყოფილიყო საესებით თანაბარი განაწილება აშისათვის მიშართავდნენ შემდეგ წესს.

დახოცილ შველს დააგროვებდნენ ერთ ადგილზე და შემდეგ დასთვლიდნენ ნადირობაში მონაწილეთა რიცხვს. იმის მიხედვით, თუ რამდენი მონაწილე აღმოჩნდებოდა, მზარეული დასჩეხავდა დახოცილ შველს და იმდენ ნაწილად დაალაგებდა, რამდენი მონაწილეც იყო ჩამოთვლილი. მზარეული ცდილობდა, რომ დაჩეხილი დაცალკე წილად დალაგებული შველის ხორცის რაოდენობა მაქსიმალურად თანასწორი ყოფილიყო; მაგრამ რადგანაც იდეალური სიზუსტის დაცვა განაწილების ასეთი წესის დროს შეუძლებელია, ყოველგარი ეჭვისა და პრეტენზიების თავიდან ასაცილებლად მიმართავდნენ ე. წ. ჩხირის ყრას. ამისათვის მზარეული გადგებოდა გვერდზე, ისე რომ არავინ არ დაენახა მას, ხოლო მონაწილეთა შორის ყოველი მათგანი თავის განსაკუთრებულ ნიშანს (ჩხირი, ლილი,

ფინთიხი, მასრა და სხვა) ჩააგდებდა მზარეულის ქუდში. იმის შემდეგ, როდესაც ყოველი მონაწილის ნიშანდობლივი ნივთი დაგროვდებოდა ქუდში, მზარეული, რომელმაც არ იცოდა ვის ეკუთვნოდა ესათუის ნივთი (და ამიტომ მიკერძოებას ვერ გამოიჩენდა), აიღებდა ნიშნებით სავსე ქუდს და ყოველ ნიშანს დაჩეხილი შველის ხორცის ამათუიმ წილს დაადებდა, დარჩენილი წილი მზარეულს ეკუთვნოდა. იმ შემთხვევაში, თუ განაწილების დროს დაესწრებოდა ნადირის უდევარი კაცი, ე. ი. პიროვნება შემთხვევით გზაზე შემოყრილი, რომელსაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ნადირობაში, მას წილის ყრაში არ გაირევდნენ, მაგრამ აუცილებლად გამოუყოფდნენ რაიმე ნაწილს და ცალკე მისცემდნენ მას.

როგორც ვხედავთ, განაწილების ეს წესი არა თუ მიზნად ისახავდა ნადირობაში ყველა მონაწილეთა თანასწორუფლებიანობას, არამედ მისი პრაქტიკულად განხორციელების ცდასაც წარმოადგენდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რამდენიმე ათეული წლის წინათ, ყოველ შემთხვევაში ს. სორში იმ პირთა შრე, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ განაწილებაში, ე. ი. უფლება ჰქონდათ ნანადირევის გარკვეულ წილზე, გაცილებით უფრო ფართო იყო, ვიდრე შემდეგში. მონაწილეობას ნანადირევის განაწილებაში იღებდნენ არა მარტო უშუალოდ მონაწილენი ნადირობის პროცესში, არამედ აგრეთვე ის პირნი, რომელნიც მიიღებდნენ მონაწილეობას ნადირობაში, რაიმე მიზეზს რომ არ შეეშალა მათ-თვის ხელი. ნ. მინდელის¹ აღწერის მიხედვით ირკვევა, რომ რაკაში ნანადირევს მცხოვრებნი დიდებიცა და პატარებიც ურთიერთშორის თანაბრად იყოფდნენ იმ რაოდენობის მიხედვით, რომელიც დაესწრებოდა ნადირობას. ნანადირევის ნაწილს აძლევდნენ არა მარტო იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღო ნადირის დაჭერაში, არა მედ იმათაც, რომელნიც გაემგზავრებოდნენ სანადიროდ, მაგრამ ავადმყოფობისა ან სხვა რაიმე მიზეზის გამო ისე დაბრუნდნენ უკან, რომ მონაწილეობა არ მიუღიათ ნადირობაში.

ქვემო-სვანეთი ამ შემთხვევაში სრული ანალოგის სურათს გვაძლევს².

ქვემო-სვანეთშიც ნანადირევის განაწილებაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ის პირნიც, რომელნიც თუმცა დააღვნენ.

¹ Н. М и н д е л и, Сел. Сори, СМОМПК, XIX, გვ. 88—89.

² ვ. ონიანი, 1939 წლის ქვემო-სვანეთის ექსპედიციის დღიური.

ჭანადირო გზას, მაგრამ ჩაიმე მიზეზების გამო გზიდან დაბრუნდნენ და ვერ მიიღეს მონაწილეობა თვით ნადირობის პროცესში. მაშა-სადამე, ქვემო-სვანეთშიც ისევე, როგორც რაჭაში, ნანადირევის თანაბარი წილზე უფლება ჰქონდათ არა მარტო იმ პირებს, რომელ-ნიც უშუალო მონაწილეობას იღებდნენ ნადირობის პროცესში, არამედ იმათაც ვისაც მხოლოდ განზრახვა ჰქონდა ამისა.

თვით განაწილების ტექნიკა ქვემო-სვანეთში უფრო სრული და განვითარებული იყო ვიღრე რაჭაში. ამდენად იგი რაჭასთან შედარებით არა მარტო ისახავდა მიზნად თანაბარ განაწილე-ბას, არამედ უზრუნველჰყოფდა კიდევაც განაწილებაში თანაბრია-ნობას.

ქვემო-სვანეთში ნანადირევის განაწილების დროს შეელზე ჯელგაობის შემთხვევაში ჩხირის ყრას კი არ მიმართავდნენ, არა-მედ ორი ბანდულისაგან ხელოვნურად გაკეთებულ სასწორს, რო-მელზედაც სწონილნენ ხორცს და ამით იცავდნენ ცალკე ნაწილე-ბის თანასწორობას.

რაჭველების ჩხირის ყრა უზრუნველჲყოფდა მხოლოდ ობიექ-ტურობას განაწილებაში ამათუიმ პირის მიმართ, მავრავ იგი ვერ უზრუნველჲყოფდა ნაწილების თანასწორობას, რადგან მისი აზომვა-შეწონვა თვალითა ხდებოდა, მაშინ როდესაც სვანური ბანდულის სასწორი საესებით უზრუნველჲყოფდა ცალკე ნაწილთა შორის თანა-სწორობას.

განაწილების ასეთ თანასწორუფლებიანობას, ვიმეორებთ, აღ-ვილი ჰქონდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ნადირობა ჯელ-გით წარმოებდა, ე. ი. მასობრივი იყო, მთელი სოფლით ნადი-რობას წარმოადგენდა.

ქვემო-სვანეთთან შედარებით რაჭაში ჯელგაობის დროს ნანა-დირევის განაწილებაში საინტერესო განსხვავებას აქვს აღვილი.

თუ რაჭაში შეელზე ჯელგაობის დროს არავითარი განსაკუთრე-ბული ნაწილის გამოყოფა (საუფროსო, სახელადო, სანამეტნაო, საისრე და სხვა) არ იცოდნენ, ასეთს ხშირად მიმართავდნენ ხოლმე ქვემო-სვანეთის მონადირენი, რომელთაც წესად ჰქონდათ შეელის თვეის ვაცემა მხოლოდ იმ პირთათვის; ვინც ივაჟუაცებდა და შეელს კისერს გადაუგრეხავდა, ე. ი. უიარალოდ მოინადირებდა მას.

ძნელია იმის თქმა, როთ აიხსნება ქვემო-სვანეთის ეს თავი-სებურება რაჭასთან შედარებით. წარმოადგენდა იგი ისეთი სპეცია-ლური ნაწილის გაღებას, რომელსაც მხოლოდ საპატიო მნიშვნელო-ბა ჰქონდა, ჰასაკთან იყო დაკავშირებული და ამდენად სტადია-

ლურად განვითარებულ გვაროვნულ წყობილებას ეკუთვნოდა, თუ გვაროვნული წყობილების შემდეგი საფეხურის შენაძენია, როდესაც ნანაღირების განაწილება დახარჯული შრომის პროპორციულად წარმოებდა.

ყოველ შემთხვევაში, ის გარემოება, რომ შველის თავი (შედარებით ტყავთან და ნანაღირების სხვა ნაწილებთან) არ წარმოაღენს რამე პრაქტიკულ ღირებულებას და მას, როგორც მომკვლელის ნიშანს, სხვა ნაწილები არ ერთვის, გვაფიქტრებინებს, რომ იგი ნაღირობის პროცესში მონაწილეობის პრაქტიკულ შედეგთან პირდაპირ კავშირში არ იმყოფება.

ნანაღირების თანაბარ განაწილებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე კვერნაზე საკვალიერ წესით ნაღირობის დროს. უნდა გავიხსენოთ, რომ კვერნაზე საკვალიერ ეწყობოდა დიდი თოვლიანობის დროს და ეს ნაღირობაც მასობრივ ხასიათს ატარებდა. მასში იღებდა მონაწილეობას 40 კაცამდე, მათ შორის მრავალი არა მონაღირი. ნაღირობის მასშტაბით, ორგანიზაციითა და გამოყენებული იარაღით იგი ჯელგაობას წააგვდა, თუმცა ამ სახელს არ ატარებდა. საკვალიერ პირობებში ნანაღირების განაწილება იმავე თანასწორუფლებიანობის პრინციპზე იყო აგებული და ნანაღირების სპეციალური ნაწილის გამოყოფას მომკვლელისათვის ან უფროსისათვის ადგილი არ ჰქონდა.

განაწილების იგივე წესი არსებობდა მელა-კურდლელზე ნაღირობის დროს, თუნდაც რომ ნაღირობაში მხოლოდ მონაღირებს მიეღოთ მონაწილეობა (ეს მასალები უმთავრესად ქვემო-რაჭას შეეხება).

განაწილების თანაბარუფლებიანობის პრინციპი; მაგრამ სხვა ფორმით, დამოწმებულია აგრეთვე მონაღირეთა დიდრიცხვანა ჯგუფით ნაღირობის დროს, რომელიც 12—15 კაცს აღწევდა. მონაღირეთა ასეთი ჯგუფი დიდ თოვლიანობას მიღიოდა სანაღიროდ (ჯიხვზე, არჩევზე, შველზე). ასეთ შემთხვევაში ნაღირობის დროს გულლვიძლი და შიგნული მთლიანად ადგილზე უნდა ყოფილიყო შექმული სათანადო რიტუალის შესრულებით, ტყავებს ცალკე გადაალაგებდნენ გასასყიდად, ხოლო ხორცს თანაბრად ინაწილებდნენ ჩიხირის ყრის წესით. სახლში დაბრუნებისას ტყავს გაჰყიდდნენ, აღბული ფულით ყიდულობდნენ სასმელს და ეწყობოდა ე. წ. ოჩხარი.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ტყავის ცალკე. გადალაგებას მისი შემდგომი გაყიდვით, მაგრამ ეს ღონისძიებაც ისევე, როგორც ნანაღირების შიგნეულის სანაღირო ადგილზე ნა-

დირობის ყველა მონაწილეთა მიერ შეჭმა ერთნაირად გულისხმობდა განაწილების თანასწორუფლებიანობას, თუმცა ეს უკანას-ქნელი სხვა ფორმით იყო გამოსახული.

ბ) ჯიხვის მოსაჭირავის შემთხვევაში, როდესაც სანადიროდ მიღიოდა მონაწილეთა ჯგუფი არა მონადირეთა გაურევლად ჯგუფში, ნანადირევის განაწილების თავისებური წესი არსებობდა. მონადირეთა ჯგუფის ყოველი მონაწილე ნანადირევის განაწილებისას თანასწორი უფლებით სარგებლობდა, გარდა ჯიხვის მომკვლელისა, რომელსაც დამატებით ჯიხვის თავრქა ეკუთვნოდა.

იმ მეტისმეტად იშვიათ შემთხვევაში, როდესაც ადგილი ჰქონდა ხოლმე დავას თუ ვინ მოადინა ნადირს პირველად სისხლი, ერთ-ერთი მოდავე მიმართავდა ხოლმე მეორე მოდავეს შემდეგი სიტყვებით: „შენი იარალი დააფარე და წაილეო“. იარალის დაყრა ნანადირევზე თავისებურ ფიცს წარმოადგენდა და იმ შემთხვევაში, თუ მოდავე მონადირე თავის იარალს დააფარებდა ნადირს, ეს საკმარისი იყო იმისათვის, რომ იგი ჩაეთვალათ სისხლის პირველ მომდენად. ე. ი. მომკვლელად.

რაც შეეხება ტყავს, უმეტეს შემთხვევაში, ასეთის ლირებულებით ოჩხარი იმართებოდა, მაგრამ ადგილი ჰქონდა აგრეთვე მისი ლირებულების თანასწორად გაყოფას.

სამწუხაოროდ, შეუძლებელი გახდა იმის აღდგენა, თუ ძველათ მონადირეები ტყავს როგორი წესით ინაწილებდნენ. ადვილად შესაძლებელია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ტყავების რაოდენობა თანაბრად არ იყოფოდა მონადირეთა რაოდენობაზე, ადგილი ჰქონდა მისი დაახლოებითი ლირებულების კომპენსაციას ხორცის გარკვეული ნაწილით.

შედარებით ზუსტი სახე ნანადირევის ასეთი განაწილებისა და-მოწმებულია დათვზე ნადირობის დროს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მარტო მონადირენი იღებდნენ მონაწილეობას ნადირობაში. საქმე იმაშია, რომ ძველათ დათვის ხორცს რაჭის მოსახლეობა არ ხმარობდა საჭმელად. გარკვეული ლირებულება ჰქონდა მხოლოდ დათვის ტყავს, ქონსა და ნაღველს. ხორცი და შიგნეული ჩვეულებრივად ადგილზე ჩრებოდა. დათვზე ნადირობის უმთავრესი მნიშვნელობა გამოიხატებოდა დათვის, როგორც მტაცებელი ნადირის მოსპობაში. რომ დათვს ძველათ შედარებით უმნიშვნელო ლირებულება გააჩნდა ნათლად ჩანს „ნადირობის“ იმ ფორმიდან, რომელიც დამოწმებული იყო ს. ქვემო-კრიხში და რომელიც მიზნად

ისახავდა დათვის მხოლოდ განდევნას ამათუმ სოფლის მიღამოებიდან.

ამდენად დათვის განაწილების პრინციპი მეტად საინტერესო გარემოებას წარმოადგენს. საინტერესოა მისი განაწილება ისეთ შემთხვევაში, როდესაც დათვზე სანადიროდ მხოლოდ მონაცირენი მიღიოდნენ. ასეთ შემთხვევაში მომკვლელს, როგორც წესი, წილადა ხვდებოდა დათვის თავი. დანარჩენის ღირებულება იყოფოდა. მონაცირეთა შორის თანაბრად.

შემდეგში, როდესაც პრაქტიკაში განმტკიცდა დათვის ხორცის გამოყენება საჭმლის სახით, მისი სორცი თანაბრად იყოფოდა, ხოლო დათვის თავისი სერვისის, როგორც მომკვლელის წილხვედრს, ტყავი და ნაღველა მიემატა.

მაშასადაც, აქაც ისევე, როგორც მონაცირეთა დიდრიცხოვანი ჯგუფით ჯიხვზე ნადირობის შემთხვევაში, ტველათ მომკვლელისათვის გამოყოფილი იყო ნანადირევის ისეთი ნაწილი, რომელიც არავითარ პრაქტიკულ ღირებულებას არ წარმოადგენდა, ანდა რომლის ღირებულება მეტად უმნიშვნელო იყო, ხოლო შემდეგში, განაწილების პროპორცია შეიცვალა და, როგორც ვხედავთ, მომკვლელის წილხვედრი საჭმაოდ გიაზარდა.

საფიქრებელია, რომ ქვემო-სგანეთის მსგავსად, რაჭაშიც ჰქონდა ადგილი შველზე მონაცირეთა დიდრიცხოვანი ჯგუფით ნადირობის დროს მომკვლელისათვის მხოლოდ თავის გამოყოფას, მაგრამ იგი ან გაქრა უკვე, ან და ვერ იყო დამოწმებული ექსპედიციის დროს.

ზემოხსენებულიდან უდავო ხდება, რომ მონაცირეთა დიდრიცხოვანი ჯგუფით ნადირობის დროს სისხლის მომდენისათვის გამოყოფილი ნაწილი მეტად უმნიშვნელო პრაქტიკულ ღირებულებას შეიცვდა და და ამდენად იგი ტროფეების მხოლოდ ნიშანს წარმოადგენდა იმ პირისათვის, ვინც ნადირს პირველად მოადინა სისხლი. ხოლო თუ მოვიგონებთ, რომ პირველი სროლის უფლება ასეთ შემთხვევაში უფროს მონაცირეს ეკუთვნოდა, რომელიც ამავე დროს ყველაზე გამოცდილიც იყო, ადვილი წარმოსადგენი გახდება, რომ თავრიელი, როგორც გამარჯვების ნიშანი, როგორც ტროფეა უმეტეს შემთხვევაში, უფროს მონაცირეს ერგებოდა ხოლმე.

გ) ნანაცირევის განაწილების განსხვავებული პრინციპი არის მოცუმული ისეთ შემთხვევაში, როდესაც ნადირობაში მონაწილეობას იღებს მონაცირეთა მცირერიცხოვანი ჯგუფი 3—5 მონაცირის შემაღენლობით, ან ისეთ შემთხვევაში, როდესაც მონაცირეთა

ჯგუფში შეყვანილია სპეციალური დანიშნულების არამონადირე, რომელიც ჯგუფში დამხმარე ფუნქციებს ასრულებს და უშუალოდ ნადირობაში მონაწილეობას არ იღებს. მას რაჭაში თანამტანი ეწოდება. როგორც აღნიშნეთ, მას არ მოეთხოვება სანადირო წესების ცოდნა; იგი მხოლოდ ისეთ სამუშაოებს. ასრულებს, როგორიცაა ტეირთის ზიდვა, საჭმლის მომზადება, ნანადირევის წამოლება და სხვა.

ასეთ შემთხვევაში გულლვიძლი (ან მთლიანად შიგნეული) ადგილზე უნდა ყოფილიყო მომზადებული გარკვეული წესით (ჯორმა ან მწვადი) და უველა მონადირის მიერ შეჭმული სათანადო რიტუალის შესრულებით. ნადირის ისეთი ნაწილები, რომელთაც გარკვეული ღირებულება ენიჭებოდა, მომკვლელს ეკუთვნოდა, ხოლო დანარჩენი ხორცი ნაწილდებოდა თანაბრად.

ასეთი წესით ჯიხვები, შველზე და არჩებე ნადირობის დროს მომკვლელს ერგებოდა ნადირის თავკისერი და ტყავი, უკანასკნელი როგორც გარკვეული ღირებულების მქონე. ამასთან აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაში, თუ ოჩხარი გაიმართებოდა, სასმელს ტყავის ღირებულებით კი არ შეიძნენენ, არამედ იგი ყოველ მონაწილეს ცალკე მოჰქონდა. ტყავი მომკვლელის განუყრელ საკუთრებას წარმოადგენდა. თანაც ასეთ შემთხვევაში ოჩხარი ძალიან იშვიათად გაიმართებოდა, კერძოდ მაშინ, თუ ნანადირევის რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო.

ნანადირევის განაწილების ანალოგიური წესი მონადირთა მცირერიცხოვანი ჯგუფით ნადირობის შემთხვევაში დამოწმებულია თავისუფალ სვანეთში. 6. დ მ ი ტ რ ი ე ვ ი ს ცნობის მიხედვით ირკვევა, რომ ორი ან სამი მონადირე, რომელნიც სანადიროდ ერთად მიღიან, ნანადირევს თანაბრად იყოფენ, თუნდაც ეს ნადირი მხოლოდ ერთის მიერ იყოს დახოცილი. მომკვლელი მხოლოდ იმ უპირატესობით სარგებლობს, რომ მას ეძლევა ნადირის თავი, კისერი და ტყავი¹.

ამგვარი გარემოება თუშეთშიც არის დამოწმებული. აქ თუ რამდენიმე მონადირე ერთად მიღიან სანადიროდ, ის ვინც მოკლა ნადირი იღებს თავისითვის თავს, კისერს; ტყავსა და მყერდს, დანანარჩენს იგი ამხანაგთა შორის თანაბრად ანაწილებს².

¹ Н. Димитриев, Из быта и нравов жителей вольной Сванетии, СМОМПК, XII, 33. 170.

² А. Диэр, Божество охоты и охот. язык у кав. горцев, СМОМПК, XLIV, 83. 5.

ნანადირევის ანალოგიური განაწილება დამოწმებული აქვს ა. დირს ქისტეთსა და ხევსურეთში.

ხევსურეთში რ. ერისთავს აქვს დამოწმებული ნანადირევის განაწილების ოდნავ სახეცვლილი ვარიანტი მონადირეთა მცირერიცხვანი ჯგუფით ნადირობის დროს. რ. ერისთავის ცნობით ხევსურეთში მოკლული ჯიხვის ტყავი მთლიანად იმას ეკუთვნის, ვინც იგი მოკლა, რქებს ხატსა სწირავენ, ხოლო ხორცი მონადირეთა შორის თანაბრად ნაწილდება¹.

იმერეთში განაწილების უფრო არაპროპორციული სახეა და- მოწმებული.

„ტყავი, თავფეხი, გულღვიძლი მომკვლელის იყო, დანარჩენი სწორად იყოფოდა“².

იმ შემთხვევაში, როდესაც მონადირეთა ჯგუფში თანამტანი გაერეოდა, ან ერთი მონადირე რამდენიმე არა მონადირე პირს წა- იყვანდა, მომკვლელის ან მონადირის ულუფა, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც დათვის ხორცის ხმარება შემოიღეს, გაიზარდა. ასეთ შემთხვევებში მონადირეს ან მომკვლელს, თავისა და ტყავის გარდა, მკერდი ან მისი ნაწილი ეძლეოდა. ყველაზე მკვეთრი სახით ასეთი განაწილება წარმოდგენილია დათვზე ნადირობის იმ შემთხვევაში, როდესაც მომკვლელს ან მონადირეს ეძლეოდა დათვის თავი, კისე- რი, ტყავი, ქონი და ნაღველი. გარდა ამისა, მონადირე იღებდა თანაბარ წილს დარჩენილი ხორციდან.

მსგავსი წესი ნანადირევის განაწილებისა სკანეთშია დამოწ- მებული.

„ნანადირევს მონადირე და მისი ამხანაგები მესაგზლეები (მოქ- ცა მოლხიზა) ამნაირად იყოფენ: თავს, კისერს და ტყავს მონადი- რე წაიღებს წილის გარეშე, დანარჩენ ხორცს ყველანი თანასწორად გაიყოფენ“³, ამბობს თავისუფალი სკანი.

როგორც ჩანს, დათვზე ნადირობის შემთხვევაში ნადირობის- ორგანიზაციის უფრო მაღალი და განვითარებული ტიპია მოცემული. ნადირობის ამგვარი ორგანიზაცია დამოკიდებულია სანადირო ია-

¹ Р. Эристов, О. тушино-пшаво-хевсурском окруже, ЗКОРГО, III, 88, 127.

² 6. ო ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, 1937 წ. იმერეთის ექსპედიციის დღიური.

³ თავისუფალი სკანი, ოთხი დღე..., „ივერია“, 1886 წ., №№ 237, 238..

რაღის განვითარებულ ბაზაზე, რის შედეგად შესაძლებელი ხდება— მსხვილ ნადირზე ნადირობა მონადირეთა ასეთი მცირე რაოდენობით. თვით ჯგუფში აშკარად არის მოცემული შრომის დანაწილება. ადგილად შესაძლებელია, რომ ნანადირევის ასეთი დიფერენცირებული სახით განაწილებაზე მონადირის შეიარაღებაც მოქმედებდეს. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ თანამტანის შრომის ანაზღაურება წინასწარ იყო გათვალისწინებული და ნადირობის ასეთი ორგანიზაციის პირობებში იმ ნაწილს, რომელსაც მომკვლელი იღებდა, საუფროსო, სახელადო ან საისრე კი არ ეწოდებოდა, არამედ სანამ ეტნაო.

თანამტანის ადგილი და მნიშვნელობა ნადირობის პროცესში, როგორც დაქვემდებარებული პირისა, მშვენივრად მოჩანს კახეთის მაგალითზე, საღაც თანამტანის შესატყვისად კოლექტიური თევზაობის ერთერთი მონაწილე, კერძოდ მებარგული, მიგვაჩნია. ამ შემთხვევაში განაწილება ხდება შემდეგი წესით: მებადური იღებს ორ წილს, ხოლო თანამტანი ერთ წილს¹. (მასალები ჩაწერილია ეთნოგრაფ ლ. ბოჭორიშვილის მიერ ს. ახმეტაში).

მაგრამ ნანადირევის განაწილება მარტო ნადირობის მონაწილეთა შორის კი არ ხდებოდა. ნანადირევში გარკვეული წილი აგრეთვე იმ პირთაც პერნდათ დათმობილი, რომელიც უშუალო მონაწილეობას ნადირობაში არ იღებდნენ. ასეთი იყო, მაგ., ე. წ. სახელად ორ რომელიც დღეს მიჩნეულია როგორც ნადირის სისხლის პირველად, მომდენის ხვედრი წილი, მაგრამ რომელიც ჩვენი აზრით ხელისმდების წილს უნდა წარმოადგენდეს. იგივე ითქვის საამხანაგო ს შესახებ. სამხანაგო ნანადირევის ისეთ წილს წარმოადგენდა, რომელიც ეძლეოდა მონადირეს იმ შემთხვევაში, თუ იგი რაიმე მიზეზით ვერ მიიღებდა მონაწილეობას მორიგ ნადირობაში. გარკვეული წილის გამოლება იცოდნენ აგრეთვე ნადირის უდევარი პირისათვის, ე. ი. იმ პირისათვის, რომელიც ანაზღეულად შეეყრებოდა მონადირეთ გზაში ნადირობის შემდეგ. სცოდნიათ აგრეთვე სამეზობლო—უახლოესი მეზობლებისათვის გარკვეული წილის—გამოყენება.

მსგავსი ჩვეულება იძერეთშიც არის დამოწმებული ნ. რეხვია—შვილის მიერ². გავადუმას ტყის ნაწილი ერქვა და გამოყენება.

¹ ლ. ბოჭორიშვილი, 1935 წლ. კახეთის ექსპედიციის დღიური.

² ნ. რეხვია—შვილი, 1937 წ. მეცნიერის ექსპედიციის დღიური (ხოლო რატომ ეწოდება ამ ნაწილს ტყის ნაწილი ჯერ კიდევ გამოსარკვევია).

ფილი იყო იმ ქვრივ-ობდლებისათვის დასარიგებლად, რომელთაც საქმი ნაწილიდან არაფერი არ ერგოს.

ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში იცოდნენ ამათუმი ნაწილის გამოყოფა: ბარკალი, ბეჭი, სამწვალე და სხვა. სამწუხაროდ, ამჟამად ზემოხსენებული ნაწილების გამოყოფა არ ატარებს იმდენად ჩამოყალიბებულ სახეს, რომ შეიძლებოდეს გარკვეულად თქმა, თუ ვის რომელ ნაწილს აძლევდნენ. შესაძლებელია საკითხის შემდევგმა კვლევამ მრავალი ახალი მასალა აღმოაჩინოს. საინტერესოა მხოლოდ ერთერთი ლექსის ნაწყვეტი, რომლის ბოლომდე აღდგენა ვერ მოვახერხეთ. სახელდობრ:

„ჯიხვსა მოგქლავ ფარჯენასა—

ფეხსა მოგცემ მარჯვენასაა“.

რადგან ასეთი ფორმულები, რომელშიც მოცემულია ნანადირევის განაწილების ესათუის წესი, მრავალი სახით არის შემონახული სხვადასხვა ტომთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს განაწილების ერთერთ ფორმულასთან. ზემოხსენებული ლექსის აღდგენა საგრძნობლად გაადვილებდა ამ საკითხის გადაწყვეტას.

განაწილებათა ზემოხსენებულ სისტემაში, რომელშიც აშკარადაა მოცემული კოლექტიური მოხმარების გადმონამთები, არსებობს ცალკეული ელემენტები, რომელნიც მიგვითოთებენ მოხმარების ამ პრინციპის შემოფარგვლაზე და ამდენად შემდეგი პერიოდის შენაძენს უნდა წარმოადგენდნენ. ეს შედარებით ახალი თვისება ნანალირების განაწილებისა, უპირველეს ყოვლისა, ნადღირის უდევა არ ს შეხება, ე. ი. პიროვნებას, რომელსაც ზემოთჩამოთვლილ პირთა შორის ყველაზე ნაკლები კავშირი აქვს ნადირობასთან. ასე მაგალითად, ნადირის უფერას მხოლოდ მაშინ მიეცემოდა ნანალირევის ნაწილი, თუ იგი შეხვდებოდა მონადირეს იქ ვიღრე უკანასკნელი ზურგზე შემოიგდებდა ნადირს. ამის შემდეგ, ზოგ შემთხვევაში, მას ნაწილი არ ეძლეოდა.

არსებობდა კიდევ ე. წ. კისრის დატეხვის წესი. ნადირს, უმთავრესად შველს, ჯელგაობის დროს რომ ჩაიფლვოდა იგი თოვლში და მოძრაობის უნარს დაკარგავდა, არც დანას მიაკარებდნენ, არც თოვს, არც მუჟირას. მას დაიჭერდნენ, თავში მოჰკიდებდნენ ხელს და ძლიერად გადაუგრეხავდნენ კისერს: „მთავრი ძარღვი გაუწყდება და მალე მოკვდება“—ო. საფიქრებელია, რომ ნადირის შეპყრობის ეს ყველაზე პრიმიტიული წესი წარმოადგენდა ნადირობის ერთერთი ხერხის თავდაპირველ სახეს და

შემდეგში გამოყენებული იყო რაიმე რიტუალური დანიშნულებით. ამას გვაფიქრებინებს აგრეთვე ის გარემობა, რომ მთელ რიგ შემთხვევაში (სოფ. საღმელი, ჯავისა და სხვა) ჯელგაობის, ე. ი. მთელი სოფლით ნადირობის დროს, არ იყო მისაღები შველის დაკვლა დანით. მას დანას არ შეიკარებდნენ: „კარგი არ არის“-ო. არავითარი პრაქტიკული დანიშნულება ამ წესს არ ჰქონდა. იგივე წესი დამოწმებულია ნ. მინდელის მიერ სოფელ სორში, საღაც ცოცხლად დაჭერილი ნადირის მოკვლის დროს არ ხმარობდნენ დანას ან სხვა რაიმე იარაღს, როგორც მაგ., შინაური საქონლის დაკვლის დროს, არამედ თავს უგრეხდნენ გვერდზე, ვიდრე შველი არ მოკვდებოდა. ნადირის დაკვლა იარაღით, ხალხური რწმენის მიერ-დვით, ცოდვად ყოფილა მიჩნეული და ფიქრობდნენ, რომ ამ წესის დარღვევისათვის „ნადირთ ანგელოზი დასჯიდა წესის დამრღვევს“-ო¹.

ნანადირევის უიარაღოდ მოკვლის რიტუალურ დანიშნულებას გვაფიქრებინებს აგრეთვე ის გარემოება, რომ სამსხვერპლი ცხოველის ხელით დაგლეჯა გამოყენებული ყოფილა სხვა ქართველ ტომებშიც.

მხედველობაში გვაქვს ხევსურეთში შემონახული „გველმყვართ გადაყრის“ წესი, რომელშიც სამსხვერპლი ცხოველის ხელით დაგლეჯას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამ წესის ამომწურავი დახსიათება მოცუმული აქვს ა. ლ. ოჩია ურს: „ხევსურები აირჩევენ ორ კაცს (დიდ ქარიანობის დროს, რომელიც უმთავრესად შემოდგომაზე იცის, ალ. რ.), ისინი დაიჭერენ საღმე გველს (აქ დიდი გველები კი არ იცის), ჩასმენ დუღურანში (დუღურა—ერთგვარი ბალახის „დიყის“ ღეროა) და დაუკობენ პირზე, აგრეთვე ერთ ბაყაყს ჩასვამენ ქილაში. წევა ორი კაცი მთაზე, წაიყვანენ გველს შეკარს და ერთ თიკანს... გაატყავებენ მას გუდათ, ხორცის უდანოდ დაგლეჯენ (ხაზი ჩემია, ალ. რ.) და ხორცის ხელუკულმეგადიყრიან, ე. ი. ზურგისაკენ“².

არსებობს აგრეთვე ლიტერატურული წყაროები, რომელიც მიუთითებენ, რომ ზოვ შემთხვევაში აკრძალული იყო ნადირის თოფით დახოცვა. მხედველობაში გვაქვს თეიმურაზ მეფის ერთ-ერთი ნადირობის აღწერა, მოთავსებული „ქართლის ცხოვრებაში,“ რომელ-შიც ნათქვამია:

¹ Н. Миндел и, Сел. Сори, СМОМПК, XIX, გვ. 88.

² ა. ლ. ოჩია ურს, ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალები, ენიმჭის ეთნ. განყ.-ის ხელნაწერი ფონდი, გვ. 38/24.

„დიდი უამი გარდაცვლილ იყო და ყარაია. ალარა-ვის ენადირა და ქართლი ასე წამხდარ იყო, რომ მშვილდ-ისართა შოვნა გაუ-ჰირდათ ქართველთა: უბძანა ბატონმა. „ვისაც მშვილდი არა ქონ-დეს, ხის მშვილდები დაიკეთონ, იმით დადგნენონ“. უველამ დაიკე-თეს მშვილდ-ისარი ხისანი და ის ეჭირათ, წესი იყო ყარის (ყარა-იას? ალ. რ.) ნირობისა (ნადირობისა? ალ. რ.) თოფით კარზე ჯე-რანს ვერა-ვინ მოკლევდა“¹.

მშვილდ-ისრით ნადირობა მოხსენებული აქვს აგრეთვე ისტო-რიკოსს როსტომ მეფის შვილის ნადირობის აღწერისას: „ალაგ ალაგ... მეთოფენი ჩაუსხეს და საპატიოს კაცის შვილები, თავადნი და აზნა-ურნი მშვილდ-ისრით დაჰკვეს“².

შემდეგში ნადირის ხელით დაჭირას სიმამაცისა და გამბედა-ობის მნიშვნელობა მიენიჭა. ასეთი საქციელი ვაჟკაცობად ითვლე-ბოდა.

გარდა მთელი ოიგი ცნობებისა, რომელსაც მხატვრული ლი-ტერატურა გვაწვდის, არსებობს ამის შესახებ მითითება ისტორი-ულ წყაროებშიც.

ასე მაგალითად, შემატიანე ვახტანგ გორგასლანის დახასია-თების დროს ამბობს: „... ჭურვილი ქუეითი ირემსა მიეწიის, უპყ-რის რქა და დაიჭირის“³.

ადგილობრივი მონადირეების განმარტებით (შაგ. ს. ურავი), კისრის დატეხვა ისეთ შემთხვევაში იყო ხოლმე გამოყენებული, როდესაც ჯელგაობის მონაწილეთ არ უნდოდათ ნადირის უდევარი კაცის წილში შეამანავება.

ანალოგიური წესი იყო დამოწმებული დათვზე ნადირობის შემთხვევაში. საერთოდ, არსებული წესის მიხედვით, ნადირის უდე-ვარს აქაც უნდა მიეღო ნანადირევის გარკვეული წილი, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ მონადირე მოასწრებდა და დათვს მკერდზე ჯვა-რისებურად გადაუსერავდა ტყავს, რაც იმას ნიშნავდა, რომ დათვის გატყავება უკეთ დაწყებულია, ნადირის უდევარ პიროვნებას, ე. ი. პიროვნებას, რომელსაც უმუალო მონაწილეობა არ მიუღია ნადირო-ბის პროცესში და მხოლოდ შემთხვევით შემხვედრს წარმადგენდა, ყოველგვარი უფლება ეკარგებოდა რაიმე პრეტენზია განეცხადებინა ნანადირევის რაიმე ნაწილზე.

¹ „ქართლის ცხოვრება“, ნ. II, ჩუბინა შვილის გამ., ვვ, 394.

² იქვე, გვ. 533.

³ ჯუანშერ ჯუანშერიანი, ქართლის ცხოვრება, მ-მ დ-ი ვარ., გვ. 137.

რაც შეეხება ქვემო-სვანეთს, გ. ონიანის ცნობის მიხედვით, აქაც ჰქონია ადგილი შეელის კისრის დატეხვას. ხელით შეპყრობილ შველს მარცხნივ გადაუგრეხავდნენ კისერს და არა მარჯვნივ: „უფრო მაღლე მოკვდება“—ო. ხოლო დანიშნულება კისრის დატეხვისა სიმამაცისა. და ვაჟავაცობის გამოჩენაში მდგომარეობდა და მას ქვემო სვანეთში განაწილების საკითხთან, როგორც ეტყობა, არავითარი კავშირი არა ჰქონია.

გ. ონიანის ჩანაწერი მასალის მიხედვით: „ვაჟკაცი დანას და თოფს არ ხმარობდა შველზე, ვინაიდან კისრის დატეხვა უფრო სასახელო საქმე იყო“¹.

ინტერესს არ არის მოკლებული ის სახელწოდებანი, რომელ-ზიც მითვისებული აქვთ ნადირის სპეციალურად გამოყოფილ ნაწილებს მომკვლელის სასარგებლოდ. ამ ნაწილებს დღეს უწოდებენ საუფრო როსოს, საისრეს ან სახელადოს, სანამეტნაოს, სამომკვლელოს და სხვა. სახელწოდებათა ამ რიგში მხოლოდ სახელადო იწვევს ეჭვს, რომელიც შეორე ექსპედიციის დროს საისრესაგან დამოუკიდებლად შეგვეხდა. ამ შემთხვევაში იგი ნადირის ისეთ ნაწილს წარმოაგენდა, რომელიც ეკუთვნოდა ხელის მდებარება, ე. ი. პიროვნებას, რომელიც პირველად დაადგებდა ხელს ნანაღირევს მონაღირის შემდეგ. დანარჩენი სახელწოდებანი თუმცალა დღეს აღრევით იხმარება რაჭაში, მაგრამ თვითვე ლაპარაკობენ თავის შესახებ. ასე მაგალითად, საუფროსო, როგორც ეტყობა, ჰგულისხმობდა იმ ნაწილს, რომელიც ეძლეოდა მონაღირეთა ჯგუფში კველაზე უფროსს და მხოლოდ შემდეგში ზემოხსენებული სახელწოდება გამოყენებული იყო იმ ნაწილის აღსანიშვად, რომელიც მომკვლელს (ე. ი. სისხლის პირველად მომდენს) ეძლეოდა. ეს მოსაზრება მით უფრო დასაშვებია, რომ რაჭაში, როგორც აღვნიშნეთ, პირველი სროლის უფლება მონაღირეთა შორის კველაზე უფროსს ეკუთვნოდა. საისრე არ წარმოადგენს რაიმე საიდუმლოებას: ადგილობრივი მოსახლეობის განმარტებით ეს გაფუჭებული ისრის ასანაზღაურებელი ნაწილის სახელწოდებას წარმოადგენდა და ამდენად სრულიად ამოსწურიავს პირველად სისხლის მომდენის განსაკუთრებული ნაწილის მნიშვნელობას, რადგან მოკლავდა იგი ნადირს თუ მხოლოდ სისხლს ადენდა, ისარი ეკარგებოდა მას. თავისებური ადგილი უჭირავს სახელწოდებათა ამ რიგში ტერმინ სანამეტნაოს. როგორც აღვნიშნეთ, იგი გამოხატავს აგრეთვე სისხლის პირველად მომდენის წილხვედრ ნაწილს, მაგრამ გამოყენებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფში შემოსულია, ე. წ. თანამტანი,

¹ გ. ონიანი; 1939 წლის ქვემო-სვანეთის ექსპედიციის დღიური.

დაბალი კვალიფიკაციის სამუშაოს შემსრულებელი პირი, რომლის ჯეუფში არსებობა, ჯგუფში შრომის ახალ დანაწილებას ჰგულისხმობს და ნანადირევის განაწილების დროსაც განსაკუთრებულ პირობასა ჰქმნის.

ზემოთქმულის შედეგად შემდეგი მოსაზრების გამოთქმა შეიძლება.

რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწერებული ნანადირევის განაწილების წესები პირველყოფილ თემური წესწყობილების აშკარა ბეჭედს ატარებს. ამავე დროს ნანადირევის განაწილების ყოველი წესი განმასხვავებელი ნიშნების შემცველია. ნანადირევის განაწილების წესების სტადიალური განსაზღვრა პირველყოფილ-თემური წესწყობილების ფარგლებში შესაძლებელია ხსენებული წესების განმასხვავებელი ნიშნების შემდგომი შესწავლის შედეგად.

პირველყოფილ-თემური წესწყობილების აშკარა გადმონაშთს წარმოადგენდა ოჩხარის გამართვის წესი ყოველი ნაღირობის შემდეგ. დღეს ოჩხარი გულისხმობს საერთოდ სოფლის გოგო-ბიჭების შეკრებას სალხინოდ. ძველად მონადირეთა ყოფაში მას სპეციალური დანიშნულება ჰქონდა. მასობრივი ნაღირობის შემდეგ, უმთავრესად მთელი სოფლით ნაღირობის შემდეგ, როდესაც ხორცი თანაბრად იყოფოდა ყველას შორის, ტყავის ღირებულებით ყიდულობდნენ სასმელს და იმართებოდა საერთო ლხინი მონადირეთა თანდასწრებით. ოჩხარის დროს, უპირველეს ყოვლისა მაღლობას გადაუხდიდნენ ნადირთ პატრონს, ლოცულობდნენ მშვიდობით გადარჩენას და შემდეგ შეუდგებოდნენ ლხინს. ასეთი ლხინის დროს იცოდნენ ძველი ვანთქმული მონადირეების ამბებისა და მათ შესახებ შეთხული ლექსების მოყოლა. ოჩხარის, როგორც აღნიშნეთ, ძველათ ლოცვა ეწოდებოდა. ოჩხარის მოწყობა რაჭაში საერთოდ კოლექტიური სამუშაოების დამთავრების შემჯეგაც სცოდნიათ.

ხევსურეთში ოჩხარს სხვა დანიშნულება აქვს. ბ. გაბუური ასე აგვიწერს ხევსურულ ოჩხარს:

„ვისაც რა გაუჭირდება სოფელში ან თემში... იქამს ონჩხარს: გამასწურავს არაყს ან აღულებს ლუდს“. შემდეგ გაუგზავნის კაცს მეზობლებს, რომ მასთან დასახმარებლად მოვიდნენ. შეატყობინებს საქონლის საკები გამოელია, თუ თვით გაუჭირდა რამე, მეზობლები მოღიან შემდეგი მოტივით:

„რად არ წამავალთ? ეგ გაჭირება დღეს ერთის კარად ას, ხვალ სხვას მიუღების; მაშ სოფელ თუ ერთუც არ შევეწიენით რაად უსახლიორთ ურთუც, თუ კაცის გაჭირება არ გავიგით? ეგ გაჭირება სუყველის კარად მივ“¹.

როგორც ჩანს, ოჩხარი ამ შემთხვევაში კოლექტიური წარმოების საკმაოდ ნიშანდობლივ გადმონაშთს წარმოადგენს.

¹ ბ. გაბუური, კევსურული მასალები, აკ. შანიძის რედ., „წელოწლეული“, ტ. I-II, 1923-24 წწ., გვ. 129.

V. მონადირეობის სამიურნეო მინიჭველობა

მეურნეობის ამათუიმ დარგის ეკონომიური მნიშვნელობა და წონადობა სახალხო მეურნეობის მთლიან სისტემაში არ წარმოადგენს მუდმივ სიდიდეს; იგი იცვლება და მის ცვალებადობაზე გარკვეულ გავლენას ახდენს საწარმოო ძალთა განვითარების დონე.

მონადირეობის ეკონომიური როლის შეფასება, კერძოდ ქართველთა სამეურნეო ყოფაში; ორი თვალსაზრისით შეიძლება: რა ცვლილებებს განიცდიდა მონადირეობის, როგორც ეკონომიური ფაქტორის, წონადობა ქართველ ტომთა მეურნეობის მთლიან სისტემაში ისტორიის ჩვენთვის ცნობილ მონაკვეთზე და რა ოდენობითაა წარმოდგენილი მისი მნიშვნელობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ამჟამად.

ხოლო რამდენადაც თემის ფარგლები მხოლოდ რაჭის მოსახლეობას გულისხმობენ, ვეცდებით მთავარი ყურადღება რაჭის მივაჭციოთ და სხვა ქართველ ტომთა შესახები მასალები მხოლოდ შესაღარებლად და საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ.

არსებული ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე გადაკრით შეიძლება ითქვას, რომ მონადირეობამ ქართველთა სამეურნეო ყოფაში დიდი ხანია რაც დაკარგა წამყვანი მნიშვნელობა.

არსებობს რიგი ისტორიული მასალები, რომელთა საფუძველზე აკად. ი. ვ. ჯავახიშვილი ასკვნის:

„თავიანთი წინანდელზე სამშობლოთვან ამიერ-კავკასიაში გადმოსახლებულ ქართველთა ტომებს თან მაღალხარისხოვანი მიწისმოქმედებისა და ინტენსიური მესაქონლეობის კულტურა მოპერირდათ“¹.

ისტორიულად მონადირეობის მნიშვნელობა ეკონომიური თვალსაზრისით სპორადულად იზრდებოდა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და ისიც მარტოდენ იქ, სადაც ამისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი ბუნებრივი გარემო არსებობდა.

რაც შეეხება თანადროულობას, მონადირეობას ქართველთა სამეურნეო ბიუჯეტში არსებოთად დაკარგული აქვს რამდე-

¹ ი. ვ. ჯავახიშვილი, საქ. ეკ. ისტორია, წ. I², ტფ. 1930 წ., გვ. 316.

9. კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში.

ნადმე სერიოზული მნიშვნელობა და თუ სადმე მონადირეობა წარ-
მოადგენს არსებობის დამხმარე წყაროს მხოლოდ ისეთ ადგილებში,
როგორიცაა ზემო-სვანეთი, ზემო-რაჭა, ხევსურეთის რამდენიმე
პუნქტი და სხვა, ე. ი. ისეთ ადგილებში, სადაც ნადირობა იოლად
ხელშისაწდომია, სადაც იგი ნაწილობრივ მაინც აანაზღაურებს მას-
ზე გაწეულ ჯაფას.

უკანასკნელი დებულება განსაკუთრებით ისეთ რაიონებს ეხება,
რომლებიც მდიდარია ბეჭვეულით, მაგრამ ასეთ შემთხვევებში მონა-
დირეობას მისდევენ ნანადირევის არა უშუალო მოხმარების, არამედ
უფრო გაყიდვის თვალსაზრისით.

აღრინდელი ისტორიული წყაროები საკმაოდ ვრცლად გვიხა-
ტავენ ქართველ ტომთა სამეურნეო ყოფის სურათს, და მათ საფუ-
ძველზე თვალსაჩინო ხდება ეკონომიური თვალსაზრისით ორი მკვეთ-
რად განსხვავებული ზოლის არსებობა: მთისა და ბარის.

ს ტრაბონის დროისათვის, როგორც მისი გეოგრაფიიდან
ირკვევა¹, იმ ქართველი ტომების სამეურნეო ყოფა, რომელიც ბარად
ბინადრობდნენ, სახელდობრ, იბერიელთა ეკონომიური ყოფა გან-
ვითარებულ მიწათმოქმედებაზე ყოფილა დამკვიდრებული. ს ტრა-
ბონი პირდაპირ მიუთითებს იმის შესახებ, რომ ძირითად და
წამყვან საარსებო წყაროს იბერიის მოსახლეობისათვის მიწათმო-
ქმედება წარმოადგენდა და მასზე დამყარებული შშეიღობიანი
ცხოვრება. ს ტრაბონის მიერ მოცემულ იბერიის საზოგადოებ-
რიგისტრუქტურის სქემაში მიწათმოქმედთა კლასს გარკვეული ადგი-
ლი აქვს დათმობილი.

გაურკვეველ ცნობას გვაწვდის ს ტრაბონი პონტოს სახელ-
მწიფოს შესახებ. მისი სიტყვით იქ კვების სიუხვის წყალობით ხში-
რად აწყობდნენ ნადირობას სხვადასხვა ნადირზე².

რომ პონტოს სახელმწიფოს მოსახლეობა ნადირობას მისდევდა
ს ტრაბონის ზემოხსენებული სიტყვებიდან აშკარადა ჩანს, მაგ-
რამ რა მნიშვნელობა ჰქონდა ნადირობას გაუგებარია. მისდევდნენ
ნადირობას იმიტომ, რომ საკვებით მდიდარი იყო მოსახლეობა, თუ
იმიტომ, რომ ნადირით მდიდარი იყო ეს არებარე, ე. ი., ნადი-
რობას ჰქონდა წამყვანი ეკონომიური მნიშვნელობა თუ მეურნეობის
სხვა დარგს.

¹ С т р а б о н, География, перев. Ф. М ищ енко, ғ. XI, т. III, § 3.
M. 1879 წ.

² იქვე, ғ. XII, т. III, § 15.

ლაზების შესახებ ცნობას გვაწვდის. აგათია ს ქოლას-ტიკოსი, რომელიც აღნიშნავს:

„იმ ტომებს შორის, რომელებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომ-თა სიმრავლით, როგორც მიწაწყლის სიჭარბით და მოსავლიანო-ბით, ისე ხასიათის სილამაზით და სიცემიტით“¹.

აქედან ნათელი ხდება, რომ ამ შემთხვევაშიც სახალხო მეურ-ნეობის მთლიან სისტემაში წამყუან ფუნქციას მიწათმოქმედება ასრუ-ლებდა.

სულ სხვა სურათი გვეხატება ამავე რიგის წყაროების მიხედვით იმ ქართველ ტომთა შესახებ, რომელნიც მთაში ბინადრობდნენ.

ჯერ კიდევ პერიდოტეს აქვს გაკვრით ალწერილი კაფ-კასიის მთიელთა ეკონომიური ყოფა. იგი აღნიშნავს, რომ კავკასიის მთებში მრავალი სხვადასხვა ხალხი იყო, რომელთა შორის თითქმის ჰყელა ტყის გარეული მცენარეულით იკვებებოდა².

ადეილი წარმოსადგენია, რომ კვების ასეთ პირობებში, ნადი-რით ბუნებრივად მდიდარ გარემოში ნანადირევს გარკვეული ად-გილი ექნებოდა დათმობილი ზემოხსენებული მოსახლეობის კვების პიუჯეტში.

მაგრამ უფრო დამაჯერებელ და ამომშურავ ცნობას, როგორც დახასიათების სიზუსტისა, აგრეთვე ტერიტორიული განსაზღვრის თვალსაზრისით ს ტრაბონი გვაწვდის, საიდანაც ირკვევა; რომ კავკასიონის კალთების ის მცხოვრებნი, რომელნიც დაჟუ-რებდნენ ალბანეთსა და იბერიას, კოლხებსა და ჰენიონებს, იკვებებო-დნენ უმთავრესად გარეული ნადირის ხორცით, გარეული ხილითა და რძით³.

ამ თვალსაზრისით საინტერესო ცნობას გვაწვდის აგრეთვე ს ტრაბონი მოსვინიკების შესახებ. ს ტრაბონის სიტყვით მოს-ვინიკები იკვებებოდნენ ნადირის ხორცითა და ხილეულით⁴. მოს-ვინიკებიც ს ტრაბონის დროს მთებში ცხოვრობდნენ⁵. ყველა

¹ ს. ყაუხჩი შვილი, გეორგია, ბიზანტიული მწერლების ცნობები სა-ქართველოს შესახებ, ტ. III, ტფ. 1936 წ., გვ. 50.

² Г е р о д о т, История, перев. Ф. М и ш е н к о, М. 1885 г., წ. I, § 203.

³ С т р а б о н, География, დასახ. გამ., წ. XI, თ. V, 6.

⁴ С т р а б о н, География, დასახ. გამ., წ. II, თ. III, § 18.

⁵ ივ. ჯავახი შვილი, ქართველი ერის ისტორია, წ., I, ტფ. 1913 წ., გვ. 45.

ზემოხსენებული ცნობიდან ნათლად ირკვევა, რომ I ს-ში ძვ. ქართველ ტომთა ეკონომიურ ყოფაში არსებობდა ორი მკვეთრად განსხვავებული წყობილება ბარში მიწათმოქმედების უპირატესობით, ხოლო მთიან ზოლში—ისეთი ეკონომიური წყობილება, რომლის პირობებში ერთერთ მთავარ საარსებო წყაროს მონადირეობის პროცეს-ტი და მცენარეულობა შეაღენდა.

აკად. ივ. ჯავახიშვილი, ეხება რა ამ საკითხს, ამბობს: „რასა-კვირველია მთა-აღგილებში მობინადრე ქართველი ტომები უფრო ცუდი მდგომარეობაში იქნებოდნენ; ბუნება, ცხადია, მათ ისე ხელს არ შეუწყობდა, როგორც ბარის მცხოვრებლებს, პირ-იქით, ბევრ-რიგად დააბრკოლებდა კიდეც; მწირი მიწა, მეკაცრი ჰავა მთა აღგილას, სა-კარი სახნავ მიწების უქონლობა, აბა რა ხეირს დაყრილია ადა-მიანს! ამის გამო აქ კაცი ბუნების ყურმოჭრილი ყმა უნდა გამხდა-რიყო და იმისთვისაც მაღლობა უნდა ეთქვა, რასაც მას თვით ბუ-ნება უწყალობებდა“¹.

აქ არაფერს არ ვამბობთ მესაქონლეობაზე, რომელსაც მნიშვნელოვანი აღვილი ეჭირა ქართველ ტომთა სამეურნეო ყოფაში. საინტერესოა მხოლოდ თემასთან დაკავშირებით მეურნეობის ტიპის ტერიტორიული განვითარება, რომლის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ზემოხსენებული პერიოდისათვის მონადირეობას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სერიოზული ეკონომიური მნიშვნელობა ენიჭებოდა.

სამეურნეო ტიპების ასეთი ტერიტორიული განვითარებულობა შემდეგ პერიოდშიც ახასიათებდა ქართველ ტომთა ეკონომიურ ყო-თას. ცნობილია ის გარემოება, რომ VI ს-ში საქართველოს ბარი მიწათმოქმედების განვითარების თვალსაზრისით იმდენად მდიდარ კუთხეს წარმოადგენდა, რომ აქ ჩამომდგარი მტრის ჯარები (ბიზანტია, ირანი) აღგილობრივი რესურსებით იკვებებოდა².

მაგრამ მიწათმოქმედების განვითარებული კულტურა საქართველოს ბარში არ ნიშნავდა მონადირეობის მნიშვნელობის დაკარგვას ისეთ კუთხებში, სადაც ამისათვის ყველა პირობა იყო შექმნილი. არსებობს რიგი ისტორიული საბუთები, რომლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სხვა-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, ტფ. 1913 წ., ვ3. 82.

² ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში; ტფ. 1935 წ., ვ3. 83—89.

დასხვა კუთხეში მონაცირეობამ შემდეგ პერიოდშიც შემოინახა გარკვეული და სერიოზული ეკონომიური მნიშვნელობა.

ბ. ზარზე მე ლი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ავტორი, აღწერს რა ცხროჭის „ადგილთა ყოვლად ტყეთა და უგალთა კაცთა მიერ“, ამბობს:

„ეს არს ტბად მლრცე ყოვლადვე, რომელსა ეწოდების სათა-კუე და არს ამას შინა სიმრავლე თაჯუთად [და] სხუათა ნადირთად და [არს] დედა შფოთთა და ბრძოლათად. რამეთუ უამსა ამას აქა იხილ-ვებიან მდევარნი ნადირთანი, შეკრძბულნი თვთოვეულთა სანახებთანი და ურთიერთას მდევარნი საქმეთა უჯეროთანი, რომელნი კლვადცა მზა არიან თვთოვეულისა“¹.

ზემოხსენებული მონაცირენი „ჩასახუნდრებულნი“ ყოფილან ნა-დირის მისავალზე ტბასთან და საშუალებას არ აძლევდნენ სერაპიონ ზარზმელსა და მის თანამხლებლებს იმ არემარეში გაევლოთ, რაღან მათ ნადირის დაფრთხობა შეეძლოთ.

„რამეთუ უამი არსო ნადირთად, რომელნი მოვლენ ტბასა ამას, რამეთუ მზა არიან მონაცირენი ადგილთა ამათ, რათა არა იქმნას ცოლმა მათი თქუენ მიერ. და არა გვტევნეს რათოურთით წარსვლად ცერძოთა მათ“².

ძნელი წარმოსალგენია, რომ სანადიროდ ასეთი ორგანიზებული წამოსვლა სხვადასხვა სანახიდან, ნადირობის წესების ასეთი სასტიკი დაცვა და, რაც მთავარია, ერთმანეთის მოსაკლავად გამეტება, მხოლოდ გართობის მიზნით ყოფილიყოს მოწყობილი. როგორც ჩანს, ნადირობა მნიშვნელოვან საარსებო წყაროს წარმოადგენდა ზემოხსენებული ადგილებისათვის X—XI საუკუნეებში და პროფ. ჭ. კეკელიძე სამართლიანად ასკენის, რომ

„... არც ნადირობას ეჭირა ნაკლები ადგილი (შედარებით შიწათმოქმედებასთან და მესაქონლეობასთან, ალ. რ.) აქაურ ეკონომიკაში“-ო.

როგორც ეტყობა, ცხროჭის განსაკუთრებული სიმდიდრე ნა-დირით საფუძვლად დაედო ნადირობის ეკონომიური მნიშვნელობის შემონახვას.

მაგრამ განსაკუთრებული გაჭირვების დროს, როგორც ეტყობა, ხალხი შიგნით ქართლის კალაკებსაც ეტანებოდა სანადიროდ. „ქართ-ლის ცხოვრებაში“ მოთხრობილია ქვეყნის გაოხრება დიდი თურქო-

¹ ბასილ ზარზე მე ლი, ცხორებად და მოქალაქობად სერაპიონ ზარზმე-ლისად, დასახ. გამ., გვ. 160.

² იქვე, გვ. 161.

³ იქვე, გვ. 133.

ბის შედეგად (XI ს.) და ხალხი გაიხიზნა ტყეებსა და შთებში. ჭალები აივსო ნადირით. „და ოდესცა ნადირობა უნდის ქართლისა. ჭალაკთა ანუ ნაკარმაგვეს რომელი აღსავსე იყო ირმითა და ეშუთა მიერ არა: პირველ შთავიდიან ვიდრემდის ცხენ კეთილთა მჯედართა მიერ მოინახიან და მაშინლა მოვიდიან ვაკესა“¹.

აგრეთვე ძნელი წარმოსადგენია, რომ ქვეყნის ასეთი გაპარტახების დროს ხალხს გართობისათვის მოეცალოს. ცხადია, რომ ეკონომიურად განადგურებული და მთებში შეხიზნული მოსახლეობის მნიშვნელოვან საარსებო წყაროს ასეთ შემთხვევებში ნადირობა წარმოადგენდა.

დიდ შემოსევასა და ქვეყნის გაოხრებას დიდი შიმშილი მოსდევდა თან. იგივე „ქართლის ცხოვრება“ ასე გვიხატავს ხუტლუშას შემოსევას საქართველოში.

„ესოდენ განძვინდა შიმშილი მძორსა არა წმინდასა ურიდად ჭამდეს სავსე იყუნეს უბანნი და ფოლოცნი გზანი და მინდორნი და ქალაქნი და სოფელნი მქუდრებითა ყრმიანი მქუდართა დედათა-ლეშვთა სწორებიან“².

საკვირველიც იქნებოდა, რომ ასეთი გაჭირვებისა და შიმშილის უამს მოსახლეობას ნადირობისათვის არ მიემართა, მით უმეტესა, რომ ნადირობის საუკეთესო ტრადიციებით და ნადირის სიუხვით ასე მდიდარი იყო საქართველო.

საერო მხატვრულ ლიტერატურაშიც არის მოცემული მთელი რიგი ცნობები იმის შესახებ, თუ როდის. და რა მნიშვნელობა ჰქონდა ნანადირებს აღამიანის კვებაში.

ავთანდილი მიდის რა ტარიელის საძებრად თავის ძმადნაფიცებს სწერს:

„ცოტასა ხანსა ვარჩივენ გაჭრა სმასა და მლერასა,

პურად და საჭმლად მივენდევ ჩემსა შვილდსა და ცერასა“³.

და მართლაც, ავთანდილი ტარიელის ძებნის დროს უმეტესად ნადირის ხორცით იკვებება:

„ისრითა მოკლის ნადირი, როსტომის მკლავ უგრძესითა.

შამბისა პირსა ვარდაკდა, ცეცხლი დააგზო კუესითა“⁴.

¹ დავით ალმაშვნებლის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, მ-მ დ-ი ვარ., დასახ. გამ., გვ. 288.

² უამთა აღმწერელი, ქართლის ცხოვრება, მ-მ დ-ი ვარ., დასახ. გამ., გვ. 765.

³ შ. რუსთაველი, ვეფხის ტყაოსანი, დას. გამ., ტაქი 143.

⁴ შ. რუსთაველი, ვეფხის ტყაოსანი, დასახ. გამ., ტაქი 172.

ტარიელიც ასმათს ნანადირევის ხორცით ინახავს:

„ვქამ, გლას მარტო ნადირისა კორცისა მისგან მონატანსა“¹.

ასმათი ხმელადაც ინახავდა ნადირის ხორცს და იმით იყვებებოდა:

„მუნ გუიმასპინძლოს ასმათმან, მას უც კორცისა კმელობა².

და რომ აქ ნადირის ხორცზეა საუბაოი მომდევნო ტაეპი მიგვიოთებს:

„ასმათს უცს კორცი ირმისა, იქს მასპინძლობა კუეთასა“.

ნანადირევის ხორცით კვების შესახებ „ამირან დარეჯანშიაც“ არის ცნობა. მაგ., ბადრი იამანის ამბავში:

„ჩვენ მათ დღეთა ნადირი არა შეგვებყრა და მოგვშეოდა“³.

რაც შეეხება საქართველოს, კერძოდ მის მთან ზოლსა და განსაკუთრებით რაჭას, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული კუთხების განუვითარებელი, პრიმიტიული მეურნეობა და მისი ნაწილობრივ კარჩაკუტილი ხასიათი ბუნებრივი გარემოს სიმდიდრესთან ერთად ნადირის სხვადასხვა სახეობით ხელსაყრელ პირობებსა ჰქმნიდა იმისათვის, რომ მონადირეობას თავისი ეკონომიკური მნიშვნელობა სავსებით არ დაეკარგა. ნანადირევი რაჭის რამდენიმე პუნქტში უკანასკნელ ხანებამდე მოსახლეობის სამეურნეო ბიუჯეტში გარევეულ როლს თამაშობდა, ხოლო თავისი ადგილით დაახლოვებით მესამე-მეოთხე რივის მნიშვნელობას არ გასცილებია.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება იმ გარემოებას უნდა მიექცეს, რომ მთლიანად რაჭის მოსახლეობის ეკონომიკაში ჰარიათადად გადამწყვეტ როლს მიწათმოქმედება ასრულებდა, მაგრამ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას სახმარი მიწის ფართობის სიმცირის გამო არ შეეძლო მთლიანად დაექმაყოფილებინა მოსახლეობის ეკონომიკური მოთხოვნილებანი, რასაც შედეგად გარე სამუშაოზე სიარულის ხშირი და შედარებით ვრცელი პრაქტიკა მოჰყეა. გ. რადე თავის მოგზაურობის აღწერისას ახასიათებს ზემო-სვანეგთისა და რაჭის მოსახლეობის ეკონომიკას. ამ დახასიათების მიხედვით ირკვევა, რომ ზემო-რაჭის მოსახლეობას (ისევე როგორც სვანებს) არ შეეძლო დაექმაყოფილებინა თავი კვების საშუალებით მთელი ზამთრის განმავლობაში მოსავლის სიმცირის გამო. პურის აღების შემდეგ მოსახლეობის ნაწილი სახლში სტოკებდა ცოლშვილს, მოხუცებს, ავად-

¹ შ. რუსთაველი, ნეფხის ტყაოსანი, დასახ. გამ., ტ. 241.

² იქვე, ტაეპი 1494.

³ მ. ხონელი, ამირან დარეჯანიანი, ს. კაკაბაძის რედაქციით,
ტფ. 1939 წ., გვ. 29.

მყოფებს და ზამთრის თვეების განმავლობაში მიღიოდა ფულის სა-
შოვნელად ქალაქებში ¹.

გაზეთ „კავკაზ“-ის ერთერთი კორესპონდენტი ამგვარივე ცნო-
ბას გადმოგვცემს რაჭის ეკონომიკის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ რა-
ჭის გლეხების უმეტეს ნაწილს ისეთი მცირე რაოდენობით გააჩნდა
მიწა, რომ მისი მოსავალი ნახევარი წლის განმავლობაშიაც კი არა
ჰყოფნიდა მას, ხოლო არსებობის სხვა საშუალებანი მეტად ძნელი
მოსაბოვებელი ყოფილა: შემოდგომით, როდესაც გლეხები აიღებდნენ
სიმინდის მცირე მოსავალს და ყურძენს; როდესაც მოიტანდნენ სახლ-
ში საზამთროდ რამდენიმე ურემ შეშას, ისინი მიემკზავრებოდნენ
სხვადასხვა ქალაქებში და სოფლებში თავიანთი ოჯახებისათვის
სარჩის საშოვნელად ².

სასოფლო-სამეურნეო სტატიისტიკის ზოგადი მიმოხილვაც კი და-
გვარწმუნებს, რომ მიწათმოქმედების განვითარების თვალსაზრისით
რაჭის მოსახლეობა XIX ს-შიც მთელ დასავლეთ საქართველოს და-
ნარჩენ კუთხებთან შედარებით განსაკუთრებით ცუდ პირობებში ყო-
ფილა მოქცეული.

მთელ ქუთაისის ყ. გუბერნიაში სოხუმის, ბათუმისა და ართვინის
ოლქების ჩართვით, სულადობაზე ფართობის განაწილების მიხედვით
რაჭის მეორე ადგილი ეჭირა ³.

მაგრამ ეს მაჩვენებელი მოჩენებითია, რაღაც საგრძნობლად
დიდი პროცენტი უხმარი და გამოუსადეგარი ფართობისა სწორეს
რაჭის ახასიათებდა.

სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სტატიისტიკური მასალები-
ტან ჩანს, რომ ქუთაისის ყ. გუბერნიაში რაჭას, როგორც დათე-
სილი ფართობის რაოდენობით სულადობაზე, აგრეთვე დათესი-
ლი ხორბლეულის რაოდენობით, ერთერთი უკანასკნელი ადგილი ეჭი-
რა და საგრძნობლად ჩამორჩებოდა დამუშავებული ფართობისა და და-
თესილი მარცვლეულის საშუალო სიდიდეებს მთელი გუბერნიის
მასშტაბით.

არც მესაქონლეობის განვითარების საშუალებით ყოფილა მდი-
დარი რაჭა. მთელი რიგი ავტორები ერთხმად ლაპარაკობს ამის
შესახებ. მაგ., ვ. მაევსკის ცნობით რაჭისა და ლეჩხუმის მოსა-

¹ Г. Радде, Путешествия и изыскания на Кавказе в 1864 г., год „Кавказ“, 1866 № 1—18.

² Рача, საკ. კორესპონდენტი, გაზ. „Кавказ“, 1869 № 118.

³ И. Пантиков, Население Кутаисской губернии, СПБ 1892 №, გვ. 18.

ზღვეობა მთელი ზამთრის განმავლობაში იძულებული ყოფილა საქონელი სახლში ჰყოლოდა და ამდენად საკვები მარაგი დიდი რაოდენობით დაემზადებინა¹.

ხოლო თივის მარაგის დამზადება, გარდა იმისა რომ სათიბი ფართობი არადამაკმაყოფილებელი რაოდენობით იყო წარმოდგენილი, ისეთ სიძნელეებთან ყოფილა დაკავშირებული, რომელთაც საზამთროდ შენახული საქონლის რაოდენობა აუცილებელ მინიმუმამდე დაპყავდა. ამით აიხსნება სწორედ ის გარემოება, რომ რაჭის მოსახლეობის შრომისუნარიანი ფენა, მორჩებოდა თუ არა სასოფლო-სამეცნიერო სამუშაოებს, გარე სამუშაოზე მიდიოდა მთელი ზამთრით, ვიდრე კვლავ არ დადგებოდა სასოფლო-სამეცნიერო პერიოდი. გადადიოდნენ ძაუგში (ქ. ორჯონიქიძე), ჩამოდიოდნენ ქუთაისში, თბილისში, თელავში და სხვა. მუშაობდნენ უმთავრესად ხუროებად, ტვირთის მზიდავებად, მთიბავებად, შეშის მხერხავებად და სხვა.

ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად გამოირკვა, რომ მთელ რიგ ოჯახებში, ოჯახის მთელი სამეცნიერო ბიუჯეტის ნახევარს გარე სამუშაოზე მოგებული ფული შეადგენდა.

რათქმაუნდა, რაჭის მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის ასეთი სიმძიმე, ბუნებრივი გარემოს სიმდიდრე სანადირო ობიექტებით, ხელსაყრელ პირობას წარმოადგენდა ნაღირობისათვის, გარკვეულ ადგილს შეუნახავდა ნანადირევს ოჯახის სამეცნიერო ბიუჯეტში.

ამ დებულების დამადასტურებელი წერილობითი ცნობაც არსებობს. მაგალითად, მ. შოსტაკი ამბობს, რომ უწერის, ღების, ჭიორის, გლოლის, რიონისა და მისი შენაკადების უკიდურესი მწვერვალების სხვა სოფლების მცხოვრებნი ჯიხვებზე და დათვებზე ნაღირობას მისდევდნენ. მ. შოსტაკის სიტყვით ნაღირობას აქ გარკვეული სამრეწველო მნიშვნელობა ჰქონია².

ანალოგიური დებულება აქვს წამოყენებული ე. კალვეიტის ზემო-სვანეთის შესახებ. იგი ამბობს, რომ ყველაზე დიდი მნიშვნელობა მონადირისათვის სვანეთში ჰქონდა ჯიხვს, არჩეს, კვერნას, დათვსა და მელას. პირველი ორი სახე ნაღირისა მონადირეს აძლევდა ხორცს; რომელიც გარკვეულ როლს თამაშობდა სვანის კვების ბიუჯეტში³.

¹ В. Маевский, Кутаисская губерния, военно-статист. "описание, из-за от-ла ген. штаба қав-ого военного округа, ტფ. 1896 წ., გვ. 286.

² М. Шостак, По Раче и Сванетии, ИКОРГО, XVI, გვ. 33.

³ Э. Кальвейт, Очерк сельского хозяйства Верхней Сванетии, ИКОРГО, XXVI, გვ. 9., გვ. 41.

მსგავს ცნობას ზემო-სვანეთის შესახებ ნ. ღ მი ტრიევი გვაწვდის. ამ ცნობის მიხედვით სვანები ბინალარ ცხოვრებას ეწეოდნენ, ამასთან მათ უმთავრეს საქმიანობას მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და ნაწილობრივ მონადირეობა წარმოადგენდა¹.

ხოლო ღ. მარგიანი მონადირეობას სვანების შეურნეობის ერთერთ დარგადა სთვლის. იგი ამბობს, რომ სვანები ეწეოდნენ მაწათმოქმედებას, მესაქონლეობას, მონადირეობას და მეფუტკრეობას; მრეწველობის სხვა დარგებს ისინი არ იცნობდნენ².

რომ ხევსურების ეკონომიკაშიც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა ნადირობას, ალ. ოჩიაურის მიერ შეკრებილი მასალები-დანაცა ჩანს. ალ. ოჩიაურის მიერ ხევსურეთის შესახებ შეკრებილი მასალებიდან ირკვევა, რომ ქისტებსა და ხევსურებს შორის არსებული ბრძოლისა და დავის პირველდაწყებით მიზეზს საცხოვრებელი ადგილები და სანადირო კლდეები შეადგენდა. საინტერესო ამ შემთხვევაში ის არის, რომ სანადირო კლდეების მნიშვნელობა საცხოვრებელ ადგილთა მნიშვნელობასთან არის გათანასწორებული. ზემოხსენებულ მასალებში ვკითხულობთ:

„ქისტები და ხევსურები უსაფუძვლოდ და ტყუილ-უბრალოდ ხოცდნენ და ანადგურებდნენ ერთმანეთს, პირველი ჩხუბების დასაწყისი იყო საცხოვრებელ ადგილებზე და სანადირო კლდეებზე“³.

ხევსურეთში ნადირობის შეტად ფართოდ გავრცელებაზე მიგვითოთებს ნ. ურბნელი თავის ეთნოგრაფიულ წერილებში. იგი ამბობს:

„ნადირობა ხომ ეხლაც მუდმივი ხელობაა; სიმრავლე სხვადასხვა ნადირისა, ჯიხვისა, ფსიტისა, კატისა, ხელს უწყობს ნადირობას“⁴.

როგორც ზემოხსენებული მასალებიდან ირკვევა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ხოლო განსაკუთრებით საქართველოს მთიან ზოლში, ნადირობას ახლო წარსულში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონია. ხევსურეთის მასალებიდან ჩანს, რომ სანადირო ადგილები შეიერ რიგ შემთხვევაში მწვავე დავის ობიექტს შეადგენდა, რაც

¹ Н. Дмитриев, Из быта и нравов жителей Верхней Сванетии, СМОМПК, XXII, гл. 167.

² Д. Маргiani, Некоторые черты быта, СМОМПК, X, гл. 67.

³ ალ. ოჩიაური, ზევსურეთის ეთნოგრაფიული მასალები, ენიმკა-ეთნოგრ. განცის ხელნაწერი ფონდი, რე. 37/12.

⁴ ნ. ურბნელი ეს, ეთნოგრაფიული ნაწერები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. II, საკ. მეცნ. აკ. საქ. ფილიალის გამოცემა, 1940. წ. გვ. 70.

მნიშვნელოვან საბუთს წარმოადგენს მონადირეობის ეკონომიური როლის განსაზღვრისათვის.

რაჭის მოსახლეობის სამეურნეო ბიუჯეტში ნანადირევის მნიშვნელობის შესახებ, გარდა მ. შოსტაკის ზემოთაღნიშნული ცნობისა, სხვა არაფერი არ მოგვეპოვება, მაგრამ სვანეთთან შედარებით ბუნებრივი პირობებისა და ეკონომიური ყოფის ძირითადი ნიშნების მსგავსება ნანადირევის გამოყენებისა და სამეურნეო ბიუჯეტში მისი აღგილის საკითხშიც მსგავსებას გვაფიქრებინებს.

ის ეთნოგრაფიული ხასიათის მასალა, რომელიც შეკრებილია ჩვენ მიერ რაჭაში ორივე ექსპედიციის დროს ზემოხსენებულ მოსაზრების ჰეშმარიტებაში საკმაო დაბეჯითებით გვარწმუნებს.

მაგრამ თვით რაჭის ფარგლებშიც არსებობს გარკვეული სხვადასხვაობა ნანადირევის წონადობის თვალსაზრისით სამეურნეო ბიუჯეტში. მონადირეობა, სულ ახლო წარსულში, მისი ეკონომიური მნიშვნელობით უფრო მთის რაჭის სოფლებში იყო წარმოდგენილი, ვიდრე დანარჩენ აღგილებში. ამდენად ზემოხსენებული საკითხის გარკვევისას გამოყენებულია სოფ. ლების, გლოლის, ურავისა და უწერის მასალები და თვით დასკვნებიც ამ შემთხვევაში უფრო რაჭის მთიან ზოლს შეეხება, ვიდრე დაბლობს.

გარდა იმისა, რომ ნადირის ხორცი ზეშოხსენებულ სოფლებში მოხმარების საგანს წარმოადგენდა, ნედლი სახით სურდნიათ ნანადირევის, ისევე როგორც შინაური საქონლის ხორცის დაშაშხვა.

დასაშაშხავად ხმარობლნენ უმთავრესად ჯიხვის, არჩვისა და შევლის ხორცს.

დათვის ხორცის ჭამა დიდი ხანი არ არის რაც დაუშეიათ. ოცდაათი-ორმოცი წლის წინათ დათვის ხორცს რაჭის მცხოვრებნი არა სჭამდნენ.

ხორცის დასაშაშხავად საჭირო ყოფილა ნადირის გატყავება, გამოშიგვა და შემდეგ მისი ასოასოდ ამოლება. ხორცის უბრალოდ დაჩეხვა არ იყო მიღებული. მისი დაჩარექებისათვის გარკვეული წესები არსებობდა. ნადირის სხეულს ჰქვეთავდნენ შემდეგ ნაწილებად: თავრიელი (თავ-კისერი), ბეჭი, სანახი (ბეჭებთან ჩომ მაღალი ძვალია კისრის უკან), ფერთხი, ფერთხის ნაწილი — წიბოები, მკერდი, მკერდის ხტილიანი ნაწილი, კელავერი, შუა ძვალი (ხერხემალი), რომელიც შედგება მალებისა და ქუჩაბებისაგან, სათბილო (აღგილი თემთა შუა, რომელსაც „ჭაჭანი ასხია“), ბარკლები, თეძო, ფუში (შიგნეული ყრანტით, ფილტვებით, გულით, ლვიძლით, კუჭითა და

სხვა), საკაპასო (მუცლის ის ნაწილი, საღაც ნადირს ასო აქვს) და სხვა.

ასოსოდ ამოღებულ ხორცს ჩასდებდნენ ხის გობში და ბლობად დააყრიდნენ მარილს. ხორცის ნაწილების ზედაპირს დასერაფ-დნენ, რომ მარილი კარგად გასჯდომოდა მას. ცივი ამინდის პირობებში გობს შედარებით თბილ ადგილას დასდგამდნენ, ხოლო თუ ამინდები თბილი იყო — ცივ ადგილას. სამი-ოთხი დღის შემდეგ, კარგად რომ გაუჯდებოდა მარილი ხორცს, ამოიღებდნენ მას გობიდან და ჩამოჰკიდებდნენ შუა ცეცხლზე, კერის თავზე, საღაც იგი დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში იბოლებოდა. ამის შემდეგ დაშაშხული ხორცი უკვე მზად იყო და იგი გადაჭრონდათ ბელელში შესანახად.

თალიან ძნელია მონადირის მიერ დახოცილი ნადირის აღრიცხვა. მით უმეტეს ძნელია ნადირის დაშაშხული ხორცის რაოდენობის კუთრი წონის განსაზღვრა საოჯახო კვების ბიუჯეტში. ამას ხელს უშლის ნანადირევის აღრიცხვის უქონლობა ამჟამად, და მით უმეტეს ძველად (სათანადო ორგანიზაციები ახლა მხოლოდ ბეწვეულსა და მტაცებელ ნადირის აღრიცხავენ) და აგრეთვე ნადირის არათანაბარი გავრცელება სოფლების მიხედვით. ერთის თქმა შეიძლება მხოლოდ, რომ ისეთ დასახლებულ ადგილებში, როგორიცაა გლოლა, ლები, უწერა, ურავი და სხვა, ხშირი იყო ოჯახები, რომელიც 40—50 წლის წინათ ძველობის¹ დროს უმთავრესად ნანადირევის ხორცით (მათ შორის 30%-მდე დაშაშხული ხორცით) იკვებებოდნენ. აქ წელიწადში ცალკე მონადირე 20—30 მარტო ჯიხვისა ხოცავდა. აქედან 7—10 ჯიხვი იშაშხებოდა და ინახებოდა ოჯახში.

რასაკვირველია, ასეთი ოჯახები დახოცილი ნადირის რაოდენობისა და მისი ხორცის გამოყენების თვალსაზრისით მთელი რაჭისათვის ტიპიურ მოვლენად არ შეიძლება ჩაითვალოს. ნადირობის ზემოხსენებულ მასშტაბსა და მის ამგვარ გამოყენებას ადგილი ჰქონდა მხოლოდ განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში, ე. ი. თუ ბუნებრივი გარემო მდიდარი იყო ნადირით, თუ ნადირობის ტრადიციები კარგად იყო შემონახული ამათური კუთხეში და თუ ეკონომიკური მდგომარეობის სიმძიმე აიძულებდა მას ასეთი უბარაქო ხელობისათვის მოეკიდნა ხელი.

¹ ძველობად ითვლებოდა ზაფხულის ისეთი თვეები (უმეტესად VI—VIII თვე), როდესაც ძველი პური უკვე მოლეული იყო, ხოლო ახალი ჯერ არ იყო შემოსული.

რაც შეეხება ნადირის მოშინაურებას—ასეთს მხოლოდ გართობის მიზნით აწარმოებდნენ. მოშინაურება ხდებოდა შემდეგი წესით. უასაკო ნადირს სახლში ღააბამდნენ და რჩით ასახრდოებდნენ. მოშინაურება მხოლოდ შველისა და ხანდახან ჯიხვისა სცოდნიათ. არჩევის მოშინაურება, მისი სინქელის გამო, არ იყო მიღებული. რაც შეეხება ნადირის მოშინაურებას მისი პროდუქტების სისტემატური გამოყენების თვალსაზრისით, ამის შესახებ ცნობები არ არსებობს. თუმცა ს. წესში გაგონილი გადმოცემით როსტომ ერისთავის წესში ირმების ჯოგი ჰყოლია; ფურ-ირემს ყოველ სალამოს სწველიდნენ თურმე და ეს გვაფიქრებინებს წარსულში მოშინაურებული ირმის გამოყენებას წმინდა სამეურნეო მიზნით. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს მხოლოდ გადმოცემა არის და კატეგორიული დასკვნის გამოსატანად ისტორიული საბუთებით მისი კრიტიკული შემოწმებაა საჭირო.

გარდა იმისა, რომ ნანადირევს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მთელ რიგ შემთხვევაში, როგორც კვების დამხმარე წყაროს, მას იყენებდნენ აგრეთვე სხვადასხვა მიზნებით მისი სპეციალური გადამუშავების შემდეგ.

ასე მაგალითად, სცოდნიათ მგლის არყის გამოხდა. ასეთ შემთხვევაში არყის გამოხდა ჩვეულებრივი წესით მიმდინარეობდა. მოკლულ მგელს დასჩეხავდნენ განურჩევლად სახსრისა და ნაწილისა. არც გატყავება იყო მისი საჭირო. დაჩეხილ ხორცს თიხის დახურულ ჭურჭელში ჩაალაგებდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ იწყებოდა მისი გამოხდა იმავე წესის დაცვით, რასაც ადგილი აქვს ჩვეულებრივი არყის გამოხდის დროს. მხოლოდ მოხარშვის დროს მას ცოტაოდენ გვიმრას უმატებდნენ. მგლის არყი ერთნახადი იყო. მგლის არაყს ხმარობდნენ წამლად განსაკუთრებით ქარების დროს. არყის ყველა თვისება ჰქონდა მას, მაგრამ მეტად ცუდი და არა-სასიამოებო სუნი ახასიათებდა. (სხვათა შორის, ამგვარი არყის დამზადების შესახებ ლიტერატურაში ჯერჯერობით არავითარი ცნობა არ შეგვევედრია).

მგლის ქონი იხმარებოდა აგრეთვე როგორც ნაცადი წამალი-ღიერის (ტანის ქავილია) დროს. ასეთ შემთხვევაში მგლის უმქონს წაუცებდნენ აქავებულ ადგილებზე.

მგლის ყრონტს ხმარობდნენ ლორის ჭირით დაავადების შემთხვევაშიც. მგლის მაგრად დამარილებულ ყრონტს გაპბოლავდნენ შუაცეცხლის თავზე და კარგად გაახმობდნენ. ჭირით დაავადებულ ლორს საჭმელში შეურევდნენ დაფხვნილი სახით.

დათვის ხორცს, როგორც ზემოთ იყო მოხსენებული, უწინ არ სჭამდნენ. ხმარობდნენ მხოლოდ მის ტყავს, ქონსა და ნაღველს. ტყავი სახლში იყო გამოყენებული ლეიბის ქვეშ საგებად ან რაიმეს გადასაფარებლად. ქონს ხმარობდნენ ლიერით და გვადებულის სამკურნალოდ, ხოლო ნაღველი წყალში გალესილი კუჭ-ნაწლავის დაავადების დროს იყო გამოყენებული; დათვის ქონს ხმარობდნენ აგრეთვე თოფის რკინის ნაწილების გასაპოხად, ხოლო რაც შეეხება დათვის ქალას ამის შესახებ ქვევით გვექნება საუბარი.

ნანადირევის რქებისაგან ამზადებდნენ საპირის წამლეებს, ყათა რ-ვაზნის ცალკე ნაწილებს, დანისა და ხანჯლის ტარებს, ყანწებს (ჯიხვებს) და სხვა.

სხვათა შორის რქის გადამუშავების შესახებ საქართველოში არსებობს ლიტერატურული წყაროები. მაგ.: ვახუშტი გადმოგვცემს ცნობას, რომელიც გუდამაყრის მოსახლეობას ეხება:

„ეპინი და ქალნი მგზავსნი მთიულთა, კელოსანნი, მშკლდთ მოქმედნი: აკეთებენ რქისაგან მჯიხვისა, თხისაგან და კართავან“¹.

ხეკსურული ლექსის ერთერთი სტრიქონი ჯიხვის რქისაგან მშვილდის გაკეთების პრაქტიკაზე მიგვითითებს:

„შვილდმა მაგ შენის რქისამა დაგუეხა დაგათხრიალა“.

როგორც აქედან ჩანს საქართველოში ძველათ მშვილდებსაც ამზადებდნენ რქისაგან. კერძოდ, რაჭაში ასეთი რამ ჯერ არ არის დადასტურებული.

აღსანიშნავია, რომ სტრაბონის დროს იბერნი ნაღირის ტყავისაგან ფარებსა და მუხარადებს ამზადებდნენ და ხმარობდნენ².

ზემოხსენებულიდან ნათელი ხდება, რომ რაჭის მოსახლეობის სახალხო მეურნეობის მთლიან სისტემაში მონაღირეობას დიდი ხანია დაკარგული. აქეს წამყვანი მნიშვნელობა. მხოლოდ ისეთ ადგილებში, სადაც შემონახულია ბუნებრივი გარემოს ხელსაყრელი პირობები, სადაც დაცულია ნაღირიბის ტრადიციები და არსებობს გარკვეული ეკონომიური სტიმული—ნაღირობა ზემოხსენებული კუთხის საარსებო საშუალებათა სისტემაში თავისი მნიშვნელობით დაახლოვებით მესამე-შეოთხე რიგის მოვლენას წარმოადგენს და ატარებს არა სისტემა-ტურ, შემთხვევით ხასიათს.

¹ ვახუშტი ი., საქ. გეოგრაფია, დას. გამ., გვ. 94.

² В. Латышев, Известия древних писателей греческих и латинских, т. I, ИГБ. 1893 წ., გვ. 142.

ეს განსაკუთრებით რაჭის თანამედროვე ყოფაზეა სათქმელი, რაღაც იმ ლონისძიებათა შედეგად, რომლებიც მიღებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ, თანამედროვე რაჭის სოფლის მეურნეობა აყვავებისა და აღმავლობის გზაზეა შემდგარი, მთლიანი კოლექტივიზაცია უზრუნველჰყოფს მოსახლეობის ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და ნადირობაც მხოლოდ ვარჯიშობისა და სპორტის სახეს იღებს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღგილი აქვს ბეჭვეულზე და მტაცებელ ნადირზე ნადირობას.

მხოლოდ ამჟამად დასახულია მთელი რიგი ლონისძიებები, როგორიცაა ნადირობის სავალდებულო ვადები, ჯილდო მტაცებელზე ნადირობისათვის, ბეჭვეულის მაღალი ღირებულება, რომელთა განხორციელება უზრუნველჲყოფს ნადირობის გადაქცევას შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ ადგილობრივი მოსახლეობის ბიუჯეტში.

მაგალითის სახით უნდა მოვიყვანოთ ს. წესის ახალგაზრდა მონადირის მიერ დახოცილი და დაჭრილი ნადირის ღირებულება. სოფ. წესი ავილეთ როგორც ბუნებრივი ზღვარი ზემო და ქვემო რაჭისა, ხოლო 22 წლის მონადირე¹ იმ მოსაზრებით, რომ მისი ნანადირევის აღრიცხვა უფრო ზუსტი ნიადაგზე იყო დაყენებული (მონადირეთა კავშირის ცნობები).

მას თავის სანადირო პრაქტიკაში მონადირებული ჰყავს:

1. წავი	6 ცალი
2. მელა	45 "
3. კვერნა	35 "
4. მგელი	3 "
5. დათვი	1 "
6. კატამელა	30 "
7. მაჩვი	40 "
8. კურდლელი	60 "

ამგვარად, მისი შემოსავალი მნიშვნელოვანია. მაგრამ ნადირობის ეკონომიკური როლის ამ ახალ აღმავლობას თავისებურება ახასიათებს. ნადირობის ობიექტის თვალსაზრისით მნიშვნელობა ენიჭება ბეჭვიან ნადირსა და მტაცებლებს, ხოლო ნადირობის საშუალებათა თვალსაზრისით — მახსა და ხაფანგს. ვინაიდან ნადირობის განვითარების ასეთი მიმართულება წმინდა ეკონომიკურ ხასიათს ატარებს, ამ საკითხზე მეტს არ შევჩერდებით, ვიტყვით

¹. შოთა მალაქიას ძე გოგობერიშვილი.

მხოლოდ, რომ რაჭის ზოოგეოგრაფიულ გარემოში ნადირობის საუკეთესო ტრადიციების ასეთი შემონახვის პირობებში სანადირო მეურნეობის რაციონალურ ორგანიზაციას შეუძლია მეურნეობის ეს დარღი აღილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ბიუჯეტის ერთერთ მნიშვნელოვან წყაროდ გადააქციოს.

ნადირობის ეკონომიური როლის გასარკვევად ისტორიული თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს ერთს მეტად საინტერესო გარემოებას, რომელიც მთელ რიგ ისტორიულ წყაროებში საკმაოდ დაზუსტებული სახით არის წარმოდგენილი. მხედველობაში გვაქვს ნადირობასთან დაკავშირებული ბეგარა, რომელიც გულისხმობდა ამათუმი პირთა სავალდებულო მონაწილეობას ნადირობაში.

Х ს-ის ერთერთ გუჯარში ასეთ საგულისხმიურო წინადაღებას ვხვდებით:

„წელიწადსა შიგან ერთი დღე ნადირობა არის¹ (ბეგარაზეა საუბარი, ალ. რ.).

ალექსანდრე მეფის სიგელში (1362 წლ. თარიღის ქვეშ) ვკითხულობთ:

„ასე და ამა პირსა ზედა, რომე რაც თქუცნი ყმა იყოს ქართლ-სა, კახეთსა... თუ იმერეთს ლაშქარს-ნადირობას თქუცნი ყმა თქუცნ გიახლოს“².

ნადირობაში სავალდებულო მონაწილეობა, როგორც ბეგარის გარკვეული სახე, შემდეგაც დაჰყვა ფეოდალურ წესწყობილებას. მაგ., ერთერთ XVI ს-ის ძეგლში (ალექსანდრე მეფის შეწირულების წიგნში) სწერია:

„ჩუცნ არათერი კელი არა გუედვას რა, ლაშქარ-ნადირობა და მონასტერი ვარცნისა, სასახლე და ციხე უმიზეზოდ გვიმუშაონ, თუ მცხეთას არ მუშაობდენ“³.

„ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს:

„ამან ალექსანდრემ... ეგრეთვე დაიმორჩილნა დადიან-გურიელნი და მთავარნი სხვანი, იგინი ლაშქრობათა, ნადირობათა და მეფედ მათთა ხმობითა მსახურებითა“⁴.

იგვეა მოხსენებული შემდეგი პერიოდის ძეგლებში. ზემოხსენებული სახის ბეგარამ საკანონმდებლო ხასიათიც მიიღო და ვახ-

¹ თ. უ თ რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, წ. I, დასახ. გამ., გვ. 88.

² თ. უ თ რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, წ. II, გვ. 188.

³ თ. უ თ რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, წ. II, გვ. 392.

⁴ „ქართლის ცხოვრება“, ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს გამ., ნაწ. II, გვ. 187.

ტანგ VI-ის „დასტურლამალ“-ში უკვე სავალდებულო წესად იყო გამოცხადებული. „...ყარაიის ჯელგა, კომლზედ ცხენ კეთილი კაცი; ფარავნულის ტბის ყურულის და თრიალულის თვეზის ულაყი¹.“

ანდა ყარაიის ჯელგისათვის: „ელის-კაცს ჰქის დავთარზედ ცხენ კეთილი კაცი, და ქვევითი კაცი ვერ დააკლდების“².

გლეხი ვალდებული იყო არა მარტო მიეღო მონაწილეობა ნადირობაში, არამედ დამოუკიდებლად ნადირობის შემთხვევაში ნანადირევის ნაწილი გადაეხადა:

„...არამედ სირნი, ჩიტნი და ტრედნი ესეოდენ, რომელ იპყრობს კაცი ერთი წამოსაკრავის ბალით ფერთვზის ტ-უ და სხვითა მახეებითა სირთა და ჩიტთა, და სქეს ბეგრათ გლეხთა და უფროსნიცა“³.

თავადაზნაურობა თავისი მხრიდან გარკვეულ ვალდებულებას იხდიდა მეფეთა წინაშე და ეს ვალდებულებაც, როგორც ეტყობა, სისტემატურ და მკაფიოდ ჩამოყალიბებული კანონის სახეს ატარებდა.

ვა ხუშტი საქართველოს ზნეთა და ჩვეულებათა აღწერის დროს ამბობს, რომ ახალწლისათვის ერისთავთა, ხელისუფალთა და დარბაზის ერთა მეფისათვის „არაკეთილი“ ცხენები უნდა მიერთმიათ, რომელთაც ჰქოცავდნენ და საჩიხეში ჰყრიდნენ ნადირის მისატყუებლად.

აკად. ი. ვ. ჯავახიშვილის სიტყვით ასეთი ბეგარა სახელმწიფო ვალდებულებასაც კი წარმოადგენდა⁴.

გარდა ამისა, როგორც შემდეგ დავინახავთ, არსებობდა მთელი რიგი ბეგარისა, რომელიც დაწესებული იყო საშევარდნო ბუდეების შენახვასა და ქორ-შევარდნის კვებასთან დაკავშირებით.

მაგრამ ჰქონდა ამას უშუალოდ ეკონომიური დანიშნულება თუ მხოლოდ სავარჯიშო-სასპორტო და სამხედრო აღზრდის მიზანს ეძსახურებოდა? ჩვენი აზრით, მას უფრო სამხედრო აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ეს ზემოხსენებულიდან ჩანს და როგორც ამაში უფრო დავრწმუნდებით მომდევნო თავში შეკრებილი მასალის გაცნობის შედეგად.

¹ ვახტანგ VI, დასტურლამალი, დასახ. გამ., გვ. 35.

² ვახტანგ VI, დასტურლამალი, დასახ. გამ., გვ. 92.

³ ვახუშტი, საქ. გეოგრაფია, დასახ. გამ., გვ. 258.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ჭ. I³, ტფ. 1930 წ., გვ. 147.

VI. ნაღირობის სასაოროტო-აღმაღდელობითი მნიშვნელობა

როგორც ზევით დავინახეთ, ნაღირობას ისტორიულად სახალხო მეურნეობის მთლიან სისტემაში წამყვანი როლი უკვე დიდი ხანია დაკარგული პქონდა. ეს, რათქმაუნდა, თანაბრად არ ეხება საქართველოს ბარსა და მის მთხან ზოლს.

ჩვენ ძირითადად გაშუქებულად მიგვაჩნია მეურნეობის ამ ტიპის ტერიტორიული განფენილობის საკითხი ისტორიულ ასპექტში. ხსნებული საკითხის გასაშუქებლად მოყვანილი ისტორიული მასალა გვიჩვენებს, რომ I-ს. ძვ. წ-ი საქართველოს მთიან ზოლში ბინაღრობდა მთელი რიგი ტომები, რომელთა არსებობის ერთეულთ მთავარ წყაროს გარეული ნაღირი და გარეული ხილეული—მცენარეულობა წარმოადგენდა, განსხვავებით ბართან, სადაც განვითარებული მიწათმოქმედება იყო დამოწმებული.

ეკონომიკური განვითარების შემდეგ საფეხურებზე მონადირუობამ არსებითად მთაშიც დაპარგა თავისი მნიშვნელობა და უკანასკნელი პერიოდისათვის არ მოგვეპოვება საქართველოს არც ერთი ტომი, რომლის სამეურნეო ყოფაში ნაღირობას გადამწყვეტი ადგილი ეჭიროს. მონადირეობას შემონახული პქონდა უკანასკნელ ხანებამდე მეურნეობის ერთერთი, დამხმარე დარგის ხასიათი მესამე-მეოთხე რიგის მნიშვნელობით საქართველოს მთიანი ზოლის მხოლოდ ისეთ აღგილებში, სადაც მისთვის განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები არსებობდა. კერძოდ რაჭისათვის ასეთ აღვილებად მიჩნეული უნდა იყოს უმთავრესად საღმელის მთა, ურავი, ნაწილობრივ უწერა, დები, გლოლა.

რაც შეეხება ნაღირობის ეკონომიკური მნიშვნელობის გაზრდას, მისი მხოლოდ საკვები რესურსის სახით გამოყენებას ისტორიის სხვადასხვა პერიოდებისათვის, იმ პერიოდებისათვის, როდესაც მტრის მიერ მოოხრებული ქვეყნის მოსახლეობა, მთაში გახიზნული, ნანაღირევის ხორცით იკვებებოდა, ტიპიურად და დამახასიათებლად იგი, რათქმაუნდა, არ შეიძლება ჩაითვალოს, იმდენად, რამდენადაც ნანაღირევის ასეთი გამოყენება სპორადულ ხასიათს ატარებდა და, გარდა ამისა, ლოკალურად მტკიცედ იყო შემოსაზღვრული იმ ტერიტორიით, რომელიც დაზარალებული იყო მტრის მიერ.

ჭოლო ამასაც რომ თავი დავანებოთ, ნადირობის ექონომიური მნიშვნელობის ასეთი ზრდა გამოწვეული იყო ქვეყნის ამათუმი ნაწილში სამცურნეო ცხოვრების ნორმალური მსვლელობის დარღვევის შედეგად, ე. ი., აღმოცენებული იყო არაბუნებრივ პირობებში და ამ თვალსაზრისითაც ზემოხსენებულ საფუძველზე რაიმე დასკვნების გაკეთება ქვეყნის სამეცურნეო ყოფის დახასიათების მიზნით, რათქმაუნდა, არ იქნებოდა სწორი.

და ის გარემოება, რომ მიუხედავად მონადირეობის მიერ ეკონომიურად წამყვანი მნიშვნელობის დაკარგვისა, იგი თავისი საუკეთესო ტრადიციებით მაინც არსებობდა და არსებობს ქართველ ტომთა სინამდვილეში, ახსნილი უნდა იყოს ნადირობის სხვა თვისებითაც.

ლიტერატურაში არაერთხელ იყო გამოთქმული აზრი იმის შესახებ, რომ ნადირობამ თანადროულობას იმდენად მოაღწია, რამდენადაც იგი სავარჯიშო-სასპორტო გასართობს წარმიადგენდა, ჭოლო ნანადირევი—თანამედროვე სუფრის მხოლოდ დამამშვენებელ ნაწილს.

ედ. ტეილორის მიხედვით ნადირობა და მეთევზეობა ადამიანის საზოგადოებრივი განვითარების ყველა საფეხურზე გვხვდება, დაწყებული ველურებიდან, რომელთაც არსებობის სხვა საშუალებანი არ გააჩნიათ, ვიდრე ცივილიზებულ ხალხებამდე. უკანასკნელთავისაც ნადირი და თევზი, ალბათ, სხვას აზაფერს არ წარმოადგენს, თუ არ ფერმიდან ნორმალურად მოწოდებული ხორბლეულისა და ხორცის დამატებას¹.

ხოლო ნადირობის გამოყენების შესახებ სასპორტო-სავარჯიშო გართობის თვალსაზრისით უაკდემორგანს აქვს გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ მხოლოდ გაცილებით გვიან, ისტორიულ პერიოდში ნადირობა გადაიქცა მხიარულ დროს-ტარებად, რომელზედაც უარს უდიდესი მეფეებიც კი არ ამჰობდნენ².

ნადირობის თავდაპირველი ბუნება და მისი მიზანდასახულება, მას შემდეგ რაც მან სამეცურნეო ყოფაში წამყვანი ადგილი დაკარგა და მეურნეობის სხვა დარგებს დაუთმო, გართობასა და შვება-განცხრომაში კი არ გამოიხატებოდა, არამედ იგი ატარებდა უაღრესად პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე სასპორტო აღმზრდელობით ხასიათს. ის გარემოება, რომ განვითარების დაბალ დონეზე მყოფ

¹ Э. Д. Тэйлор, Антропология, ПТБ 1882 №, 83-204.

² Жак де-Морган, Доисторическое человечество, М.—Л. 1926 №, 23. 165.

ტომთა სინამდვილეში დამოწმებულია სანაღიროდ წასვლამდე სპეციალური ცეკვის შესრულება, რომელიც აშეარად მაგიურ ხასიათს ატარებს, გვაფიქრებინებს, რომ ხსენებული რიტუალური ცეკვა, გარდა მაგიური ფუნქციის შესრულებისა, ბუნებრივად ხელს უწყობდა აგრეთვე მონაღირეთა ფიზიკურ მომზადებას ყველა იმ სიძნელის გადასალახავად, რომლებიც მათ ნაღირობის დროს დახვდებოდათ.

ისტორიულ პერიოდში ნაღირობა არა ჰყარგავს აღმზრდელობით მნიშვნელობას. სპორტისა და ვარჯიშობის თვალსაზრისით იგა საზოგადოების ყველა ფენის მიერ (გარდა სამღვდელოებისა) თანაბრად არის გამოყენებული, მაგრამ განვითარების შემდეგ სტადიებზე ნაღირობას გაბატონებული კლასის ფარგლებში ახალი თვისება შეეძინება, სახელობრი, შვებისა და განცხრომის თვისება, რომელიც შემდეგში თითქმის სავსებით დაჩრდილავს ნაღირობის თავდაპირველ ბუნებას.

როგორც ლიტერატურული და სსტორიული წყაროებიდან ირკვევა, სამეფო და სათავადაზნაურო ნაღირობა ხშირად ეწყობოდა ძვირფასი სტუმრის პატივსაცემად; უცხო ქვეყნების ელჩების დარბაზობის დროსაც ნაღირობას მნიშვნელოვანი აღგილი ეჭირა.

სპეციალურად მოაწყო ნაღირობა, მაგალითად, ლევან დადიანმა თეიმურაზ მეფის პატივსაცემად¹, არჩილმა ნაღირობა გაუმართა ერეკლე მეფეს², თამარ მეფემ შუტაფრადინს³, შარგანშაპს⁴ და სხვა.

ნაღირობას საერთოდ აღზრდის საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, ხოლო, კერძოდ, სამეფო და სათავადაზნაურო ნაღირობა წარმოადგენდა სანაღირო საქმიანობის ორგანიზაციის ჩევნებას, თავისებურ აღლუმს, მხიარული დროსტარების ერთერთ სახეობას, ყველაზე უფრო მიმზიდველ სანახაობას.

ნაღირობას უდიდესი სპორტული გატაცების თვისება ახასიათებდა. თუ რამდენად იყო „მაღალი წოდება“ ნაღირობის მხოლოდ ამ თვისებით გატაცებული ცხადად გვიჩვენებს ალექსანდრე მეფის მიერ წარმოთქმული სიტყვები შაპ-თამაზთან მორიგების შემდეგ (1574 წ.). ეს ამბავი მემატიანეს შემდეგი სახითა აქვს გადმოცემული:

„... შამსა ამისა ემისა ესრეთ შენ იყო კახეთი, ვითარ ძნიად საღამები იპოებოდა სანაღირონი და ალექსანდრე ფრიად მოყვარე იყო ნა-

¹ „ქართლის ცხოვრება“, ჩუბინა შვილის გამოცემა, ნაწ. II, გვ. 123.

² იქვე, გვ. 127.

³ თამარ მეფის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, მ-ი დ-ი ვარ., დასახ. გამ., გვ. 429.

⁴ იქვე, გვ. 420.

დირობისა, რამეთუ იტყოდაცა: “ახ ნეტარძი ოხერ მექმნეს კახეთი, რათა მაქვნდეს სანადირონი მრავლადი”¹.

ალექსანდრე მეფის დამოკიდებულება ნადირობისადმი ტიპიურია იმ წოდებისათვის, რომლის წარმომადგენელიც იყო იყო და კომენტარიებს არა თხოულობს. ისედაც ცხადი ხდება, რომ ნადირობის უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა სამხედრო აღზრდის თვალსაზრისით საერთოდ, კერძოდ სამეფო და სათავადაზნაურო ნადირობაში გადაგვარების გზას დაადგა; თავდაპირველად სახელმწიფოებრივ ინტერესებს დაუპირდაპირდა და თავისი მნიშვნელობა შემოინახა მხოლოდ იმათ მიმართ, ვინც უშუალო მონაწილეობას იღებდა თვით ნადირობის პროცესში.

ჩევით ჩვენ გვქონდა მოცემული საზოგადოებრივი განვითარების იმ სტადიის დახასიათება, რომელზედაც მეურნეობაში ნადირობა წამყვან როლს თამაშობდა. განვითარების ეს საფეხური ხასიათდებოდა ხშირი ომიანობით ტომთა შორის და მოითხოვდა ყოველი ტომისაგან სამხედრო თვალსაზრისით მუდამ მზად ყოფნას. ნადირობა თითქმის იმავე მოთხოვნილებას უყენებდა მონადირეს, რაც მხედრობა მხედარს და უკვე განვითარებულ საზოგადოებრივ ფურმაციებში ჩვენ ვხვდებით ნადირობის ფართო გამოყენებას სამხედრო მომზადების თვალსაზრისით. ტიპიურ ფორმას ამ შემთხვევაში მონადირე დადასტურებული კოლექტიური ნადირობა წარმოადგენს.

ჩინგის-ყაენი მთელი მონლოლეთიდან აგროვებდა მონადირეებს. ამასთან აღსანიშნავია, რომ ყოველი კუთხე გზავნიდა მონადირეთა სავალდებულო რიცხვს ნადირობის ამათუმიდ დარგში დახელოვნებულს. მონლოლეთში ამ პერიოდისათვის ჩამოყალიბებული იყო ამათუმიდ ნადირზე ნადირობის სავალდებულო წესები, ნადირობის ფალებისა და მონადირეთა რაოდენობის მტკიცე განსაზღვრით. ამგვარ ნადირობაში მონაწილეობას იღებდა ასიათასეული მონადირე².

ასეთი გრანდიოზული მასშტაბით ნადირობის დროს გამოცხადებული იყო სამხედრო მდგომარეობა. გამომუშავებული იყო ზუსტი წესები ამათუმიდ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში დამნაშველის რა სასჯელი უნდა მოეხადა. ნადირობა ასეთ შემთხვევაში სამხედრო მანევრების ჩასიათს ატარებდა.

¹ „ქართლის ცხოვრება,“ ჩუბინაშვილის გამოცემა, ნაწ. II, გვ. 110.

² Д. Клеменци и М. Хангалов, Общественные охоты у северных бурят. ПТБ. 1910 №., გვ. 9.

შემდეგში, ამს საფუძველზე, მანჯურიის დინასტიის მეფეთა მიერ ამგვარი ნადირობის წესები სავალდებულო კანონის სახით იყო ჩამოყალიბებული. ხსენებული კანონის ძალით, მაგ., ირემზე ნადირობისას 2019 კაცს უნდა მიეღო მონაწილეობა; მათ შორის 1250-საუკეთესო მსროლელს, 167 უფროს პერსონალს, ირმის ხმაზე მყვირალთა აგრეთვე გარკვეულ რაოდენობას და სხვა.

განსაკუთრებით საინტერესოა ამ შემთხვევაში ის გარემოება, რომ ნადირობის შემდეგ, იმავე კანონის ძალით, მეფეს საჭმელს მიართმევდნენ. მხოლოდ სამი თავისაგან დამზადებულს. საჭმელები შეტად უბრალოდ იყო დამზადებული და სხვა შემთხვევაში სრულიად არ შეეფერებოდა სამეფო სუფრას; რაც საკმაო სიცხადით მიგვითითებს ჩვენ ამ წესჩვეულების სიძველეზე.

აქ მაგალითის სახით მოყვანილი იყო მონლოლეთში დამოწმებული კოლექტიური ნადირობა, რამდენადაც იგი ტიპიურს წარმოადგენს მასობრივი ნადირობისათვის და აშკარად ამჟღავნებს თავის კავშირს სამხედრო საქმიანობასთან. ამგვარი ნადირობის პერიოდული მოწყობით ჩინგის-ყაენი უზრუნველყოფდა უზარმაზარ ტერიტორიაზე გაბნეული ტომების სამხედრო-სამობილიზაციო დარაზმულობასა და ომიანობისათვის მუდამ მზადყოფნას.

ის მზრუნველობა, რომელსაც იჩენდნენ საქართველოს მეფენი და მთავარნი ნადირობისადმი, სპეციალური ნაკრძალების არსებობა, საშევარდნო ბუღების ჩამოყალიბება სამეფოს სხვადასხვა პუნქტებში, ნადირობის მომსახურე პერსონალის საქმაოდ მრავალრიცხოვანი ინსტიტუტი, სახელმწიფო ბეგარის დაწესება ნადირობაზი აუცილებელი მონაწილეობის სახით და სხვა, ნათლად მეტყველებს იმის შესახებ, რომ ნადირობის თავდაპირველ ბუნებას მარტო გართობა კი არ წარმოადგენდა, არამედ გაცილებით უფრო სერიოზული დანიშნულება; გართობამ ნადირობის დროს მხოლოდ შემდეგში იჩინა თავი.

ამ დებულებას საუცხოოდ ამოწმებს ირაკლის ძის ვახტანგის მიერ აღწერილი ახალწლის ერთერთი წესი, რომელიც იმ სახით, რა სახითაც იგი აღწერილია, საახალწლო დღესასწაულის ერთერთ რიტუალს წარმოადგენდა; მაგრამ ამავე დროს ნადირობა სამხედრო-სავარჯიშო და სასპორტო ხასიათსაც ატარებდა, რადგან ანალოგიური ნადირობა სხვა დროსაც იმართებოდა, ხოლო არახელოვნურ არამედ ბუნებრივ პირობებში¹.

¹ მასობრივი ნადირობის გამოყენება სასპორტო-სავარჯიშო თვალსაზრისით და მისი რიტუალური ბუნება ახალწლის დღესასწაულთან დაკავშირებით აღნიშნული აქვს ნ. ზიზანა შვილს, ეთნოგრაფიული ნაწერები, ტფ. 1940 წ. გვ. 141-143.

ვასტანგს „ისტორიებრივ აღწერა“-ში ასე აქვს დახასიათებული სამეფო ნადირობა.

„ოდესაც ენება მეფესა ნადირობა ეს გვარი, მოუწოდიან კაცნი სამეფოთაგან მსგავსად საომართა ლაშქართა და მივიღიან მუნ რომელსაცა ადგილსა იქმნებოდა ნადირობა ესე... ხოლო ნადირი იგი იყვის ქურციკი და შემდგომად ნადირობისა მიართვიან მეფესა მოკლული თვისანი და აღიწერებოდა რიცხვი, ვის რა მოეკლა“¹.

ვთიქრობთ, რომ ამ ნადირობას ისტორიკოსი შემთხვევით არ აღარებს „საომართა ლაშქართა“ და პირდაპირ აცხადებს, რომ მთელ „სამეფოთაგან“ აგროვებდნენ ხალხს-ო.

ამგვარი ნადირობის გასახელოვანებული ბუნება უდავო ფაქტად გვხატება; ხოლო ის გარემოება, რომ „აღიწერებოდა რიცხვი, ვის რა მოეკლა“ დაბეჯითებით მიგვითითებს ამგვარი ნადირობის სპორტულ ხასიათზე.

უფრო მეტის თქმა შეიძლება. არსებობს მთელი რიგი წყაროები, რომლის მიხედვით ნათელი ხდება, რომ ნადირობა შეჯიბრის დამოუკიდებელ სახეს ატარებდა. ადგილი ჰქონდა სპეციალური სანაძლეოს დადგას, თუ ვინ უფრო მეტ ნაღირს დახოცავდა. ავთანდილისა და როსტევან მეფის შეჯიბრი ნადირობაში დამყარებული იყო პირობაზე: „ცინცა იყოს უარესი თავშიშველა სამ დღე ვლიდეს“².

მრავალრიცხოვან მტერთან მუდმივად ბრძოლაში ჩაბმული ქართველი ხალხისათვის, იმ ხალხისათვის, რომელიც ერთი ხელით უდიდეს კულტურულ მშენებლობას ეწეოდა, ხოლო მეორეთი ნიაღაგ მტერს იგრიებდა, რეგულარული არყოლის პირობებში სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა ნადირობას, როგორც სამხედრო ვარჯიშს. ორგანიზებული, მასობრივი ნადირობა წროვნიდა ხალხს, ზრდიდა მასში საბრძოლო თვისებებს, ამტკიცებდა სამხედრო სულისკვეთებას და უზრუნველყოფა ქვეყნის თავდაცვით უნარიანობას. დახელოვნებული მონადირე მოწინავე მებრძოლსა ნიშნავდა და აქედან ბუნებრივად რაინდის იდეალის განუყრელ თვისებას დახელოვნებული ნადირობა და უკუმელი მოისარობა წარმოადგენდა.

¹ ისტორიებრი აღწერა ღირსთა ხსომისა შემთხვეულებათა საქართველოს ზა აღწერით სწობათა და ჩვეულებათა მსახლობელთათა ქვეყნისა, თბილი საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვატრანგის მიერ, ს. ჭავაბაძა ძის გამოცემა, ტე. 1914 წ., გვ. 8—9.

² ვ. რუსთაველი, ვეფხის ტყაოსანი, დასახ. გამ., ტ., 39.

ქართულ ლიტერატურულ და ისტორიულ წყაროებში მრავალი არის მოცემული საკმაოდ ვრცელი ცნობები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია რაინდობის კულტის დაღვენა სხვადასხვა ეპოქისათვის და მისი წარმოდგენა.

აღრინდელი ფეოდალიზმის პერიოდში, როდესაც სასულიერო ლიტერატურაში საკულესიო, ასკეტური იდეები იყო გავრცელებული, პიროვნების იდეალიც ზემოხსენებული ასკეტიზმის დალს ატარებდა. შემდეგში, სამხედრო ფეოდალიზმის ჩამოყალიბებისა და საერო ლიტერატურის აყვავების პერიოდში პიროვნების იდეალმაც ხორცი შეისხა, სავსებით დაექვემდებარა გაბატონებული იდეების მოთხოვნილებებს და რაინდული, გმირული სახე მიიღო.

მაგ., ჰაბოს დახასიათების დროს ავტორი შემდეგს ამბობს:

„და ესე იყო ყრმა, ჭაბუკ, ვითარ ათრვამეტის წლის, გინა უქნინების — აჩვდმეტის წლის... და იყო იგი კელოვან, კეთილად-შემზავებელ სულნელთა მათ საცხებელთა და სწავლულ იყო მწიგნობრებითა სარკინოზთავთა, ძეთა ისმაელისათა, ძეთა აბრაჟამისათა, ნაშობთა აგარისათა“¹.

ანალოგიური თვისებებით ამკობს სერაპიონ ზარზმელს მისი ცხოვრების ავტორი. იგი ამბობს:

„ესე ნეტარი და ყოვლად-ქებული სერაპიონ აღმოსცენდა შუეყანასა კლარჯეთისასა მშობელთაგან ღირსთა და პატიოსნებით და ლიტონად ცხორებულთა, რომელი შრომით და ქვეყნის-მოქმედებით იზარდებოდეს და ნაშრომისაგან მათისა მდიდრად ჰქონდიდეს გლახაჟთა და ძალისაებრსა მისცემდეს ულონოთა კელის-აპყრობასა და სიმშვდით და სიმდაბლით იყოფვოდეს“².

პიროვნების იდეალის იგივე გაგებაა მოცემული „გრიგოლ ხანძთელის ცხორება“-ში.

„ხოლო სიბრძნებული იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთად ისწავებეთილად. და რომელი პოვის სიტყუად კეთილი. შეიწყნარის. ხოლო ჯერკუალი განაგდის... ხოლო იყო ხილვითა დიდ. კორცითა თხელ-ძასაკითა სრულ. ყოვლად კეთილ. სრულიად და გუამითა მრთელ. და სულითა უბიჟო“³.

საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ნადირობისადმი ისეთ დამოკიდებულებას, რომელიც ნადირობისადმი აშკარად

¹ ი თან ე სა ბ ა ნ ი ს ძ ე, ჭაბებად წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტულა ჰაბოლა. აღრინდელი ქართული ფეოდალური ლიტერატურა, პ. კ ე მ შ ლ ი ძ ე. ტფ. 1925 წ., გვ. 63.

² ბ ა ს ი ლ ზ ა რ ზ მ ე ლ ი, ცხორებად და მოქალაქობად სერაპიონ ზარზმელისად, დასახ. გამ., გვ. 149.

³ Георгий Мерчул, Житие Григория Хандзтийского, დასახ. გამ., გვ. 8.

უარყოფით შეხედულებას ამჟღავნებს. ეს შემდეგი ადგილიდან ჩანს:

„და ეგრტვე ხანძთას რად იყო თქსსა სენაკსა შინა. მონადირეთა მრავალთა მახლობელად მონასტერსა მას მოიცვნეს ოთხნი გარეთხანი. ხოლო იგინი სრბით შევიდეს სენაკსა მას. სადა იყო მამად გრიგოლ მჯდომარე. და გარე მოადგეს წმიდასა მას: ხოლო მან გულის-ხმა ყო მიზეზი მოსვლისა მათისად და ნუგეშინის სცა მათ და უბრძანა. რადთა მონადირენი იგი ისტუმრნენ და წარგზავნენ: და ნადირთა მათ ჭამადი სცა და განუტევნა მშვდობით“¹.

როგორც ეხედავთ, ამ ეპოქისათვის ადგილი აქვს გაბატონებულ იდეათა სფეროში პირდაპირ უარყოფით დამოკიდებულებას ნადირობისა და ნანადირევის შიმართ. მაგრამ ნადირობისადმი ამგვარ დამოკიდებულებას ადგილი ჰქონდა მხოლოდ სამღვდელოების წრეში და ეს, რათქმაუნდა, დანარჩენი ერისათვის სრულიად არ იყო მახასიათებელი. „ქართლის ცხოვრება“-ს ავტორნი; ეხებიან რა საქართველოს მეფეებსა და წარჩინებულებს, ისეთი თვისებებით ამჟობენ მათ, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგება სამღვდელოების წრეში გაბატონებულ იდეებს.

მაგ., ლ. მროველი შემდეგი სიტყვებით ახასიათებს ფარნაოზ მეფეს:

„ესე ფარნავოზ იყო კაცი გონიერი მჯედარი შემმართებელი და მონადირე ხელოვანი“².

თითქმის იგივე ეპითეტებია გამოყენებული ვახტანგ გორგას ლანის დახასიათების დროს, სახელმობრ:

„მას უამსა იყო ვახტანგ წლისა ოცდა ორისა იყო იგი უმაღლეს კაცთა მის უამისათა და უშუენიერეს სხუათა ძლიერი ძალითა რომელ ჭურვილი ქუეითი ირემსა მიეწის, უპყრის რქა და დაიჭირის“³.

შესაძლებელია ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ჩვეულებრივ მხატვრულ პიპერბოლას, ზომიერების დაუცველობას, მაგრამ იდეათა ზოგადი მიმართულება მით უფრო აშკარადა ჩანს.

რაინდობის კულტმა, ზემოაღნიშნული ძირითადი ნიშნებით განსაკუთრებული სიცხადით იჩინა თავი საერო ლიტერატურის აყვავების პერიოდში. უკვე ნათარგმნი ლიტერატურა, რამდენადაც სათარგმნი ობიექტების შერჩევა საზოგადოებაში გაბატონებული

¹. Георгий Мерчул, Житие Григория Хандзетийского, დასახ. გამ., გვ. აბ:

² ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, მ-მ დ-ი ვარ., დასახ. გამ., გვ. 17.

³ ჯუან შერ ჯუან შერიანი, ქართლის ცხოვრება, მ-მ დ-ი ვარ., დასახ. გამ., გვ. 137.

იდეების მიხედვითა წარმოებს, რაინდობის ამგვარი კულტისადმი ამ-
უღავნებს აშკარა მიღრეკილებას.

მაგ., როგორია რამინი „ერისრამიანის“ ცენტრალური პირი. „ძა-
ლად და გულად ვითა ლომი, სიფიცხით ვეფხისაგანაცა უფიცხესი,
ცხენოსანი, მონადირე, ნოჭადრაკე მხიარული... მის გვერდით მო-
მღერალი და მსმენელი არად გამოჩნდიან“¹.

ან ვირო:

„სხვა ხელი არა იცის ბურთობისა, ნადირობისა და დიდებულ-
თა თანა სმისაგან, კიდე“².

ქართულ ორიგინალურ ლიტერატურაში იმავე სიცხადით არის.
წარმოდგენილი რაინდობის ეს კულტი.

მაგ., ტარიელი ასე ამბობს თავის თავის: შესახებ:

„მოსრნის მყეცნი და ნადირნი ისარმან ჩემგან სრეულმან:

მერმე ვიბურთი მოედანს, მინ დორით შემოქცეულშან.

შევიდი შევექმნი ნადიმი, ნიადაგ ლხინსა ჩვეულმან“³.

ამ თვისებათა მიხედვით დახასიათება მარტო მხატვრულ
ლიტერატურაში არა გვხვდება. ამას ისტორიულ ძეგლებშიც ვევდე-
ბით. მემატიანე, მაგ., გიორგი ლაშას დახასიათებისას იტყვის:

„იყო ტანით ძლიერი მწნე და მოისარ ნადიმობათა (ნადირობა-
თა) შინა მოსწრაფე“⁴.

იგივეა ნათქვამი დავითის შესახებ:

„მონადირე რჩეული და კეთილად ვ(sic)სროლელი ნადირთა“⁵.

ან და სარგის ჯაყელის შესახებ:

„მწნე მოისარ საჩინოდ ნადირთა უცომლად მომსრველი“⁶
და სხვა.

ზემოხსნებულიდან ცხადათა ჩანს, რომ აღნიშნულ პერიოდში-
ერთერთ გაბატონებულ იდეას რაინდობის კულტი წარმოადგენდა,
ხოლო რაინდისათვის აუცილებელ თვისებას „მოისარობა“ და „ნა-
დირთ უცომელი მოსრგა“ შეადგენდა.

და რადგან პიროვნების გაბატონებულ იდეალს რაინდობა-
წარმოადგენდა, ხოლო რაინდობა წარმოუდგენელი იყო დახელოვნე-

¹ ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტ-ის. ისტორიიდან, ტფ.
1932 წ. წ. 3, გვ. 81.

² იქვე, გვ. 81.

³ შ. მ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხის ტყაოსანი, დასახ. გამ., ტ: 317. შდრ-
H. M a p p, Вступительные и заключительные строфы Витязя в барсовой
коже, СПб 1910 წ.

⁴ უამთა აღმერელი, ქართლის ცხოვრება, მ-მ დ-ი გარ., დასახ. გამ.,
გვ. 538.

⁵ იქვე, გვ. 654.

⁶ იქვე, გვ. 672.

ბული მონადირეობის გარეშე, ნადირობა ბუნებრივად აღზრდისა და ვარჯიშის ყველაზე გავრცელებულ სახედ უნდა გადაქცეულიყო და გადაიქცა კიდეც.

აკად. ი. ვ. ჯავახიშვილი, ეხება რა დავით აღმაშენებელის ღროს, ამბობს:

„საქართველოს სხვა თემებსავით, ქართლსაც ჰქონდა თავისი განთქმული სანადირო აღგილები... როგორც ისტორიკოსის სიტყვებითგან ჩანს, ქართლის შუაგულში ეშვთა სიმრავლე ქვეყნის სერჩუკიანთაგან აოხრების სამწუხარო შედეგი იყო და მერმე, როდესაც საქართველო გაძლიერდა და მოშენდა, იქ, რა თქმა უნდა, ასეთი ნადირის სიუხვე უკვე შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ რამდენადც ნადირობას მაშინ მარტო კერძო გასართობის თვისება არა ჰქონდა, არამედ სამხედრო ვარჯიშობის მაგიერი იყო და ბეგარავით სახელმწიფო ვალდებულებას წარმოადგენდა, სანადირო აღგილებსაც მზრუნველობა არ აკლდათ და სათანადოთ იყვნენ დაცულნი“¹.

ამით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ საქართველოში ჩამოყალიბებული იყო (სამეფო კართან) სპეციალურ თანამდებობათა მთელი ინსტიტუტი და სანადირო წესების დაზუსტებული, სავალდებულო კოდექსი.

ვას უშტოი საქართველოს ზნეთა და ჩვეულებათა აღწერის ღროს მეფის კარის თანამდებობათა სიაში ბაზიერთ-უხუცესსაც ათავსებს, რომლის ფუნქციებში, მისი სიტყვით, შედიოდა: „სულიადბაზნი, ბაზიერნი, მეძალლენი, ძალლნი, ტყეთა და ველთა მცველნი სანადიროთა მეფისათა“².

ბაზიერი „ვეფხის ტყაოსანშიც“ არის მოხსენებული: „ხუთთა ოდენ ბაზიერთა მეტი არა დავიჭირე“³. და რაღან ჯერ კიდევ X ს. პირველ ნახევარში დადასტურებულია კაპოეტებით ნადირობა, საფიქრებელია, რომ ამ პერიოდისათვის უნდა ყოფილიყო გარევეული თანამდებობა, რომლის ფუნქციებს სანადირო ფრინველის მოვლა შეადგენდა. ასე მაგალითად, X ს-ის (909—914 წ.წ.) ერთერთ გუჯარში მიცვალებულთა სულის სახსენებლად და ტყვეთა გამოსასყიდად სარკინოზთაგან სხვადასხვა საგანთა შორის მოხსენებულია:

¹ ი. ვ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონ. ისტორია, წ. I², ტფ. 1930 წ., გვ. 147.

² ვასუშტოი, საქ. გეოგრაფია, დას. გამ., გვ. 10.

³ ვ. რუსთაველი, ვეფხის ტყაოსანი, დასახ. გამ., ტ. 73.

„შვდი ქორი კაპოეტი, შვდი მეძებარი, შვდი მწევარი წაუვალი“¹.

შემდეგი დროისათვის სპეციალურად მეძებრებისათვის გამოყოფილი პიროვნებაც გვხვდება—მემეძებრეს² სახელშიოდებით.

იგივე მეძალლე-მემწევრე XVI ს-ის სიგელშიც არის მოხსენებული³.

მაგრამ დასრულებული დებულება სანადირო საქმიანობაში ჩაბმულ თანამდებობათა უფლებისა და მოვალეობის იოანე ბატონიშვილსა აქვს მოცემული.

„ბაზიერთხუცესი აოველთა მონადირეთა უფროსია და ყოველი სანადირო ადგილი, მინდვრისა თუ ტყისა თუ ჭალისა და ფრინველნი მის ხელქვეშედ უნდა იყოს, რომ უიმისოდ ვერავჩინ ინადირებდეს, მეტადრე ყარაიაზედ და იორშია; რომ ამისთანა ადგილს, თუ არ მეფე, სხვა ვერვინ ინადირებდა. ხოლო მთებში ამის დაკითხვით ინადირებდენ, აგრეთვე შემოღობილნი ადგილი და ნადირნი დამწევდებულნი მას ეკითხებოდა. აგრეთვე ჯელგის კაცნიცა ამას ეკითხებოდა, ბაზიერნი, რომელსაც სოფლებს ედვა, ის გამოიყვანდა; სანადირო ფრინველნი, სანადირო ძალნი სულ მას ეკითხებოდა და მეძალლები და ბაზიერებიც მას ებარჩენ“⁴.

როგორც ჩანს მონადირე პერსონალის უფლებები კანონის სახითაც ყოფილა ჩამოყალიბებული. ვახტანგ VI „დასტურლამალ“-ში მოყვანილი აქვს მეძალლეთ-უხუცესების სია, მათი ჯამავირი, მათი მომსახურე შტატი და მოვალეობა:

„ამ რიგად იმსახურეავ: ბატონი რომ მოედანს გარდა, სადაც წაბრძანდებოდეს, დილაზედ აღრე ქანარა რომ დააყვრონ მზად კარზედ დახულენ, და რა წაბრძანდებოდეს მარქაფის წინ ისინი იარებოდენ, სანამდის სანადიროში მიბრძანდებოდეს. ვერმე მის რიგად დადგებოდენ; და თუ ბატონმა არ ითხოოს, სასახლეში ძალს ნუ შემოუშვებენ“⁵.

ბატონს თავის სამეფოს სხვადასხვა ადგილას საშევარდნო პუდები ჰქონდა მოწყობილი, განსაზღვრული მომსახურე პერსონალით.

„დასტურლამალ“-ში დასახელებულია მრავალი ადგილი, სადაც სამეფო

¹ თ. უორდანია, ქრონიკები, წ. I, დასახ. გამ., გვ. 88.

² თ. უორდანია, ქრონიკები, წ. II, ალექსანდრე მეფის 1426 წლის სიგელი, გვ. 230,

³ იქვე, წ. II, ბავრატ ლიტის 1554 წლის სიგელი, გვ. 398.

⁴ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, ტ. I, თბ. 1936 წ., გვ. 215..

⁵ ვახტანგ VI, დასტურლამალი, დას. გამ., გვ. 63.

საშევარდნო ბუღეები იყო მოწყობილი. კერძოდ: ნიჩბისი, კავთის-კუთ-კუთი, ქუთა-კუთი, კლდე-კარი, წითელი კლდე, კრკონი, ნეძვი, ახალ-დაბა, ლვერცევი, კოშკა, სვერი და სხვა მრავალი. შევარდნების კვებისათვის სპეციალური საბატონო გამოსალები იყო დაწესებული „საბაზიერო ქათმის“¹ სახით.

ნადირობაში სავალდებულო წესით ჩაბმული პერსონალის ამ საქმაოდ მრავალრიცხვან ინსტიტუტში ე. წ. ჯარჩებიც შედიოდნენ, „ყვირილით მძახებელნი“, რომელთაც შემდეგი ფუნქციები ჰქონდათ დაკისრებული: „დილას მოვიდოდნენ, კარზედ იდგნენ; როგორც კელ-ჯოჯიანი, ისრე გარედამ კაცს დაითხოვდნენ... ჯარს სწორედ ატარებდნენ, თავს სწორად სიარულს დაუძახებდნენ. სანა-დიროში ჯელგას დაუძახებდნენ, გამოაგროვებდნენ, გაარიგებდნენ“².

როგორც ვხედავთ, საქართველოში განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში არსებობდა საქმაოდ მრავალრიცხვანი ინსტიტუტი, რომელსაც ექვემდებარებოდა ნადირობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, უფლებათა და მოვალეობათა მტკიცე განსაზღვრით. მისი დაფინანსება ხდებოდა როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ჯამაგირი), აგრეთვე სავალდებულო გადასახადის საშუალებით, რომელსაც სახელმწიფო ბეგარის სახე ჰქონდა (საბაზიერო ქათამი, არაკეთილი ცხენი და სხვა), ხოლო დამხმარე პერსონალი (ცხენკეთილი კაცი, ჯარჩი და სხვა) დაბეგრილი იყო თავისი მონაწილეობით ნადირობაში.

რათქმაუნდა, ნადირობის განსაკუთრებული წესებიც არსებობდა, სხვადასხვა ნადირზე ნადირობის ვადები და სხვა.

„ასრუ უნდა მშვილდოსანი არა ჰქრევდეს ყოვლსა ასოს მართალ მხარსა შუასა ჰქრას, წინ გარდამხტალს თეთრს დაასოს“³.

როგორც ეტყობა, გარკვეული ადგილი ყოფილა დანიშნული ნადირის სხეულზე, რომელშიდაც მოხვედრილი ისარი უეცრად ჰქლავდა მას და რომელიც კარგ მშვილდოსნობაზე მიუთითებდა; ამ ადგილს სასისხარი ეწოდებოდა.

„სასისხარ ალაგს ვკარ ისარი და მუნვე დაეცა“⁴.

მხარს შუა იმყოფებოდა ეს ადგილი თუ თირქმელს წარმოადგენდა—ძნელია თქმა, რადგან „დაბადებაში“ უეცრად „მოწყვლის“

¹ ვახტანგ VI, დასტურლამალი, დასახ. გამ., გვ. 26:

² ვახტანგ VI, დასტურლამალი, დასახ. გამ., გვ. 106.

³ არჩილიანი, ტ. II, დასახ. გამ., ტ. 339.

⁴ რუსულანი, კართული ქრესტომატია, დ. ჩუბინაშვილის გამ. I, აუტერ. 1863 წ., გვ. 69.

მაგალითად შემდეგი შედარებაა მოყვანილი „ვითარცა ირემი მოწყულული ისრითა თირკმელსა შინა“¹.

ნადირობის დროს, რამდენადაც იგი სამხედრო ვარჯიშს წარმოადგენდა, გარკვეული დისციპლინის დაცვა იყო საჭირო.

„...ვერვინ ვერავის აწყენდა

მესისხლე ყავდა ვინ ვისმე, მუნ სისხლსა ვით დაადენა².

ცხენის შეკაზმვაც სხვადასხვაგვარად ყოფილა საჭირო:

„სადავე პირჩილს სხვა უნდა და სხვაა გამზიდრობისა,
მოხშიროს ტყესა ეწრისა და კიდევ მინდორობისა“³.

რაც შეეხება ნადირობის სავალდებულო ვადების აწსებობას, ამის შესახებაც არის გარკვეული მითითებები.

ნადირობის ფუნქციონალური დანიშნულების ბუნებრივი სახე, კერძოდ ვარჯიშობა—სპორტი, შეურყვნელი სახით ხალხმა შემოინახა უპირატესად მთაში. ნადირობის პირობათა სიძნელე მთაში მათ გადალახვას თხოულობდა მონადირისაგან და წერთნიდა მასში ჭეშმარიტად რაინდულ თვისებებს: გამძლეობას, ძალლონებას, მამაკონიას, ნიშანში კარგ სროლას, რთულ პირობებში სწრაფად ორიენტაციას, ე. ი. იმ თვისებებს, რომლებიც საჭირო იყო საბრძოლველად მარად მზადყოფნისათვის.

წარმოსადგენადაც ძნელია, რომ მთაში ნადირობას ხელსაყრელი პირობები შეექმნა ნადირობის შეება-განცხრომის მიზნით გამოყენებისათვის.

ქართული ფოლკლორი მშვენივრად ასახავს ამგვარი ნადირობის სიძნელეებს:

„რას დასდევ ნადირობას,
გამოგიხტება შველია,
გაცრუებული წამოხვალ
გაწუწული და სველია“.

ანდა:

„ისრით დავხოცე ჯიხვები,
ჯიხვები შავი კლდისაო,
მაგრამ გზა ვეღარ ვიპოვე,
ვეღარ ჩამოველ ძირსაო“⁴.

¹ იგავნი სოლომანისანი, დაბადება, წ. II. თავი ზ, გვ.

² არჩილიანი, ტ. II. დასახ. გამ, ტ. 334.

³ არჩილიანი, ტ. I. დასახ. გამ. ტ. 71.

⁴ ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზღვრის კრებული, ტფ., 1913—1914 წ.წ., ტ. III გვ. 71.

⁵ დებელი, ომი დებელებისა დიგორლებთან, „ივერია“, 1890 წ., № 74.

ერთერთი მონაცირე ასე აღწერს ჯიხვზე ნადირობის სიძნელეს: „მონაცირემ რამდენიმე დღეს სახლკარ მოშორებულმა, ცის ქვეშ, მთების მწვერვალზე უნდა გაატაროს. აიტანოს სიცივე, შიმშილი, წყურვილი, გაუძლოს ნისლსა და გრიგალსა და ხშირად რამდენიმე ლამე ზედიზედ სუსხიან ქარში გაათენოს და მრავალ ასეთ განსაკრდელის შემდეგ შესაძლებელია შინ ხელცარიელი დაბრუნდეს... ჯიხვზე მონაცირეს სალი გული, სალი ფილტვები და მაგარი ფეხები უნდა ჰქონდეს“¹.

რომ ასეთ პირობებში ნადირობა შეტად ძნელია და იგი არ შეიძლება ჩაითვალოს მხიარულ დროსტარებად მ. შოსტაკის ზე-შოთმოყვანილი ცნობაც ამოწმებს, სადაც ის ამბობს, რომ ეს საქმიანობა შეიძლება ჩაითვალოს შრეწველობის საგნად და არავითარ შემთხვევაში ტურისტის გასართობად².

აქედან ნათელი ხდება, რომ მთის პირობებში მონაცირეობამ იმდენად შემოინახა თავისი ადგილი, რამდენადც მას გარკვეულ შემთხვევებში მეურნეობისათვის დამხმარე მნიშვნელობა ჰქონდა და ამავე დროს ფიზიკური აღზრდისა და სავარჯიშო სასპორტო ავისებებით იყო დაჯილდოვებული.

საგულისხმოა, რომ დღეს მშვილდ-ისრითა და მუჟირით მიზანში სროლა დამოწმებულია როგორკენ შეჯიბრის ერთერთი სახე ბავშვების მიერ სათამაშოდ გადაქცეული.

ასეთია, მაგალითად, რაჭაში ხელთოფით მიზანში სროლა, რომელსაც აქ ისარა ეწოდება.

მუჟირა გამოყენებულია სვანეთში ბავშვებისა და უფროსების მიერ ნიშანში სასროლად. თამაშობას ლინკვ შდანალი ეწოდება³.

რატუალური დანიშნულებით არის გამოყენებული ყმაწვილების მიერ მშვილდ-ისარი ხევსურეთში მიცვალებულის დასაფლავებასთან დაკავშირებული ცერემონიისა⁴ და კულიან წუხრის დროს⁵.

ჯიღა-მშვილდით გართობა იმერეთშიც სცოდნიათ ბავშვებს⁶.

¹ ი. ჩხიკვიშვილი, ჯიხვი, მონაცირეთა კრებული, 1928 წელი № 9—10.

² M. Шостак, По Раче и Сванетии, ИКОРГО, XVI, გვ. 33.

³ ბ. სვანი, სვანების ზოგიერთი ჩვეულებანი და ცრუმორწმუნებანი, „ივერია“, 1886 წ., № 142.

⁴ ალ. ოჩი აური, ხევსურთა ზოგიერთი ძველი ამბები, ენიმქის ეთნ. განკ. ხელნაწერი ფონდი, რვ. 36.

⁵ იქვე.

⁶ რეჩვიაშვილი, იმერეთის 1937 წლ. ექსპედიციის დღიური.

ზემოთქმულიდან ნათელი ხდება, რომ ნაღირობა უდიდეს როლს ასრულებდა ხალხის ფიზიკური აღზრდის საქმეში, როგორც სასპორტო-სავარჯიშო წვრთნას მეტად გავრცელებული საშუალება და ამ დანიშნულებით ფართოდ იყო გამოყენებული ქვეყნის სამხედრო თავდაცვის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, თავადაზნაურთა წრეში ნაღირობამ გართობისა და შვება-განცხრომის სახე მიიღო, ხოლო ნადირობის კოლექტიური ფორმა, იმდენად რამდენადაც მასში მონაწილეობა სავალდებულო ბეგარას წარმოადგენდა, ექსპლოატაციის ერთერთ სახეობად გადაიქცა.

ზემოთქმულიდან ნათელი ხდება, რომ მონაღირეობას, გარდა იმ შექმნებისა და აღვილებისა, საღაც მას გარკვეული ეკონომიური მიზანდასახულება ახასიათებდა, უდიდესი მნიშვნელობა პქმნდა აგრეთვე მოსახლეობის ფიზიკური აღზრდისა და მისი სამხედრო სამობილიზაციო დარაზმულობის უზრუნველყოფის საქმეში. ნაღირობა თავისებურ სამხედრო სკოლას წარმოადგენდა, საუაც იწვერთნებოდა მხედართა კადრები; ამდენად კოლექტური ნაღირობა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმიანობას წარმოადგენდა და აქედან გამომდინარე ატარებდა სავალდებულო ბეგარის სახეს. სამეფო და სათავადაზნაურო ნაღირობა ამასთან ერთად უშუალოდ შვება-განცხრომისა და გართობის ისეთ საშუალებას შეადგენდა, რომლის პირობებში ხალხის მასობრივი მონაწილეობა იძულებითი წესით იყო უზრუნველყოფილი.

VII. წალიტობასთან დაკავშირებული შესჩევულებანი

1. თოვლის შემცვევა, აზარი, ხელისძლები და სიჭმალი

ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ შრომის თავდაპირველი ბუნება განვითარების აღრინდელ საფეხურზე ადამიანის მიერ მავი-ურად იყო გააზრიანებული. ხოლო იმდენად, რამდენადაც შრომის ორგანიზაციის აღრინდელი სახე ორგანიზებული ნადირობით არის წარმოდგენილი, მაგიური ქმედობის ელემენტები შედარებით უხვი რაოდენობით ნადირობასთან დაკავშირებულ გადმონაშთებშია და-ცული.

ჩვენ არ შევუდგებით აქ ნადირობასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა კლასიფაკაციას, დავაჯგუფებთ მას მხოლოდ იმ ზოგადი-ნიშნის მიხედვით, რომელიც ამათუიმ წესჩვეულების მიზანდასახუ-ლებაშია გამოხატული.

ნადირობასთან დაკავშირებულ წესჩვეულებათა პირველი და მნიშვნელოვანი ჯგუფი სრული სიწმინდის დაცვის აუცილებლობაზე იყო დამკვიდრებული. სანაცირო აღგილი „წმინდანიანად“ იყო მიჩ-ნეული და ასეთი წარმოდგენის საფუძველზე მონადირეს, ცრუმორწ-მუნე მონადირეთა წრეში განმტკიცებული შეხედულებით, სასტიკად ჰქონდა აკრძალული სანადიროდ წასვლის წინა დღეებში ყოველ-გვარი ლანდლება-გინებისა თუ უშვერი სიტყვების წარმოთქმა.

იმავე სიწმინდის დაცვის თვალსაზრისით ცრუმორწმუნე მონა-დირე სანადიროდ წასვლის წინ ცოლს არ გაუკარებოდა და საერ-თოდ ერიდებოდა დედაკაცს, განსაკუთრებით მენსტრუაციისა და ორსულობის დროს.

სიწმინდის დაცვას ისახავდა მიზნად აგრეთვე ღორის ხორცის წალების აკრძალვა სანადიროდ. ყოველ შემთხვევაში სანადირო აღგილ-ზე, ში შველ კლდეში (ჯიხვზე ნადირობის დროს) ღორის ხორცს არავითარ შემთხვევაში არ აიტანდნენ; და თუმცა ღორის ტყავის ქალამანი საუკეთესო ქალამნად იყო მიჩნეული, მთელ რიგ შემთხვე-ვებში ამ ქალამნით წასვლასაც ერიდებოდა მონადირე.

ნადირობა „წმინდა“ ხელობად იყო მიჩნეული, სანადირო აღ-გილები „წმინდანიანად“, ნადირს თავის „წმინდანი“ ყავდა. ცრუ-

11. კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში:

მორწმუნე მონადირეთა შეხედულებით, თვით ნადირიც ხშირად წილიანი იყო, და ზემოხსენებული სიწმინდის დაცვისათვის გათვალისწინებული წესჩვეულებების უგულველყოფის შედეგად მოსალოდნელი იყო ნადირთ პატრიონის რისხეა; ნადირთ პატრონს შეეძლონადირი აეკრძალა წესჩვეულებათა დამჩრდევე მონადირისათვის.

ცუდად და მზნილი (დაცდილი) ადამიანის შეხვედრისაგან, უზრუნველსაყოფად იცოდნენ რიგი ოპერაციების შესრულება, რომლებსაც ცრუმორწმუნე მონადირეთა შეხედულებით, მაგიური მნიშვნელობა ჰქონდა. ასე, მაგ., ცრუმორწმუნე მონადირე სანადიროდ წასვლამდე ან საქვაბე ჯაჭვის მოჰკიდებდა ხელს, რომელიც შუაცეცხლზე იყო ჩამოკიდებული, ან მუგუზალს დააგდებდა კარების გადასაბიჯთან და ფეხს გადაადგამდა. ამ წესჩვეულების შესრულების დროს მონადირე იტყოდა: „მთის ნადირის ანგელოზო და ოჩოპინტრა გვიბომე შენი მოწყალება“—ო.

მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს აგრეთვე რაჭველ მონადირეთა შორის დამოწმებული წესჩვეულება, რომლის მიხედვით აკრძალული იყო ნადირის ძვლის გადაგდება. ნადირის ძვალს აგროვებდნენ და მიწაში მარხვადნენ. მაგრამ ამ შემთხვევაში რაჭის სხვადასხვა სოფელში სხვადასხვაგვარი დამოკიდებულებაა დამოწმებული ნადირის ძვლის მიმართ. მაგ., რაჭის ქვემო სოფლებში ს. საღმელი და სხვ.—საჭირო იყო ნადირის ძვლის დაწვა, მაგრამ ს. გლოლაში ნადირის ძვალს წყალში ჰყრიდნენ და მისი დაწვა აკრძალული იყო. უმეტეს შემთხვევაში, როგორც აღვნიშნეთ, მიმართავდნენ ნადირის ძვლის მიწაში დამარხვას.

არც ძალს გადაუგდებდნენ ნადირის ხორცსა თუ ძვალს. ძალლს ჰქვებავდნენ ნადირის შიგნეულით.

ზემოხსენებული წესჩვეულებანი რაჭველ ცრუმორწმუნე მონადირეთა მიერ გააზრიანებული იყო როგორც სიწმინდის დაცვის აქტები, თუმცა, შესაძლებელია, თავდაპირველად ეს რიტუალი სულ სხვა მიზნებს ემსახურებოდა.

სხვა ქართველ ტომთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც არის დამოწმებული მონადირეთა ამგვარი შეხედულება ნადირობაზე, ნადირზე და მონადირეზე, მაგ., სვანეთში მონადირე ასევე ერილებოდა დედაკაცთან დაახლოვებას, განსაკუთრებით არიდებდა თავსორსულ დედაკაცთან შეხვედრას, არ დასცინებდა ნადირის რქებს, ძვლებს თუ მის სხვა რომელიმე ნაწილს¹.

¹ Н. Д м и т р и е в, დასახ. ნაშრ., გვ. 168.

რომ ნადირობა სვანი მონადირისათვის წმინდა ხელობას წარმოადგენდა ამოწმებს აგრეთვე დ. მარგიანი¹.

სვანების ამგვარივე დამოკიდებულება ნადირობისადმი იქნა აღნიშნული თავისუფალ სვანს:

„ათასზე მეტ ნადირს მოჰკლავს თავის სიცოცხლეში, თუ მას, მონადირეს, წმინდათ უჭირავს თავი“².

ჩლიქიანი ნალირი ფშავშიაც წმინდად ითვლებოდა³.

რაც შეეხება რაჭველ მონადირეთა ღორის ხორცისადმი დამოკიდებულების საკითხს, ამ შემთხვევაში აუცილებლად საინტერესო გარემოებასთან გვაქვს საქმე.

დღეს და უახლოეს წარსულში ღორის ხორცს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რაჭველთა სუფრაზე. ვა ხუშტი, ეხება რა რაჭას, პირდაპირ ამბობს: „პირუტყვნი აქლებს გარდა, ყოველნი და არა მრავლად. ცხოვარი უდუმრ, ღორი სიცოცხლე მათი“⁴.

იმ გარემოებამ, რომ თანადროულობაში ღორის ხორცის ასეთი ადგილი კვების საქმეში და ღორისადმი დადებითი დამოკიდებულება თანარსებობას ღორისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ფაქტებთან, შესაძლებელია გვაფიქრებინოს, რომ ღორის ხორცისადმი დაჯებითი დამოკიდებულება შედარებით გვიან შეძენილი მომენტია და რაჭველთა თავდაპირველი დამოკიდებულება. ღორის ხორცისადმი აშკარად უარყოფითი იყო.

მაგრამ ქართველ ტომთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არსებობს გაღმონაშობების შეორე რიგი, რომელთა შორის ნაწილი აგრეთვე ნადირობასთან არის დაკავშირებული და რომელიც ღორისადმი დადებით დამოკიდებულებას ამჟღავნებს. ასეთია ვა ხუშტი ის მიერ აღწერილი მეფეთა საახალწლო ნადირობა, რომლის დაწყებამდე ბაზიერთ-უცუცესი მიართმევდა მეფეს ქარისა და „თავსა ველურის ეშვისასა მოოქროვილსა“⁵; „ველმწიფის კარის გარიგება“-ს ავტორის ცნობითაც ნადირობასთან დაკავშირებული ცერემონიის დროს მეფეს „ველურის ტახის თავს მოხარშულს წინ დაუდგმენ“⁶.

ზემოთაღნიშნული ფაქტები გვაიძულებენ სიფრთხილით მოვეპურათ ღორისადმი რადიკალურად საწინააღმდეგო დამოკიდებულების ფაქტების სტატიალურ განსაზღვრას. ერთია უდავო: ღორის კულტს უთუოდ დიდი ადგილი ეჭირა ქართველთა მსოფლმხედველობაში და იგი იყო წარმოდგენილი ეთნოგრაფიულ სინამდვილეში როგორც პოზიტიური ისე ნეგატიური ნიშნით.

¹ Д. Маргiani, Некоторые черты быта..., СМОМПК, X, გვ. 70.

² თავისუფალი სვანი, ოთხი დღე..., „ივერია“, 1886 წ., № 237, 238.

³ ვაჟა-ფშაველა, აფენშობა, „ივერია“, 1886 წლ., № 141.

⁴ ვა ხუშტი, საქ. გეოგრაფია, დასახ. გამ., გვ. 288-289.

⁵ ვა ხუშტი, საქ. გეოგრაფია, დასახ. გამ., გვ. 18.

⁶ ველმწიფის კარის გარიგება, დასახ. გამ., გვ. 1.

განსაკუთრებულ ინტერესს ჩვენთვის წარმოადგენს აგრეთვე საკითხი დედაქაცის აღგილის შესახებ ნადირობის პროცესში და მონადირეთა დამოკიდებულება დედაქაცისადმი ნადირობასთან დაკავშირებით.

ამჟამად დამოკიდებულება დედაქაცისადმი ნადირობასთან დაკავშირებით, მთელ რიგ შემთხვევებში, აშკარად უარყოფითია. რაჭაში ძველ მონადირეთა შორის ახლაც არის განმტკიცებული შეხედულება, რომ თითქოს ნადირო ანგელოზი უჯავრდება მონადირეს და შეიძლება გააფუჭოს კიდევაც იგი, თუ მონადირეს დედაქაციან ნადირობის წინა პერიოდში რაიმე საერთო აქვს. ნადირო ანგელოზის დახასიათებაში ეს მოტივი აშკარად მოჩანს. მღიდარ მასალას ნადირო ანგელოზის ასეთი დამოკიდებულების შესახებ მონადირის ცოლისადმი. ქართული ზეპირსიტყვაობა გვაწვდის. ნადირო ანგელოზი პირდაპირ უკრძალავს მონადირეს, რომელიც მასთან მეგობრობას გასწევს, სხვა დედაქაციან სიახლოვეს. ნადირო ანგელოზის ამ თვისების დამადასტურებლად რაჭის ცრუმორწმუნე მონადირეებს ცნობილი მონადირეების მაგალითი მოჰყავთ, რომელთაც თუმცად ჰყავდათ ცოლი, მაგრამ შვილები არა ყოლიათ. ასეთია, მაგალითად, ურაველი მონადირე ნ. რეხვიაშვილი, საღმელელი მონადირე ბ. პაპუაშვილი და სხვა.

ანალოგიური სიცხადით დედაქაცისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ნადირობასთან დაკავშირებით ქვემო-სვანეთშია წარმოდგენილი:

„აღნიშნულ ნადირობაში — ამბობს გ. ონიანი, — ქალს არ შეეძლო მონაწილეობის მიღება, როგორც სუსტ არსებას. სუსტიც რომ არა ყოფილიყო მაინც არ შეეძლო მონაწილეობის მიღება, ვინაიდან ქალი მიჩნეულია როგორც არა წმინდა“¹.

იმავე ავტორის გადმოცემით მამაქაცის სანადიროდ წასვლისას ოჯახში დედაქაცს თუ მენსტრუაცია ექნებოდა იგი ღამის სათვეად ან სხვის ოჯახში გადავიდოდა, ან წისქვილში გაათვედა ღამეს. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ეთნოგრაფიული მასალის ისეთ რიგთან, რომელიც ქალისადმი აშკარად უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დედაქაცისადმი ამგვარი დამოკიდებულება არ წარმოადგენს ნადირობის სპეციფიკურ თვისებას; დედაქაცისადმი უარყოფითი განწყობილება დამოწმებულია არა მარტო ნადირობის, შემთხვევაში, არა-

¹ გ. ონიანი, 1939 წლ. ქვემო-სვანეთის ექსპედიციის დღიური.

შედ სხვა შემთხვევებშიც. უფრო მეტის თქმა შეიძლება. ძველათ არსებული შეხედულების მიხედვით დედაკაცი, როგორც სუსტი და უძლური არსება, ავი სულების იოლი მსხვერპლი ხდებოდა და ამდენად იგი უწმინდური იყო. მისი სისუსტე განსაკუთრებით მისი ორსულობისა ან მენსტრუაციის დროს იჩენდა თავს და ამდენად იგი ორსულობისა და მენსტრუაციის დროს განსაკუთრებით უწმინდური იყო. ამ საკითხის გარშემო ამომწურავი ცნობა აქვს მოცემული დაც. ვ. ბარ და ველიძე ს. იგი ამბობს: „მთიულების შეხედულება, რომ ქალი მენსტრუაციის დროს უწმინდურია, წარმოადგენს ქართველი ხალხის საერთო შეხედულებას ძველათ, რომელიც მეტ ნაკლები სიძლიერით დღემდე დაცულია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში¹.“

გარდა ამისა, მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, ისევე როგორც სხვა ქართველ ტომთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, კერძოდ ნადირობასთან დაკავშირებით, დამოწმებულია ფაქტების ისეთი რიგი, რომელიც არამათუ არ ამჟღავნებს დედაკაცისადმი უარყოფით დამოკიდებულებას, არამედ დედაკაცისადმი დადებითი განწყობილების აშკარა ბეჭედს ატარებს; ფფრო მეტის თქმა შეიძლება—დედაკაცი ამათუიმ სახით რაღაც მონაწილეობას იღებს თვით ნადირობის პროცესში. ასე მაგალითად: დედაკაცი მონაწილეობას იღებს ლოცვაში, რომელიც მონადირეთა მიერ მონადირის სახლში იმართება ნადირობის წინ ან მის შემდეგ; იგივე დედაკაცი რიტუალური დანიშნულების ხმელგანატეს აცხობს მონადირისათვის საგზალად. (ხმელგანატეხი ჩვეულებრივი ფქვილისაგან გამომცხვარი მრგვალი და ბრტყელი პურია, რომლის ზედაპირი მზის დაფანტული სხივების მსგავსად არის დაკრელებული. ხმელგანატეხის ცომი ერბოში იზილებოდა ხოლმე; ლორის ქონის გამოყენება ამ შემთხვევაში აკრძალული იყო ზემოთაღნიშნულ მოსაზრებათა საფუძველზე). ხმელგანატეხის გამოცხობის დროს დედაკაცი ლოცულობდა: „ნადირთ წმინდა იგელოზო მშვიდობით ჩამოიყვანე გახარებული ჩვენი მონადირე“—ო.

ამგვარივე ხმელგანატეხის გამოცხობა ქვემო-სვანეთშიც სცოდნიათ და საინტერესო აქ ის გარემოებაა, რომ ხმელგანატეხი მონადირისათვის აუცილებლად ან ცოლს ან დედას უნდა გამოეცხო. ამით, რა თქმა უნდა, დედაკაცი გარკვეულ მონაწილეობას იღებდა

¹ ვ. ბარ და ველიძე იძე, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალი მთიან ქართლში, საქ. მუზ. მოამბე, ტ. IV, გვ. 246.

ნადირობასთან დაკავშირებულ რიტუალში. დაბოლოს, ისეთი ნადირობის შემთხვევაში, როგორიცაა შველის მასობრივი მორეკვა დიდი თოვლობის დროს, ე. ი. როდესაც შველი სოფელთან ახლო ჩამოლიოდა, დედაკაცი ესწრებოდა ნადირობას, რაც ზემოხსენებულ გარემოებასთან ერთად დაბეჯითებით მიგვითითებს, რომ დედაკაცის მონაწილეობა ნადირობის პროცესში ამათუიმ სახით არ იყო აღკვეთილი.

განათხარი მასალა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ არც განვითარების აღრინდელ საფეხურზე ყოფილა აღკვეთილი ჭალის მონაწილეობა ნადირობის პროცესში.

პ. ეფიმე ნკო ეხება რა ორინიაკის კულტურას, ამბობს, რომ ნადირობაში ამათუიმ სახით უნდა მიეღო მონაწილეობა ორინიაკის ბანაკის არა შარტო მამრობით, არამედ დედრობით მოსახლეობასაც¹.

კოჭალ ტომთა სინამდვილეში დამოწმებულია დედაკაცის მონაწილეობა კერძოს მეთევზეობაში და არ არსებობს რაიმე საფუძველი ვიფიქროთ, რომ ხსენებულ ტომთა ყოფაში აღგილი ჰქონდა დედაკაცის მონაწილეობის აღკვეთას.

პ. კუნკვი, ახასიათებს რა ტასმანელების მეურნეობას, ამბობს, რომ თევზის ხელბადეებით ჭერის ღროს დედაკაცები მამაკაცებს დახმარებას უწევდნენ².

გარდა ამისა, განვითარების დაბალ დონეზე მყოფ ტომთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია წესჩვეულებათა ჯგუფი, რომელთაც ასრულებდნენ შინ დარჩენილი დედაკაცნი მამაკაცთა სანადიროდ ყოფნის ღროს. მათი მოქმედება მათივე შეხედულებით უშუალო გავლენას ახდენდა ნადირობის პროცესზე³ და ამდენად ცხადია, რომ დედაკაცის ამათუიმ სახით მონაწილეობა ნადირობაში არც ამ შემთხვევაში იყო აღკვეთილი.

ზემოთქმულიდან ნათელი ხდება, რომ დედაკაცისადმი უარყოფითი დამკაიდებულება არ წარმოადგენს მხოლოდ ნადირობისათვის სპეციფიკურ თვისებას. განვითარების გარკვეულ საფეხურზე ადამიანის შეგნებაში თავს იჩენს საერთოდ დედაკაცისადმი უარყოფითი განწყობილება გამომდინარე იმ შეხედულებიდან, რომ დედაკაცის სუსტი არსებაა, მას იოლად დაეპატრონებიან ავი სულები და ამ-

¹ П. Е ф и м е н к о, Дородовое общество, М.—Л. 1934 №., 83. 411.

² Г. К у н о в, История всеобщего хозяйства, Г. I, М.—Л. 1929 №., 83. 36.

³ Леви Б р ю л ь, Первобытное мышление, фас. გამ., გვ. 154.

დენად იგი უწმინდურია; რამდენადაც განვითარების დაბალ საფეხურზე დამოწმებულია დედაკაცის ამათუიმ სახით მონაწილეობა ნადირობის პროცესში იმდენად საფიქრებელია, რომ დედაკაცისადმი ამგვარი დამოკიდებულება განვითარების შემდეგი საფეხურის შენაძენია, რაშიც გვარწმუნებს აგრეთვე ის ფაქტი, რომ ნადირო ანგელოზი, კერძოდ ქართველ ტომთა შეხედულების მიხედვით, უმეტეს შემთხვევაში, ახალგაზრდა ქალია, რაც დაუშვებელი იქნებოდა, რომ დედაკაცისადმი ასეთი დამოკიდებულება ნადირობასთან დაკავშირებული შეხედულებების თავდაპირველ ბუნებად გამოვიყენადებინა.

რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, კერძოდ ცრუმორწმუნე მონადირეთა წრეში, დამოწმებულია წესჩვეულებათა საინტერესო ჯგუფი თოფის გაბრუნდებასთან და ხელის გადგომასთან დაკავშირებით: იმ შემთხვევაში, თუ მონადირე ხშირად დააცლენდა ნადირს ტყვიას ან დაჭრილი ნადირი ხშირად გაექცეოდა, იცოდნენ თოფის დაშხამვა, თოფის შერცხვენა და სხვა.

ადგილობრივი მონადირეების გაღმოცემით ხელის გადგომის მთავარ მიზანებს წარმოადგენდა ან თოფის წამლის გაგიჟება (მეტად ფიცხი წამალი თუ გამოვიტოდა), ან ისეთი შემთხვევა თუ გველს (უნასს) მოხვდებოდა ნასროლი ტყვია, ან თუ ნანადირევს ცუდად დამზნილი აღამიანი მოჰკიდებდა ხელს ხელის მდებზე ადრე. ყველა ასეთ შემთხვევაში ხელის ასახსნელი და საჭირო იყო თოფის დაშხამვა ან მისი შერცხვენა. თოფის დაშხამვის მიზნით მიმართავდნენ შემდეგს: დატენილი თოფის ლულაში პატარა გველს ჩაცურებდნენ და თოფს ისე დასკლიდნენ. ასეთი თოფით ნადირობის დროს, ადგილობრივი მონადირეების ძეველათ არსებული შეხედულებების თანახმად, მონადირე უზრუნველყოფილი იყო დაცენისაგან; მას ვერც დაჭრილი ნადირი წაუვიდოდა სადმე.

თოფის დაშხამვის გარდა, ხელის გადგომისა ან თოფის გაბრუნდების შემთხვევაში სცოდნიათ აგრეთვე ცხელი რძის გამოყენება. სახელდობრ, მაგრად ააღულებდნენ რძეს და იქამდე ასხამდნენ თოფის ლულაში, ვიდრე უკანასკნელი არ გაცემდებოდა. ამის შემდეგ თოფს მოაძრობდნენ კუდს, დატენილნენ მას ლულის ძირიდან და ორჯერ ან სამჯერ ზედიზედ დასკლიდნენ. ასეთი წესი მიჩნეული იყო როგორც რადიკალური საშუალება „გაბრუნდებული“ თოფის ლულის გასასწორებლად.

ხოლო ხელის გადგომის შემთხვევაში ფართოდ იყო გამოყენებული თოფის შერცხვენის წესი, რომელიც მხოლოდ ს. სად-

მელშია დამოწმებული. ხელის ასახსნელად თოფს ან საღორეში ჩამარხავდნენ მიწაში, ან დედაკაცის ქვედა საცვალში გაატარებდნენ რამდენჯერმე. თოფის „შერტხვენის“ ცერემონიაში ორი პიროვნება იღებდა მონაწილეობას. თოფის საღორეში ჩამარხეისას ან დედაკაცის ქვედა საცვალში გატარებისას ერთერთი მონაწილე ეკითხებოდა თოფს.

„არც ეხლა მოხვდები? არც ეხლა მოხვდები?“.

მეორე უპასუხებდა:

„ოღონდ აქედან გამომიყენე — მოვხვდები“ -ო..

ხელის გადგომის შემთხვევაში ხელის ახსნა შეეძლო აგრეთვე კარგად დამზნილ პიროვნებას, რომელსაც მონადირე გამოართმევდა სანადიროდ წასვლის წინ პურს, ყველს, მარილს, ფქვილს და სხვა. ფქვილს ხმარობდნენ ხმელგანატეხის გამოსაცხობად, მარილი და ყველი მიძქონდათ თან. ნადირობიდან დაბრუნების შემდეგ მონადირე ნანადირევის წილს უგზავნიდა ხელის ამხსნელს.

გამდგარი ხელის ასახსნელად მიმართავდნენ აგრეთვე შინაური ფრინველის მოკვლას. ხელგამდგარი მონადირე მოკლავდა ქათამს თოფით, რის შემდეგ იგი დარწმუნებული იყო ხელის აუცილებელ ახსნაში. როგორც ეტყობა, ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს სიმპათიური მაგის ერთერთ სახეობასთან, რომელიც ასოციაციის პრინციპებს. დამკვიდრებული (მსგავსი გამოიწვევეს მსგავსს).

ნადირობის ორგანიზაციის მოსამზადებელ საფეხურზე, ნადირობასთან დაკავშირებულ წესჩვეულებათა რიგში, ცენტრალური ადგილი ეჭირა სიზმარს. მონადირე მხოლოდ იმ შემთხვევაში გაემგზავრებოდა სანადიროდ, თუ სიზმარში ნახავდა მისი შეხედულებით ხელსაყრელ ნიშნებს. სიზმრის კარგ ნიშნებად მიჩნეული იყო შემდეგი: განთქმული, ცნობილი მონადირე, მით უმეტეს თუ იგი სიზმარში მიუჩენდა სანადირო ადგილს, კარგად შეჭურვილი მხედარი, შეკაზმული ცხენი, გამოწყობილი ქალი მხარხე შესმული ყმაწვილით და სხვა.

ამიტომ მონადირე ცდილობდა კარგი სიზმარი ენახა ძილში, რისთვისაც სულ მუდამ მარჯვენა მხარეზე წვებოდა. იმ შემთხვევაში, თუ იგი ნახავდა ისეთ სიზმარს, რომელიც მისი შეხედულებით უხვ ნადირობაზე მიუთითებდა, იგი არავითარ შემთხვევაში არ დაიბანდა პირს — „სიზმარი არ ჩამომებანოსან“.

სიზმრის ასეთი მნიშვნელოვანი ადგილი ნადირობისათვის მოსამზადებელ პერიოდში მეტად საინტერესო ფაქტი! წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც მასში მოჩანს აზროვნების განვითარების იმ ადრინდელი

საფეხურების ნიშნები, როდესაც სიზმარი და სინამდვილე ობიექტური რეალობის თვალსაზრისით არ იყო განსხვავებული და სიზმარი წარმოადგენდა ადამიანისა და სხვადასხვა სულების ურთიერთობისა და კავშირის საშუალებას. ლ. ბრიულის სიტყვით, სიზმარი პირველყოფილი ადამიანისათვის სრულიად არ წარმოადგენს აღქმის დაბალსა და მცდარ ფორმას. პირიქით, იგი უმაღლესი ფორმაა: რამდენად სიზმარში მატერიალური და ხელშესახები ელემენტები მინიმუმამდე დაყვანილი, იმდენად მასში ურთიერთობა სულებთანა და უხილავ ძალებთან განხორციელებულია უშუალო და სავსე სახით¹.

მეტად საგულისხმოა და საყურადღებო ნადირობასთან დაკავშირებულ წესჩვეულებათა ის ჯგუფი, რომელიც სრულდებოდა სანადიროდ პირველად გასცლის შემთხვევაში. სახელდობრ, სანადიროდ პირველად გასული პიროვნება პირველად რომ მოჰკლავდა ნადირს მისი სისხლით თითო შეიღებავდა. იცოდნენ აგრეთვე თოფის ლულის ტუჩის შელებვა პირველად მოკლული ნადირის სისხლით ან სისხლის შუბლზე წაცხება ჯვარედინად. ზოგ შემთხვევაში თოფის ლულის ტუჩს მოკლული ნადირის ჭრილობაში შეყოფდნენ.

ყველა ზემოხსენებული წესი სრულდებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც სანადიროდ პირველად გასული პიროვნება ნადირობას იწყებდა, პირველად მოჰკლავდა ნადირს. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს განსაკუთრებით საინტერესო გარემოებასთან, სახელდობრ, ჰასაკობრივი დაჯვაფების გადმონაშთან, რაც გამოვლენილია პიროვნების ზიარებაში მონადირედ. საქმე იმაშია, რომ რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არ არსებობს ისეთი ნიშნები, რომლის მიხედვით შესაძლებელია ითქვას, რომ მონადირეთა პრაქტიკაში დამოწმებულია რაიმე გარკვეული ჰასაკობრივი განსაზღვრა ნადირობაში მონაწილეობის თვალსაზრისით. ბავშვები პატარობისას ფრინველზე ნადირობდნენ მშვილდისრით და მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ისინი ისე მოიზრდებოდნენ, რომ შესაძლებდნენ ნადირობის მძიმე პირობების ატანას—ისინი მონადირებს სანადიროდ მიჰყავდათ ზემოხსენებული რიტუალის შესასრულებლად. არც ლიტერატურაში შეგვხვედრია რაიმე ცნობა კერძოდ რაჭის შესახებ ამ მიმართულებით; მაგრამ ზემოხსენებული რიტუალის შესრულება, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული სანადიროდ პირველ წასვლასთან და, გარდა ამისა, რაჭაშივე დამოწმებული წესი, რომლის მიხედვით საერთოდ ნადირობის დროს

¹ ლევი ბრიულ, დასახ. ნაშრ, გვ. 37.

პირველი სროლის უფლება უპირატესად მთელ რიგ შემთხვევებში მონადირეთა შორის ყველაზე უფროსა ჰქონდა, გვაფიქრებინებს ძეველათ ჰასაკობრივი დაჯვეუფების არსებობას, რომლის სახეცვლილ გაღმონაშთებს წარმოადგენს წესჩეულებათა ზემოხსენებული ჯვეფი. ამ საკითხთან დაკავშირებით ძეველ ისტორიულ წყაროებში საინტერესო ცნობებსა ვხვდებით.

„ქართლის ცხოვრება“-ში, მაგ., ლუარსაბ მეფის ნადირობის აღწერასთან ნათქვამია:

„და დღესა ერთსა განვიდა ლუარსაბ მოასაკითა თვისითა ნაღირობად ყარაიის-ჭალასა“¹.

„უწყებად მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა“-ს ავტორი იქ, სადაც მოთხრობილია მირიან მეფის ნადირობა, ამბობს:

„ხოლო თანამონადირენი იგი მისნი ჩუტეულებისაებრსა მას ხედვიდეს შარავანდედსა მზისასა“².

ძნელია მხოლოდ ამის საფუძველზე გადაჭრით თქმა, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ჰასაკობრივი ჯვეფის აღმნიშვნელ სიტყვასთან, მაგრამ ამგვარი გაგების შესაძლებლობა არ არის გამორიცხული, რადგან მონადირეთა შორის ჰასაკობრივი დაჯვეუფებისა და მონადირედ ზიარების ფაქტი საყოველთაოდ გავრცელებული ფაქტია.

ჰასაკობრივი დაჯვეუფების გაღმონაშთების შესახებ აფხაზეთში, კერძოდ მონადირეთა შორის, შედარებით ზუსტი სურათი მოცემული აქვს ს. ბასარიას. მისი ცნობით ყველა მონადირე აღიზარდა მთებში და ეს აღზრდა მდგომარეობდა იმაში, რომ 8—12 წლის ჰასაკის ბავშვებს ზაფხულობით გზავნილნენ მთებში მწყემსებთან, სადაც ისინი წმინდა სპარტანულ აღზრდას იღებდნენ³.

რამდენიმე წლის განმავლობაში ბავშვები მწყემსებთან იმყოფებიან, უსმენენ მათ ამბებს ნადირობისა და გმირობის შესახებ, მათთან ერთად იზიარებენ ყველა სიძნელეს მწყემსების ცხოვრებასთან დაკავშირებულს. მხოლოდ ამის შემდეგ მონადირეები უფლებას აძლევდნენ მოზრდილ ყმაწვილებს, რომ უკანასკნელი გაპყოლოდნენ მათ სანადიროდ და მიეცილებინათ ისინი ძნელად ასასვლელ აღმართამდე, შეესწავლათ სანადირო ადგილის გარემო და სხვა⁴.

¹ ქართლის ცხოვრება, ჩუბინა შვილის გამ., ნაწ. II, გვ. 49.

² თ. უზრდანია, ქრონიკები, წ. I, დასახ. გამოც., გვ. 36.

³ С. Б а с а р и я, Абхазия в географическом, этнографическом и экономическом отношении, Сухуми 1923 г. გვ. 123.

⁴ С. Б а с а р и я, დასახ. ნაშრ., გვ. 124.

ჰასაკობრივი დაჯგუფების გაღმონაშობი საკმაო სიშომინდით დაცულია სხვა ცოცხალ ტომთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც.

ასე მაგალითად, კუნძულ ფორმობის მოსახლეობის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია დათვებზე ნადირობა მამაკაცის სახელწოდების მოპოვებისათვის¹.

იგივე შეიძლება ითქვას ტაჯიკების შესახებ, სადაც ახალგაზრდა მონადირეთა აღმზრდელი და მათთვის მონადირის სახელწოდების მიმნიჭებელი სპეციალური პირები არსებობენ მერგანების სახელწოდებით².

ზემოხსენებულის შედეგად უფლებას ვაძლევთ თავს დავასკვნათ, რომ რაჭაში დამოწმებული წესჩვეულებანი პირველ ნადირობასთან დაკავშირებით, როგორიცაა, თითის, შუბლის, თოფის ლულის ტუჩის პირველად მოქლული ნადირის სისხლით შეღებვა და სხვა მონადირეობაში ჰასაკობრივი დაჯგუფების გაღმონაშოს უნდა წარმოადგენდნენ, თუმცალა ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ რაჭაში ამჟამად ნადირობაში მონაწილეობის მისაღებად უფლებების რაიმე შემოფარგვლას, წლოვანებისა თუ სხვა მაჩვენებლის მიხედვით, აღილი აღარა აქვს.

ქველათ მონადირენი უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ წინდამხვდურსა და დამზიღლს. დამზნილ პირვნებად ითვლებოდა ისეთი აღამიანი, რომლის გზაზე შეხვედრა ცუდად ჰქონდა დაცუდილი მონადირეს. ასეთი აღამიანის შეხვედრა ნადირობის უშედეგობას ან რაიმე უბედურებას მოასწავებდა. დამზნილი აღამიანის უარყოფითი მოქმედების გასაბათილებლად და მის საწინააღმდეგოდ წინდამხვდურის შერჩევა სცოდნიათ. მონადირე წინასწარ, ნადირობამდე შეიჩინებდა ისეთ პირვნებას, რომლის ფეხი მას კარგად ჰქონდა დაცუდილი და დაავალებდა მას წინდამხვდურის ფუნქციის შესრულებას. სპეციალურად შერჩეული წინდამხვდური ვითომ ანაზღეულად შეეყრებოდა წინ მონადირეს გზაზე და მიესალმებოდა: „კარგადაც გინადირებია“-ო.

ეს ცერემონია მონადირისაგან თხოულობდა, რომ მას სიჩუმე დაეცვა და არათერი ეთქვა საპასუხოდ წინდამხვდურისათვის. ნადირობიდან დაბრუნებულს წინდამხვდური (თუ ვინმე სხვა პირვნება) პვლავ დალოცავდა: „დიამც მოგიკლავს, ხელიც შეგრჩნია“-ო. პირ-

¹ Н. Кундер, Коллективные охоты у формозских племен, Сов. этнография., 1937 № 2-3, გვ. 103.

² Н. Кисляков, Охота таджиков., Сов. этнография, 1937 № 4, გვ. 109.

ველ შემთხვევაში, ე. ი. იმ შემთხვევაში, როდესაც წინდამხვდური ნონადირეს დახვდებოდა სანადიროდ წასვლამდე, იგი მიაწოდებდა მონადირეს წინასწარ გამზადებულ პურის ნატეხს თომში გახვეულს (თომი—მთის ბალახია ერთვარი), რომელსაც მონადირე ბანდულში შეინახავდა. წინდამხვდურის მიერ მოცემული პურის ნატეხი მონადირეს უნდა შეეჭამა იმ წყაროსთან ან კლდესთან, რომელიც მას პირველად შეხვდებოდა სანადიროში.

უმეტეს შემთხვევაში წინასწარ შერჩეული წინდამხვდური ხელი ის მდებარეს ფუნქციებსაც ასრულებდა. ხელისმდები წარმოადგენდა ისეთ პიროვნებას, აგრეთვე წინასწარ შერჩეულს, რომლის ხელი კარგად ჰქონდა დაცლილი მონადირეს და რომელსაც მონადირის შემდეგ პირველად უნდა ეხლო ხელი ნანადირევისათვის. ხელისმდებამდე არავის არ შეეძლო მიკარებოდა ნანადირევს; ვერც თვით მონადირე უზიარებდა ვინმეს სოფლად ჩამოტანილი ნანადირევის ნაწილს. ხელისმდები ხელს დაადებდა ნანადირევს და წარმოსთქვამდა „ას, ას“, რაც თანამედროვე რაჭველ მონადირეთა განმარტებით ნანადირევის გასკეცებას გულისხმობს, მაგრამ რომლის თავდაპირველი ბუნება ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

სიმპათიური მაგის კანონზეა დამკვიდრებული წესჩვეულებათა ჯგუფი, რომელიც დაკავშირებულია ნადირის კვალის არევასა და მის წამოდგომასთან. ასე მაგალითად, სანადიროდ გამზადებულ მონადირეს სახლში უცხო სტუმარიც რომ მოსვლოდა უაღრესად ზრდილი რაჭველი ფეხზე არ ადგებოდა—„ნადირი წამომიდგება“-ო, სანადიროდ წასვლის წინ შინაურებს მჯდომარე მდგომარეობაში დასტოვებდა—„ნადირი არ შემომეთანტოს“-ო; მთელ სოფელში ყველაზე ადრე იგი ცდილობდა გზაზე გავლას—„ნადირის კვალი არ აირიოს“-ო; საქონლის დაკარგვის შემთხვევაში სცოდნიათ მაკრატლის, ოთხფეხა სკამისა და სავარცხლის შექვრა—„ნადირის პირი, ფეხები და გზა შეეკვრის“-ო. მაკრატლის, ოთხფეხა სკამისა და სავარცხლის შექვრის ცერემონიის დროს შელოცვასაც დააყოლებდნენ:

„არარია ვარარია
ვახ რა წმინდა ალაგია;
ქრისტე შეჰქარ შემოჰქარი
ნადირს კბილი შეუკარი,
ააგდე ჩააგდე ზლვაში,
ნუ გამოიყვან უკუნის უამში,
ნუ არონიებ საქონლის კვალში“-ო.

სიმპათიური მაგიის მოვლენათა რიგს ეკუთვნის აგრეთვე სანადირო ობიექტის მსგავსი ნიშნის ტარება. მაგ., ნ. რეხვია შვილზე ამბობენ: დათვზე სანადიროდ რომ მიღის დათვის ტყავის ქუდი და ქურქი აცვიაო.

ნადირობასთან დაკავშირებული წესჩვეულების აღწერის დროს გვერდს ვერ აუვლით წესჩვეულებათა იმ ჯგუფს, რომელიც დახოცილი ნადირის რაოდენობასთან არის დაკავშირებული. მხედველობაში გვაქვს ე. წ. თოფის დამარხვის წესი, დამოწმებული რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, რომლის სახეცვლილი ვარიანტი ფშავშიც არის ჩაწერილი.

რაჭაში, ძველ მონადირეთა შორის გავრცელებული ცრუმორწმუნეობის მიხედვით, მონადირეს სანადიროდ ერთ გასვლაზე ეკრძალებოდა სამზე მეტი მსხვილი ნადირის მოკვლა. ამაზე მეტი ნადირის დახოცვა ერთ ნადირობაზე არ იყო მიღებული — „ნადირთ პატრონს ეწყინება“—ო. რაც შეეხება ერთი მონადირის მიერ დახოცილი ნადირის რაოდენობას მთელი მისი სანადირო პრაქტიკის განმავლობაში ასეთი 1000 თავს არ უნდა გადასცილებოდა.

მონადირეთა შორის განმტკიცებული წესის თანახმად, მონადირეს, რომელსაც დახოცილი ჰყავდა 1000 თავი ნადირი, თავისი თოფი მიწაში უნდა დაემარხა და ნადირობაზე სრულებით აეღონ.

ს. სადმელში ჩაწერილი ლეგენდის მიხედვით ერთერთ ძველ სა და განთქმულ მონადირეს ძილში ანგელოზი დაესიზმრა. ანგელოზი ნა ძალა აუკრძალა შემდეგში ნადირობა, რადგან მონადირეს საკმაოდ ბევრი ნადირი ჰყავდა გაფუჭებული. მონადირე დაემორჩილა ანგელოზის (ნადირთ პატრონის) ბრძანებას, გადასწყვიტა რომ სავსებით აეღო ხელი ნადირობაზე და თავისი სანადირო თოფი მიწაში დამარხა. ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, თოფის მიწაში დამარხვა ნადირობაზე ხელის აღებასა ნიშნავდა 1000 ნადირის დახოცვის შემდეგ. მონადირეთა შორის განმტკიცებული შეხედულების მიხედვით, რომ მონადირეს თავი არ დაენებებია ნადირობისათვის, შესაძლებელი იყო ნადირთ პატრონის რისხვა, რასაც შედეგად მოჰყვებოდა ამ წესის დამრღვევი მონადირის დალუპვა თუ გაფუჭება.

ასე მოუვიდა, მაგალითად, ზემოხსენებულ ლეგენდაში მონადირეს. მან ბევრი იდარდა, ნადირობის გარეშე ვეღარ გასძლო, ამოიღო მიწიდან ერთხელ დამარხული თოფი და განაგრძო ნადირობა. ამ წესის დარღვევას ლეგენდით მონადირის დალუპვა მოჰყვა თან.

ფშავში ზემოხსენებული წესჩვეულების ოდნავ სახეშეცვლილი ანალოგი არის დამოწმებული:

„აზარს შეადგენს—ამბობს ვაჟა ფშაველი—ასი წმინდა, ჩლიქიანი ნადირი; კურდლელი, მელა, მგელი და დათვი აზარში არ ითვლებიან. რამდენ აზარს „აათავებს“, შეასრულებს მონადირე, თოფი იმდენჯერ უნდა დამარხოს, მიწაში სამ დღეს“¹.

როგორც ვხედავთ, თოფის დამარხვის წესის რაჭული და ფშავური ვარიანტები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და მხოლოდ აქ წარმოდგენილი მასალის ფარგლებში მისი ნამდვილი ბუნების ამოხსნა შეუძლებლად მიგვაჩნია.

ზემოთქმულიდან ნათელი ხდება, რომ რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია ნადირობასთან დაკავშირებული წესჩვეულებათა რიგი, რომელიც აშკარად მაგიურ ხასიათს ატარებს და რომელიც მიგვითითებს ნადირობის, როგორც შრომის პროცესის ერთერთი სხეობის, თავდაპირველი ბუნების მაგიურობაზე. გარდა ამისა, ირკვევა, რომ ნადირობასთან დაკავშირებულ წესჩვეულებათა შორის დამოწმებულია წესჩვეულებათა ისეთი ჯგუფი, რომელიც ჩვენი აზრით ჰასაკობრივი დაჯგუფების გადმონაშთს წარმოადგენს.

დედაკაცის ამათუში სახით მონაწილეობა ნადირობის პროცესში უნდა შევაფასოთ როგორც შრომის სქესობრივ-ჰასაკობრივი დანაწილების განუვითარებელი საფეხურის გაღმონაშთი, კარგად დაცული რაჭველ მონადირეთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში.

ნადირობასთან დაკავშირებულ წესჩვეულებებში აშკარად მოჩანს ღორისაღმი დამოკიდებულების ფაქტები, რომლებიც მოცემულია პოზიტიური და ნეგატიური ნიშნით და რომლებიც თვალნათლივ ამეღავნებენ ღორის კულტის მნიშვნელოვან ადგილს ქართველთა უძველეს მსოფლმხედველობაში.

საერთოდ კი რაჭველ მონადირეთა ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულ წესჩვეულებათა უმრავლესობა სიმპათიური მაგის იმ პრინციპზეა აგებული, რომელსაც ეწოდება „მსგავსი გამოიწვევს მსგავსს“.

¹ ვაჟა-ფშაველა, აფხუშობა, „ივერია“, 1886 წ., № 141.

2. თ ა ვ რ ი ღ ი

ნანადირევის განაწილების აღწერის დროს ჩვენ მოყვანილი გვქონდა მთელი რიგი მასალებისა, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ თავრიელს, როგორც თვით განაწილების პოცესში, აგრეთვე საერთოდ ნადირობასთან დაკავშირებით შესრულებულ რიტუალურ ცერემონიებში, განსაკუთრებული ადგილი ეჭირა და ამდენად მას განსაკუთრებული ინტერესიც ენიჭება.

იმ მასალის საფუძველზე, რომელიც დამოწმებულია რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, კერძოდ ნანადირევის განაწილებასთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ:

1. დახოცილი ნადირის თავრიელი ენიჭებოდა იმ მონადირეს, რომელმაც პირველად მოადინა სისხლი ნადირს, მიუხედავად იმისა, სასიკვდილოდ დასჭრა იგი მონადირემ თუ მხოლოდ მსუბუქი ჭრილობა მიაყენა მას. და რადგანაც უმეტეს შემთხვევაში (განსაკუთრებით მასობრივი ნადირობის დროს) პირველი სროლის უფლება ყველაზე უფროს მონადირეს ეკუთვნოდა, ამდენად თავრიელი უმეტეს შემთხვევაში უფროს მონადირეს ხელებოდა ხოლმე წილად, რადგან ყველაზე გამოცდილი მონადირე უმეტეს შემთხვევაში ყველაზე უფროსიც იყო. მაშასადამე, განაწილების ასეთი სისტემის პირობებში პასაკით ყველაზე უფროსი მონადირე უზრუნველყოფილი იყო ნანადირევის განსაკუთრებული ნაწილით, ამ შემთხვევაში თავრიელით.

2. დახოცილი ნადირის თავრიელი, იმ მონადირის სახლში, რომელსაც წილად ხვდა იგი, თვალსაჩინო ადგილზე იყო გამოფენილი, კერძოდ: ჯიხვისა და არჩევის რქები (ხოლო ძველათ ირმის რქებიც) სახლის კედლებზე იყო დაკრული, ხოლო დათვის თავრიელი—ღობის სარებზე ან ეზოში ამისთვის სპეციალურად მოწყობილ მარგილებზე. განთქმული მონადირის შვილები (ან შვილის-შვილები) ახლაც ამაყობენ: „მამა ჩემს (ან ბაბუაჩემს) ჯიხვის რქები ორმაგად ჰქონდა ჩამწკრივებული სახლის კედლებზეო“. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში თავრიელი გამარჯვებას აღნიშნავდა, წარმოადგენდა თავისებურ ტროფეის.

3. ნადირობის წინ ან ნადირობის შემდეგ შესრულებული ლოცვის დროს ჯიხვის რქებზე სანთლის დანთება სცოდნიათ. პირველ შემთხვევაში კარგ ნანადირევსა და მონადირის შინ მშვიდობით დაბრუნებასა სთხოვდნენ ნადირთ პატრონს, ხოლო მეორე შემთხვევაში მაღლობას უძლენიდნენ მას ბარაქიანი ნადირობისათვის.

ამასთან ერთად არსებობდა ნანადირევის თავრიელის ხატზე შეწირვის წესი, რომლის დამადასტურებელი ფაქტები საკმაო სიუხვით მოიპოვება რაჭის მთელ ტერიტორიაზე. ასეთია მაგალითად, ს. გ ლ თ ლ ი ს შეელის ეკლესია, ლების და სხვა სოფელთა ეკლესიები, სადაც საკმაო რაოდენობით არის ნაპოვნი ჯიხვისა და ირმის რქები, როგორც შემოწირულების რეალიები.

ორი უკანასკნელი გარემოება, სახელდობრ, ნანადირევის რქებზე სანთლის დანთებით ლოცვის შესრულება და რქების შეწირვა ხატზე დაბეჯითუბით მიგვითოთებს თავრიელის საკულტო დანიშნულებაზე.

თავრიელი დღესაც მოიპოვება საკმაოდ დიდი რაოდენობით, როგორც მონადირეთა სახლებში, აგრეთვე ხატებთან. ხშირად თავრიელი წარმოდგენილია ან მხოლოდ რქების სახით, ან მხოლოდ ყბების, ან მხოლოდ თავის ქალის სახით.

თავრიელის ამგვარი დანიშნულებით გამოყენება სხვა ქართველ ტომთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც არის დამოწმებული. მაგ., გ. რადე საყურადღებო ცნობას გვაწვდის სადადიანო სვანეთის შესახებ. ამ ცნობიდან ირკევვა, რომ სვანები ეკლესიებში ინახავდნენ „რელიგიური მოსაზრებით“ გარეული ცხოველებისა და ხანდახან შინაური საქონლის რქებს¹.

იმავეს ამოწმებს სვანეთის მიმართ თავისუფალი სვანი აღწერს რა სვანების ეკლესიების ქონებას, იგი აღნიშნავს:

„.... ძვირფასი თვლები, შვილდ-ისარი, ჯიხვის, არჩვის და ირმის რქები, ძველი დროის სამუშაო იარაღი“², და იქვე განმარტავს:

„ნადირის რქებს სწირავდა ეკლესიას მონადირე ნიშნად მაღლობისა“³.

ანალოგიურ ცნობას გვაწვდის ზისერმანი ხევსურების მიერ ნადირის რქების ხატზე შეწირვის შესახებ. მისი სიტყვით: დახოცილი ნადირის რქებს მონადირები სულმუდამ სწირავდნენ ხატს, და ლურსმნებით ამაგრებდნენ მათ ხატის კედლებზე⁴. უფრო მეტის თქმა შეიძლება. ხევსურეთში კოლექტიური ნადირობის დროს

¹ Г. Радде, Путешествие в мингрельских альпах, ЗКОРГО, ტ. VII, ნაკ. I, გვ. 112.

² თავისუფალი სვანი, სვანეთის ეკლესიათა ქონება, „დროება“, 1885 წ., № 78.

³ იქვე.

⁴ А. Зиссерман, Очерки Хевсурии, „Кавказ“, 1851 წ., № 22.

დახოცილი ნადირის რქების შეწირვა ხატზე სავალდებულო აუცილებლობასაც წარმოადგენდა. რ. ერისთავის სიტყვით მოქლული ჯიხვის ტყავი მთლიანად იმას ეჟაფნოდა, ვინც მოქლავდა ჯიხვს; რქებს სწირავდნენ ხატს, ხოლო ხორცს მონადირები თანაბრად ინაწილებდნენ¹.

ნანადირების რქების შეწირვა ხატზე ფშავშიც არის დამოწმებული. ფშაველთა ეთნოგრაფიული ყოფის საუკეთესო მცოდნე ვაჟაფშაველა პირდაპირ მიუთითებს, რომ ფშაველი მონადირები ნანადირების რქებს ხატსა სწირავდნენ ხოლმე².

თავრიელის გაყიდვას რაჭელი მონადირები ერიდებოდნენ. თავრიელის გაყიდვა აქ არ იყო მიღებული; ხოლო სვანეთში თავრიელის გაყიდვა პირდაპირ აკრძალული ყოფილა. სვანეთში თავრიელის გაყიდვის აკრძალვის შესახებ ცნობა. კალინოვსკის მოქმედება.

მისი გადმოცემით მონადირებ რომ გაყიდოს დახოცილი ნადირის ტროფეები მას შემდეგი ნადირობის დროს აღარ ექნება ბედი³.

როგორც ვხედავთ, ნადირის თავრიელს განსაკუთრებული აღგილი ეჭირა, როგორც ნანადირების განაწილების პროცესში, აგრეთვე იმ რიტუალში, რომელიც სრულდებოდა მონადირეთა მიერ ნადირობასთან დაკავშირებით.

როდესაც ნანადირების განაწილების სისტემებს ვიხილავდით რაჭის მასალის საფუძველზე, ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ნადირის მომკვლელს წილად ხვდებოდა ნადირის თავ-კისერი, ხოლო თუ ნადირი რქიანი იყო—თავრიელი რქებითურთ. აღვნიშნეთ აგრეთვე ის მრავალმხრივ საინტერესო გარემოება, რომ მომკვლელად ითვლებოდა პიროვნება, რომელიც ყველაზე აღრე „მოარტყამდა“ ნადირს თავის

¹ Р. Эристов, О тушено-пшаво-хевсурском округе, დასახ. გამ.: გ3. 127.

² ვაჟაფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, ტფ. 1937 წ., გვ. 110.

³ А. Калиновский, დასახ. ნაშრ., გვ. 53, შდრ. დუბროვინის ცნობას ათხაზების შესახებ, რომელნიც დახოცილი ნადირის თავ-კისერს ძალიანიაფად ყიდნენ (Дубровин, История воинов..., წ. 2, გვ. 7). საინტერესო ცნობა აქვს მოცემული კერძოდ ვგვიპტელთა შესახებ. მისი სიტყვათ ეგვიპტელები მოკლულ ცხოველს მოსჭრიდნენ თავს, სხეულს გაატყავებდნენ, ხოლო თავზე წარმოსთხვამდნენ სხვადასხვა შელოცვებს და წაიღებდნენ მას გასასყიდად. იმ შემთხვევაში თუ ელინელი ვაჭრები თავს არ იყიდნენ ეგვიპტელები მას (თავრიელს) წყალში აგდებდნენ (Геродот, История, დასახ. გამოც., თ. 2, § 39).

12. კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში:

იარაღს, პირველად მოადენდა მას სისხლს, თუნდაც რომ მიყენებული ჭრილობა მეტად მსუბუქი ყოფილიყო და არა სასიკვდილო. ხაზი გაეუსცით იმ გარემოებას, რომ უფროსის უპირატესი უფლება პირველ სროლაზე უმეტეს შემთხვევაში უზრუნველყოფდა მისთვის ნანადირევის თავრიელს.

რაჭაში შეკრებილი და სხვა ქართველ ტომთა ყოფაში დამოწმებული მასალები თავრიელის შესახებ საკმაო სიცხალით ამ-ულავნებენ მის ორგვარ ბუნებას: თავრიელი გვევლინება ჩვენ ერთი მხრივ როგორც გამარჯვების ტროფეი, ხოლო მეორე მხრივ, როგორც საკულტო საგანი.

სრულიად ბუნებრივად იბადება კითხვა — რა დანიშნულება ჰქონდა თავრიელს თავრაპირველად? წარმოადგენდა იყი გამარჯვების ტროფეის და შემდეგ შეითვისა რელიგიურ-საკულტო ფუნქცია თუ პირიქით?

არსებობს სერიოზული საფუძვლები დაისვას საკითხი იმის შესახებ, რომ თავრიელის თავდაპირველი დანიშნულება ტროფეის სახით იყო წარმოადგენილი და რომ ნადირის თავის მოკვეთის წეს-ჩვეულების მნიშვნელობის ახსნა აღამიანის თავის მოკვეთის პრაგ-ტიკაში უნდა ვეძიოთ.

როგორც ცნობილია, აღამიანი განვითარების პირველ საფუძურზე შემკრებლობითი მეურნეობით ირჩენდა თავს, ბუნების მზამზარეული პროდუქტების საშუალებით არსებობდა. მისი საარსებო საშუალებანი ტერიტორიულად მტკიცედ იყო განსაზღვრული. ამგვარი პირდაპირი და ორგანული დამოკიდებულება აღამიანისა ბუნების მოწყალებისადმი და სხვადასხვა დაჯგუფებათა თანარსებობა ერთ ტერიტორიაზე ამ დაჯგუფებათა შორის მუდმივ ომიანობასა და ქიშპობას იწვევდა.

ომიანობის სარჩული დაჯგუფებათა შორის, მისი მიწეზი და მოტივი აუცილებლად ეკონომიურ ხასიათს ატარებდა, რამდენადაც იგი იმ ტერიტორიის სადაც საკითხებთან იყო დაკავშირებული, რომელიც ამათუებ დაჯგუფებისათვის ძირითადსა და ერთადერთ საარსებო წყაროს წარმოადგენდა. ფ. ე ნ გ ე ლ ს ი ამბობს: „... მით კი ისეთივე ქველი ამბავი იყო, როგორც რამდენიმე საზოგადოებრივი ჯგუფის ერთდროული თანარსებობა“¹.

მაგრამ განვითარების ამ საფეხურზე, საკუთრივ ნადირობის პროცესში, ჯერ კიდევ არ არის მოცემული შრომის ორგანიზაციის

¹ ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, დასახ. გამ., ტფ. 1933 წ., გვ. 146.

კოლექტიური ფორმები, ხოლო ომიანობა კოოპერაციის გარეშე წარმოუდგენელია.

კ. მარქსის „კაპიტალი“-ს ერთერთ შენიშვნაში შემდეგი საგულისხმო აზრი აქვს გამოთქმული:

„Linguet-ი თავის Theorie des lois civiles-ში შეიძლება არ სცდებოდეს, როდესაც ნადირობას კოოპერაციის პირველ ფორმად სახავს, ხოლო აღამიანზე ნადირობას (ომს) — ნადირობის პირველ ფორმად“².

კ. მარქსის ახლადგამოცემულ ერთეულთ ხელაწერში, რომელიც 1857—58 წ.წ. ეკუთვნის, ვკითხულობთ ფრიად საგულისხმო წინადადებას, რაც რუსულ თარგმანში მოგვყავს ქართული თარგმანის უქონლობის გამო:

„Поэтому в война — это один из самых первобытных видов труда каждого из этих естественно сложившихся коллективов, как для отстаивания собственности, так и для приобретения ее“³.

როგორც ეტუობა, ომიანობა შრომის კოოპერაციის იმ არქაულ ფორმას წარმოადგენდა, რომელიც სტადიალურად კოლექტიურ ნადირობასაც კი უსწრებდა წინ, ორგანიზებული ნადირობის იმ ფორმას, რომელიც ვანმტკიცდა მსხვილ ნადირზე ნადირობის სტადიაზე.

რაც შეეხება ომიანობის შედეგად მოპოვებულ ტყვეებს, განვითარების ზემოხსენებულ სტადიაზე მუშახელს არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა და ამდენად დამარცხებული მტრის ტყვედ წამოყვანა პრაქტიკაში არ უნდა ყოფილიყო მიღებული.

ცოცხალ ძალას (ამ შემთხვევაში ტყვეს) მნიშვნელობა ვანვითარების შემდეგ საფეხურზე მიენიჭა. ეხება რა გვაროვნულ წყობილებას, ფ. ენგელსი ამბობს:

„მანამდე არ იცოდნენ როგორ მოეხმარათ სამხედრო ტყვეები, მათ ხოცდენ, წინაა კიდევ სჭამდენ“⁴.

დამარცხებული მტრის თავის ან სხეულის სხვა ნაწილის მოკვეთა განვითარების ამ საფეხურზე ფართოდ უნდა ყოფილიყო გამოყენებული, როგორც გამარჯვების ნიშანი. მართალია, უკანასკნელი დებულება მხოლოდ ჰიპოთეზურ ხასიათს ატარებს, რადგან არ მოგვეპოვება არქეოლოგიური ან სხვარაიმე მასალა კატეგორიული დას-

² კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, დას. გამ., ტფ. 1930 წ., გვ. 288.

³ К. Маркс, Формы предшествующие капиталистическому производству, ч. 2. „Пролетарская Революция“, 1938 წ., № 3, გვ. 165.

⁴ ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, დასახ. გამ., გვ. 146.

კვნის გამოსატანად. მაგრამ, რომ ომიანობის პრაქტიკა ხელსაყრელ ნიადაგს წარმოადგენდა თავის ან სხეულის სხვა ნაწილის მოკვეთის წესის არსებობისათვის—ეს უდავოდ მიგვაჩნია.

საინტერესოა რა სურათს ვხვდებით ამ თვალსაზრისით ქართველ ტომთა ეთნოგრაფიულ ყოფაში. ამ მიმართულებით არა ერთი საბუთი მოიპოვება იმის სასარგებლოდ, რომ ე. წ. თარეშს, მეკობრობას, ყაჩალობას საკმაოდ ვრცელი ასპარეზი ჰქონდა დათმობილი ძველათ ქართველ ტომთა ყოფაში.

ასე მაგალითად, ჭანების შესახებ არსებობს ბიზანტიიელი მწერლის აგათია სქოლასტიკოსის ცნობა, რომელიც ამბობს: „უმეტესი მათგანი კი (ჭანებისა, ალ. რ.) შექმნილი მდგომარეობით სარგებლობდა და ყაჩალობას მისდევდა, დათარეშობდა პონტის გასწვრივ მდებარე სოფლებში, ანადგურებდა ყანებსა და სძარცვავდა მგზავრებს“¹.

მაგრამ განა მარტო ჭანები მისდევდნენ თარეშს. მოიპოვება მთელი რიგი ცნობები, რომლებიც ამოწმებენ თარეშის პრაქტიკას სხვა ქართველ ტომთა სინამდვილეშიც.

მხველველობაში გვაქს სტრაბონის ცნობა იბერიის მთიელთა შესახებ, სადაც იგი ხაზგასმით აღნიშნავს მათ მებრძოლ ხასიათს², და არიანეს ცნობა, რომელიც პირდაპირ მიუთითებს „სოანების“ ყაჩალობაზე³:

სრულიად გარევეული ეკონომიური მიზეზების გამო თარეშისა და მეკობრობის ფაქტებს შემდეგ პერიოდშიაც ჰქონია აღგილი, შეტწილად მთაში. ალ. ოჩიაურის ცნობით:

„ქისტებთან ჩხუბების ირგვლივ არის აუარებელი ცნობები და ძველი ლექსები. ვინ იცის რამდენი უბრალო სისხლი იღვრებოდა ამ ორ პატარა ერს შორის სრულიად უმიზნოდ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ერთი მეორეზე ნადირობა იყო გამართული და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამ უბრალო ხალხის ხოცვასაც მოელო ბოლო. ეს ერთანირად ეხებოდა ხევსურებს, ფშავებს, ქისტებს, მოხვევებს. ფოცხვერა იყო ფშაველი და იგი ხშირად ეცემოდა თავისი გუნდით ლეკებს, ქისტებს და ხევსურებს“⁴.

ხევსურეთში მექობრობის არსებობაზე მიგვითითებს აგრეთვე ნ. ურბანელი. იგი ამბობს:

¹ ს. ყაუბ ჩი შვილი, გეორგიკა, ბიზანტიიელი მწერლების ცნობები, საქართველოს შესახებ, ტ. III, ტფ. 1936 წ., გვ. 82.

² B. ლათ მ III e ვ, დასახ. ნაშრ. ტ. I, გვ. 139.

³ იქვე, გვ. 222.

⁴ ალ. თჩიაური, ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალები, ენიმკის ეთნოგრ. განყ.-ის ხელნაწერი ფონდი, რვ. 37/12.

„წინად ხევსურეთში მექობრობა ჩვეულებრივს მოვლენას შეადგენდა; მექობრობდნენ უფრო ქისტეთში“¹.

იმავეს ამოწმებს ხევსურეთის მიმართ გ. თ ე დ ო რ ა ძ ე².

მსგავსი მდგომარეობა იყო ყაჩალობის განვითარების თვალსაზრისით სვანეთშიც, რაც ისტორიული დოკუმენტით არის დამოწმებული. მხედველობაში გვაქვს ალექსანდრე მეფის 1432 წლის სიგელი³, რომელიც დაბეჯითებით გვარწმუნებს თარეშის ფაქტების არსებობაში სვანთა ყოფაშიც.

არც რაჭა წარმოადგენდა ამ შემთხვევაში გამონაკლისს. ხალხური შემოქმედების საგანძურები დაცულია მთელი რიგი ლექსები და გადმოცემებისა, რომელნიც მიუთითებენ რაჭაში თარეშის პრაქტიკაზე.

სვანებსა და ლებელებს მუდმივი ქიშპობა ჰქონდა ერთმანეთში საძოვარი აღილების გამო, რის შედეგად ხშირად ეცემოდნენ ერთმანეთს, არბევდნენ და საქონელი მიჰყავდათ. ხალხში შემონახულია ასეთი ურთიერთობის მახასიათებელი ლექსი:

„ბართუზელი, ბართუზელი⁴

ზაფხულ ჩვენი ზამთარ თქვენი,

ვერცა გაიქნიოთ ცელი

ვერც დააბალახოთ ცხენი“.

(ელისა ლათეს ასული ლობჟანიძე, ს. ღები).

ამასთან მეტად საინტერესოა აღსანიშნავად, რომ ლების საზოგადოება, იმყოფებოდა რა სვანების მიმართ ხანგრძლივ საომარ განწყობილებაში, სამ ჯინად იყო დაყოფილი. ჯინში გაერთიანებული იყო მხედრობა გვარების მიხედვით. ჩამოყალიბებული იყო სამი ჯინი: დიდი ჯინი, პატარა ჯინი და შუა ჯინი. ჯინობა მორიგეობით დარაჯობას ნიშნავდა „გორი ბოლოში“, ე. ი. იმ აღგილას, საიდანაც მოსალოდნელი იყო სვანების გადმოსვლა ლებში. შერისძიების მიზნით ხშირად ლებელებიც დათარეშობდნენ სვანეთში.

ზემოხსნებულიდან ნათლადა ჩანს, რომ თარეშს ქართველ ტომთა ყოფაში გარკვეული ადგილი ეჭირა ძველათ და მის ცალკეულ ნიშნებს უახლოეს წარსულამდე მოუღწევია. რაც შეეხება მტრის თავის მოკვეთის ფაქტებს, ამ საკითხის გარშემო არსებული ისტო-

¹ ნ. ურბნელი, ეთნოგრაფიული ნაწერები, დას. გამ., გვ. 70.

² გ. თ ე დ ო რ ა ძ ე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, ტფ. 1939 წ., გვ. 48.

³ ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები, ნ. I, ტფ. 1914 წ., გვ. 127.

⁴ ბართუზელი—საძოვარი აღგილის სახელწოდებაა.

როული საბუთები დაპეჯითებით მიგვითითებენ იმ გარემოებაზე, რომ
ქართველი ტომებისათვის არც მტრის თავის მოკვეთა იყო უცხო.

ასე მაგალითად, ქსენოფონტე (434—359) „ანაბაზის“-ში
ამბობს, რომ ხალიბები ქამართან ატარებდნენ ლაკონური დაშნის მაგ-
გარ დანას, რომლითაც ისინი ხოცავდნენ ყველას, ვინც მათ ხელში
ჩაუვარდებოდათ, სჭრიდნენ თავებს და განაგრძობდნენ გზას¹.

ქსენოფონტეს ხალიბების შესახებ მოცემულ ცნობაში სა-
ინტერესო დეტალია დაცული: ირკვევა, რომ ხალიბები ცდილობ-
დნენ ეჩვენებინათ ელინებისათვის დახოცილი მტრის მოჭრილი
თავები².

დახოცილი მტრის რაოდენობის მნიშვნელობაზე მიგვითითებს
ატარეთვე არის ტოტელე, საუიქტებელია, იბერია შესახებ³.

ქართულ ისტორიულ წყაროებშიც არის მოცემული მრავალი
ცნობა თავის მოკვეთის ფაქტების არსებობის შესახებ. ასე მაგალი-
თად, მემატიანე, მოგვითხრობს რა ვახტანგ გორგასლანის შებრძო-
ლებას ხაზართა გმირთან, დასძენს:

„მოპეული თავი თარჯანს აღჯდა და წარვიდა დაშქართა თვესთა
თანა“⁴.

მტერთა თავების მოჭრის ფაქტები, თავების მარგილებზე და
ღობის სარებზე წამოცმით, შემდეგი პერიოდისთვისაც არის და-
მოწმებული. „ქართლის ცხოვრებაში“ მოიპოვება ცნობა იაყუბ ყაენის
შემოსევის შესახებ საქართველოში (XV ს.). ქართველ ხალხს საშინ-
ლად დაუმარცხებია შემოსეული მტერი: „მაშინ გარდაუსწვრეს
კუმისის ბოლოს ქაიხოსრო ციციშვილმან და ბარათიანთა და იქნა
ბრძოლა ძლიერი; შემდვომად იძლივნენ თათარნი და მოსრვიდენ
ქართველნი, რამეთუ თავთა მათთა აცმიდიან ღობე-მარგილთა
ზედა“⁵.

შემდეგში ლექობის დროს თავის მოჭრამ განსაკუთრებით ფარ-
თო ხასიათი მიიღო. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „დაერივ-
ნენ კახნი და თუშნი ხმალ-და-ხმალ შიგა და ყათლამი დამართეს;
დასჭრეს თავები, აჰკიდეს ულაყთა და საპალნებით მოართო მამასა
თვისსა მეფეს თეიმურაზს ქილაქსა შინა“⁶.

¹ B. ლათ ყ შ ე ვ, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 73.

² B. ლათ ყ შ ე ვ, დასახ. ნაშრ., ტ. I, იქვე.

³ B. ლათ ყ შ ე ვ, დასახ. ნაშრ., ტ. I, გვ. 383.

⁴ ჯუან შერ ჯუან შერიანი, ქართლის ცხოვრება, მ-მ დ-ი ვარ-
დასახ. გამ., გვ. 132.

⁵ „ქართლის ცხოვრება“, ჩუბინაშვილის გამ., ნაწ. II, გვ. 14.

⁶ იქვე, გვ. 472.

გარდა ისტორიული წყაროებისა, ქართულ ხალხურ შემოქმედებაში დაცულია მთელი რიგი ცნობები, რომელიც საბოლოოდ გვარწმუნებს, . რომ მტერთა თავების მოკვეთა ქართველ ტომთა ყოფაში გავრცელებულ ფაქტს წარმოადგენდა და მიჩნეულ იყო, როგორც სასიქაღულო, საგმირო საქმე.

მაგალითად, ერთერთ ფშავურ ლექსში გმირ ქავთარზე ნათქვამია:

„ქავთარა წითელაური
სააზნაურო გლეხია,
ქისტები ბევრი დახოცა
თავნი კალთაში ეხვია“¹.

ანდა:

„ვინა სთქვა, ენამც გაუხმო,
ჩარგალში ცუდნი ყმანია,
აფხუშო, ჰიჭახევაზე
სამასს ლექს მოსჭრეს თავია.
აფხუშურაზე გამოჩნდა
სისხლისა ალაზანია,
წინ მააქვ ფარი და ხმალი—
უკვენ ლეკების თავია“².

თავის მოკვეთის შინაარსობლივი მიზანდასახულება, რაც დაბარცხებაში მდგომარეობდა, გადმონაშთის სახით სხვადასხვა წესჩვეულებაშია დაცული. ასე მაგალითად, უქუდოთ სიარული დამარცხებასა ნიშავდა. აეთანდილისა და როსტევანის ნადირობაში შეჯიბრების ძირითად პირობას წარმოადგენს:

„ვინცა იყოს უარესი თავშიშველა სამ დღეს ვლიდეს“³.
ქუდის მოხდა ბოდიშსაც აღნიშნავდა. ვა ხუ შტი გადმოგვცემს

„ბოდიშობდიან ქუდის მოხდით, ვითარცა აწ მთის კაცნიცა“⁴.

მანდილზე ფეხის შედგმა მანდილის პატრონის დიდ შეურაცყოფად არის მიჩნეული ხეესურეთში⁵. ამას ვაჟკაცი ერიდება, როსთვისაც მახდილი გამოყენებულია როგორც რადიკალური საშუალება მოჩხუბარ მამაკაცთა გასაშველებლად.

¹ შაქრო, პანკისის ხეობა, გამ. „ივერია“, 1887 წელი; № 21.

² ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, დასახ. გამ., გვ. 152.

³ შ. რუსთაველი, ვეტერის ტყაოსანი, დასახ. გამ., ტ. 39.

⁴ ვაჟუ შტი, საქ. გეოგრაფია, დასახ. გამ., გვ. 12.

⁵ ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, დასახ. გამ., გვ. 120.

ზემოხსენებული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქართველ ტომებს ძველთაგან პქნიათ წესად მტრის თავების მოკვეთა. თავის მოკვეთის ფაქტებს უახლოეს წარსულამდე მოუღწევია და მის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენდა გამარჯვების აღნიშვნა, ე. ი. მოკვეთილი თავი ტროფეის ფუნქციას ასრულებდა.

მტრის თავის მოკვეთის წესჩვეულებაზე იმ მოსაზრებით შემჩრდით, რომ თავრიელის სახელწოდებით ნადირობასთან დაკავშირებულ წესჩვეულებათა ჯგუფი უშუალო კავშირში იმყოფებოდა ადამიანის თავის მოკვეთის წესთან. უახლეს ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში უკვე გამოთქმულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ნადირის თავრიელის ფუნქციონალური სემანტიკა სავსებით ემთხვევა ადამიანის თავის მოკვეთის შინაარსობლივ დანიშნულებას, იმავე ფუნქციას ასრულებს და ამდენად სემანტიკური შემცვლელია თავის მოკვეთის წესჩვეულებისა.

6. კიუნე რი, ეხება რა კუნძულ ფორმობას მოსახლეობის კოლექტურ ნადირობას ნადირზე და თავრიელის მნიშვნელობას; ამბობს, რომ ამ შემთხვევაში დახოცილი ნადირის თავები ადამიანის თავის მარგირობას ეწეოდნენ და ასრულებდნენ იმავე რიტუალურსა თუ სიმბოლურ დანიშნულებას¹.

რომ ადამიანის თავიცა და ნადირის თავრიელიც, როგორც ეს ქართული მასალებიდან ირკვევა, ერთნაირად განასახიერებდნენ გამარჯვებას, ერთნაირად წარმოადგენდნენ ტროფეებს, ეს საუცხოოდ ჩანს იმგვარ დეტალებში, რომელიც არავითარ ეჭვს არა სტოვებენ ჩვენში. ასეთია თუნდაც ნადირის თავრიელისა და ადამიანის თავის მარგილზე წამოცმა, სადაც ფორმალური ნიშნები ისევე ემთხვევიან ერთმანეთს, როგორც მათი შინაარსობლივი დანიშნულება.

რაც შეეხება ნადირის თავრიელისა და ადამიანის თავების რიტუალურ-საკულტო დანიშნულებას ასეთი თუ ნადირის თავრიელის შემთხვევაში, კერძოდ რაჭის ეთნოგრაფიულ მასალაზე, იშვიათი სიცხადით არის გამოვლენილი — ადამიანის თავის ქალის შესახებ ამის თქმა არ შეიძლება. ზოგადი ეთნოგრაფია თუ საქმაოდ ვრცელ ცნობებს გვაწვდის ადამიანის თავის ქალის რიტუალური დანიშნულებით გამოყენების შესახებ, რაჭაში ჯერ არ არის აღმოჩენილი ისეთი ენთოგრაფიული მასალა, რომელიც უფლებას მოგვცემდა ადამიანის ქალის რიტუალური საკულტო დანიშნულებით გამოყენების სასარგებლოდ გველაპარაკნა.

¹ Н. Кюнер, Коллективные охоты у формозских племен, Сов. Этнография, № 2-3, 1937 წ., გვ. 104.

მხოლოდ ფშავში დამოწმებულია მეტად საგულისხმო და საინტერესო წესჩვეულება, რომელიც საფუძველს გვაძლევს თავის ქალის რიტუალურ საკულტო დანიშნულებით გამოყენების შესახებ ვიღაპარაკოთ და მსგავსი წესჩვეულება სხვა ქართველ ტომებში ვეძიოთ: მხედველობაში გვაქვს ე. წ. აფხუშონობა, რომელიც საკმაო სისრულით აღწერილი აქვს ვაჟა-ფაველას. მისი სიტყვით აფხუშონობას ფშავლები ერთი თაორის ხანის მუზარადიდან სვამდნენ ღვინოს. თაორის ხანი ვინმე ღაფაურას მოუკლავს და ეს ხმალნაკრავი შუზარალი ხატისათვის შემოუწირავს¹.

ეს წესჩვეულება აუცილებლად საყურადღებო გარემოებას წარმოადგენს და გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ უთუოდ საქმე გვაქვს მოკლული მტრის თავის გამოსახულებასთან მოკლული მტრის მუზარადით, რაც ეთნოგრაფიული თვალსაზრისით სემანტიკურად ემთხვევა ერთმანეთს, რაღან თავი—ქუდი—ყური ერთი სემანტიკური რიგის მოვლენებს წარმოადგენენ, მოვლენათა ერთ კატეგორიას ეკუთვნიან იმ განსხვავებით, რომ ამ რიგის ორ უკანასკნელ ელემენტს შემონახული აქვს მხოლოდ პირობითი დანიშნულება, ე. ი., ეს ორი უკანასკნელი ელემენტი თავის ქალის სახეცვლილ გადმონაშოს წარმოადგენს.

აფხუშონობის დროს შესრულებული ზემოხსენებული წესი იმ-დენად, რამდენადაც იგი საკულტო-რიტუალურ მიზანდასახულებას უმსახურებოდა, გვაფიქრებინებს, რომ კერძოდ ფშავში, თუ ეს წესი უცხო ტომთა ზეგავლენით არ არის შემოსული, ადგილი ჰქონდა ოდესლაც ადამიანის თავის ქალის გამოყენებას საკულტო-რიტუალური დანიშნულებით. ეს გარემოება თავისთავად მეორე პარალელსა ჰბადებს ნაღირის თავრიელთან დაკავშირებით და იმდენად, რამდენადც ნათელი ხდება ადამიანის თავის ქალისა და ნაღირის თავრიელის სრული დამთხვევა, როგორც მათი ფორმალური ნიშნების (თვალსაჩინო ადგილზე დაკვრა), აგრეთვე მათი სემანტიკური დანიშნულების (ტროფეი და საკულტო-რიტუალური დანიშნულება) თვალსაზრისით, უფლებას გაძლევთ თავს დავასკვნათ, რომ ამ შემთხვევაში ნაღირის თავრიელმა შესცვალა ადამიანის თავის ქალა, თუმცა დაუკანასკნელი ხელსაყრელ პირობებში გარკვეული პურიოდის გამავლობაში თანარსებობდა ნაღირის თავრიელთან ერთად.

რომ ადამიანის თავის ქალა და შემდეგ ნაღირის თავრიელიც ტროფეების როლს ასრულებდნენ ზემოთქმულიდან უდავო ხდება;

¹ ვაჟა-ფაველას, ეთნოგრაფიული წერილები, დასახ. გამ., გვ. 150—151.

შაგრამ ქართველ ტომთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ტროფეების სახით დამოწმებულია აგრეთვე ხელის მტევანიც. მოიპოვება მთელი რიგი ცნობები იმის შესახებ, რომ ქართველ ტომთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სახლის კედლებზე დაკრული, დამარცხებული მტრის მუშიფიცირებული ხელი გამარჯვების სიმბოლოს წარმოადგენდა. მაგრამ ხელის მტევანი (ისევე, როგორც თავის ქალა ან თავრიელი) არ წარმოადგენს მხოლოდ ქართველ ტომთათვის მახასიათებელ ნიშანს. იგი საყოველთაოდ გავრცელებული მოვლენა ყოფილა. ამ საკითხზე ამომწურავი პასუხი აქვთ მოცემული დოც. ვ. ბარდაველი იძეს და დოც. გ. ჩიტაიას მათ უახლეს გამოკვლევაში. ზემოხსენებული ავტორები ამბობენ: „ამა თუ იმ სახით „ელი“ უძველეს დროიდანაა დამოწმებული და მრავალ ხალხშია ცნობილი. ჩვენ მას ვხვდებით ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში, ვადასტურებთ მას ხმელთაშუაზღვის აუზის კულტურაში, ძველ ეგვიპტეში, ირანში, ალბანეთში“¹.

ზემოხსენებულ გამოკვლევაში დადასტურებელია, რომ ქართველ ტომთა ეთნოგრაფიულ ყოფაში დამარცხებული მტრის მუშიფიცირებული ხელის მტევანი გამარჯვების ნიშანს წარმოადგენდა და სამხედრო ტროფეების რიგს ეკუთვნოდა.

ამგვარად ნათელი ხდება, რომ ქართველ ტომთა ეთნოგრაფიულ ყოფაში თანარსებობდა პარალელურად, როგორც გამარჯვების ნიშანი, მტრის თავის ქალაც და ხელის მტევანიც, როგორც ერთიდა-იმავე დანიშნულების შემსრულებელი ორი სხვადასხვა მოვლენა. ამ გარემოებას თავისებური გამოსახულება უპოვია ქართულ ფოლკლორში.

ასე მაგალითად, ერთერთ ფშავურ ლექსში ვკითხულობთ:

„შამაურბინა ფშაველმა,
შვიდსავ თავ მოსჭრა წამზედა,
შვიდსავ მარჯვენა ააჭრა
ერთის ამლათის ხანზედა“².

იგივე მოტივია მოცემული ერთერთ ხევსურულ ლექსში, რომელიც ქისტებზეა ნათქვამი:

¹ ვ. ბარდაველი იძე და გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, ტ. I, ხევსურული ორნამენტი, ტფ. 1939 წ., გვ. 20.

² ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, დასახ. გამ., გვ. 171.

„ყველას სჭიროს ოროლ სამსამი, პეტრეს მოგვიჭრეს შხარია, მხარს რადაღ შვრიდით რჯულძაღლნო, რალას გიქმოდათ მკვდარია,

ან ყურებს რადღა აჭრიდით, ეგ რაღა საკვეხარია“¹.

თუ რომ ამ შემთხვევაშიც ყურს ადამიანის თავის ქალის სემანტიკურ შემნაცვლელად მივიჩნევთ, იძულებული ვიქნებით აღვნიშნოთ, რომ ხელისა და თავის წაკვეთის წესი, როგორც გამარჯვების ნიშანი, პარალელურად თანარსებობდნენ და ერთსადაიმავე ფუნქციას ასრულებდნენ..

ხელის მტევნისა და თავის ქალის ურთიერთობის საკითხისა გარკვევის დროს არ უნდა იყოს დავიწყებული ის გარემოება, რომ ხელის მტევანი განვითარების გარკვეულ საფეხურზე გამარჯვების ნიშანსა და სამხედრო ტროფეისაგან განსხვავებით სპეციალურ ფუნქციასაც ასრულებდა. იგი იყო მიჩნეული, როგორც ძალისა, ძლიერებისა და აქედან უფლების მაჩვენებელი სიმბოლური ნიშანი²:

ამ თვალსაზრისით საინტერესოა რაჭაში დამოწმებული ერთ-ერთი ლეგენდა, რომელიც ხელის ამ ფუნქციას უფრო გამოხატავს, ვიდრე გამარჯვების ტროფეას. ამ ლეგენდის მიხედვით: „ერთმა მონადირემ ეკლესიიდან გამოსული მამაკაცი ნახა, რომელმაც უთხრა მონადირეს: „წადი სოფელს უთხარი თაყვანი მცენ, თორებ გავა-უბედურებო“. მონადირემ უპასუხა: „ეგ რომ უთხრა არ დამიჯერებენ რომ შენი ნათქვამიაო“. მაშინ მამაკაცმა მონადირის საკვესაბ-დეს ხელი დაჭრო და ზედ ხელის კვალი აღბეჭდა, თანაც უთხრა: „წადი ეს აჩენენ და დაგიჯერებენ“³ (ს. გლოლა, ილიკო ფე-რისას ძე ბაღაშვი ლი).

შეუძლებელია ამ ერთი ლეგენდის საფუძველზე რაიმე კატეგორიული დასკვნის გაკეთება. ცხადია მხოლოდ, რომ ამ გადმოცემაში გამოსჭვივის ხელის ის ფუნქცია, რომელიც სიმტკიცის სიმბოლოს უფრო უახლოვდება, ვიდრე სამხედრო ტროფეის და ეს გარემოება ზემოთალიშნულთან ერთად ცხადყოფს, რომ ხელს გამარჯვების ნიშნისაგან განსხვავებული ფუნქციაც ახასიათებდა.

მტრის ხელისა და თავის მოკვეთის ურთიერთობის საკითხისა გარკვევისათვის საინტერესო მასალას გვაძლევს ძველი აღმოსავლეთის ეთნოგრაფიული ყოფა.

¹ ა. ლ. აჩიაური, ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალები, ხალხური პოეზია, ენიმკი-ს ეთნოგრ. გამუ. ხელნაწერი ფონდი, რვ. 24/12.

² ვ. ბარდაველი და გ. ჩიტაია, ხევსურული ორნამენტი, დასახ. გმ., გვ. 19.

არსებობს გ. მასპეროს მითოთება იმის შესახებ, რომ ეგვიპტელები, მაგალითად, არ მიმართავდნენ მტრის თავის წაკვეთას; მათ წესად ჰქონდათ შემოლებული ხელის მტრის მოკვეთა¹.

ეს რიტუალი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ სელის წაკვეთის ცერემონიას თვითონ ფარაონი ესწრებოდა ხოლმე².

ასურეთ-ბაბილონეთში კი იმავე ავტორის ცნობით თავის წაკვეთა ფართოდ გავრცელებული ყოფილა. მეომარს ნადავლიდან წილი ეძლეოდა მის მიერ მოკვეთილი თავების რაოდენობის მიხედვით³.

ასურნაზირპალს ქურთისტანისა და სამხრეთ სომხეთის ტომების დამარცხების შემდეგ დამარცხებული მტრის მოკვეთილი თავების პირამიდები დაუდგამს⁴.

იცოდნენ აგრეთვე მტრის მოკვეთილი თავის მუმიციფირება და თვალსაჩინო აღვილზე ჩამოკიდება⁵.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აგრეთვე ის გარემობა, რომ ასურეთში მტრის თავის მოკვეთასთან ერთად არსებობდა ნადირის თავრიელის და ტყავის, როგორც გამარჯვების ტროფეის, ნიშანსახეობის, საგანძურაში დაცვა⁶.

თუ მოვიგონებთ ჰეროდოტეს მიერ მოწოდებულ ცნობას ეგვიპტელების შესახებ, რომლის მიხედვით ეგვიპტელები სცდილობენ ჩქარა გაყიდონ ცხოველის თავი და თუ ვერ გაყიდეს—თავს წყალში ავდებენ⁷, ჩვენთვის ნათელი გახდება სხვადასხვაგვარი შეხედულების არსებობა, კერძოდ, თავრიელის მიმართ ეგვიპტელთა და ასურელთა შორის.

ამდენად, კერძოდ, ქართველ ტომთა ყოფაში დამოწმებული თავრიელისა და ხელის წაკვეთის წესჩვეულებათა ბუნების, მათი წარმოშობილობისა და მათ შორის ურთიერთობის გარკვევის დროს ზემოხსენებული არ უნდა იყოს გამოტოვებული მხედველობიდან.

ზემოხსენებული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ რაჭაში, ისევე როგორც სხვა ქართველ ტომთა ყოფაში, ნადირის თავრიელი

¹ Г. Масперо, Древняя история, СПБ. 1900 წ., გვ. 155.

² Г. Масперо, იქვე,

³ Г. Масперо იქვე, გვ. 273.

⁴ Г. Масперо, Древняя история народов Востока, М. 1903. წ., გვ. 367.

⁵ Г. Масперо, იქვე. გვ. 471.

⁶ Г. Масперо, Древняя история, დასახ. გამ., გვ. 217.

⁷ Геродот, История, დასახ. გამ.; თ. 2, § 39.

ასრულებდა ორგვარ დანიშნულებას. იგი ერთი მხრივ წარმოადგენდა გამარჯვების (ვაჟკაცობის) სიმბოლოს, ხოლო მეორე მხრივ—საკულტო რიტუალურ საგანს. ზოგადი ეთნოგრაფიის ხაზით დამოწმებული ამავე რიგის ფაქტი და ქართველ ტომთა შესახებ არსებული ისტორიულ-ლიტერატურული წყაროები საფუძველს გვაძლევენ დავსვათ საკითხი იმის შესახებ, ხომ არ წარმოადგენს ნადირის თავრიელი მტრის მოკვეთილი თავის სიმბოლიურ გამოსახულებას?

3. ნადირთ პატრონი

ნადირობასთან დაკავშირებულ წესჩვეულებათა რიგში მნიშვნელოვანი აღგილი ჰქონდა დათმობილი ნადირობის დაწყებისა და დამთავრების ცერემონიებს, რომლებიც მიძღვნილი იყო ნადირთ პატრონისადმი.

სანადიროდ წასვლის წინ შეიქრიბებოდნენ მხოლოდ იმ ოჯახის წევრები, საიდანაც მიღიოდა მონადირე და ოჯახის უფროსი (დედაკაცი ან მამაკაცი) ჯიხეის რქებზე დაანთებდა სანთელს, ამ ცერემონიის შესრულებისას გავრცელებული იყო შემდეგი ლოცვა:

„ოჩოპინტრა ბედნიერო,
ოჩოპინტრა მშვენიერო
მოგვეც შენი მოწყალება,
შენი ნამწყემსური ნადირი“—ო.

(გრიგოლ მალაქიას ძე ლობეგანიძე, ს. ლები),

იგივე ლოცვა სრულდებოდა მონადირეთა მიერ სანადირო აღგილზე მისვლისას, კლდის პირველ შესავალ ში, სადაც საწოლელს აკმევდნენ, ცეცხლზე იმეორებდნენ ზემომოყვანილ ლოცვას და ამ შემთხვევისათვის სპეციალურად გამომცხვარ ხმელგანატეხს შესჭიმდნენ. მაგრამ შესველ კლდეში არ მიღიოდნენ მონადირეები სანადიროდ. ხშირად ტყეუში უხდებოდათ ნადირობა ან მთაში. ასეთ შემთხვევებში მონადირეები ზემოხსენებულ ცერემონიას ასრულებდნენ ბინული ნაძვის ქვეშ. მონადირეებს ასეთი ბინები მრავალ აღგილზე ჰქონდათ მოწყობილი, რაც დიდ დახმარებას უწევდა მათ, რადგან ხშირად ნადირობა 3—5 დღეს გასტანდა ხოლმე და სუსხიან ზამთარში ასეთი ხანგრძლივი ნადირობა მხოლოდ იმ პირობებში იყო შესაძლებელი, თუ მონადირეთა ჯგუფი თავშესაფრით უზრუნველყოფილი იყო. საბინაო ნაძვი ან ბინული ნაძვი ეწოდებოდა გრძელ და ხშირ ტოტებიან მაღალ ნაძვს, რომლის ტოტების ქვეშ შედარებით სიმშრალე იყო დაცული. ყო-

ველი ასეთი ნაძვის ქვეშ ან ქვაბულში. მონადირეს ხედებოდა მშრალი შეშის მარაგი, რომელიც დატოვებული იყო მის წინ აქ მყოფი მონადირის შიერ. მონადირეთა ეთიკა სასტიკად თხოულობდა, რომ მონადირეს ბინულ ნაძვში თუ გამოქვაბულში დასვენებისა და დატოვებული შეშის მარაგის გამოყენების შემდეგ თავის მხრით დატოვებინა შეშა, რომელიც მომდევნო მონადირის მოსვლისაოვის საკმაოდ გაშრებოდა. რაც შეეხება კერძოდ ქვაბულებს, ასეთებში, როგორც უფრო ხანგრძლივად სამყოფ ადგილებში, იმყოფებოდა კვეს-აბედი, მარილი, შეშა, ხანდახან ქვაბიც კი.

იმ ქვაბულებს, რომლებითაც მონადირეები ხშირად სარგებლობილნენ, საკუთარი სახელიცა ჰქონდათ მიჩნეული, რომელიმე განთქმულ შონადირესთან დაკავშირებით. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ამათუმ გამოქვაბულით, რომელიც დაკავშირებული იყო მონადირის გარკვეულ სახელთან, მხოლოდ ერთი გვარის წარმომადგენლები სარგებლობდნენ. ასეთი ადგილები ცნობილი იყო რაჭაში ქუთა ქვასა, გუა ქვასა და სხვა სახელწოდებით.

ბინული ნაძვის ქვეშ მისვლის შემდეგ მონადირეები მოასუფთავებდნენ ნაძვის ძირს, გაშლიდნენ მიწაზე მშრალ ფიჩეს, სურსათით სავსე გუდებს ჩამოჰკიდებდნენ ნაძვზე, შეასრულებდნენ ლოცვას ნადირთ პატრონის მიმართ და შემდეგ დაპურდებოდნენ. როგორც აღვნიშნეთ ნადირის პატრონსა სთხოვდნენ ბარაქიან ნადირობასა და შინ შვეიცარი დაბრუნებას. ნადირობის შემდეგ აქ, ისევე როგორც ქვაბულში, წვავდნენ და შეჭიმდნენ. რიტუალურ გულლვიძლს ან ჩეველებრივი მწვავდისა ან ჯორმის სახით. ჯორმა ორგვარი წესით მზადდებოდა.

1. წვრილად დაჭრილ გულლვიძლს, ფილტვებს, კუჭს, ჭაჭებსა და შიგნეულ ქონს ჩასდებდნენ ე.წ. ფუჟ ში (შიგნეულის ნაწილია) და უქვაბოდ ჩამოჰკიდებდნენ ცეცხლთან შორი-ახლოს. წვრილად დაჭრილი შიგნეული წვენს გამოუშვებდა, რაშიც იხარშებოდა ხორცი.

2. ფუჟში ჩალაგებულ ნადირის წვრილად დაჭრილ შიგნეულს წვრილი ნაწლავებით შეერავდნენ და მეორე ფუჟში ჩასდებდნენ. შემდეგ ამოთხრიდნენ მიწაზი ორმოს, რომელშიც ჩაჰკიდებდნენ ფუჟს. ზევიდან შემდეგ მას წაყრიდნენ მიწას თხელ ფენად და ზედცეცხლს დააგუზებდნენ.

მასობრივი ნადირობის შემდეგ სცოდნიათ აგრეთვე სახლში დაბრუნებისას ოჩხარის გამართვა. ოჩხარს უწინ ლოცვა ეწოდებოდა. ოჯახში უფროსი დედაკაცი ან მამაკაცი დაანთებდა ჯიხვის რქებზე სანთელს და მაღლობას მიუძღვნიდა ნადირთ პატრონს.

ნანადირევისა და შინ მშვიდობით დაბრუნებისათვის. ამ შემთხვევაში აუცილებელი იყო სასმელი, რომელსაც მონადირეები დახოცილი ნადირის ტყავის ღირებულებით იძენდნენ.

რაც შეეხება იმას, თუ რა სახითა ჰყავდათ ძველათ წარმოდგენილი ნადირობასთან დაკავშირებული ღვთაება, უნდა ითქვას, რამ შეხედულებათა ერთობლიობა ნადირთ ღვთაებაზე მთელი რაჭის მოსახლეობისათვის, გადმონაშთების სახით, დღეს არ არის დაცული. ადგილი აქვს საკმაო აღრევას და, რაც მთავარია, სხვადასხვა ვერსიების განსხვავებული ნიშნები არ ემთხვევიან მოსახლეობის ტერიტორიული განვენილობის გარკვეულ პრინციპს. უფრო მეტის თქმა შეიძლება: ხშირად ერთსადაიმავე დასახლებულ ადგილზე ორი რადიკალურად განსხვავებული ვარიანტიც არის დამოწმებული. ამდენად საჭიროდ მიგვაჩინია მოვიყვანოთ ყველა ვარიანტი, რომელიც კი ჩაწერილია რაჭის სხვადასხვა სოფლებში.

სოფ. საღმელში და რიცეულაში ნადირთ პატრონი ლამაზი, გრძელთმიანი ქალის სახითა ჰყავდათ წარმოდგენილი. იგი იღუმალ კავშირში იმყოფებოდა მონადირესთან და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში სწყალობდა მას. იგი უკრძალავდა მის გარეშე სხვა ქალთან რაიმე სიახლოეს და ერთგულების დარღვევის შემთხვევაში სასტიკად სჯიდა მას. ამავე დროს ნადირთ ანგელოზი ნადირის ყარაულიც იყო—მისი მწყემსი.

სოფ. საკაოში ნადირთ პატრონი, ცრუმორწმუნე მონადირეების შეხედულებით, ქალია და იმავე ნიშნებს ატარებს, რაც სოფ. საღმელში და რიცეულაში, მაგრამ აქვე ახლო მდებარე სოფელში, ხილაშში, ნადირის მწყემსი და ნადირის ანგელოზი გაიგივებულია. „ნადირს ისევე ჰყავს თავისი პატრონი, როგორც საქონელს მწყემსი“—ო. ნადირთ ანგელოზი || ნადირთ პატრონი ქალიც არის და კაციც. ადამიანი გარკვეულად ვერ იტყვის ქალია იგი თუ კაცი.

სოფ. ლიხეთში ჩაწერილი ვერსიის თანახმად ნადირის პატრონი ქალია (ლამაზი გრძელთმიანი და სხვა), რომელიც სიზარში ეცხადება მონადირეს და ასწავლის სანადირო ადგილებს იმ პირობით თუ მონადირე მის სიყვარულს გაიზიარებს.

სოფ. უწერაში ნადირთ პატრონი წმინდანად იყო მიჩნეული, ხოლო ივი მამაკაცის სახეს ატარებდა. მას ეწოდებოდა აგრეთვე ოჩოპინტრა. რაც შეეხება ნადირთ მწყემს იგი სხვაა. იგი ხშირად მონადირეს მთვარის სახით ევლინება. გარდა ამისა, ნადირს ჰყავს ოთხკუთხივ ყარაული, თეთრი ნადირი, რომელიც მას დარაჯობს.

სოფ. გლოლაში დამოწმებულია საინტერესო ლოცვა, რომელ-
საც თოფის წამლის დამზადების დროს ასრულებდნენ. სახელდობრ-
„ლმერთო გვიშველე, რომ ნადირთ მწყემსმა ნადირი მოვცეს“. აუ-
ამ შემთხვევაში ლმერთის ადგილზე ანგელოზს წარმოვიდგენთ—ლვთაე-
ბათა ორი განსახიერების არსებობა ნათელი გახდება. ნაღირს, გლო-
ლაში ძველათ გარეულებული შეხედულებით, თავისი მწყემსი ჰყავდა,
რომელიც მონადირეს სიზმარში ეცხადებოდა ხან ყმაშვილის, ხან
მოხუცის სახით. იგი არ იყო შეიარაღებული.

ნაღირის მწყემსს გარკვეული ნიშანი აქვს, ან ამობრუნებული-
რქა ან თეთრი ლაქა სხეულის რომელიმე ნაწილზე. სოფ. გლოლაში-
ვე ჩაწერილი ერთერთი ვერსიით ნადირთ მწყემსი შეიძლება მონა-
დირეს ლრუბლის სახით მოვლინოს და ხელი შეუშალოს მას ნადი-
რობაში, თუ რომ იგი მეტად ბევრ ნაღირს დახოცავს.

ს. ლებში ნადირთ პატრონი იგივე ნადირთ მწყემსია. იგი
უხილავია. ადამიანი ვერ იტყვის ქალია იგი თუ კაცი. ამავე სო-
ფელში, მთის ნაღირის ანგელოზისაგან განსხვავებით, ოჩოპინტრაც.
არსებობს, რის სასარგებლოდაც მოწმობს ერთერთი ლოცვის დასა-
წყისი. კერძოდ: „მთის ნაღირის ანგელოზო და ოჩოპინტრა“. მთის
ნაღირის ანგელოზი უფრო მჭლე, ნაღირს მფარველობს და მას ვერ
ელევა (ე. ი. ეცოდება), უფრო მსუქან ნაღირს გასწირავს, რის
სასარგებლოდაც ლაპარაკობს ლებშივე ჩაწერილი ერთერთი ლექსი.

„კლდემა გასძახა კლდესაო
მონადირეა ჩვენსაო,
მსუქანი ჯიხვი ვაჩუქოთ
თორემ წაგვართმევს მჭლესაო“.

(ელისა ლათეს ასული ლობუანიძე).

მაგრამ, მიუხედავად წარმოდგენათა ნაირსახეობისა, მაინც
შესაძლებელია იმ ზოგადი სურათის აღდგენა, რომელიც საერთოა
ყველა სოფლისათვის. ამ საერთო ხაზების მიხედვით ნაღირთ პატ-
რონი წარმოდგენილი ყავდათ ახალგაზრდა, ლამაზი, გრძელთმიანი-
ქალის სახით. იგი მეტწილად მხოლოდ მაშინ მფარველობდა მონა-
დირეს, თუ უკანასკნელი მის სიყვარულს გაიზიარებდა. მონადირეს სას-
ტიკად ჰქონდა აღვეოთილი სხვა დედაკაცთან რაიმე სახით დაახლოვე-
ბა. გვხვდება, როგორც აღვნიშნეთ, ნაღირის პატრონის აღწერის
განსხვავებული ვარიანტიც, რომლის მიხედვით ნაღირთ პატრონს
გაურკვეველი სახე აქვს, მაგრამ ვინაიდან ასეთი ელემენტი უფრო

ხშირ შემთხვევაში დამოწმებულია ნადირთ მწყემსის აღწერისას, ვფიქრობთ, რომ ეს უფრო ნადირთ მწყემსს შეეხება, ვიდრე ნადირთ პატრონს.

ნადირთ პატრონი უფრო მეტ დახმარებას უწევს მონადირეს, ვიდრე ნადირთ მწყემსი. ნადირთ პატრონი მონადირესთან იდუმალ კავშირშია და ხშირად მონადირის მაგიერ შურსაც იძიებს. ხოლმე.

ასე, მაგალითად, სოფ. ლებში ჩაწერილი ლეგენდის მიხედვით ერთ ლებელ მონადირეს ერთი ოსი მონადირე წაუყვანია სანადიროდ, შეუტყუებია იგი ულრანში და იქ მოუკლავს. მკულელობის მიზეზს ოსი მონადირის განთქმული თოფი წარმოადგენდა თურმე. აბა ვინ აიღებდა დაკარგული მონადირის კვალს და ეს ამბავი ვერავის შეუტყვია. ლებელი მონადირე განაგრძობდა თავისთვის ნადირობას ოსი მონადირის თოფით. ერთხელ ჯიხვზე ნადირობის დროს ჯიხვებმა (ალბათ ნადირთ პატრონის ჩაგონებით) ლებელი მონადირე გადაიტყუეს დიგორისკენ. დიგორში მან ასდღენიმე ჯიხვი მოჰკლა და შემთხვევით დამსწრე ოსები მიიპატიუა. დაპატიუებულ ოსებს უნახავთ მოძმის თოფი, უცვნიათ იგი, გაუგიათ ყველაფერი და ლებელი მონადირე იქვე მოუკლავთ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ნადირთ პატრონის განკარგულების გარეშე არც ერთ მონადირეს არ შეეძლო ნადირის მოკველა.

ნადირთ მწყემსს სოფ. ლებისა და გლოლის მასალების მიხედვით ნადირობასთან დაკავშირებულ ლვთაებების რიგში შეორე ადგილი უჭირავს. იგი არის მთავარი მწყემსი ნადირისა და ნადირთ პატრონის მთავარი თანაშემწე. ნადირთ მწყემსს ოჩო პინტრას უწოდებენ. ოჩოპინტრაზე ბევრი რამაა დამოკიდებული და მთელ რიგ შემთხვევებში ლოცვა უშუალოდ ოჩოპინტრას სახელზეა მიმართული. სოფ. ლებში ჩანაწერი მასალების მიხედვით ნადირთ მწყემსი უწილევია; არ შეიძლება ითქვას ქალის სახეს ატარებს იგი თუ კაცისას. მისი სახელის ხსენება სასტიკად არის აღკვეთილი ნადირობის პროცესში, რაღაც ცრუმორწმუნე მონადირეთა რწმენით იგი შეიტყობს მონადირეთა განზრახვებს და არ მისცემს მათ ნადირს. სოფ. გლოლაში დამოწმებული ლეგენდის მიხედვით ნადირთ მწყემსი ერთერთ მონადირეს, რომელმაც ძალიან ბევრი ნადირი დახოცა, ღრუბლის სახით მოვლინა. ნადირობის დროს ხელს უშლიდა მას, რის შემდეგ მონადირე ძლივს გადარჩა დალუპვას და ხელცარიელი დაბრუნდა სახლში.

13. კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში.

ოჩოპინტრა უფრო სასტიკად იცავს ნადირს მონადირისაგან, შაგრამ არის ხოლმე შემთხვევა, რომ იგი შუამდგომლის როლში გამოდის მონადირესა და ნადირთ პატრონს შორის.

ნადირობასთან დაკავშირებულ ღვთაებათა შორის გარკვეული ადგილი უჭირავთ, კერძოდ, ნადირის მწყემსებს, რომელნიც ნადირისა ან მისი ჩრდილის სახითა ჰყავდათ წარმოდგენილი. ჩეულებრივი ნადირისაგან განსხვავებით ძველათ წარმოდგენილი ჰყავდათ ნადირის მწყემსი ისეთი ნადირის სახით, რომელსაც ან რქა აქვს გამრუდებული, ან თეთრი ნიშანი აქვს სადმე სხეულზე, ან სხვა ჩაიმუ ამის მსგავსი. ამის მიხედვით, თუ სადა აქვს ნადირის თეთრი ლაქა, მას სხვადასხვა სახელი ეწოდება. მაგალითად, თუ ნადირის შუბლზე აქვს ლაქა ნიკორას ეტყვიან (ისევე როგორც საქონელს), თუ ზურგზე აქვს—ლომას, ხოლო თუ თეთრი ლაქა ნადირის მუცელზე აქვს ამოკრული—ფარჯენას უწოდებენ. უმთავრესად თეთრი და თეთრ-ლაქიანი ნადირი ჯიხვებსა და არჩებს შორისა ხედებოდა და ძველათ გავრცელებული წარმოდგენების მიხედვით, სწორედ ეს იყო „ნაწილიანი“ ნადირი, ე. ი. „წმინდა“ ნადირი, რომელიც მწყემსის ფუნქციას ასრულებდა. მისი მოკვლა მონადირებს შეუძლებელ საქმედ ჰქონდათ წარმოდგენილი და, გარდა ამისა, ერთერთი ვერსიით თვით მონადირენი ერიდებოდნენ მას მოკვლას, რადგან ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო უკვე ნადირთ პატრონის საშინელი რისხვა და შურისძიება.

მაგ., განთქმულ მონადირეზე სოფ. სადმელიდან პორტილ პაპუა შვილზე გავრცელებული იყო ხმა, რომ იგი თითქოს იშიკ შედეგად დაიღუპა, რომ თეთრ არჩეს ესროლა თოფი და დაჭრა იგი.

თეთრი ნადირი, „წილიანი“ ნადირი უფრო სასტიკად სდარაჯობდა ნადირს, სცდილობდა არავითარ შემთხვევაში არ დაეშეა მონადირის მიერ მისი მოკვლა და თუ ოჩოპინტრა, ნადირის მთავარი მწყემსი, ხანდახან შუამდგომლობდა ნადირთ პატრონთან მონადირისათვის ნადირის გაცემის შესახებ, ნადირთ მწყემსი ასეთი შემარიგებლობის გზას არავითარ შემთხვევაში არ დააღვებოდა.

არსებული გადმოცემის მიხედვით ნადირთ მწყემსი ოთხივე კუთხით ედგა ნადირის ხროს და მონადირის მოახლოვების შემთხვევაში აფრთხილებდა ნადირის, რომ მას თავისათვის ეშველა.

ნადირის მწყემსი, როგორც აღნიშნეთ, მონადირეთა შეხედულებით „წილიანი“ იყო. ე. ი. „წმინდა ნაწილი“ ერია მას. მონადირემ რომ გაბედოს, ესროლოს და მოკლოს კიდევაც იგი, ნადირთ პატრონი მას სულ ერთია გააცოცხლებს. მაგ., სოფ. გლოლაში ჩაწერილი

ერთერთი ლეგენდის მიხედვით მონადირეს თეთრი ნატირი მოუკლავს — „წილიანი“ ჯიხვი, რომელსაც ერთი ჩემა ამობრუნებული პქნია და რომელიც სხვა მონადირებს ვრჩაფრით ვერ მოუკლავთ. მონადირეს დაუდვია იგი ერთი ხის ძირში, მოუჭრია ხორცის ნაჭერი, შეუწვავს მწვალი და შეუჭამია. საუზეის შემდეგ მონადირეს მოუხედავს უკან და დაუნახავს, რომ გაცოცხლებული ჯიხვი ვანზე გარბის. მონადირე ვამოპკიდებრა მას. ჯიხვი გაჩერებულა, მობრუნებულა და უთქვამს მონადირისათვის: „ნუ მომდევ, ვერ მომკლავ“-ო.

იგივე თქმულება ამომწურავ სურათს გვაძლევს ნადირობასთან დაკავშირებულ ლვთაებათა შესახებ. მონადირის შეკითხვაზე, თუ რატომ ვერ მოჰკლავს იგი ჯიხვს, ჯიხვმა უპასუხა: „ამირან ბათუ-ყოელს (განთქმული მონადირე ყოფილა) შეეკითხე და ის გეტყ-ვის“-ო. მონადირე მისულა ამირან ბათუყოელთან, უთქვამს ყველა-ფერი მისთვის და მიულია შემდეგი პასუხი: „მე კარგი მონადირე ვიყავი და ბევრი ნადირი მყავდა დახოცილი. ერთხელ ჩემთან ორი კაცი შოვიდა და მითხრა, რომ მე ნადირო ანგელოზი მეძახის. მე შემეშინდა და წივყევი. მიმიყვანეს ერთ გახსნილ კლდეში. იქ ლენინი იყო გამართული. ორმა კაცმა მითხრა: „ვიდრე ჩვენ არ განიშნოთ პური არ სჭამო“-ო. იქ ისხდნენ მოჩვენებები, რომელთაც ნადირის სახე ჰქონდათ. ნადირის ანგელოზმა თქვა: „რატომ არა ჭამს თქვენი სტუმარი პურს“-ო. ორმა კაცმა უპასუხა: „თქვენ წყალობას ელის“-ო. ნადირის ანგელოზმა, რომელსაც ადამიანის სახე ჰქონდა, თქვა: „გა-დახედეთ ამ ნადირთ, ზოგი მათგანი კოჭლია, ზოგი ბრძანა, ზოგი და-ჭრილი და დასახიჩრებული. ყველა ესენი მაგისაგან არიან გაფუჭუ-ბულნი“-ო. ორმა კაცმა უპასუხა: „მაინც თქვენს წყალობას ელის“-ო. ამაზე ნადირთ ანგელოზმა ბრძანა: „მაშინ ყოველ დილას მაგასთან ერთი ჯიხვი მივიღეს და ეგ სანადიროდ არ გამოვიდეს“-ო. მე მაინც არა ვჭამე პური. ცოტა ხნის შემდეგ ნადირთ ანგელოზმა კვლავ ბრძანა: „ყოველ მესამე დღეს თითო არჩევი მივიღეს, მიჩუქებია“-ო. ამის შემდეგ კი ვჭამე პური და მართლაც ყოველ დილას თითო ჯიხვი მომდიოდა, ხოლო ყოველ მესამე დღეს თითო არჩევი“.

თუ ნადირობასთან დაკავშირებულ ლვთაებათა გავრცელების თვალსაზრისით. სხვა ქართველი ტომების ეთნოგრაფიულ სინამდვილეს დავუკვირდებით, აქაც აღმოვაჩენთ ნადირთ ლვთაების განსახიერებათა მთელ რიგს. მაგ., სვანეთში დამოწმებულია ხუთამდე ლვთაება, რომლებ-თანაც ასეთუისე დამოკიდებულია ნადირობის ეფექტურობა. თავის სუფალი სკანი ამზობს:

„სვანების აზრით, ნადირობა მემკვიდრეობით გაღმოცემაა: ნადირის მფარველნი ბატონნი არიან თავი და თავი გარდა მამა ლერთისა წმ. გიორგი, შემდეგ „დალ“-ი, „აბსასდ“-ი, „სვიმ-ბერმოძლვარი“ და „ელ“-ი, რაც შეეხება „სვიმ-ბერმოძლვარს“ და „ელ“-ს მათ მაინც და მაინც ბევრი არაფერი უფლება არა აქვთ მინიჭებული“¹.

იმავე ავტორის სიტყვით სვანეთში ნადირობასთან დაკავშირებულ ლვთაებათა რიგში პირველი ადგილი წმ. გიორგის ეკუთვნის, ხოლო მის პირველ თანაშემწედ „დალ“-ი ითვლება.

„დალი“-ს აღწერილობა მარგიანსა აქვს მოცემული. მისი აღწერით დალ-ი მეტად ლამაზი ქალია. ცხოვრობს კლდეების მწვერვალზე. იგი წყესავს ჯიხეს და გარეულ თხას. როგორც ვხედავთ, სვანეთში ნადირობასთან დაკავშირებულ ლვთაებათა რიგში მდედრობითი სქესის წარმომადგენლებიც ყოფილან და მამრობითი სქესისაც.

საინტერესო მასალა მოიპოვება იმერეთის შესახებ. აქ ძველათ გვირცელებული შეხედულებით ნადირს თავისი მწყემსი ჰყავდა. მწყემსი კაციც იყო და ქალიც. თუ ქალი იყო მას შესაწირავად თითისტარსა და ბამბას წაულებდნენ; „როგორც კარგი მზეთუნახავი წამოუდგებოდა იგი კაცს“². იგი უდარაჯებდა თხას და არავის არ გაატანდა. აქ, ისევე როგორც სვანეთში, ნადირთ პატრონი ორივე სქესით ყოფილა წარმოდგენილი.

ანალოგიური მდგომარეობა აქვს დამოწმებული ვ. ტეპცოვს სამეგრელოში. ეხება რა მესეფ-ს იგი ამბობს, რომ მესეფნი უკვდავნი არიან და ზოგი მათგანი მამაკაცია, ზოგი დედაკაციო³. მამაკაც მესეფთა ჩამოვლის დროს კარგი დარი არის, ხოლო დედაკაცთა—უდი.

საინტერესო მასალა აქვს ჩაწერილი ა. დირს თუშების შესახებ. ამ მასალის მიხედვით ირკვევა, რომ თუშების შეხედულებით ნადირს ანგელოზები წყესავენ. ნადირთ ანგელოზი ერთი მდედრობითი სქესისაა, მეორე მამრობითი სქესის. ისინი ყოველწლივ სცვლიან ერთმანეთს. ანგელოზი ბიჭი—სულელია; მაგრამ ანგელოზი გოგო კარგად ასრულებს თავის მოვალეობას⁴.

სრული ანალოგის სურათს საინგილო გვაძლევს. მ. ჯანა-შვილს მოჰყავს „ნადირთ პატრონი“-ს აღწერა ადგილობრივ ენა-

¹ თავისუფალ სვანი, ოთხი დღე..., „ივერია“, 1886 წ., № № 237—248.

² 5. რეზვიაშვილი, პმერეთის 1937 წლის ექსპედიციის დღიური.

³ Б. Тенишев, Из быта и верований мингрельцев, СМОМПК, III, 23. 11—12.

⁴ А. Дири, Божества охоты и охотничий язык у кавказцев, СМОМПК, XLIV, 83. 1.

ზე: „მინ არ იცისა რუმ ნადირებსაც თავი პატრონ ჰყავაყ, რუმ ნადირებს ნაბათ-ნაბათ და და ზმად იციენ! ერ წელს რუმ ზმად იცავსა, ახლა მომავალ წელს და ჰყურობს. დი ნაბათი წელს ნადირ სუქან კეთტების, ზმი ნაბათი წელს კი—ჭლევა“¹.

ამ შემთხვევაში განსხვავებული მდგომარეობაა დამიწმებული ხევსურეთში. ნადირთ ღვთაება მამრობითი სქესით არის წარმოდგენილი.

6. ურბნელი, ეხება ოა ხევსურების რელიგიურ წარმოდგენებს, ამბობს:

„მეკობარი, მონადირე ხევსური აბა, ისე როგორ დადგებოდა, რომ ცალკე ხატი არ შექმნა ამ ხელობისათვის და შექმნა კიდეც: თეთრი სანება ცროლის გორისა, სოფ. უკანა-ხადოში, სწორედ მეკობრობის და მონადირეების ხატია; ამ ხატს მონადირეები ძღვენს მიუტანენ ხოლმე და მეკობრები წინათ დავლიდამ ნაწილს სწირავდნენ“².

როგორც ვტედავთ, ქართველ ტომთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დაცული ყოფილი საქმიოდ მრავალრიცხოვანი სახეობანი ნადირობასთან დაკავშირებულ ღვთაებისა. კერძოდ, რაჭაში დამოწმებულია ნადირობასთან დაკავშირებული ღვთაების სამი განსახიერება ნადირთ პატრონის, ოჩოპინტრასა და ნადირთ მწყემსის სახელწოდებით. თუ რომ მათ ბუნებასა და თვისებებს დავუკვირდებით შევნიშნავთ მეტად საინტერესო გარემოებას მათი სქესობრივი მიკუთვნების თვალსაზრისით. რაჭაში ისევე, როგორც სხვა ქართველ ტომთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, ნადირობასთან დაკავშირებული ღვთაება გარკვეულ შემთხვევებში ორივე სქესის გაფორმებით არის წარმოდგენილი. იგი ხან მამაკაცის სახით ევლინება მონადირეს, ხან დედაკაცის სახით. სამეგრელოს, იმერეთის, თუშეთის, საინგილოს მაგალითზე ჩვენ დავინახეთ, რომ ნადირთ წყესვა მორიგეობით წარმოებს: ხან დედაკაცი-ღვთაება წყესავს ნადირს. ხან მამაკაცი—ღვთაება. ზოგ შემთხვევაში მამაკაცის წყესვა არის ხელსაყრელი მონადირისათვის, ზოგ შემთხვევაში კი დედაკაცისა. რით აიხსნება ასეთი ურთიერთობა ღვთაების სქესია და ნადირს შო-

¹ გ. ჯანაშვილი, საინგილო, საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზის კრებული, ექ. თავა ი შვილი ს. რედაქტორ: ძველი. საქართველო, ტ. II, ტფ. 1911-13 წ., გვ. 199.

² 6. ურბნელი, ეთნოგრაფიული ნაწერები, დას. გამ., გვ. 70.

რის ძნელია ამის თქმა. უდავოა მხოლოდ, რომ ნაღირობასთან დაკავშირებული ღვთაების ბუნებაში სხვადასხვა სქესია წარმოდგენილი თითქმის თანაბრად, მაგრამ უპირატესობა მაინც დედაკაცი-ღვთაების მხარეზე რჩება.

მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს აგრეთვე რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული და სხვა ქართველ ტომთა შესახები მასალებთან დაპირისპირებული ნაღირთ ღვთაების აშკარად უარყოფითი დამოკიდებულება დედაკაცისადმი, მიუხედავად იმისა, რომ თვით ნაღირთ ღვთაება უმთავრესად დედაკაცის სახითაა წარმოდგენილი. ჩვენ უკვე გვქონდა ზემოთ ოღნიშნული, რომ რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია ნაღირობის ისეთი ფორმები, საღაც დედაკაცის მონაწილეობა ამათუმი სახით არ არის აღკვეთილი. რომ დედაკაცისადმი უარყოფითი დამოკიდებულება მხოლოდ ნაღირობის სპეციფიკურ თვისებას წარმოადგენდეს, რათქმაუნდა, დედაკაცის მონაწილეობა ნაღირობისათვის თუნდაც სამზადის პერიოდში, როგორც წესი, სასტიკად იქნებოდა აღკვეთილი. ამდენად საფიქრებელია, რომ დედაკაცისადმი უარყოფითი დამოკიდებულება გამომდინარეობს და დამყარებულია იმ საერთო შეხედულებაზე, რომლის მიხედვით დედაკაცი (განსაკუთრებით მენსტრუაციისა და ორსულობის დროს) საერთოდ უწმინდურ არსებას წარმოადგენს. არც აქ უნდა გვაშინებდეს ის გარემოება, რომ დედაკაცისადმი ასეთ უარყოფით და შეურიგებელ დამოკიდებულებას ისეთი ღვთაება იჩენს, რომელიც უმთავრესად (და შეიძლება ითქვას თავდაპირველად) დედაკაცის სახითაა წარმოდგენილი, რადგან ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ადამიანის აზროვნებისა და მსოფლმხედველობის განვითარების სხვადასხვა სტადიაზე აღმოცენებულ საწინააღმდეგო წარმოდგენათა თანარსებობასთან, რომლის მაგალითს სხვა მრავალ შემთხვევაშიც ვხვდებით.

სრულიად ბუნებრივად გვეხატება ნაღირთ ღვთაების ერთერთი განსახიერების, სახელდობრ, ნაღირთ მწყემსის ბუნება. იგი ნაღირის სახითაა წარმოდგენილი რაჭაში, კერძოდ, თეთრი ნაღირის, ე. წ. „წილიანი“, „წმინდა“ ნაღირის სახით, რომელიც ნაღირთ ხროშია გარეული, ნაღირთან ერთად იკვებება, მას სდარაჯობს და მფარველობას უწევს, შეურიგებელი მტერია მონაღირის და ყოველგვარ ლონისძიებას. ხმარობს, რომ მონაღირეს ნაღირი არ მოაკვლევინს, იგი იმდენადა აღჭურვილი ნაღირის თვისებებით, რომ მას ტყვიაც ხვდება ხანდახან, თუმცა მისი მოკვლის შემთხვევაში ნაღირთ პატრონი მას

კვლავ უბრუნებს სიცოცხლეს, თუნდაც რომ რაიმე ნაწილის აჭრა მოასწროს მონადირემ.

კველა ეს ზემოხსენებული თვისებები ნადირთ ლვთაებისა, რომლებიც დამოწმებული იყო რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში და რომელთა პარალელური მასალა შეძლებისღაგვარად დადგენილი იყო სხვა ქართველ ტომთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, აშკარად ამჟღავნებს ადამიანის რელიგიური აზროვნების განვითარების უძველესი საფეხურის ნიშნებს.

საილუსტრაციოდ შესაძლებელია მოყვანილ იქნას ძველი ბაზილონური ეპოსი „გილგამეშ“-ი¹, რომლის ერთერთი ცენტრალური პერსონაჟი ენკიდუ ანალოგიურ თვისებებს ატარებს.

ეპოსი მოგვითხომს ურუკის ერთერთ ნეფს გილგამეშის შესახებ, რომელმაც მოისურვა თავისი ქალაქის გაძლიერება და მეტად ბევრს ამუშავებდა მოსახლეობას. მოსახლეობამ უქმაყოფილება გამოსთქვა და თხოვნით მიმართა ლერთებს, რათა მათ შეექმნათ ისეთი ძალა, რომელიც წინაღულებოდა გილგამეშ-ს.

ლერთებმა ეს თხოვნა შეიწყნარეს და შექმნეს ენკიდუ გილგამეშ-ის დასათრგუნავად.

ეპოსში მოცემულია შედარებით ზუსტი აღწერა ენკიდუ-ს, რომლის მიხედვით მთელი მისი სხეული დაფარული იყო ბალნით. იგი, როგორც დედაკაცი, ატარებდა გრძელ თმს. თმის ნაწილები ეფინებოდა სხეულზე, როგორც მწიფე თავთავი. იგი ჩატყული იყო საქონლის ლვთაების მსგავსად. ჯეირნებთან ერთად კორტნიდა ბალას, საქონელთან ერთად მიღიოდა წყლისდასალევჭე. ენკიდუ სცხოვრობდა უდაბნოში ნადირთან ერთად და მეტად უყვარდა ნადირი. იგი ებრძოდა მონადირეებს, რომელნიც სცდილობდნენ ნადირი დაეჭირათ. ამასთან საინტერესოა შემდეგი დეტალი: იმის შემდეგ, რაც იგი მოტყუებით შეიცნობს დედაკაცის სიყვარულს, იგი შენიშნავს, რომ ნადირი, რომელიც ასეთი ნდობით ეპყრობოდა მას ახლა გაურჩის და არ ეკარება.

ენკიდუ-ს მიერ გრძელი თმების ტარება ქალის მსგავსად, ნადირთან ახლო ურთიერთობა და მფარველობა, მასთან ერთად კვება და ცხოვრება, ქალისაღმი უარყოფითი დამოკიდებულება ისეთ მსგავსებასა ჰქმნის ქართველ ტომთა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში და კერძოდ რაჭაში დამოწმებულ ნადირთ ლვთაების ძირითად ნიშნებთან, რომლის საფუ-

¹ Gilgamesh, Epic of old Babylonia, A Rendering in Free Rhithmus by William Ellery Leonard, New-Jork 1934, თ. I.

ძველზე შესაძლებელია ჩვენში დამოწმებული წარმოდგენები ამ მის მართულებით სტადიალურად დავუკავშიროთ ზემოხსენებულ ეპოსში წარმოდგენილ იდეებს.

* *

რაჭაში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალისა და სათანადო ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების ანალიზის საფუძველზე შემდეგი საერთო დასკვნების გაკეთება შეიძლება:

1. კოლექტიური ნადირობა აღამიანის სამეურნეო მოქმედების-ორგანიზაციის ერთეული ადრინდელი ფორმა; ამდენად ნადირობას-თან დაკავშირებულ წესჩვეულებათა დაგენა და მისი მეცნიერული ანალიზი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ამათუიმ ტომის უძველესი კულტურის შესწავლის საქმეში.

კერძოდ, რაჭის ზოოგეოგრაფიული გარემო და მეურნეობის კარჩაკეტილი ხასიათი ხელსაყრელ პირობას წარმოადგენდა მონა-დირეობის მნიშვნელობისა, მისი უძველესი და საუკეთესო ტრადი-ციების შემონახვისთვის. ხოლო რაჭა ოომ საკმაოდ მდიდარი იყო. ამ ტრადიციებით საუკხოოდ ჩანს რაჭელთა ყოფაში დაცული საკმაოდ ვრცელი და დიფერენცირებული ტერმინებიდან, რომლებიც ამომწურავ სურათს გვაძლევს ნადირობის ორგანიზაციის სხვადასხვა ტიპისა, ნადირის ჯიშისა, სქესისა და ჰასაკის შესახებ და რომელთა ახსნა მხოლოდ ქართული ენის ნიადაგზე შეიძლება.

2. ნადირობის მატერიალური ბაზის ანალიზა დაგვარწმუნა, ოომ რაჭაში ნადირობის საკმაოდ მაღალი და განვითარებული კულ-ტურა არსებობდა. ამ ხაზით დამიწმებულია:

ა. მონადირეთა ჩაცმულობის შედარებით განვითარებული ტიპი, ოომელიც (ჩაცმულობა) ადგილობრივად მზადდებოდა ადგილობ-რივი ნედლეულის ბაზაზე. იგი მეტად პორტაბელურია და საუც-ხოოდ არის შეხამებული ნადირობის ბუნებრივ გარემოსთან.

რაჭელი მონადირის ჩაცმულობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფეხსამოსს. კოლოტური ქალამანი, ბანდული, დაღ-ვლერჭილი წრიაპები და მრავალი თხილამურები წარმოად-გენენ ჩაცმულობის აუცილებელ ელემენტებს, რომლებიც მნიშვნელო-ვან დახმარებას უწევდა მონადირეს ნადირობის პროცესში.

ბ. რაჭელ მონადირეთა შეიარაღების კომპლექტი მაქსიმალუ-რი ეფექტურობით არის შემოფარგლული. განსაკუთრებულ ინტე-რესს ე. წ. მუჟირა იპყრობს —იარაღი, რომელიც ფუნქციების საკმაოდ მრავალიცხოვან და რთულ კომპლექსს ასრულებს. იგი იხმარება ყინულში საფეხურების ამოსაკვეთად, თოფის გასაღებად.

სროლის დროს, საბჯენად და საჩხვლეტ იარაღად ნადირთან შებრძოლების დროს. საბავშვო გასართობში მისი სასროლ იარაღად გთმოყენება გვაფიქრებინებს, რომ იგი სასროლი იარაღის ფუნქციასაც ასრულებდა. მის მიერ შესრულებული ფუნქციებისა და ფორმალური ნიშნების მიხედვით იგი შების ტიპის იარაღს უნდა წარმოადგენდეს.

გ. რაჭაში მახე-ხაფანგების მრავალგვარი სახეა დამოწმებული. მათ შორის ორი—რკინისაგან ნაკეთი, ხოლო თორმეტი—ხისაგან, ქვისაგან და ჩელტისაგან შემზადებული. უმრავლესი მათგანი სარეგველას და სირენჭკას პრინციპზე აგებული. დამოწმებულია აგრეთვე ჯიხვის საჭერი ხუნდა, აგებული მთლიანად ხისაგან, და დაგებული თოფი. რაჭაში დამოწმებული მახე-ხაფანგები შემზადების ტექნიკითა და აგებულების დეტალებით ცალკეულ შემთხვევებში განსხვავდებიან უცხო ტომთა ყოფაში დამოწმებულისაფანგებისაგან.

დ. თოფის წამლისა და ფინთიხის დამზადება რაჭაში ადგილობრივად წარმოებდა ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე. თოფის წამლის დამზადების პროცესში დამოწმებულია მეტისმეტად პრიმიტიული საცეხველი. მის მთავარ ნაწილს ურო შეადგენს, გაკეთებული ხის ტარისა და ქვის ყუისაგან. ქვის ყუა-ჩამაგრებულია ხის-გახეთქილ ტარში ღვლერჭებით და სოლებით.

3. კოლექტიური ნადირობის ორგანიზაციის სხვადასხვა სახეობათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის საფუძვლად მიგვაჩინია ამათუები სახით ნადირობის პროცესში გაბატონებული წესი, რომელიც ძირითად მიმართულებას აძლევს ნადირობის მთლიან პროცესს.

ამის მიხედვით რაჭაში დამოწმებული კოლექტიური ნადირობა სამი ძირითადი სახითაა წარმოდგენილი:

ა. მოსაპირავი—გულისხმობს ნადირის (უმთავრესად კლდის ნადირის) სავალი ბილიკების გადაჭრას ჩასახუნდების საშუალებისა და ლოდინს.

ბ. მოსარეკი—გულისხმობს ნადირის (უმთავრესად ტყის ნადირის) მილალვა-მიდენას ხმაურობის საშუალებით წინასწარ გამიზნულ ადგილისაკენ და

გ. საკვალიერებელი—გულისხმობს ნადირის (უმთავრესად მეჩერი ბუჩქნარის და ველის ნადირის) მიკვლევას, კვალში ჩადგომას და კვალდაკვალ დევნას.

კოლექტიური ნადირობის ყოველი ზემოხსენებული სახე და-მკვიდრებულია ნადირობის ამათუები წესის უპირატეს გამოყენებაზე,

ნადირის ჩვევისა და მისი ადგილსამყოფლის ზედმიწევნით ცოდნაზე და მონადირეთა მჭიდრო კოლექტივში განმტკიცების უნარზე.

4. რაჭაში დამოწმებულია მასობრივი ნადირობა—ნადირობა მთელი სოფლით, რომელსაც ჯელგაობა ეწოდება. მისი ცალკეული ნიშნები და მის შესახებ არსებული ისტორიულ-ლიტერატურული წყაროები აშკარად ამჟღავნებენ მის (ჯელგაობის) კავშირს საახალწლო დღესასწაულთან.

5. კოლექტიური ნადირობის ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმებთან შესატყვისად რაჭაში დამოწმებულია ნანადირევის კოლექტიური განაწილების გადმონაშოების შემდეგი სახეები:

ა. აბსოლუტურად თანაბარი განაწილება მონადირეთა შორის რაიმე სპეციალური ნაწილების გამოყოფის გარეშე.

ბ. განაწილების პირობათა სისტემა, რომელიც მონადირეთა ჯგუფში ჰასაკით ყველაზე უფროსს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს და

გ. ნანადირევის განაწილება, რომელიც გულისხმობს სპეციალური ნაწილების გაღებას მონადირის ცოდნა-გამოცდილებისა თუ შეიარაღების საფუძველზე.

განაწილების მეორე სახე, ჩვენი აზრით, გვაროვნული წყობილების მახასიათებელია, მესამე—უდავოდ გვაროვნული წყობილების მომდევნო საფეხურის შენაძენია, ხოლო განაწილების პირველი სახის სტადიალური განსაზღვრა დამატებით კვლევას მოითხოვს.

კოლექტიური განაწილების გადმონაშოს წარმოადგენს აგრეთვე არა მონადირე პირთათვის ისეთი ნაწილების გამოღება, როგორიცაა ნადირობის უდევარის წილი, სამეზობლო და სხვა.

6. რაჭის ზოგიერთ დასახლებულ პუნქტებში, იქ სადაც არსებობდა განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები, ნანადირევს—წედლი ან დაშაული სახით—გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა საოჯახო სამეურნეო ბიუჯეტში. ასეთ შემთხვევაში მონადირეობას საოჯახო მეურნეობაში მნიშვნელობით მეოთხე რიგის ადგილი ეჭირა მიწათმოქმედების, მესაქონლეობისა და გარესამუშაოს შემდეგ.

7. ისტორიული წყაროების საფუძველზე ირკვევა, რომ ნადირობის კოლექტიური ფორმები საქართველოში გამოყენებული იყო როგორც სამხედრო სწავლებისა და აღზრდის სკოლა. ნადირობის უაღრესად დიდი სახელმწიფო ორგანიზაციი მნიშვნელობა ჰქონდა იმდენად, რამდენადაც მისი მასობრივი და სისტემატური მოწყობა უზრუნველყოფდა ხალხის სამხედრო-სამობილიზაციო მზადყოფნას. ნადი-

რობის მომსახურე პერსონალის მრავალრიცხოვანი ინსტიტუტი, საშევარდნო ბუღების ფართო ქსელი, ხელოვნური საჩიხები და წაკრძალები, ნადირობაში მონაწილეობის საგალდებულო სახე, ნადირობის წესებისა და ვადების ჩამოყალიბებული კოდექსი, მისი სასპორტო-აღმზრდელობითი ხასიათი დამაჯერებლად მიგვითოთებენ იშ უდიდეს მნიშვნელობაზე, რომელიც მინიჭებული ჰქონდა მას.

8. ნადირობასთან დაკავშირებულ წესჩვეულებათა რიგი მაგიურ ხასიათს ატარებს. იგი თვალნათლივ ამქალავნებს განვითარების დაბალ დონეზე მყოფ ადამიანის კოლექტიურ წარმოდგენას ნადირობის პროცესზე, როგორც შრომა-მაგიურ პროცესზე. ნადირობასთან დაკავშირებულ წესჩვეულებათა უმეტესი ნაწილი სიმპათიური შეაგის პრინციპზეა აგებული, კერძოდ მიმბაძველობითი მაგის პრინციპზე—მსგავსი გამოიწვევს მსგავსს.

9. ნადირობასთან დაკავშირებულ წესჩვეულებათა რიგში განსაკუთრებული აღგილი ეჭირა ე.წ. თავრიელს, რომელიც გამარჯვების ტროფეის ხასიათს ატარებდა და ამავე დროს გამოყენებული იყო როგორც საკულტო-რიტუალური საგანი. სხვა ქართველ ტომთა ეთნოგრაფიულ ყოფაში არსებული მასალა და მთელი რიგი ისტორიულ-ლიტერატურული წყაროები საფუძველს გვაძლევს გამოვთქვათ მოსაზრება, რომ ნადირის თავრიელი, როგორც ტროფეი და საკულტო საგანი, ადამიანის თავის ქალის სიმბოლიური გამოსახულებაა.

10. შეხედულებანი ნადირთ პატრონის შესსხებ რაჭიში არ არის ჩამოყალიბებული მწყობრ სისტემად. ფართო აღგილი აქვს დათმობილი სინკრეტიზმებს. შეკრებილი მასალებიდან ირკვევა ნადირობასთან დაკავშირებული „ლვთაების“ სამი განსახიერების არსებობა: ნადირთ პატრონის, ოჩოპინტრასი და ნადირთ მწყემსის სახელწოდებით. რაჭული ნადირთ „ლვთაება“ ძირითადი ფუნქციებითა და ფორმალური ნიშნებით ბაბილონური ეპოსის „გილგამეშ“-ის ერთერთ გმირს ენკიდუ-ს ემსგავსება.

შეცდომების გასწორება

გვ.	სტრ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
22	ქვ. 1	საჯიხეები	საჩიხეები
80	ზ. 2	ადგილსამყოფელი	ადგილსამყოფის
89	ქვ. 11	შეკრული	შეკერული
95	ზ. 8	ადგილსამყოფი	ადგილსამყოფის
121	ქვ. 3	СМОМПК XII	СМОМПК XXII
125	ზ. 14	ნანადირევის	ნადირის